www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნინო წულუკიძე

მღვანეთვალება ანგელოზი

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თბილისი 2004

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მრავალსართულიანი სახლის კიბეზე კისრისტეხით არბოდა ახალგაზრდა კაცი. გაწუწული, ლია კრემისფერი პერანგი დაკუნთულ, ნავარჯიშევ სხეულზე მიპკვროდა. ოქროსფერი, მზისაგან გახუნებული თმა სველი ჰქონდა, შუბლზეც წვრილ-წვრილ ნაკადულებად მოედინებოდა ოფლის წვეთები. მეშვიდე სართულზე შეჩერდა, სულ მოითქვა და გააფთრებულმა დაუშინა მუშტები მუხის მძიმე, ალაგ-ალაგ ლაქაგაცვენილ კარს, რომელიც მალევე გაიღო და ზღურბლზე მდგარი, თვალებგაფართოებული თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონა განცვიფრებული მიაჩერდა აქოშინებულ ბიჭს.

– რა იყო, მოგდევს ვინმე? – ჩაილაპარაკა გოგონამ უკმაყოფილოდ და „მომხდურს“ გზა დაუთმო. ბიჭმა არაფერი უპასუხა, საძინებელში შეევარდა, კარი შიგნიდან ჩაიკეტა და ლოგინზე პირქვე დაემხო. ყურში ისევ უწიოდა თიკოს სიტყვები... მაინც, როგორ მიახალა შეუბრალებლად, „მაგ სუნამოს ჰე ჩემს ძაღლს არ დავასხამო“, როგორ მედიდურად გადაიდო ფეხი ფეხზე და როგორ აათამაშა გრძელი თითები სპილოს ძვლის ფიგურებით ინკრუსტირებულ პატარა მაგიდაზე... აგონდებოდა, როგორი ირონიით შეათვალიერა თიკოს გაბღენძილმა, ბეჭდებით საშობაო ნაძვის ხესავით დახუნძლულმა დედიკომ პოტენციური სასიძო და ამრეზილმა განუცხადა: „ბიჭო, ხალიჩა არ დაგვისვაროო“. მაინც რამ შეაყვარა ის გაპრანჭული თოჯინა?! ბიჭს უფრო საკუთარ თავზე მოსდიოდა ბრაზი... რამდენი ხანი აგროვა ის ოცდახუთი ლარი, რომელიც თიკოსათვის მისარომევ სუნამოში გადაიხადა. ხელები მთელი კვირა გაყვლეფილი ჰქონდა სალამოობით დეზერტირების ბაზარში გაყინული თევზის კუბიკების თრევით. მაგრამ ამას თიკო ვერასოდეს გაიგებდა, ის კი არა და... მგონი, გაყინული თევზი თვალით საერთოდაც არ ენახა. სამზარეულოში წყლის დასალევად თუ შეივლიდა. საჭმელსაც თავის ოთახში მიართმევდნენ ხოლმე „ბავშვს“... საშა გულალმა გადმობრუნდა და ამოიოხრა. წიგნების პატარა თაროდან მამამისის პორტრეტი ულიმოდა. მერაბი ამ სურათზე ზუსტად იმდენი წლის იქნებოდა, რამდენისაც საშა. სალებავებით გათხუპნილი პერანგი ეცვა. ხელში ფუნჯი ეკავა, მოლბერტთან ზურგით ნახევრად შებრუნებული იდგა და გულიანად იცინოდა. საშამ სინანულით შეავლო სურათს თვალი და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხვირში რალაც აეწვა. ცრემლმა თავისით მონახა გზა თვალებისაკენ. იდინა, იდინა და უპეებთან დაგუბდა. ოთახს თეთრი, გამჭვირვალე ნისლი გადაეკრა... „ეჰ, მამა რომ ცოცხალი მყოლოდა... დღეს, ალბათ, სახელოვანი მხატვარი იქნებოდა. როგორ იამაყებდა მისით... ამ გასაჭირშიც არ ჩაცვივდებოდნენ. მერაბი ათი წლის წინ დაიღუპა... სვანეთში, ერთი პატარა ეკლესიის ფრესკის ხატვის დროს ხარაჩო ჩამოიშალა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. თბილისშიც ვეღარ მოასწრეს მისი ჩამოყვანა. საშკა მაშინ თერთმეტი წლის სულელი, მუხლებგადატყავებული ბიჭი იყო. ბუნდოვნად ახსოვს ის საღამო, როცა მამა სახლში მოასვენეს. ჯერ ყურთამდე გაღებული კარი არ ესიამოვნა, მერე იმას ვერ მიხვდა, რატომ ირეოდა მათ მყუდრო ბინაში ამდენი უცხო მამაკაცი, რატომ დაათრევდნენ ოთახიდან ოთახში ბებოს ნამზითვ კაკლის ხის ბუფეტს, მაგიდასა და სკამებს. რატომ ეფარა თეთრი ზეწარი შემოსასვლელში ჩამოკიდებულ უზარმაზარ სარკეს და რატომ იდგა შუა დარბაზში ძველი, ხისგან უხეიროდ გამოჩორკნილი ტახტი. მერე ატირებული ინას ცისფერი თვალები დაინახა... ბებიის ცივმა შეკივლებამ გაუპო სმენა და ამ კივილით შემოვიდა საშას ცხოვრებაში სიკვდილი...

დედა წესიერად არ ახსოვდა. მხოლოდ ხანდახან, ისიც იშვიათად ძილში გრძნობდა მისი ნაზი თითებისა და სველი ტუჩების შეხებას შუბლზე... ასე აკეთებდა ხოლმე, როცა საშკა ბავშვობაში ავად გახდებოდა და სიცხეს უსინჯავდა... ლიზა მერაბმა ლენინგრადიდან ჩამოიყვანა. ერთად სწავლობდნენ სამხატვრო აკადემიაში. მალალი ყოფილა, გრძელფეხება, ოქროსფერთმიანი და მწვანეთვალება. საშას დედისაგან სწორი, ოდნავ პაჭუა ცხვირი და თმის ფერი გამოჰყვა. ინა კი მწვანე თვალებითა და უსაშველოდ ლამაზი ფეხებით დაემსგავსა დედას. ამას ნაცნობები ამბობენ, თორემ იმ დღის შემდეგ, როცა მოსკოვში წასული მერაბი სახლში ცოლის გარეშე დაბრუნდა, ბებიამ რძლის ყველა ფოტოსურათი საგულდაგულოდ გადამალა. ოჯახში ლიზას სახელს ტაბუ დაედო. საშამ ისიც კი არ იცოდა წესიერად, რა მოხდა სინამდვილეში. ბებია და მამა ამ თემაზე საუბარს ერიდებოდნენ, საშკა მხოლოდ იმას მიხვდა, რომ დედამ მიატოვა, სხვა კაცი შეიყვარა და იმასთან დარჩა უცხო, დიდ ქალაქში. მხოლოდ ათი წლის შემდეგ გაიგო საშამ, რომ ეს „სხვა კაცი" მერაბის ბავშვობის მეგობარი ძია ლადო იყო, როხროხა ლადო. სწორედ მან მიიპატიჟა მერაბი მოსკოვში ერთი „კარგი საქმის" გასაკეთებლად. ამანაც საკუთარი ხელით ჩაუყვანა „მეტოქეს" ცოლი, პირდაპირ ლანგარზე დადებული მიართვა, თვითონ კი პირში ჩალაგამოვლებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამობრუნდა წლინახევრის, ახლად ფეხადგმულ ბუთხუზა ინასთან და შვიდი წლის პირველკლასელ საშკასთან. იმავე რეისით ჩამოფრინდა თბილისში, რითაც ლადოს ყოფილი ცოლი და ქალიშვილი...

კაკუნმა ფიქრი გააწყვეტინა... კარს ინა მოსდგომოდა და იხვეწებოდა, შემომიშვიო.

– თაეი დამანებე! – გასძახა საშამ.

– გეხვეწები, გამიღე, რა? არაფერს გკითხავ, ოღონდ შემომიშვი.

– თუ არაფერი უნდა მკითხო, აქ რაღა გინდა? დამაცადე და გამოვალ.

– საჭმელი მაინც არ გინდა? კატლეტი და კარტოფილის პიურეა მაიონეზით, ხომ ძალიან გიყვარს?! – არ ეშვებოდა ინა.

– ინა, მომეშვი, არ მშია, საერთოდაც არაფერი მინდა. გეხვეწები, თავი დამანებე, თორემ თუ გამოვედი, გაგწეწავ.

– იდიოტი ხარ, განა არ ვიცი, რატომ ხარ ასე? იმ ქალბატონმა გაწყენინა, არა?

– ვინ ქალბატონმა, სულელი ხომ არა ხარ?

– დიახ, ვიცი, ყველაფერი ვიცი...

– ჰო, კარგი, იცი და იცოდე, ოღონდ ახლა კარს მოსცილდი და რაც გინდა, ის გიქნია...

– ხომ ვამბობ, იდიოტი ხარ-მეთქი – იმ კუდაბზიკას შეყვარება შეიძლებოდა? მაგრამ არ დამიჯერე.

– ინა, გამოვედი!.. – დაიღრიალა საშამ.

– ჰო, კარგი, კარგი, უკვე მივდივარ...

საშამ ღრმად ამოიოხრა. და ძალიან უყვარდა. პატარობისას აუცილებლად საშას უნდა დაეძინებინა. საყვარელი გოგო იყო, ბუთხუზა და ეშმაკი. შეუძვრებოდა ლოგინში, კოტიტა თითებით ფეხის გულებში მოუღიტინებდა და ააყვირებდა ხოლმე. შენ კი ხელს ვერ დააკარებდი. ისე გულსაკლავად აბღავლდებოდა, ტანში დაიშლებოდი. საშკაც უთმობდა. თუმცა ზოგჯერ მაინც წასწვდებოდა ხოლმე აქეთიქით სასაცილოდ გაფშეკილ კიკინებში...

კარზე ისევ გაისმა სუსტი კაკუნი... „ეს დღეს თავს არ გამანებებს", – გაიფიქრა საშამ და გაღიზიანებულმა უყვირა დას:

– აღარ მომეშვები?

– გოგიჩა მოვიდა, შენი ნახვა უნდა...

საშა შეყოყმანდა. იმ წუთში გოგიჩასი კი არა, არავის ნახვა არ უნდოდა, მაგრამ არგალება ჯარესი ქნებოდა... გოგიჩა ჩვეული მოუქნელობით შემოიზლაზნა ოთახში და კუთხეში მდგარ დიდ, ძველებურ სავარძელში ჩაეხეთქა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ნელა, ბიჭო, ნუ ჩაუგლეჯე „პრუჟინები"... სანამ ბოლოს არ მო-ულებ, არ მოეშვები?

– თუ ძმა ხარ, ნუ გადამაყოლებ ახლა ადამისდრეიხლელ საუ-რძელს. პირველად ხომ არ ვეჯდები? – უდარდელად აიქნია ხელი გოგიჩამ და ოთახში ცნობისმოყვარეულ მოჭვრიტინე ინა დაასაქმა – ერთი, წყალი მომიტანეთ, შენს გაზრდას...

ინა უკმაოფილოდ დაიღრიჭა, მაგრამ წყლის მოსატანად მაინც წავიდა. გოგიჩამ გაოცებულმა გააყოლა თვალი.

– რა დაგერიათ ამ და-ძმას, ორივენი რომ იღრინებით? – გაოცებულმა აიწურა მხრები გოგიჩამ და კეფა მოიქექა. – დაახლოებით ვხვდები, რაც გჭირს. თიკოსთან იჩხუბე, არა?

– გოგიჩ, ახლა შენს გუნებაზე არა ვარ. თუ აქ ყოფნა გინდა, იყავი, ოღონდ ზედმეტი შეკითხვებით თავს ნუ მომაბეზრებ.

– გამოვიცანი! – გაიბადრა გოგიჩა. – როდის გეუბნებოდი, ეგ გოგო ხეირს არ დაგაყრის-მეთქი?! არ დამიჯერე, ძმაო, და რა გიყო?! ვიცნობ, რა, ეგეთ კუდაბზიკა ხალხს. მამამისს ორი კაპიკი უშოვია და ქვეყანა თავისი ჰგონია. შენ სხვანაირი ტიპი ხარ, ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა?

საშა მოიღუშა. გოგიჩა სიმართლეს ამბობდა, მაგრამ მაინც არ ესიამოვნა.

– გაჩუმდი, რა!

– კარგი, ბატონო, ხმას ალარ ამოვიღებ. – გოგიჩა ნებივრად გადა-წვა სავარძელში, ფეხები პატარა მაგიდაზე შემოაწყო და ინას გა-ძახა: სადა ხარ, გოგო, ამდენ ხანს, წყლის მოსატანად წყარიზე წახვედი?

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ინაც გამოჩნდა ცისფერი ფაიფურის ლამბაქზე დადგმული ბროლის ჭიქით ხელში და ბიჭს მუხლზე დაუდო.

გოგიჩამ წყალი ორ ყლუპად დალია და ჭიქა შეათვალიერა.

– იმიტომ მოუნდი, არა, წყლის მოტანას ამდენი ხანი? – სინანულით გადააქნია თავი და საშასკენ შებრუნდა.

ფიქრებში გართულმა საშამ ყურადღება არ მიაქცია მეგობრის ნა-თქვამს. სამაგიეროდ ინა გაიბუსხა:

– ეცი ახლა ამისთანას პატივი! ერთ საათს ვარჩევდი ჭიქას...

– აგაშენა ღმერთმა, მე მაგას არ ვჩივი?! – სახე გაუბრწყინდა გოგიჩას. – მეორედ რომ გაგაგზავნი წყალზე, იცოდე, ყურიანი ჩაის „ჟრუშკით" მომიტან.

– მეტის ღირსი მაინც არა ხარ, – არ შეარჩინა ინამ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გოგო, ნუ დაგიგრძელებია ენა, თორემ შენს ძმას ვეტყვი და გაიტყიპები! – „დაემუქრა" გოგიჩა.

– კი, როგორ არა! – ტუჩები მომუწა გოგონამ და ოთახიდან ამაყად თავაწეული გავიდა.

– როგორ შეიცვალა, არა?! გაიზარდა, გამოხედვაც სხვანაირი გაუხდა, სევდიანი, – ფიქრიანად, უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა გოგიჩამ, მერე კი გაეცინა. – საშკა, გახსოვს, კარადაში რომ შევსვით, რომ დაეძინა, რომ დაგვავიწყდა და თქვენები გადარეულები რომ დაეძებდნენ?

– მე მითხარი რამე? – გამოერკვა საშა.

– ეეე, შენ არ მისმენ? მოეშვი, რა, იმ გოგოზე ფიქრს. თავი დაანებე...

– გოგიჩა, უნდა წავიდე აქედან, – გადაჭრით განაცხადა მოულოდნელად საშამ.

გოგიჩამ გაკვირვებისაგან პირი დაალო.

– აურიე? სახლიდან აპირებ გაქცევას? რატომ, ტო... ერთმა ტუტუცმა გოგომ უარი გითხრა, ბებიაშვნი და ინა რა შუაში არიან, ამათ რა დაგიშავეს?

– არა, შენ ვერ გამიგე. თბილისიდან უნდა წავიდე...

გოგიჩა სულ დაიბნა.

– სად... სად... სად... უნდა წახვიდე?

– ჯერ არ ვიცი, შეიძლება – მოსკოვში.

– რა გინდა, ბიჭო, მოსკოვში?

– ვიმუშავებ. საკუთარ თავსაც მივხედავ და ამათაც. ხომ ხედავ, აქ ალარაფერი გამოდის. რამდენჯერ უნდა გამამწაროს უფულობამ? იცი, დღეს თიკოს ოჯახში როგორ მიყურებდნენ? უკანასკნელი მათხოვარივით. თიკოს უდღეური პუდელიც კი გაცილებით მეტ პატივში იყო, ვიდრე მე. სურვილი მქონდა, მიმემტვრია ყველაფერი და ის სუნამოც, რომლის გულისთვისაც მასხრად ამიგდო, თიკოსთვის თავზე დამეფშვნა.

– მერე, ვერ დააფშვენი? – ხელები მოიფშვნიტა გოგიჩამ.

– ისევ საკუთარ თავს ვეცი პატივი და გიჟივით გამოვვარდი გარეთ.

ოთახში ფეხაკრეფით შემოიპარა ინა და საწოლის კიდეზე მორიდებით ჩამოჯდა. ძმის სიტყვებმა გული მოუკლა. სინანულით შეათვალიერა ალაგ-ალაგ გვარიანად გახუნებული შპალერი. ბევრი რეცხვისგან ოდნავ გაცრეცილი, ტულის ძველებური ფარდები... მამის სოკვლილმა ბევრი რამ შეცვალა, ბევრ რამეზე ათქმევინა ოჯახს უარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ან როგორ მოახერხა ბებომ ორი ბავშვის გაზრდა მარტომ, სხვების დაუხმარებლად? საწყალი ქალი მთელ დღეს პოლიკლინიკაში ატარებდა, საღამოს კი სახლში იღებდა პაციენტებს. მათი სახლის შემოსასვლელში ყოველთვის იჯდა ორი-სამი ლოყაზე ხელაფარებული, აკვნესებული ადამიანი. ბებოს თეთრფარდებჩამოფარებული პატარა ოთახიდან კი გვიანობამდე ისმოდა ბირმანქანის ზუზუნი.

ასე გაიზარდნენ. მშივრები და შიშვლები ნამდვილად არ ყოფილან, მაგრამ მერე ავადმყოფების რაოდენობამ იკლო. ლამის საზოგადოებრივ ტუალეტებში გახსნილმა სტომატოლოგიურმა კაბინეტებმა სერიოზული კონკურენცია გაუწია ბებოს „ბიზნესს". საშკა სტუდენტი იყო, ინა სკოლაში დადიოდა... იქით ინგლისურის მასწავლებლის ფული იყო გადასახდელი, აქეთ – ცეკვის. ველურებად ხომ არ გაზრდიდა? ჩაცმაც ხომ უნდოდა... ჰოდა, ნელ-ნელა, თითქოს შეუმჩნევლად გაქრნენ ბუფეტიდან ფუშფუშაკაბიანი, დაკვანწულთითებიანი კოპწია ფაიფურის ბალერინები... მედიდური ქალბატონები... პაწაწინა, ფრთოსანი ურჩხულებით მოხატული ლარნაკები თუ სიფრიფანა, ნატიფი სერვიზები... ხოლო როცა ბებომ ძველისძველი, საგვარეულო კამეა მოიხსნა გულიდან და ფაშფაშა, მუდამ ოფლის და საჭმლის სუნად აყროლებულ მეზობელს მიჰყიდა კანკალით, საშამ ველარ მოითმინა, ქაღალდები და ფანქარი მაგრად ჩაბღუჯა და სახლიდან უკანმოუხედავად მოუსვა... სწორედ იმ დღეს გაიცნო თიკო...

* * *

... შემოდგომის თბილი დღეები იდგა. პარკში სევდიანად შრიალებდნენ ფოთლებსგან სანახევროდ გაძარცული ხეები. მზის სხივები ანცად იჭვრიტებოდნენ მათი კენწეროებიდან. ნიავს მიწაზე ჩამოცვენილი ფოთლებისგან სქელი ხალიჩა მოექსოვა... პარკის მოწითალო ფხვნილით დაფარულ ბილიკებზე ძირითადად ჩვილბავშვიანი დედები და ხანშიშესული, დარბაისელი წყვილები სეირნობდნენ. საშამ მყუდრო ადგილი ამოირჩია, დაჯდა და ფანქარი მოიმარჯვა. ხატვის ნიჭი მამისგან გამოჰყვა, ოღონდ, მერაბისაგან განსხვავებით, ფანქარს ანიჭებდა უპირატესობას. არ უყვარდა მაძღარი, კაშკაშა ფერები. დარწმუნებული იყო, რომ, პორტრეტს მაინც, საერთოდ არ სჭირდება ფერადი გამა. ფანქარში უკეთესად ხსნიდა ადამიანის ხასიათს. ადამიანის ცხოვრებაც ხომ ასეთია, ძირითადად – ნაცრისფერი, შავი, მწუხარე. მხოლოდ ალაგ-ალაგ, მკრთალ შუქ-ჩრდილებად დაჰყვება სიხარულითა და ბედნიერებით სავსე დღეები...

– არ დამხატავთ? – მოესმა საშას უეცრად და თავი ასწია. მის წინ ჯინსის შარვალსა და ტყავის მოკლე ქურთუკში გამოწყობილი მო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხიბლავი გოგონა იდგა და ეშმაკურად აციმციმებდა ჭაობის ზედაპირივით მუქ-მწვანე თვალებს. ბიჭს სუნთქვა შეეკრა. გოგონებთან ყოველთვის უჭირდა ურთიერთობა. ისედაც, დედის უსინდისო ღალატის შემდეგ, მხოლოდ ორ ქალს თვლიდა ყურადღების ღირსად: ერთი ინა იყო, მეორე – ბებია... მაგრამ ახლა, ახლა... დაბნეული საშა თავს ველარ უყრიდა სათქმელს. საქაღალდე ძირს დაუვარდა... მიწას მოეფინა თეთრი ფურცლები... გოგონა დაიხარა... წამოკრეფაში მიეხმარა... მერე კი საღამომდე ხატავდა მის თხელ, ნატიფ ცხვირს, პაწაწინა, გაბუშტულ ტუჩებს, ოდნავ გაჩვრეტილ, მომრგვალო ნიკაპს და ზღვის ფსკერივით უძირო თვალებს. საშამ პირველად ინანა, რომ ფერადი ფანქრები არ წამოიღო... მაგრამ არა უშავს, კიდევ დახატავს, აუცილებლად დახატავს...

– უკვე დაამთავრეთ? – მოუთმენლად იკითხა გოგონამ და სცადა, ნახატისთვის შეეხედა.

– ჯერ არა, ცოტაც მოითმინეთ, – ფურცელს ხელი დააფარა საშამ.

– მეჩქარება, უნდა წავიდე. ალბათ უკვე მეძებენ... ვაიმე, რა დრო გასულა! – შეჰკივლა გოგონამ, როცა მაჯაზე, ოქროს პაწაწინა, იშვიათი სილამაზის საათზე დაიხედა.

– გელოდებათ ვინმე?

– ლექციიდან გამოვიპარე...

– სად სწავლობთ?

– იურიდიულზე...

– იურიდიულზე? – გულწრფელად გაიოცა საშამ. – საოცარია...

– რატომ არის საოცარი? – ეწყინა გოგოს.

– ძალიან ნაზი და ჰაეროვანი ხართ, ბუმბულივით... არ ივარგებთ გამომძიებლად, არც მოსამართლის მანტია მოგიხდებათ...

გოგონა გაწითლდა. უხერხულად აწრიალდა, ფეხზე წამოდგა და საშასთან ახლოს მივიდა...

– მზად არის. – მიაწოდა ფურცელი ბიჭმა. – თუმცა... რომ არ გეჩქარებოდეთ, კიდევ დაგხატავდით სიამოვნებით...

– სხვა დროს იყოს... – გოგონამ დახედა პორტრეტს, აღტაცებულმა მიიკრა გულზე, ჯიბიდან ათლარიანი ამოიღო, გაოგნებულ ბიჭს სწრაფად ჩაუგდო კალთაში და უკანმოუხედავად გაბაკუნდა... საშას გული მოუკვდა... განაწყენებულმა დახედა ფულს... უნდოდა გაჰკიდებოდა, მოებრუნებინა, მაგრამ გაახსენდა, რომ სახელიც არ უკითხავს... საკუთარ თავზე გაცოფდა... ჯავრი ფანქარზეღა იყარა: ხელში მოიგდო და ნაკუწ-ნაკუწ აქცია...

იმ საღამოს შემდეგ უნივერსიტეტის ბალს შეეჩვია. ეკლესიის ახლოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაჯდებოდა, ხატავდა და ხატავდა... თან გაფაციცებული ათვალიერებდა ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნე გოგონებს, ხშირ-ხშირად რომ აკითხავდნენ ბალს სიგარეტის მოსაწევად და საჭორაოდ. ზოგი მათგანი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სახატავით ხელში, თავისთვის მჯდარი ბიჭისადმი, მაგრამ საშა თავის მწვანეთვალება ფერიას ელოდა, რომელიც არსად ჩანდა. „ალბათ მომატყუა, – ნაღვლიანად ფიქრობდა თავისთვის... – ალბათ აქ არ სწავლობს, თორემ ერთხელ მაინც მოვკრავდი თვალს..."

• • •

... გოგიჩა, როგორც ყოველთვის, აგვიანებდა. გაჩერებაზე ატუზული საშას მოსწყინდა, გვარიანადაც შესცივდა და იქვე, პატარა კაფეს შეაფარა თავი. პირდაპირ ბარისკენ გაემართა და ის იყო, ყავა უნდა შეეკვეთა, რომ ვიღაცის გულიანმა კისკისმა უკან მოახედა. კუთხეში მიმდგარ მაგიდასთან, ერთი ბიჭისა და სამი გოგონას გარემოცვაში, მწვანეთვალება ანგელოზი იჯდა და იცინოდა. საშას სიხარულისაგან სუნთქვა შეეკრა. ყავაც დააავიწყდა, გოგიჩაც და მთელი ქვეყანაც. გოგონამაც იგრძნო ბიჭის დაჟინებული მზერა, მოიხედა, უყურა, უყურა და გაბრწყინებული სახით მისკენ გამოემართა.

– გამარჯობა!

– გამარჯობა! – ძლივს ამოილუღლუღა საშამ.

– თქვენი დახატული სურათი ყველას მოეწონა. პარკში რატომ აღარ დადიხართ?

– პარკში?! – დაიბნა ბიჭი. – აჰ, პარკში... – უცებ გაიაზრა გოგონას სიტყვები და სიცილი აუტყდა.

– რა გაცინებთ? – გაუკვირდა გოგოს.

– ღმერთო ჩემო, როგორ ერთხელ მაინც არ მომივიდა თავში აზრად, პარკში მომეძებნეთ...

– მაშ, მეძებდით?! – გოგონა გაჩუმდა და თავისი მწვანე თვალებით გულუბრყვილოდ მიაჩერდა საშას. იმ წუთში ისეთი საყვარელი იყო, ბიჭმა ძლივს გაუძლო ცდუნებას, რომ გულში არ ჩაეკრა. წვალებით გადაადგორა გამშრალ ყელში გაჩხერილი ბურთი და ხმის კანკალით ჰკითხა:

– რა გქვია?

– თიკო, უფრო სწორად – თინიკო, მაგრამ მე თიკო მირჩევნია. შენ რა გქვია?

– საშა.

– რუსი ხარ? – უკმაყოფილოდ აბზიკა პაწაწინა ცხვირი თიკომ.

საშას გაეცინა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არა, რუსი არა ვარ, რატომ მკითხე?

– საშა მქვია, რომ მიცინარი?

– ააა, აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე. მეც ალექსანდრე მქვია, მაგრამ საშა მირჩევნია, – გამოაჯავრა გოგოს.

– ალექსანდრე ჰქვია მამაჩემსაც, მაგრამ ახლობლები სანდროს ეძახიან, – „დაეჭვდა" თიკო.

– კარგი, ბატონო, რადგან საშა არ მოგწონს, თანახმა ვარ, დღეიდან სანდროდ ვიწოდებოდე.

– არა, რატომ, იყოს საშა... – „დიდსულოვანი" გადაწყვეტილება მიიღო თიკომ. – საშა, ყავაზე არ დამპატიჟებ?

– როგორ არა... – დაფაცურდა საშა და ახლალა მიხვდა, მთელი საუბრის განმავლობაში ფეხზე რომ იდგნენ. – მიდი, დაჯექი, ახლავე ავიღებ ყავას...

თიკომ კიდევ ერთხელ გაუცინა ბიჭს და მაგიდასთან მოიკალათა. საშა ორი ოხშივარავარდნილი ფინჯნით დაბრუნდა. ერთი თიკოს მიუჩოჩა და გვერდით მიუჯდა.

– თიკო, მე შენი ვალი მაქვს...

– ვალი? – გაუკვირდა გოგონას.

– ის ფული, მაშინ პარკში რომ მომეცი... – საშამ ჯიბიდან ათლარიანი ამოიღო და თიკოს მაგიდაზე ჩამოდებულ მუჭში შეუცურა... გოგონამ ყურადღებით შეხედა ბიჭს და დიდხანს არ მოუცილებია თავისი მწვანე თვალები...

– სად ხარ, ბიჭო... გავითოშე! – გარინდებულ წყვილს მეხივით დაატყდა თავს ცხვირაწითლებული გოგიჩა. მიპატიჟებას არ დალოდებია, ხმაურით გამოსწია სკამი, უცერემონიოდ წამოსკუპდა და საშას ყავით სავსე ფინჯანი თავისკენ მიიჩოჩა.

– თიკო, ჩვენ მივდივართ! – გამოსძახა მეზობელი მაგიდიდან მეგობარს წითურთმიანმა გოგონამ.

– ახლავე, ახლავე, მარი, – თიკო უხალისოდ წამოდგა, ჩანთაში კალამი მოიძია, პატარა ფურცელზე ტელეფონის ნომერი დაწერა და საშას მიაწოდა. – დამირეკე!...

ჩანთა მხარზე მოიგდო, სკამის საზურგეზე გადაკიდებულ ძვირფას „დუბლიონკას" დასწვდა და ქუსლების ბაკუნით გასასვლელისაკენ გაემართა. საშკამ თვალი გააყოლა, ამოიოხრა... გოგიჩას ყავა სასულეში გადასცდა და ისეთი ხველა ატეხა, მთელმა კაფემ მათ დაუწყო ყურება.

– დახრჩობა! – „მიეხმატკბილა" საშა.

– დიდი მადლობა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არაფრის... ყოველთვის უდროოდ რომ არ გამოეჩხირო, არ შეგიძლია?

გოგიჩას გაოცებისაგან თვალები დაუმრგვალდა.

– გიჟი ხომ არა ხარ, რას მეჩხუბები, შენ არ დამიბარე?!

– დაგიბარე, თორემ მოფრინდი დროზე...

– რა ვქნა, ძმაო, დაგვიანება ჩემი სტილია, – ხელები გაშალა გოგიჩამ.

– ჰოდა, ერთხელ მაგ „სტილისთვის" ცხვირ-პირს რომ დაგინგრევ, მერე გაიგებ... – შუბლი შეიკრა საშამ.

– შენ რალაცაზე ალრენილი ხარ, მე რა შუაში ვარ? თუ მოდიხარ ნიკასთან, წავიდეთ. გველოდებიან.

– მარტო წადი... ალარა ვარ ქეიფის გუნებაზე...

გოგიჩა თითქოს რალაცას მიხვდა. თავი გადააქნია და მეგობარს ის ჰკითხა, რასაც საშა თვითონაც ეკითხებოდა საკუთარ თავს:

– მდაა, შეყვარებული ხარ?!

– რაო? რა სისულელეს ამბობ..

– სისულელე კი არა, ასპროცენტიანია... ყველა სიმპტომი აშკარაა. ამიტომ გაგიტკბა ამ ბოლო დროს უნივერსიტეტის ბაღში სეირნობა?!

– უნივერსიტეტის ბაღში სახატავად დავდივარ...

– ეგ ზღაპარი ინას და ბებიაშენს მოუყევი... მე ვერ მომატყუებ. რალა მაინცდამაინც იქ გაწუხებს მუზა?.. მერე მაგ ქალბატონის პროკურორი მამისა არ გეშინია?

– ვინ პროკურორიო, რას ამბობ?! – ვერ მიხვდა საშა.

– ვინ და, შენს „მუზაზე" მოგახსენებ. არ იცი, ვისი შვილია?!

– არა!

– ეე, ძმაო, აბა შენა ხარ, რა! თიკო ნინუას იმისთანა კავალრები ჰყავს დაწუნებული...

– თიკო ნინუას?!

– გაიღვიძე, რა! – უკმაყოფილოდ დაილრიჯა გოგიჩა. – ახლა, ამ მაგიდასთან გოგო რომ ოჯდა, არის თიკო ნინუა, ლევან ნინუას დაიკო და პროკურორ ალექსანდრე ნინუას ქალიშვილი. ახლა გაიგე?!

– წარმოუდგენელია! – საშა ყურებს არ უჯერებდა. – ლევანის და... იმ ლევანის და, ჩვენთან რომ სწავლობდა?

– დიახ. მართალი ბრძანდებით. ლევანი ერთადერთი ინტელექტუალია მაგათ ფულითა და ამბიციებით სავსე ოჯახში. ველარ გაუძლო და იმიტომაც გადაიხვეწა დიდ რუსეთში.

საშა ენაჩავარდნილივით ოჯდა და გოგიჩას გაოგნებული შესცქეროდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჰოდა, სანამ დროა, შეეშვი... საშენო გოგო არ არის.

– რატომ, რადგან ფული არა მაქვს? – იფეთქა საშამ.

– მარტო ფულში არ არის საქმე. თიკო შენ ვერასოდეს გაგიგებს. სხვადასხვა მასალისგან ხართ ჩამოსხმულები, გესმის? დაივიწყე, ამოიგდე თავიდან, ასე ჯობს!..

– არ შემიძლია, უკვე მიყვარს... – ჩაილაპარაკა საშამ.

* * *

– არ გესმის, ბიჭო? მოვკვდი მშიერი! – შიგ ყურში ჩაჰყვიროდა გოგიჩა საშას და შეუბრალებლად ანჯღრევდა. – ადექი, რა, ინამ სუფრა უკვე გაშალა... ხომ იცი, კატლეტი და მაიონეზი როგორ მიყვარს.

– შენ ნეტავ რა არ გიყვარს, – სიცილით გამოსძახა ოთახიდან ინამ.

გოგიჩა ყასიდად დაფიქრდა.

– რა არ მიყვარს? აი, კარაქიანი პური ნაღდად არ მიყვარს. ბავშვობიდან ვერ ვიტანს ორგანულად. ჰა, დგები თუ არა? – მიუბრუნდა საშას.

– არ გესმის, რა გითხარი, მოსკოვში უნდა წავიდე-მეთქი?! – შეუბღვირა საშამ.

– ახლავე ხომ არ გარბიხარ, შე კაცო! ვჭამოთ, დავილაპარაკოთ და თუ შენსას მაინც არ დაიშლი, მოსკოვში კი არა, გინდა ავსტრალიაში წადი.

– ვინ მიდის ავსტრალიაში?! – იკითხა ოთახში შემოსულმა ლილიბებიამ და ინას ქაღალდში გახვეული ორი ცალი თონის პური მიაწოდა.

– ვინ მიდის ავსტრალიაში?! – გაიმეორა ქალბატონმა ლილიმ და ბიჭები გამომცდელად შეათვალიერა. გოგიჩას მეგობრის ბებიის დანახვაზე ყოველთვის უცნაური ძრწოლა დაურბენდა ხოლმე სხეულში, ზუსტად ისეთი, პატარა ბავშვებს რომ მოსდით სტომატოლოგის კაბინეტში შესვლის წინ. თითქო აშკარად ხედავდა პატივცემული ბებო-ექიმის ხელში ჩაბღუჯულ „წამების იარაღებს" და ყურშიც ცხადად ჩაესმოდა ბორმანქანის ზუზუნი. ახლაც ასე დაემართა. შიშისაგან მუხლები აუკანკალდა და ძლივს მოახერხა პასუხის გაცემა.

– اااااا

მერე შებრუნდა და ოთახიდან გავიდა... დერეფანში ერთხანს კიდევ ისმოდა მისი მტკიცე ნაბიჯების ხმა... ყრუდ მიიკეტა მაღალი, მასიური მუხის კარი და ოთახში აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა.

– აჰა, ეს გინდოდა? – ეცა ძმას ინა. – ახლა წავა და იტირებს. ხომ იცი მაგისი ამბავი?!

– რა ვუყო, არც მე ვარ სიცილის გუნებაზე! – მისთვის უჩვეულო გულგრილობით ჩაიბურტყუნა საშამ, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, ფანჯარასთან მივიდა და ოდნავ გადაწეული ფარდის კუთხიდან ეზოში გადაიხედა... ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ... მეორე სართულის აივანზე უზარმაზარი საბერტყელათი ხელში გადმომდგარიყო ზინზროხა მერიკო და მთელი კორპუსის გასაგონად ვიშვიშებდა:

– სარეცხი ველარ გამიფენია, ხალხო, გაგონილა?! ადამიანები არა ხართ?! გამომხედეთ, დააკავეთ თქვენ-თქვენი ველურები, თორემ გამისკდა გული და ესაა!..

სიტყვა ბოლომდე არ ჰქონდა დამთავრებული, რომ, თითქოს ჯიბრზე, თავდიდა ნოდარიკოს „ოსტატურმა" დარტყმამ მტვერსა და ჭუჭყში ამოგანგლული ბურთი „აუტში" გაგზავნა. ბურთმა „თვითნებურად" შეცვალა მიმართულება, ჰაერში ურთულესი ბრუნი გააკეთა და მეტოქის კარის ბადის მაგივრად მერიკოს საგულდაგულოდ გაქათქათებულ ზეწარში გაეხვია...

– ვაი, ვაი, ვაი!.. – ცივი ხმით აკივლდა ქალი, ბურთს ხელი სტაცა და ზეწართან ერთად ოთახში შეიტანა... ახლა ბიჭებმა ატეხეს წივილი, ბავშვებს ეზოში უსაქმურად ჩამომსხდარი, ყოველდღიური მატჩების ერთგული მაყურებლებიც წამოეშველნენ და ნამდვილი გნიასი ატყდა... საშას უნებლიეთ გაეცინა... ბავშვობა გაახსენდა – თვითონაც არაერთხელ ყოფილა თავდიდა ნოდარიკოს ადგილას. მერიკო მაშინაც ზუსტად ასე აკივლდებოდა ხოლმე, თუმცა უფრო ახალგაზრდული შემართებით... ერთი კია: საშა განსაკუთრებულად უყვარდა და ქალბატონი ლილის სხვანაირი ხათრიც ჰქონდა...

– აღარ შემიძლია ასე ცხოვრება!.. – ფიქრიდან გამოერკვა საშა და გოგიჩასაკენ შებრუნდა. კატლეტით პირგამოტენილმა გოგიჩამ ლუკმა ორივე ყბაში დაატრიალა, კუჭისკენ „გაისტუმრა", შვებით ამოისუნთქა და ჩანგალი გამაფრთხილებლად დაუქნია.

– შენ ის გირჩევნია, დაჯდე და ჭამო, თორემ ყოველთვის, როცა კი ასე ატეხილხარ, კისერი მოგიმტვრევია.

– მაინც, რას გულისხმობ?! – საჩხუბრად აიქოჩრა საშა.

გოგიჩამ ინას თვალი ჩაუკრა, კიდევ ერთი კატლეტი დაითრია, თეფშს მზერა გაუშტერა და ამოიოხრა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კარგი, რა, საშკა. მაინცდამაინც უნდა ვიჩხუბოთ?

– რას გულისხმობ-მეთქი?! -- საშა გოგიჩას გვერდით მიუჯდა და მუშტები მაგიდას ჩამოაყრდნო.

– აი, ხომ ხედავ, ინა? კაცს სიმართლეც ვეღარ გითქვამს, მაშინვე ცემით გემუქრებიან! არადა, მე ამ უბედურისთვის კარგი მინდა. მაგალითად, რატომ უნდა წავიდეს მოსკოვში? თბილისში, რა, ვეღარ დაეტია?

– უნდა წავიდე, ვიმუშაო, რაღაც გავაკეთო, ვხატო... ბოლოს და ბოლოს, თავდაყირა ვიარო...

– აქ ვინ გიშლის, ძმაო, თავდაყირა სიარულს? იარე პარკებში და ხატე პროკურორების გრძელფეხება ქალიშვილები! მე შენ გეტყვი, რომელიმე უარს იტყვის პოზირებაზე...

– გოგიჩა, იცოდე, გაილახები! – გააფრთხილა საშამ.

– ვიცი, – უდარდელად გაეცინა გოგიჩას. ნახევარი კატლეტი პირში ჩაიჩურთა და ბლუკუნით დაამატა: ოღონდ შენ გეშველებოდეს რამე და ერთი ცემა რა არის?! როგორმე გავუძლებ!..

ოთახში ბებია დაბრუნდა. წელში გამართული მოდიოდა, ამაყი და წარბშეუხრელი. ინას შეთავაზებული მაღალზურგიანი სკამი გამოსწია, დაჯდა, თეფშის ქვეშ ამოდებულ ხელსახოცს კუთხე შეუსწორა და მოულოდნელად სრულიად მშვიდად ჩაილაპარაკა:

– თუ შენ თვლი, რომ წასვლა აუცილებელია – წადი!

ინას ჩანგალი გაუშეშდა ხელში, გაოცებულმა გადახედა ბებიას, რომელიც დანის წვერით აგროვებდა სუფრაზე მიმობნეულ უჩინარ ნამცეცებს. მიუხედავად გარეგნულ სიმშვიდისა, გოგონას მხედველობიდან არ გამოპარვია, როგორ უკანკალებდა ქალს ხელები...

სადილზე მეტი აღარაფერი თქმულა. გოგიჩამ და ინამ ცოტა ხანს „იკინკლავეს", ახალ ჩანაწერებს მოუსმინეს, მერე კი „შესარიგებლად" ბიჭმა გოგონა კინოში დაპატიჟა. ისიც სასწრაფოდ გამოეწყო ახალ ჯინსში, ფერით ორი თვის გაურეცხავს რომ ჰგავდა (ინას კარგა ხანს „აბოდებდა" მასზე) და გოგიჩას მხარზე ჩამოკიდებული სიხარულით წაბაკუნდა მორიგი ამერიკული „შედევრის" სანახავად.

* * *

... ბებო თავის ოთახში, სარწველა სავარძელში იჯდა, მუხლამდე ძველებური, ინგლისური უჯრულა პლედი ჰქონდა გადაფარებული. კალთაში გადაშლილი წიგნი ედო, თუმცა არ კითხულობდა... სათვალიანი ხელი, თითქმის იატაკამდე გადმოკიდებული, საათის ენასავით თანაბრად ქანაობდა, სავარძლის მონოტონურ რიტმს აყოლილი... საშა ფეხაკრეფით მიეახლოვდა ბებიას, მის მუხლებთან ჩამოჯდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი კალთაში ჩაუდო. ქალმა უსიტყვოდ შეუცურა შვილიშვილს თმაში ხელი და ალერსით მოუჩეჩა.

– ბებო, იცი?!. – დაიწყო საშამ.

– ვიცი, საშა, მე ყველაფერი ვიცი, ამიტომაც გეუბნები: თუ შენთვის ასე აჯობებს, უნდა წახვიდე...

– დიდი მადლობა, ბე... შენ ყოველთვის გესმოდა ჩემი...

– ოლონდ, საშა... – ლილი ცოტა ხანს გაჩუმდა და ბიჭმა იგრძნო, როგორ დაიძაბა მის თმაში „გარინდებული" ხელი. – ოლონდ დამპირდი, რომ იმ ქალს არ მოძებნი...

საშა მიხვდა, „ის ქალი" დედამისი რომ იყო... უსიტყვოდ დაუქნია ბებოს თავი და უფრო მიეხუტა. დედა... ღირდა კი მისი მოძებნა?! ამ ხნის განმავლობაში ლიზას არასოდეს გამოუთქვამს შვილების ნახვის სურვილი, მხოლოდ ერთხელ დაარეკვინა ლადოს: შვილები გავიყოთო, – შესთავაზა ქმარყოფილს, – ინას წავიყვანო ჩემთან... გესმით?! საშა მაშინვე „თამაშგარედ" აღმოჩნდა, ინა ირჩია „მოსიყვარულე" დედიკომ... „დაწუნებულმა" საშამ მთელი ღამე ტირილში გაატარა, ცალკე დედის არჩევანი უკლავდა გულს, ცალკე – ინასთან განშორებისა ეშინოდა. საბედნიეროდ, მამამ და ბებიამ ლადოს ისეთი დღე აყარეს, საწყალს აღარასოდეს გასჩენია დარეკვისა და მსგავსი წინადადების შეთავაზების სურვილი. ახლა კი – არ მოძებნოო... რისთვის უნდა მოძებნოს? იმისთვის ხომ არა, პირში მიახალოს ამ წლების განმავლობაში დაგროვილი სათქმელი?!. არა, არა, ამისთვის ნამდვილად არა ღირს მოსკოვში ერთი უღირსი ქალის ძებნა...

ოთახში კატასავით უხმაუროდ, მსუბუქი ნაბიჯებით შემოიპარა ინა. მაგიდაზე მდგარ მწვანე აბაჟურიან ლამის ნათურას მისწვდა და აანთო.

– რა სიბნელეში დამსხდარხართ?! გამოდით, რა, ჩაი დავლიოთ. გოგიჩაც აქაა...

– მოკლედ, ვგ კაცი თავიდან ვერ მოვიცილეთ, – ყასიდად გაბრაზდა საშა.

– გვიანი იყო, მარტოს ხომ არ გამომიშვებდა? ახლავე ვეტყვი, რომ წავიდეს! – გაიბუსხა ინა.

– კარგი, კარგი, ნუ იბუტები, გავიხუმრე! – გაეცინა საშას. – გოგიჩა ხომ არსებული რეალობის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც, მაგალითად, ტელევიზორი.

– მე ვარ, ბიჭო, ტელევიზორი? – ლია კარში თავი შემოყო განაწყენებულმა გოგიჩამ. – არ გრცხვენია? ყუთს უნდა შეადარო ძმაკაცი, თანაც ყველაზე ერთგული?! – ყასიდად მოიწმინდა „თუალსმო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მდგარი" ცრემლი გოგიჩამ. საშკა ფეხზე წამოხტა, გოგიჩას ლიმილით მიუახლოვდა და შემრიგებლურად დაპკრა მხარზე ხელი.

– შენ რა ცუდი წარმოდგენის ყოფილხარ ტელევიზორზე? აბა მითხარი, რომელია მაგაზე სასარგებლო და აუცილებელი ნივთი? პა? მითხარი!..

– რომელი და... – გოგიჩამ კეფა მოიქექა. – მაგალითად, მაგნიტოფონი...

საშას ხარხარი აუტყდა, კინაღამ გაიგუდა. სული რომ მოითქვა, მეგობარს ალერსით წამოარტყა თავში ხელი.

– ეეჰ, შე მაგნიტოფონო, შენა! თუ მუსიკალური ცენტრი გირჩევნია? უფრო რთული კონსტრუქციის არ არის?.. გამოუსწორებელი ვინმე ხარ, გოგიჩა, გამოუსწორებელი!.. ინა, წადი და დაადგი ჩაი... შენი „კავალერი" ამაღამ აქ რჩება...

– არა, არა, რას ამბობ! გადაირევიან ჩვენები! – ხელები გაასავსავა გოგიჩამ.

– თორემ ჯერ არ დარჩენილხარ! – ჩაიცინა ინამ. – დაურეკე მაკა დეიდას და უთხარი. თუმცა მე თვითონ დავურეკავ... – გოგონა ხტუნვა-ხტუნვით გავარდა შემოსასვლელში და კინაღამ ტელეფონის აპარატი გადმოაგდო პატარა, ინრუსტირებული მაგიდიდან.

– ძალიან უყვარხარ! – თვალი გააყოლა დაიკოს საშამ.

– მეც მიყვარს... – ამოიბლუკუნა გოგიჩამ, ერთიანად გაწითლდა დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით, უხერხულად აიწურა და ოთახიდან გაიპარწა. საშას სხვა დროს მხედველობიდან არ გამოეპარებოდა მეგობრის უცნაური საქციელი, მაგრამ ახლა ისე იყო საკუთარი პრობლემებით გარემოცული, რომ გოგიჩას სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია... მწვანე აბაჟურიან ლამპას გაუშტერა თვალი და ამოიოხრა...

* * *

თიკოს მეორე დღესვე დაურეკა... ყურმილი ვიღაც „გატყლარჭულმა" ქალმა აიღო და განაზებული ხმით ვინაობა ჰკითხა.

– გადაეცით, რომ ნაცნობი მხატვარი ურეკავს, – ცოტა არ იყოს, გაღიზიანდა ბიჭი.

– ცოტა ხანს მოცდა მოგიხდებათ, თიკოს ჯერ არ სცალია...

– იყოს, მოგვიანებით დავრეკავ... – გულმოსულმა საშამ ყურმილი დააგდო, დივანზე წამოწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო. „აღარ დავრეკავ," – გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ ოც წუთსაც არ გაევლო, რომ ისევ ტელეფონისაკენ გაექცა ხელი. ამჯერად გაუმართლა...

– ალო? – მოესმა თიკოს ბავშვური, წკრიალა ხმა და მთელ ტანში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭიანჭველები აუფუთფუთდნენ.

– ალო! გისმენთ! – მოუთმენლად ვაიმეორა გოგონამ.

– თიკო, მე ვარ, საშა... – როგორც იქნა, ჩაიბურტყუნა ბიჭმა და გამშრალი ტუჩები მოილოკა.

– აა! გამარჯობა, საშა! კინალამ არ გეჩხუბე?! ვერ ვიტან, როცა მირეკავენ და მერე ხმას ალარ იღებენ. აბა, ხარ დღეს ჩემი დახატვის განწყობაზე?

საშას სიხარულისაგან სუნთქვა შეუგუბდა და პასუხად მხოლოდ ამოიკვნესა. თიკო აკისკისდა.

– ყველაფერი გასაგებია, ერთ საათში პარკში გელოდები... – თიკომ ისევ გაიცინა და ყურმილი დაკიდა.

საშა გადარეულივით შევარდა სააბაზანოში, გულმოდგინედ გაიფხიკა ისედაც „მოპრიალებული“ ლოყები, ფეთიანივით ეცა კარადას, მთელი ტანსაცმელი ხელის ერთი მოსმით ძირს გადმოყარა და დამდურლულივით აღრიალდა:

– ინა! ი-ნაა!

– რა იყო, გააფრინე?! – გულგახეთქილი ინა შიშისაგან გაფართოებული თვალებით შესცქეროდა აფორიაქებულ ძმას.

– ჩემი ლურჯი პერანგი სად არის?!

– თოკზე, დილას გავრეცხე, – წამწამები ააფახულა გოგონამ.

– ვინ გეხვეწებოდა! რათა გაქვს მეტიჩარა ხელები? რა ვქნა ახლა მე?! – უარესად აყვირდა საშა.

– შენ გიყი ხარ, ხომ იცი!.. ჭუჭყიანი იყო და, აბა, არ გამერეცხა? სხვა ჩაიცვი, რა ახირებაა?!

– მაგალითად, რომელი?! – გამოაჯავრა საშამ.

– მაგალითად, ნაცრისფერი, ან შინდისფერი... რა ვიცი, ცოტა გაქვს?

– მე ლურჯი მინდა!

– გითხარი, თოკზეა-მეთქი...

– ჩამოხსენი!

– რა-ა?!

– ჩამოხსენი და სასწრაფოდ გამიუთოე.

– სველი იქნება, ბიჭო! ასე მალე რა გააშრობდა?

– არა უშავს, უთოთი გააშრობ. ჩქარა, ჩქარა, ამდენი დრო არა მაქვს!

– ნეტავი ვიცოდე, სად მიდიხარ, ასე საგულდაგულოდ რომ იპრანჭები?! – აბუზღუნდა ინა, აივანზე ფეხათრევით გავიდა, შემშრალი პერანგი თოკიდან ჩამოხსნა და ლოჯიაში უთო ჩართო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ათი წუთის შემდეგ ნახევრად სველ, ორთქლადენილ პერანგში გამოწყობილი საშა სარკესთან იდგა და გულმოდგინედ ცდილობდა ურჩი ქოჩრის „მორჯულებას", კედელს მიყრდნობილი ინა კი სიცილით კვდებოდა და ძმა მოთმინებიდან გამოჰყავდა.

– მაგ სიცილს, გირჩევნია, მომეხმარო! – იფეთქა ბოლოს ბიჭმა.

– როგორ მოგეხმარო, მითხარი და... – თავს ვერ იკავებდა ინა.

– როგორ და – გაინძერი!.. ხომ ხედავ, რა დღეში ვარ?! მიდი, ის რაღაც მომიტანე, თმაზე რომ ისვამ ხოლმე...

– მუსი? – გაუკვირდა გოგონას.

– ოღონდ ამ გაფშეკილ თმას რამე ეშველოს და, მუსს კი არა, მურაბას ჩამოვითხუპნი თავზე, – ოხრავდა საშა და სარკის წინ ჭირვეული პატარძალივით ტრიალებდა...

– რა ხდება აქ? – სამზარეულოდან გამოვიდა ლილიც და განცვიფრებული მიაჩერდა საშას, რომელსაც აქამდე არაერთხელ გამოუძვრენია სარეცხის გროვიდან დასრესილი მაისური და ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე ჩაუცვამს.

– პაემანზე აგვიანდება! – დააკმაყოფილა ბებიას ცნობისმოყვარეობა ინამ და საშას მუსი გაუწოდა.

– პაემანზე კი არა... ნუ ხარ, გოგო, შენ ჭორიკანა! – გაბრაზდა ბიჭი. სარკეს თავი ანება, ფერადი ფანქრების შეკვრა შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა, ქაღალდის ფურცლებს ხელი დასტაცა, კარი ყურთამდე გააფრიალა და კიბეზე თავპირისმტვრევით დაეშვა...

მერე კი... საშას ოთახის კედლები ნელ-ნელა მოიფინა მწვანეთვალება ანგელოზის პორტრეტებით. „მოწყენილი თიკო", „თიკო ყვავილების თაიგულით", „თიკო კაფეში, ყავის ჭიქით ხელში", „ბედნიერი თიკო", „თიკო და ჩაპა" (ჩაპა თიკოს პუდელი და, აქედან გამომდინარე, ნინუების ოჯახის ერთ-ერთი „პატივსაცემი" წევრი ბრძანდებოდა)... მოკლედ, „თიკო და თიკო"... ერთ მშვენიერ დღეს კი, უფრო სწორად, საღამოს, როცა გოგიჩა და ინა თავისთვის კარტს თამაშობდნენ, ბებო ინას შარფს უქსოვდა, ხოლო საშა თავის მორიგ „შედევრს" ჩაჰკირკიტებდა (რა თქმა უნდა, თიკო ნინუას პორტრეტს), მოულოდნელად ფუნჯი გვერდზე გადადო, ნამუშევარს მუშტრის თვალი შეავლო და ხმამაღლა გამოაცხადა:

– ცოლი უნდა მოვიყვანო!

გოგიჩას კარტიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა, ლილი ბებიას კი საქსოვი ძირს დაუვარდა და განცვიფრებისაგან პირდაღებულ ინას გადახედა.

– ცოლი მომყავს! – გაიმეორა საშამ, სკამზე ჩამოჯდა, ხელები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გულზე დაიკრიფა და შინაურები შეათვალიერა.

– მდა�ა... მძიმე სიტუაციაა! – ამოიოხრა გოგიჩამ. – თუმცა ეს, ალბათ, მოსალოდნელიც იყო, თუ ამ ბოლო დროს შენს პორტრეტომანიით დაავადებას გავითვალისწინებთ... მაგრამ...

– რა „მაგრამ"? – აიქოჩრა საშა. – იქნებ თიკო არ მოგწონს?

– თიკო მშვენიერი გოგონაა, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ ისაა, ვინც გჭირდება? – თქვა მშვიდად ქალბატონმა ლილიმ და შვილიშვილს თვალი თვალში გაუყარა.

– აჰა, ბატონო, მეც ზუსტად ამისი თქმა მინდოდა! – გული მოეცა გოგიჩას. – ბებიაშენი ბრძენი ქალია და ჭეშმარიტებას ლაღადებს. მშვენიერი ნათქვამია – „ვინც გჭირდება"!.. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, – „ვისაც შენ სჭირდები"... ანუ, დარწმუნებული ხარ, რომ თიკო ნინუას სჭირდები?!

– გინდა თქვა, რომ ჩემი შეყვარება შეუძლებელია, რადგან ფული არა მაქვს?! – იფეთქა საშამ.

– პრინციპში, შეუძლებელი არაფერია, მაგრამ თიკოს შემთხვევაში ალბათობა გამორიცხულია... – ბრძნულად დაასკვნა გოგიჩამ და ბროლის პატარა ჯამიდან ქარვისფრად მოელვარე ლეღვის მურაბას დაასო მზერა...

– იდიოტი ვარ, საერთოდ არ უნდა ამომეღო ხმა, აკი წინასწარ ვიცოდი, რასაც მეტყოდით! – გაღიზიანებული საშკა წამოვარდა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

– ხედავ? ვიცოდი, რასაც მეტყოდითო, ამბობ... იმიტომ, ჩემო კარგო, რომ თავადაც იმავეს ფიქრობ, ოღონდ, არ გინდა, საკუთარ თავს გამოუტყდე.

– გოგიჩ, ხომ არასოდეს მიცემიხარ, თუმცა ბევრჯერ ყოფილხარ საცემი, მაგრამ მამის საფლავს ვფიცავ, ახლა თუ არ გაჩუმდები, თავპირს დაგინგრევ! – დაემუქრა საშა ენად გაკრეფილ მეგობარს და მეტი დამაჯერებლობისათვის მოღერებული მუშტი დაანახა. გოგიჩამ, აქაოდა, ყველაფერი გავიგეო, ორივე ხელი პირზე აიფარა, მერე კოვზი მოიმარჯვა და „ჯავრი" საცოდავ ლეღვზე იყარა. ბებია უხმოდ, აუჩქარებლად სვამდა უშაქრო შავ ჩაის და ბიჭების კამათში არ ერეოდა. მისმა სიჩუმემ საშას უარესად მოუშალა ნერვები. ბებიას ვერაფერი უთხრა და თავისთვის მჯდარ, სუფრის ნაქარგის თვალიერებით გართულ საწყალ ინას დააცხრა თავს.

– შენ რაღას გაჩუმებულხარ?!

– მეე? – განცვიფრებისაგან პირი დააღო ინამ.

– ეჰ, შენ! ხმა ამოიღე, თქვი რამე, ვერ ხედავ, დაწყვეტაზე მაქვს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნერვები?!

– ეეე, ამ ბავშვისაგან რა გინდა, ტო?! – გამოესარჩლა გოგონას გოგიჩა. – რას დაგვერიე, ჰა?! თითქოს თიკო უკვე თანახმა იყოს და ხელს ჩვენლა გიშლიდეთ!

– თანახმა იქნება... – ჩაილაპარაკა საშამ, თუმცა თავისი სიტყვებისა თვითონვე არ სჯეროდა.

– კი, როგორ არა, რაკი შენ იტყვი! – ჩაიქირქილა გოგიჩამ, თუმცა, როგორც კი საშას გაავებულ სახეს ჰკიდა მზერა, მაშინვე უკან დაიხია, – ღმერთმა ქნას, ძმაო, ვისაც ეწყინოს, თავი გაუხმეს... მაგრამ „აღდგომა და ხვალეო", ხომ გაგიგონია?

ბებოს არც ახლა ამოულია ხმა. ადგა და ინასთან ერთად მაგიდის ალაგება დაიწყო. საშა სულგანაბული ადევნებდა თვალს ქალის ყოველ მოძრაობას, ელოდებოდა, მისკენ როდის მიიხედავდა, მაგრამ ლილიმ უსიტყვოდ წამოკრიფა მაგიდიდან ჭურჭელი და სამზარეულოში გაიტანა. გამწარებული საშკა შლეგიანივით წამოიჭრა, სკამს ფეხი ჰკრა, გარეთ გავარდა და კარი ისე გაიჯახუნა, ინას და გოგიჩას კინალამ ჭერი ჩამოაქცია თავზე.

– სულ გააგიჟა იმ გოგომ ეს უბედური!.. – ამოიოხრა ინამ. – ახლა რა დღეშია და მართლა ცოლად რომ მოიყვანოს, მერე სულ დავიღუპებით...

– სანერვიულო არაფერი გაქვს – თიკო ნინუა შენს ძმას არასოდეს წამოჰყვება! ცოლად კი არა, მაქსიმუმ ერთ თვეში მორჩება ამათი „რომანი". თიკო, უბრალოდ, ერთობა. მის მრავალფეროვან კოლექციას ახალგაზრდა მხატვარი აკლდა, ესაა და ეს... როგორც ვიცი, მაგის ოჯახს სასიძო უკვე შერჩეულიც ჰყავს: ახალგაზრდა, პერსპექტიული იურისტი, მანქანიანი... სახლკარიანი... აბა, ჯიბე გამოფხეკილი საშა ვის რაში სჭირდება?!..

– ცოდოა საშა... – გულწრფელად შეებრალა ინას ძმა.

– რა ვუყო, ინა, გეფიცები, თავიდანვე ვაფრთხილებდი... არ დამიჯერა. სანამ თიკო არ მიუკეტავს ცხვირწინ კარს, რაც უნდა ველაპარაკოთ, ამაოა...

გოგიჩა მართალი იყო. შინაგანად საშა თვითონაც გრძნობდა, რომ პრეტენზიული, ფუფუნებას შეჩვეული თიკო მისთვის არ იყო გაჩენილი, მაგრამ რეალობასთან შეგუება არ სურდა. იქნებ თიკოს მართლა უყვარდა, რატომ უნდა ეთქვა ამ სიყვარულზე უარი?! როცა თავისი მწვანეთვალება ანგელოზი მკერდზე ჰყავდა მიჯრული და გაცხარებული უკოცნიდა გაბუტულ ტუჩებს, მაშინ მისი პროკურორი მამაც ფეხებზე ეკიდა და მისი მილიონებიც. თუმცა ასე დიდხანს არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაგრძელებულა... ზუსტად იმ საღამოს, როცა საშამ ოჯახს ახალი, ღირსშესანიშნავი ამბავი აუწყა, ნინუების ოჯახი მომავალ სიძესა და მის ნათესავებს მასპინძლობდა. რა თქმა უნდა, საშას ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა, ამიტომ, როცა მეორე დღეს თიკომ ჩვეულებისამებრ მიირბინა პაემანზე, ბიჭმა საზეიმოდ განუცხადა, მიყვარხარ, მეტის მოცდას აღარ ვაპირებ და დღესვე მზადა ვარ, მამაშენს შენი ხელი ვთხოვოო. თიკომ ისე ჩვეულებრივად მოისმინა საშას ნათქვამი, თითქოს წინა საღამოს ორმოცდაათკაციანი სუფრა მათ ოჯახში ჩაპას მიზეზით გაშლილიყოს... ასე იყო თუ ისე, დიდხანს თავს აღარ შეგაწყენთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ როცა სამი კვირის შემდეგ საგულდაგულოდ გამოპრანჭული საშა ვარდების უზარმაზარი თაიგულითა და ვარდისფერი ბაფთებით მორთული სუნამოს კოლოფით ხელში თიკოს დაბადების დღეზე გამოცხადდა, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: ნინუების ნებიერამ ამრეზილმა შეავლო კოლოფს თვალი, – ასეთ „დეშოვკას" მე ჩაპასაც არ ვაკადრებო, – მედიდურად განაცხადა ცხვირაბზეკილმა, ვარდების თაიგული შინამოსამსახურეს მიაჩეჩა – აქედან მომაცილეო, და საშასთვის ზედაც აღარ შეუხედავს. უხერხულად აწურული ბიჭი ერთხანს კიდევ იდგა ანტიკვარებით გაძეძგილი, უგემოვნოდ მორთული ოთახის კუთხეში, სადაც მხოლოდ მისი უდიდებულესობა ფული ბატონობდა და, გრძნობდა, როგორ „ხმაურობდა" სისხლი ძარღვებში. მოთმინების ფიალა კი საბოლოოდ თიკოს გადატყლარჭული დედიკოს გამოჩენამ აუვსო, როცა ქალმა მისკენ ცუდად დაფარული ზიზღით გაიშვირა ბეჭდებით დახუნძლული, მანიკურიანი კოტიტა თითი და წიკვინა ხმით შენიშნა, ბიჭო, მაგ ხალიჩაზე რომ დამდგარხარ, არ გაგვისვაროო. ამ სიტყვებმა საშკა თითქოს ღრმა ძილისგან გამოარკვია. მიხვდა, არც თიკო და არც მისი „კეკელა" ოჯახი ჩემი ფრჩხილის ფასად არ ღირანო, ქალბატონი ნინუას ჯიბრზე, ზედ შუა ხალიჩაზე გამოაბოტა და ოთახიდან გავარდა. გზად უზარმაზარ, ჩინურ ლარნაკს წამოედო და გადააყირავა.

– ველური! – მოესმა თიკოს კივილი საშას და ნინუების სამსართულიანი სახლის კარი სამუდამოდ გაიჯახუნა...

• • •

იმ ღამეს საშამ უცნაური სიზმარი ნახა: მზით განათებულ უზარმაზარ მწვანე მინდორზე იდგა დაბნეული, მიუსაფარი... ძალიან შორიდან მამის სუსტი ძახილი ჩაესმა: – საშა! საშა!... მიიხედა... ოქროსფერი შუქით დაფერილ ბილიკზე მაღალი, მოლიმარი მამაკაცი მოაბიჯებდა და ხელს უქნევდა. საშამ მაშინვე იცნო მამა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერაბს ტანთ თავისი განუყრელი, მუდამ ლაქებით აჭრელებული, საღებავების სუნით გაჯერებული ხალათი ეცვა და, ეტყობოდა, ზუსტად ისევე უხაროდა სიცოცხლე, როგორც იმ ავადსახსენებელ დღემდე... ბიჭი შიშმა აიტანა. უნებლიეთ უკან დაიხია და უცებ უზარმაზარი პირდაღებული ხრამის პირას აღმოჩნდა... იგრძნო, როგორ გამოეცალა ფეხქვეშ ნიადაგი... ქვემოთ ჩაიხედა... უსასრულობამდე დაეღო სიბნელეს ხახა... თვალი ვერ უწვდინა... „თუ ჩავვარდი, დავიღუპები!“ – გაუელვა. მიიხედ-მოიხედა, ხელის მოსაჭიდს ეძებდა შეწუხებული... არაფერი ჩანდა... მწვანე მინდორიც სადღაც გაქრა და საშინელი უკუნი ჩამოწვა. „მამა! მამა! – მთელი ხმით აყვირდა და განწირული ჰაერს მოეპოტინა. – მიშველე, მამა, მიშველე! დავიმტვრევი!..“ სიჩუმემ ყურები ატკინა... მიხვდა, მისი არსება ყვიროდა და ითხოვდა შველას... ყელიდან კი მხოლოდ სუსტი ხავილი ამოსდიოდა... „მორჩა, ყველაფერი დამთავრდა!“.. – გაიფიქრა სინანულით და გამოწვდილი ხელიც დაინახა. – „მოდი, მამა, მოეჭიდე, ნუ გეშინია!..“ – გარკვევით მოესმა მერაბის სიტყვები. „შორსაა, ველარ მივწვდები!..“ – გაიფიქრა სინანულით და თავბრუდამხვევი სისწრაფით დაინთქა წყვდიადში... თვალები დახუჭა... თავისდა გასაოცრად, უცნაური სიმსუბუქე იგრძნო, მერე ვიღაცის კისკისი მისწვდა მის სმენას, სიბნელეში გაკრთნენ მწვანე თვალები... საშა გამოერკვა... მიხვდა, ვარდნა დამთავრდა... მორჩა... იგი ისევ იმ მწვანე მინდორში ზის... თავს მერაბი წამოსდგომია და თმაზე ეფერება... „მამა! – გულში იხუტებს მის ძლიერ ხელს ბიჭი, – რა კარგია, მამა, როგორც იქნა, ისევ ერთად ვართ... წამიყვანე შენთან!..“

კაცის თვალებში უსაზღვრო ტკივილი მოჩანს... სევდიანად უქნევს თავს და წინ გადაშლილ მინდორზე უთითებს:

– ჯერ ადრეა, საშა, ძალიან ადრე... ჯერ ეს მინდორი უნდა გადაიარო... ნუ გეშინია, მე მაინც ყოველთვის შენთან ვიქნები, ჩემო გულადო ბიჭო...

– არ დამტოვო, მამა! – ევედრება საშა. მაგრამ კაცი მაინც შორდება... მისი სხეული ნელ-ნელა ლღვება და ზევით-ზევით მიიწევს...

– მამაა! – ყვირის საშა და...

– უჰ, სიზმარი ყოფილა, – ამოისუნთქა შვებით. – სახლში ვარ, ჩემს ლოგინში, ოფლში კი გავწუწულვარ, ეს ვინღა მანჯღრევს?.. ოჰ, ინა, ინა, შენ რა გითხარი...

– რახან შენ თვალი გაახილე... – გულზე დაიდო ხელი ინამ და საწოლთან მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

– რა მოხდა, რა სახე გაქვს? – გაუკვირდა საშას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კიდევაც რომ მეკითხება!.. კინაღამ გული გამიხეთქე, მთელი ხმით ბღაოდი და ისეთი ცივი იყავი... ისეთი... მკვდარივით... – ასლუკუნდა გოგონა. – კიდევ კარგი, ბებოს და გოგიჩას არ გაუგონიათ შენი ყვირილი... მაინც რა გეტაკა, არ მეტყვი?!

– მგონი, სიზმარი ვნახე, – დაფიქრდა საშა. – ჰო, სიზმარი იყო...

– ცუდი თუ კარგი?! – დაინტერესდა ინა, წამოდგა, საშკასთან უფრო ახლოს მიჩოჩდა, ძმის ფეხებთან მოიკეცა და სმენად იქცა. – ჰა, თქვი ახლა, ნუ მომკალი...

– არ ვიცი...

– როგორ თუ არ იცი?! ნორმალური ხარ, საერთოდ?..

– არ ვიცი-მეთქი, არ გესმის? უცნაური სიზმარი იყო, ვერაფერი გავუგე...

– მომიყევი და მე გეტყვი, სიზმარი შეიძლება ღვთიურიც იყოს და ეშმაკეულიც... – ბრძენი დედაბერივით განაცხადა ინამ და გულხელდაკრეფილი ძმას მიაჩერდა.

– თავი დამანებე, რა უნდა მოგიყვე? სიზმარი – ხიზმარია, გათავდა და მორჩა...

– ჰმ! გათავდა... ერთი შენი ბღავილი მოგესმინა, მერე ნახავდი!..

– წადი, რა, ინა, მომასვენე...

– „წადი, რა, ინა..." – გაიბუსხა გოგონა. – ახლა ალარ გჭირდები, არა? არ უნდა შემოვსულიყავი... ახია ჩემზე...

საშას გაეცინა.

– ჰო, კარგი, ნუ იბუტები. მოდი, გაკოცო... მალე ისედაც ველარ გნახავ... როგორ მომენატრები!.. – საშკა გოგონას მოეხვია და გულზე მაგრად მიიკრა. – გამიჭირდება უთქვენოდ... ძალიან გამიჭირდება...

– მერე, ნუ წახვალ! ვინ გაძალებს?!

– ეეეჰ, ინა, შენ ვერ გაიგებ...

– რასაკვირველია, ვერ გავიგებ... კაცები ყველანი ერთნაირები ხართ, ეგოისტები... – მოულოდნელად ინა საშკას ხელიდან გაუსხლტა და ოთახიდან გავარდა. საშკა განცვიფრდა.

„ამას რალა მოუვიდა, ნეტავ? ვინმე ხომ არ უყვარს? საკუთარი პრობლემებით ისე გავერთე, ვერც კი შევნიშნე, როგორ უცბად გაიზარდა... რა ცუდ დროს მივდივარ... ახლა უნდა ამას ყურადღება... გოგიჩას ვთხოვ, შიხედოს..."

საშკამ საბანი გვერდზე მიაგდო და ფეხშიშველი ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა... თავში ფიქრების და ემოციების ნამდვილი კორიანტელი ედგა, ორ ცეცხლშუა იყო ჩავარდნილი, ალარც აქ გაჩერება შეეძლო, არც თავისიანები ეთმობოდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„არა უშავს, ცოტა ხნით წავალ, ძალიან ცოტა ხნით, – იმშვიდებდა თავს. – რამე საქმეს მოვეკიდები, ცოტა ფულს მოვაგროვებ და ჩამოვალ... ბებიაჩემიც ცოდვაა, რა ქნას ამ ქალმა?! ან როდემდე უნდა ვისხდეთ მის კისერზე?.. ინასაც იმდენი რამ უნდა... განა ვერ ვხედავ, მისი ტოლი გოგონები როგორი ჩაცმულ-დახურულები დადიან, ეს კი, საწყალი, ხმას ვერ იღებს, უპრეტენზიოდ იცვამს ჩემს დაპატარავებულ ჯემპრებსა და გადაკეთებულ შარვლებს... ერთი ავაწყო და მერე მე ვიცი... არაფერს მოვაკლებ... თბილისში ინასნაირი ჩაცმული აღარავინ ივლის! თიკო ნინუაც კი... ჰმ, ისევ თიკო... ვერაფრით ამოვიგდე თავიდან... თუმცა, განა ასე ადვილია?! მაინც, რატომ დამამცირა ასე... ხომ შეეძლო, უბრალოდ ეთქვა, არ მიყვარხარო... მაგან და მისმა დედიკომ კი... ეჰ, ეტყობა, ფულიანი ხალხი ყველა ერთნაირია... ნეტავ, მე როგორი გავხდები, ერთბაშად რომ გავმდიდრდე?.."

საშკა შეეცადა, საკუთარი თავი ფულით ჯიბეებგაძეძგილი წარმოედგინა, მაგრამ ვერ შეძლო. გაეცინა. მერე ისევ წუხანდელი სიზმარი გაახსენდა და მამის სურათისაკენ გააპარა მზერა... მეხსიერება დაძაბა, სურდა, სიზმრის ყოველი წვრილმანი აღედგინა, მაგრამ ყურადღება ეფანტებოდა... უცებ მიხვდა, თიკოს პორტრეტები უშლიდა ხელს, გულმოსული საწოლზე შეხტა და ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო მათი კედლიდან ჩამოხსნა.

ოთახში გოგიჩამ შემოჰყო გაბურძგნილი თავი ძილისაგან დასიებული თვალების ფშვნეტით.

– რას აკეთებ, ტო?.. აღარ უნდა მოისვენო?.. – ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ და მადიანად გაიზმორა...

– ვაჰ, გოგიჩ, ამ დილაუთენია რამ აგაყენა? – გაუკვირდა საშას.

– შენ დააძინებ ვინმეს? ოღონდაც ამიხსენი, რა გაბღავლებდა...

– გაიგონე?

– ბნედიანივით ღრიალებდი და რას ვერ გავიგონებდი, ყრუ ხომ არა ვარ? საწყალი ინაც გვარიანად დააფეთე...

– ჰო, ინა... მართლაც, მაგრად იყო შეშინებული...

– აბა, რა?! მაგრამ შენ მარტო შენს თავზე ფიქრობ! დიდი ეგოისტი ვინმე ხარ, ნამდვილი ბაიყუში... მაგ ნახატებს რალას ერჩი?

– აბა, რად მინდა, აქ რომ მიკიდია?.. ჩამოვხსნი და ქალბატონს გავუგზავნი... – საშკამ პორტრეტები ერთად დაახვია.

გოგიჩა ჩვეულებისამებრ ჩაეხეთქა სავარძელში და მაშინვე წამოიყვირა:

– ხმა არ ამოიღო, უკვე ვზივარ... ზაბმარებიც დიდი ხანია ჩაწყვეტილია...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშას გაეცინა, საწოლზე ჩამოჯდა, ოთახს სინანულით მოავლო თვალი და ამოიოხრა...

– მოდი, რა, ძმურად, არ წახვიდე... სულ ასე ხომ არ ვიქნებით, აქაც შეიცვლება რამე... – თქვა გოგიჩამ.

– მაგალითად, რა?! – ჩაეცინა საშას.

– რა ვიცი, მაგის დედაც... ოდესმე ხომ უნდა დაგვადგეს საშველი!.. – შეიგინა გოგიჩამ და მხრები აიჩეჩა.

– მე მაგ „ოდესმეს" იმედით ველარ ვიქნები... ვერ ხედავ – ვობდები, უსაქმურობისაგან ხავსი მეკიდება...

– მერე, რას ზიხარ უსაქმოდ... ხატე...

– ვხატო? რა ვხატო?.. ხატვას ფუნჯი და საღებავები არ უნდა?.. ჯანდაბას, საღებავები თუ არა, ფანქარი და ფურცელი ხომ მაინც უნდა მქონდეს? მეც, ერთბაშად, პარლამენტის შენობა არ მომახატვინონ...

– იტყვი ხოლმე, რა... – დაიღრიჯა გოგიჩა. – მაგათ პარლამენტსაც „გავკარი," ეგვინიც თუ ხალხია...

– პარლამენტი ისე, მაგალითისთვის ვთქვი... გაიგე, აქ არაფერი მეჯღანება!.. უნდა წავიდე!..

– იქ ხომ, რას ამბობ, პირდაპირ აეროპორტში დაგხვდება ლიმუზინი – არიქა, ბატონი საშა ჩამოსულა, სახელგანთქმული ფერმწერი და უნიჭიერესი პორტრეტისტიო!.. – გოგიჩამ „პორტრეტისტს" შეგნებულად გაუსვა ხაზი, კიდევ ერთხელ უკბინა მეგობრის „მწვანეთვალება მუზას".

საშკა მშვენივრად მიხვდა, საითაც უმიზნებდა გოგიჩა, მაგრამ ალარ გამოეკიდა, რადგან გრძნობდა, მის სიტყვებში სიმართლის მარცვალიც ერია. გოგიჩამ მეგობრის დუმილი თანხმობად ჩათვალა, გული მოეცა და განაგრძო.

– არ გინდა, საშკა, არ წახვიდე.. აქ კიდევ ჩვენ გყავართ – მე, ბებიაშენი, ინა, ბიჭები... იქ როგორ უნდა იყო მარტო, რომ გაგიჭირდეს, პატრონი არ გინდა?..

– რა უნდა გამიჭირდეს? – გაეცინა საშას და მეგობრის მზრუნველობამ გული აუჩუყა.

– რა ვიცი... – ხელები გაშალა გოგიჩამ. – ეშმაკს არ სძინავს... ვინც რუსეთში წავიდა, ზოგმა ქურდობა დაიწყო, ზოგმა წამალი შეუშვა ვენებში... გაბარიგდნენ და გამამაძაღლდნენ... აბა, რა, ძმაო... მაშ, ამდენი ფული – საიდან?.. წითელ მოედანზე დოლარებმსხმოიარე ნაძვი დგას თუ რა?!

– ნარკომანობა და ქურდობა რომ მინდოდეს, როგორ გგონია, აქ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერ მოვახერხებდი? თუ თბილისში წამალი არ იშოვება ან „კაიფს" ვერ „დავიჭერ?.."

– ეეე, იქ მაინც სხვაა, ბიჭო! სხვანაირი ჰაერი უბერავს. მერე, ძმაო, თუ ერთხელ წაგიცდა ხელი... ისე, ქართველები მაგარი მაიმუნი ხალხი ვართ... ჩვენნაირი „პაკაზუხა" და წამბაძველი ერი მეორე არაა დედამიწის ზურგზე. ამიტომ გვჭირს ამდენი უბედურება!..

– შენ რა მაგარი ვინმე ყოფილხარ, გოგიჩ... რა „წვეტიანი" აზრები გაწუხებს, აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე? – გულწრფელდ გაუკვირდა საშას მუდამ არასერიოზული მეგობრის „ღრმად ფილოსოფიური" აზროვნება.

– აბა, აქამდე სულელი გეგონე? რატომ, რადგან ზოგიერთივით გაცვეთილ ფრაზებს არ ვისვრი, ცხვირწინ თითს არავის ვუტრიალებ, ქართველობაზე და მაგარ ბიჭობაზე თავს რომ არ ვდებ, იმიტომ?! – ეწყინა გოგიჩას.

– არა, რას ამბობ, ეგ არც მიფიქრია!.. – შეწუხდა საშა. – უბრალოდ, აქამდე მსგავსი არაფერი გითქვამს.

გოგიჩამ მხრები აიჩეჩა:

– ჰოო, რა ვიცი, აბა?! არ მინდა შენი გაშვება, მეცოდები...

– რა მჭირს შესაცოდებელი? – გაეცინა საშკას.

– ძნელია, ბიჭო, იმხელა ქალაქში ახლობლის გარეშე ცხოვრება... ხმის გამცემი მაინც არ გინდა?!

– ნუ გეშინია, ხმის გამცემს ვიშოვი როგორმე... მაგრამ... – საშა დაფიქრდა და მეგობარს უცნაურად გადახედა.

– რა იყო? რანაირად მიყურებ?! – დაეჭვდა გოგიჩა.

– გოგიჩა, ინას მიმიხედე, რა! დღეს შევამჩნიე, როგორ გაზრდილა ეგ მაიმუნი, ეგა... ვინმე ოხერი არ გადაეკიდოს... – საშას „ბურთი" გაეჩხირა ყელში და გაჩუმდა. უკვე „გადაკიდებული ოხერი" კი ქუჩრდობაზე წასწრებულ ბაცაცასავით გაინაბა და ჭარხალივით გაწითლდა, თავი დაღუნა, საბნის კუთხეს დაუწყო წვალება...

– რად გინდა ლაპარაკი?! – ამოღერღა ენის ბორძიკით. – თვალის ჩინივით გავუფრთხილდები. ოღონდ... საშა...

გოგიჩა შეყოყმანდა: ეთქვა თუ არა?! სწორედ ახლა, აეს, დილაუთენია, მეგობრის საწოლზე წამოსკუპებულს, ელიარებინა თუ არა, რომ ინა უყვარდა?.. შეიძლება, უკეთესი დრო ველარც კი ეპოვნა აღსარებისათვის: საშკა მიდიოდა და, ვინ იცის, როდის შეხვდებოდნენ ასე პირისპირ სასაუბროდ... ტელეფონით თუღა დაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს... მაშინ ხომ ვერ ეტყოდა – შენ რომ შენი და ჩამაბარე, მიყვარს და წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?!. არადა, ახლაც რომ ვერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აბამდა სათქმელს თავს?..

– საშა... – ალუღლუღდა ისევ, მაგრამ საშკა აღარ უსმენდა, თავის „შედევრებს“ დასცქეროდა სინანულით... როგორი აღმაფრენით ხატავდა იმ უმადურის პორტრეტებს... თუმცა...

– ეს ნახატებიც მიუტანე, რა, იმას! ოღონდ ახლა არა, როცა წავალ, მერე...

– მეტი საქმე არა მაქვს! – გაგულისდა გოგიჩა და უცებ გადაწყვიტა, „აღსარება“ შემდგომისათვის გადაედო. „გაცილებისას ვეტყვი“, – დაიმშვიდა თავი და მაშინვე დაუბრუნდა „მჭევრმეტყველების“ უნარი.

– გეხვეწები, შემპირდი, რომ მიუტან... თორემ დავხევ! – საშკა ნახატებს წაეპოტინა...

– მომეცი აქ... – ეცა ხელებში გოგიჩა. – არაფერსაც არ დახევ! ეს პორტრეტები ჩემთან იქნება, თიკო ნინუა ასეთი საჩუქრის ღირსი არ არის!

– ბიჭებო, მაინც ყველაფერი მესმის და შემოვალ, რა? – ოთახში თავი შემოჰყო ინამ და ძმას მუდარით მიაჩერდა.

– კართან დგომა ვერ მოგაშლევინე და რა გიყო? – ხელი ჩაიქნია საშკამ. – შემოდი, შემოდი... თუმცა ჩვენც გამოსვლას ვაპირებდით, მომშივდა.

– ბებო მაწვნიან ბლინებს აცხობს – შენ რომ გიყვარს. ჩაიც დავდგი.

– ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ! – შეაქო გოგიჩამ. ინა საშკას ზურგს ამოეფარა და ბიჭს ენა გამოუყო. იმანაც, მუქარის ნიშნად, ჩუმად მუშტი დაანახვა... ინას გაეცინა და ძმას მხარზე მიეკრა...

* * *

„დიადი საბჭოეთის“ ყოფილი დედაქალაქი საშას ცივი წვიმით შეხვდა... თბილისური თბილი, მზიანი შემოდგომის შემდეგ ცოტა ძნელი ასატანი იყო მოსკოვური უამინდობა... ჰაერში უკვე ზამთრის სუნი ტრიალებდა... ბებოს მიცემული ფულით ბიჭმა პატარა ოთახი იქირავა და მეორე დღესვე შეუდგა სამუშაოს ძებნას... ერთკვირიანი უშედეგო ხეტიალის შემდეგ მიხვდა – გოგიჩა მართალი იყო, როცა ეუბნებოდა, იქ არავის სჭირდები და არც არავინ გელოდებაო. განა თვითონ არ იცოდა ეს?! მაგრამ რაღაცის იმედი ჰქონდა. ფიქრობდა – თუ არ დავხატავ, მუშად მაინც ვიმუშავებო... მოტყუვდა... მოსკოვში მუშახელის ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობოდა, თანაც – იაფი მუშახელის. ორი ბოთლი ფალსიფიცირებული, უხეირო არყით რაზმს იქირავებდი მთელი დღით. რაც შეეხება ხატვას, აქაც – კონკურე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნცია... ქუჩები, მეტროს შესასვლელები თუ მიწისქვეშა გადასასვლელები სავსე იყო წვერმოშვებული მჯღაბნელებით. არა, ცუდად ნუკი გამიგებთ... მათ შორის ბევრი ნიჭიერი შემოქმედიც ერია, საშკასავით ლუკმა-პურის საშოვნელად ქუჩაში გამოსული, თუმცა ჩვენი გმირის მდგომარეობას ეს უკეთესობისკენ ოდნავადაც არ ცვლიდა. ერთიორჯერ დიასახლისს მიეხმარა ბაზრობიდან საქონლის მოზიდვაში... ქალს პატარა სავაჭრო ფარდული ჰქონდა – იქვე, სახლთან. საშკა ძალიან მოსწონდა – „საშოკს" ეძახდა, ქართველს არ ჰგავხარო, ეუბნებოდა და აშკარად ეპრანჭებოდა. ბიჭი კი გულს ასკდებოდა: ნუთუ იმისთვის ჩამოვიდა ამხელა გზაზე, იმისთვის მოსწყდა თავისიანებს, რომ ორმოცდაათი წლის ქალთან ეკურკურა? ამის წარმოდგენაზე გული ერეოდა. ახლადგამომცხვარ ჯულრეტას ჭირიანივით ერიდებოდა, ჯიბრით „Тётя Лида"-ს ეძახდა და აცოფებდა...

* * *

მთელი დღის უშედეგო წანწალით დაქანცულმა და გულგატეხილმა საშკამ საწოლამდე ძლივს მიათრია ფეხები და ლოგინზე ტანსაცმლიანად მიეგდო. სამზარეულოდან ლიდას ღიღინი ისმოდა, მერე კი მისმა მძიმე ნაბიჯებმა ჯერ ბინა შეაზანზარა, დერეფანს გამოჰყვა და საშკას ოთახის კართან დადუმდა. ბიჭი უკმაყოფილოდ დაიღრიჯა; „ახლა თავს შემოყოფს და ვითომ გაოცებული იკითხავს: „საშოკ, ტი დომა?! ნუ კაკ, ნაშოლ ჩტო-ნიბუდ?! ახ, ნეტ, და?! დურაჩოკ, ტი, საშულიკ... ა, ვედ მოგ კაკ კოროლ ჟიტ..."

„ჰმ, იდიოტი! თავი ალბათ დედოფალი ჰგონია", – მწარედ გაეცინა საშას... კარმა ფრთხილად გაიჭრიალა და ლიდას იაფფასიანი სუნამოს მწარე სუნი ბიჭს ცხვირში „ეტაკა". „ფუჰ, ნეტავი რას ისხამს ეს უპატრონო", – ჩაიბურტყუნა თავისთვის და გვერდი იცვალა.

– Сашок, спишь? – კატასავით შემპარავად აკრუტუნდა ქალი და შეეცადა, ბიჭისთვის სახეზე დაეხედა.

– მმ... მმ... მმ... – თვალის გაუხელელად დაიზმუვლა საშამ...

– Извини, дорогой... но к тебе пришли...

რაო? ხომ არ მოესმა? „კ ტებე პრიშლიო?!.." საშკა დამდუღრულივით წამოვარდა და განცვიფრებული მიაჩერდა არანაკლებ გაკვირვებულ და დაბნეულ ლიდას.

– Кто, кто... ко мне пришел?! – იკითხა ხმის კანკალით და პასუხის მოლოდინში მღელვარებისაგან სული შეუგუბდა...

– საშას გაუმარჯოს! გეგონა, ვერ მოგაგნებდი?!. – მოესმა ვილაცის რბილი, ბუბუნა ხმა...

ზღურბლზე ლევან ნინუა იდგა და ულიმოდა... მერე ორი, გრძელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაბიჯით გადმოჭრა პაწაწკინტელა ოთახი და საშკას გადაეხვია... სარგადაყლაპულივით გაშეშებულ, პირდაღებულ ლიდას კი ანიშნა, დაგვტოვეო... ქალი უსიტყვოდ დაემორჩილა დაუპატიჟებელი სტუმრის ბრძანებას და ოთახიდან გაიძურწა. ლევანმა გოლიათის მხრები ძლივს „ჩააკვეხა" ვიწრო სავარძელში, გრძელი ფეხები თითქმის ფანჯრამდე გაჭიმა და საშკას მოგონილი მუქარით დაუქნია თითი.

– არ გრცხვენია, ბიჭო?! ორი კვირაა, აქა ხარ და არც კი დაგირეკავს.

საშა უხერხულად შეიშმუშნა.

– რა ვიცი, აბა! როგორ მომაგენი?!.

– დათომ და გოგიჩამ დამირეკეს თბილისიდან... საზიზღარი ვინმე ხარ, გამოუსწორებელი...

„ოხ, გოგიჩ, გოგიჩ", – გაიფიქრა საშამ და ლევანს დამნაშავესავით გაულიმა.

– ახლავე ადექი, მოხვეტე შენი ბარგი-ბარხანა და გამომყევი, ჩემთან იცხოვრებ! – გადაჭრით განუცხადა სტუმარმა.

– არა, არა, რას ამბობ!.. შეუძლებელია!.. დიდი მადლობა, ლევან, მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ"!.. ნუ გგონია, ამ სოროში დაგტოვო... მარტო ვცხოვრობ, ასეც რომ არ იყოს... მოკლედ, დროს ნულარ ვკარგავთ, მივდივართ... – ლევანი საშკას პასუხს აღარ დალოდებია, საწოლსქვემოდან სპორტული ჩანთა გამოათრია, ხელის ერთი მოსმით ჩატენა სკამზე დახვავებული ტანსაცმელი... მაგიდაზე გაშლილი სახატავი ფურცლები, ფანქრები, საღებავები მოხვეტა, ისინიც შიგ ჩაყარა, ჩანთა შეკრა და გაუნძრევლად მჯდარ საშკას უკმაყოფილოდ შეუძახა: რას უცდი, აღარ მოდიხარ?

საშამ უარის ნიშნად ხელები გაასავსავა.

– არ შემიძლია, ლევან... შენ ყველაფერი არ იცი... მე.... მე... – უნდოდა ეთქვა, შენი დის გულისთვის გადმოვიხვეწე ამ სიშორესო, მაგრამ ლევანმა აღარ აცალა...

– ყველაფერი მშვენივრად ვიცი! იმაზე მეტიც კი, ვიდრე გგონია. ამაზე საუბრის დრო კიდევ გვექნება... ახლა ჩაიცვი, მე კი შენს „მომხიბვლელ" დიასახლისს გავუსწორდები...

– არ გინდა... მთელი თვის ქირა წინასწარ მაქვს გადახდილი...

საშკა წამოდგა. ქურთუკს დასწვდა და ჩაიცვა, ლევანს გაუხარდა, ბიჭს თვალი ჩაუკრა, ჩანთას დასწვდა, მხარზე მოიგდო და კარისკენ გაემართა.

– ჩავედი აბა!... მანქანასთან დაგელოდები, – იქვე ატუზულ ლი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დას ხაზგასმული ფამილარობით დაუკრა თავი და საფეხურები ჩაირბინა.

– Сашок, ты что, уходишь? – შეიცხადა ლიდამ აბარგული მდგმურის დანახვაზე და სახე მოეღრუბლა.

– Да, тётя Лида... ухожу... – გაეცინა საშას.

- Тётя, тётя, что ты наладил, как попугай... ах, мы с тобой-то... ну ладно... телефончик хоть оставь...

- Извини, Лидочка, некогда мне... как-нибудь в другой раз... встретимся ещё... спасибо за все...

ბიჭი გულდაწყვეტილ ქალს მოეხვია, ლოყაზე მაგრად აკოცა და კიბეზე დაეშვა...

დალამებულიყო. ცაზე კანტიკუნტად მოჩანდნენ ვარსკვლავები. „თბილისში ცაც კი სხვანაირია... ნეტავ, რა მოსწონთ ამ ქალაქის?" – სევდიანად გაიფიქრა საშამ და ქურთუკი შეიკრა. სადარბაზოსთან კრემისფერი, ოდნავ გვერდებშელახული „07" იდგა. მანქანის ღია სარკმლიდან ლევანს გადმოეყო თავი და ხელს უქნევდა. მოულოდნელად საშკამ იგრძნო, როგორ აივსო სიხარულით, ცას ერთხელ კიდევ ახედა, მანქანის კარი გამოაღო, ჩაჯდა და შვებით ამოისუნთქა.

– წავედით? – ჰკითხა ლევანმა და გასაღები გადაატრიალა.

– წავედით! – თავი დაუქნია საშამ, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

* * *

ლევანის ბინას დიდი ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ მყუდრო იყო და მოხერხებული. თეთრად შეღებილ კედლებს რამდენიმე ფერწერული ტილო ამშვენებდა – ალბათ, თავად მასპინძლის ნამუშევარი. საშკას ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლისას მოსწონდა ლევანის სტილი. პედაგოგებიც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ამიტომ ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ლევანმა აკადემიაც მიატოვა, ხატვაც, ოჯახიც, თბილისიც და რუსეთში გადაიხვეწა.

ლევანმა ჩანთა საძინებელში გაიტანა. ოთახში დაბრუნდა და კართან უხერხულად ატუზული საშკას დანახვაზე გაეცინა.

– როდემდე აპირებ ასე დგომას? გაიხადე ქურთუკი და მომეცი. მერე კი ბინას დაგათვალიერებინებ.

საშკამ ქურთუკი გაიძრო, ლევანს მიაწოდა და, სანამ მასპინძელი შემოსასვლელში ფათურობდა, სურათებთან ახლოს მივიდა. ერთზე უცნაური, ჯოჯოხეთური როკვა იყო გამოსახული, ნახევრად შიშველ გოგონებს სხეულის ფორმები მკვეთრად ემჩნეოდათ, სახეები კი ოდნავ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადღაბნოდათ. მთლიანობაში ნახატი კიდევ რაღაცას გამოსახავდა, ოღონდ რას, საშკა თავიდან ვერ მიხვდა, მერე ოდნავ უკან დაიხია, კარგად დააკვირდა და შეძრწუნდა: ტილოდან სატანა მოსჩერებოდა – ბედნიერი, მოღიმარი, მოზეიმე სატანა...

ლევანმა ბუტერბროდებიანი ლანგარი პატარა მაგიდაზე დადგა, ბარიდან მომცრო მუცელგაბერილი ჭიქები და კონიაკის ბოთლი გამოიღო და საშასთან შეჩერდა.

– მოგწონს?

– ძალიან!.. – თავი დაუქნია საშამ.

ლევანმა ჭიქაში კონიაკი დაასხა, მიაწოდა, თავისთვისაც დაისხა, ბოთლი იატაკზე დადგა და საშას გაუღიმა:

– აბა, გაგვიმარჯოს! – სასმელი სულმოუთქმელად გადაჰკრა და ისევ ბოთლს წაეტანა.

– გაგვიმარჯოს! – თქვა საშამაც, ჭიქა პირთან მიიტანა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ სვენებ-სვენებით დალია.

– ეეე, ძმაო, ეგრე არაფერი გამოვა, გადაჩვეულხარ სმას! მოდი, დაჯექი. ერთადერთი, რაც ამ ყინულით სავსე ქვეყანაში ვისწაელე, სმა და ბუტერბროდების კეთებაა... მოდი, მოდი, ნუ იპრანჭები. ისე, თუ გშია, კვერცხსაც შეგიწვავ.

საშამ თავი გააქნია. ტყავის რბილ სავარძელში ჩაჯდა და ლორიან ბუტერბროდს დასწვდა.

– წარმომიდგენია, რა გუნებაზე იქნებოდი, როცა იმას ხატავდი! – ანიშნა სურათზე.

– „ღიმილზე" ამბობ? – გაეცინა ლევანს. – ჰოო, ზოგჯერ ვდგავარ ხოლმე სიგიჟის ზღვართან... ისე, ჩემო საშა, ეგაა ჩვენი ცხოვრება – ყველაფერს ვიღაცის ჯიბრით, ვიღაცის დასანახად ვაკეთებთ, ის „ვიღაც" კი მხოლოდ დაგვცინის... აღარაფერი შეგვრჩა საკუთარი, გარდა ცოდვის ჭაობში ჩაფლული სხეულებისა. ღიმილიო... განა შეიძლება იყოს რამე, ყალბ, ხელოვნურ ღიმილზე საშინელი, როცა ხედავ, როგორ ამოფარებია უკან ცუდად შენიღბული სიძულვილი?!.. არასოდეს გიფიქრია, რომ ტირილი გაცილებით ლამაზია, იმიტომ, რომ გულწრფელია?

– რატომ? ტირილიც შეიძლება იყოს ყალბი, – არ დაეთანხმა საშა.

– მართალი ხარ, მაგრამ ხელოვნური მწუხარება, ყალბი ცრემლი ადვილად იშიფრება, ღიმილი კი... ნუთუ არასოდეს მოხიბლულხარ ადამიანით მხოლოდ და მხოლოდ მისი მომაჯადოებელი ღიმილის გამო? რამდენ ხანს გაუვლია, სანამ ღვარძლი, გულცივობა და ირონია აღმოგიჩენია მის მიღმა?.. ეჰ, ყოველ ნაბიჯში დაგვცინის სა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტანა, ჩვენ კი ვერ ვხვდებით... ნებსით თუ უნებლიეთ მის მსახურებად ვიქცევით... – ლევანმა ხელი ჩაიქნია და ჭიქები შეავსო. – როგორ გგონია, რატომ გადმოვიხვეწე ამ სიშორეზე?.. მომწყინდა, გესმის? ჩემ ირგვლივ არსებული დამყაყებული სიცრუის ჭაობი ველარ ავიტანე! მიეხვდი, თუ არ გამოვასწრებდი, მეც ყელამდე ჩავიძირებოდი იმ წუმპეში... იცი, საშა, პირველად მამაჩემის ღიმილში დავინახე სატანის ზეიმი და შემეშინდა... იმ ჭერქვეშ დარჩენის შემეშინდა, სადაც ის ათევდა ღამეს... იმ დღეს გავიქეცი სახლიდან. ერთ კვირას დათოსთან ვცხოვრობდი, მერე მოვხვეტე ჩემი „ძონძები" და წამოვედი. ჩვენებმა დღესაც არ იციან ნამდვილი მიზეზი. ერთი წლის განმავლობაში სამჯერ ჩამომაკითხა მამაჩემმა, ორჯერ დეიდაჩემი გამომიგზავნა... საიდან ალარ მომიარეს – არაფერი გამოუვიდათ. ახლა მომეშვნენ... ის კი არა, ბატონი ალექსანდრე „საქმეებზე" როცა ჩამოდის მოსკოვში, მაშინაც ალარ მკითხულობს, ეტყობა, საბოლოოდ ჩაიქნია ხელი...

– დედაშენი? – ჰკითხა საშამ და მაშინვე თვალწინ წარმოუდგა ბრილიანტებით დახუნძლული ტუტუცი დედაკაცი, მისი გაფშეკილი თითი, და მკივანა ხმაც ჩაესმა თითქოს.

– ჰმ, დედაჩემი... დედაჩემს თიკოს მეტი არავინ ახსოვს, მაგაზელა ამყარებს იმედებს. მე ამაგი წყალში გადავუყარე და იქნებ სიძე მაინც შეხვდეთ ისეთი, როგორიც ნინუების პრეტენზიულ ოჯახს ეკადრება! ეეეჰ, შენ კიდევ არ იცნობ მაგათ, რა ხალხია... ის ბავშვიც მაგათ გადააგვარეს, გადარიეს. თიკოზე გეუბნები. იცი, როგორი საყვარელი იყო? სუფთა, ანკარა... ახლა?! მის გვერდით შიმშილით რომ კვდებოდეს ვინმე, დაობებულ პურს არ გაიმეტებს, წავა და ნაგავში გადაუძახებს...

– ლევან... – დაიწყო საშამ.

– მოიცა, ნუ მაჩერებ, ყოველთვის კი არა ვარ ალსარების გუნებაზე! თანაც, ვიცი, რა უნდა მითხრა. ბიჭებმა მიამბეს... – ლევანმა ღრმად ჩაისუნთქა და ჭიქა სულმოუთქმელად გადაიმხო პირში... – ნია გახსოვს? – ჰკითხა მოულოდნელად.

– ნია? – უცებ ვერ მიხვდა საშა.

– ნია – ჩვენთან, ქანდაკებაზე რომ სწავლობდა... – ლევანი სავარძელში გადაწვა და თვალი ჭერზე მოციმციმე უცნაური ფორმის, ავანგარდული სტილის ჭაღს გაუშტერა...

საშას მაშინვე გაახსენდა მაღალი, ავადმყოფურად გამხდარი, მთლად სიფრიფანა, პაეროვანი გოგონა, რომლის დიდრონი, კაკლის მურაბასავით შავი თვალებიდან ყოველთვის ამოუხსნელი სევდა ილვრებოდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლამაზიაო, ნიაზე ვერ იტყოდით, მაგრამ რაღაცნაირი ხიბლი ჰქონდა, შეხედავდი და გული შეგეკუმშებოდა... საშას სულ უკვირდა, ასეთი ნაზი, თხელი თითებით საჭრეთელს როგორ ხმარობსო, ფუნჯიც კი მძიმე იქნებოდა მისთვის... წყნარი გოგო იყო, მორიდებული... აჩრდილივით დადიოდა აკადემიის დერეფნებში... მერე კი სადღაც გაუჩინარდა. ათასგვარ ჭორს ჰყვებოდნენ ნიაზე გოგონები – ლექტორი უყვარდა, იმან კი შეაცდინა და მიატოვაო... არა, ლექტორმა კი არა, ვიღაც „ბიძასთან" ერთად საზღვარგარეთ „დაგაზაო"... არა, ბატონო, რაღაც მოურჩენელი სენი სჭირს და სახლშია გამოკეტილიო... საშა ისე ახლოს არ იცნობდა ინას, რომ მისი ბედ-იღბლით დაინტერესებულიყო. ისევ ცნობისმოყვარე, ლაქლაქა გოგიჩა თუ მოურბენინებდა „ცხელ" ინფორმაციას, თორემ სად ეცალა საშკას ნიასთვის?..

– გახსოვს? – გაუმეორა ლევანმა.

– კი, როგორ არა, – გამოერკვა საშა ფიქრებისაგან. – უცნაური გოგო იყო, არა?

ლევანმა ამოიოხრა. საშამ ყურადღებით შეათვალიერა ბიჭი და მოულოდნელად გონება გაუნათდა.

– გიყვარდა? – თქვა შემცბარმა.

– მერე როგორ... როცა ვუყურებდი, სიცოცხლე მიხაროდა... საშა, ვიცი, შენ გამიგებ... იმიტომ, რომ რაღაცით ვგავართ ერთმანეთს... ნია მოვლენა იყო, ღვთის საჩუქარი, უზარმაზარი ბედნიერება... ისე ძალიან მიყვარდა, რომ ვერასოდეს დავხატე, ვერ შევძელი, გესმის? დამცინოდა ხოლმე, როცა მხედავდა, როგორ ვეჯახირობდი... –ლევანი წამოხტა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა... საშა ენაჩავარდნილივით მისჩერებოდა მის მთრთოლავ ფართო ბეჭებს. – რა ბედნიერი ვიყავი, სანამ ნია მყავდა... ძომეყუჟებოდა ხოლმე მხართან შეკიებული, გაწუწული ბარტყივით და ათასგვარ სისულელეს მეჩურჩულებოდა. ერთი ლექსი ჰქონდა აკვიატებული, სულ იმას ბუტბუტებდა:

„მინდა ვიყოთ ერთად
სოფელში და წვიმდეს...
შენ კი ჩემი დიდი
სიყვარული გჭირდეს..." – ჰოდა, მეც დამაავადა ამ დიდი სიყვარულით. ოღონდ სოფელში ვერ წავიყვანე, ნატვრა ვერ ავუსრულე, ნეტავი მომესწრო. – ლევანი დადუმდა და საშკას შეხედა. მერე განაგრძო, – რატომ ხდება, რომ ადამიანი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, საკუთარი ხელით ინგრევს ბედნიერებას?! თუმცა უბედურება სწორედ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისაა, რომ ვერ ხვდები, როდისა ხარ ბედნიერი... მაგრამ მე ხომ ვიცოდი, ვიცოდი და მაინც ვერ გავუფრთხილდი!.. რამდენ ქალთან ვყოფილვარ... აქ ხომ, ხელის დაქნევაც არ დაგჭირდება, ისე ჩაგიგორდება ლოგინში ხუთი ერთად... რამდენთან ვწოლილვარ... მაგრამ ნია სხვა იყო, თითქოს სხვა სამყაროდან მოვლენილი. არასოდეს დამავიწყდება, პირველად რომ გაიხადა ჩემთან... სამ საათს მაწვალა... – ლევანს უნებლიეთ გაეცინა. – მე ვხდიდი, ის იცვამდა... ბოლოს გავცოფდი, ტანსაცმელი აივანზე გავიტანე და იქ დავუმალე... დილით ძლივს ვიპოვეთ... მერე კი... დიდხანს იტირა... იცი, როგორი ლამაზი იყო? იმიტომ გითხარი – ცრემლი ღიმილზე გაცილებით ლამაზიამეთქი, იმიტომ, რომ გულწრფელია. ჩვენი სიყვარულიც გულწრფელი იყო... სანამ...

ლევანმა ხელი ჩაიქნია, ბოთლს წაეტანა, დაასხა.

– მოდი, დავლიოთ... არავისთვის მითქვამს, რასაც ახლა გიყვები. იქნებ არც უნდა ვაკეთებდე ამას, მაგრამ აღარ შემიძლია... დავიხრჩობი... თუ გინდა, ნურც მომისმენ, ოღონდ ჩუმად იჯექი და ხელი არ შემიშალო... თორემ რომ არ დავიცალო, ნამდვილად შევიშლები...

ლევანმა შუბლი მოისრისა, სავარძელში ჩაეშვა და თვალი „ღიმილს" გაუშტერა.

იმ დღეს მამაჩემმა სახელოსნო მიყიდა... ზარ-ზეიმით ჩამაბარა გასაღები, სიხარულით მეცხრე ცაზე დავფრინავდი. მაშინვე ნიასთან გავიქეცი, კისრისტეხით გავრბოდი. შეშინებული დამხვდა, შემკრთალი. თავიდან არაფერს მეუბნებოდა. აღარ მოვეშვი... დედაჩემი ყოფილიყო მასთან. თურმე ქვეყანა დაახვია თავზე წივილ-კივილით: „შენნაირი გველის წიწილი ჩემს სავსე ოჯახში შემოძრომას ვერ ეღირსებაო! – უყვიროდა თურმე. – განა არ ვიცი, რისთვის ჩაუწექი ჩემს შვილს ლოგინში, არც ისეთი სულელი ვარ, დავიჯერო, თითქოს გიყვარდესო, ერთი კვირის ვადა მოგიცია აქედან ასაორთქებლად, თუ არა და, მერე შენს თავს დააბრალეო"... ძლივს დავამშვიდე საწყალი გოგო. სახლში მივვარდი და საშინელი სკანდალი მოვაწყვე: იმ საღამოს დედაჩემისგან შევიტყვე – ნია, თურმე, ფეხმძიმედ იყო, ჩხუბში წამომაძახა გაავებულმა, ვერ მოესწრები, ის კახპა თავისი ნაბიჭვრით სახლში მომითრიეთ... ახლაც არ ვიცი, საიდან შეიტყო ან ნიას ორსულობის ამბავი, ან ის, მის ცოლად მოყვანას რომ ვაპირებდი... ერთი სიტყვით, ორი დღის შემდეგ ნიას ველარსად მივაკვლიე... მამამისმა ოდნავ გამოალიო კარი, ძლივს მაღირსა – „გირჩევ, ნია საერთოდ დაივიწყოო..." ეს იყო და ეს... მხოლოდ ახლა, ამდენი ხნის შემდეგ მივხვდი, თიკო რომ პყავდათ ინფორმატორად!.. მე, სულელი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაფერს ვუყვებოდი, ნიაც გავაცანი... ეტყობა, იმასაც „შეუძვრა" ხელასავით.... ეეჰ... – ხელი ჩაიქნია ლევანმა. – ჩემი ბრალია ყველაფერი... ნაცარტუტად უნდა მექცია დედაჩემის რუდუნებით შექმნილი „იდილია"... კარგად უნდა მიმემტვრია ყველაფერი... ფუჰ, გული მერევა, როცა ვიხსენებ, სად ვცხოვრობდი...

– იმიტომ წამოხვედი? – საშკა სევდიანად შესცქეროდა დაჭრილი ეიფხვიცით გამძვინვარებულ მეგობარს და გულწრფელად თანაუგრძნობდა.

– არა, მაშინვე არა... კიდევ ვერ მივხვდი, გესმის? მაინც ნიას ვამტყუნებდი, გულს ვასკდებოდი – როგორ მიმატოვა-მეთქი... ძებნა დავუწყე... ისევ მივედი მამამისთან, ვემუდარე, ნიას ადგილსამყოფელი გაეგზილა... ვერ გავტეხე. თუმცა ის კი ვათქმევინე, მამაჩემმა როგორ „მოგიგვარა" პრობლემა: ნიას ძმისთვის „წამალი" ჩაადებინა, განყოფილებაში ცემით კინალამ მოაკვლევინა... მერე ნიას „ნარკომანი" ძმა ჩემს თავში „გაუცვალა"... აი, ასე, ჩემო კარგო... ახლა ხომ ხვდები, როგორი ოჯახის ქალიშვილი შეიყვარე?.. სულერთია, არაფერი გამოგივიდოდა... ეგ თიკო თავისი მშობლების შვილია, მათსავით უსულგულო მუმია, ეგოისტი და თავნება. დამიჯერე – ვერასოდეს გაგიგებდა, მთელი ცხოვრება დაიტანჯებოდი... ამიტომ, ჩათვალე, რომ გაგიმართლა...

ლევანმა ხელში შერჩენილი ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა და, თითქოს ღრმა ძილისგან გამოერკვაო, შუბლზე მოისვა ხელი.

– უჰ, რამდენი ვილაპარაკე... – შეხედა საშას და დამნაშავესავით გაულიმა.

– ნია აღარ გიძებნია? – თვალებში შეხედა ლევანს საშამ და მაგიდის კრიალა ზედაპირზე დაფენილ მტვერზე თითით უაზრო ფიგურების გამოყვანას მოჰყვა.

– რა აზრი ჰქონდა? კიდევ ერთ იმედგაცრუებას ნამდვილად ვერ გადავიტანდი...

– რას გულისხმობ?

– ბავშვს...

– რომელ ბავშვს? – ვერ მიხვდა საშა.

– ჩემს შვილს... ხომ შეიძლებოდა, ნიას მუცელი მოეშალა? დარწმუნებული ვარ, ასეც მოიქცეოდა... ამას კი ვერ ავიტანდი... ახლაც არ ვიცი, რას მოვიმოქმედებდი...

– კი, მაგრამ, აბა, რა უნდა ექნა საცოდავ გოგოს? თუმცა, გეფიცები, მესმის შენი... ჩემს შვილს რომ... მოკლედ, ალბათ, არც მე ვაპატიებდი...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლევანმა თავი გააქნია.

– არა, შენ ვერ გამიგე... არ ვაპატიებდი-მეთქი, რომ ვამბობ, ნიას არ ვგულისხმობ...

– აბა, ვის?

– მამაჩემს!.. – ლევანმა ამოიოხრა. – რისთვის დამსაჯა ასე ღმერთმა, რომ მაგ ოჯახში დავიბადე?!. რა იქნებოდა, მამაჩემით მეამაყა?.. აი, მაგალითად, შენ... არა გყავს მამა, მაგრამ მაინც გეამაყება მისი შვილობა, ხომ მართალია?..

საშკამ არაფერი უპასუხა, თავჩაქინდრულმა გააგრძელა მაგიდაზე უაზრო ფიგურების ხატვა.

– გეკითხები – მართალი ვარ თუ არა? – ჩააცივდა ლევანი.

– რა ვიცი, ლევან... როგორ გითხრა... ყველას თავისი ჯვარი აქვს სათრევი...

– ჰო, ასეა... თავისი ჯვარი... – გაიმეორა ლევანმა, მერე გაიღიმა და სახე საოცრად ალერსიანი გაუხდა.

„როგორ ჰგავს ზოგჯერ თიკოს, – გაიფიქრა საშამ. – თიკოსავით მაღალია და ლამაზი. ისეთივე თხელი და ნატიფი ცხვირი აქვს, ისეთივე გაბუტული ტუჩები, მხოლოდ თვალები აქვს მუქი თაფლისფერი, იმიტომ აქვს ასეთი თბილი გამოხედვა, ამით განსხვავდება დისაგან. თანაც ის ნაზია, სიფრიფანა, ლევანი კი გოლიათივით მხარბეჭიანი..." საშას გაახსენდა, როგორ შურდათ აკადემიაში (მათ შორის – თავადაც) მხარბეჭიანი, ახოვანი ბიჭის, რომელიც სპორტსმენს უფრო ჰგავდა, ვიდრე მხატვარს. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მარტო ლევანის გარეგნობა კი არა, მამამისის – ალექსანდრე ნინუას ფულებიც ურევდა თავგზას. თუმცა ლევანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, „მამიკოს ბიჭობა" მისი ცხოვრების კრედო არასოდეს ყოფილა...

ლევანი სამზარეულოში გავიდა და ცოტა ხანში ორთქლმოდებული ფინჯნებით დაბრუნდა.

– ცხელი ჩაი ლიმონით... ჩაის მოსკოვში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება... ამას მალე თავადაც მიხვდები, – თქვა მოზეიმე ხმით და ფინჯანი საშას წინ დაუდგა. – რა ბედნიერებაა, რომ აქა ხარ! – დაუმატა მოგვიანებით.

– მოსკოვში ჩვენიანი არავინაა? – ჰკითხა საშამ და ჩაიში მოტივტივე ლიმონის ნაჭერს სული შეუბერა.

– თუ ქართველებს გულისხმობ, უმჯობესი იქნებოდა, ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ იცნობდე. ჭირიანებივით ყერიდები... ათასგვარ სისაძაგლეში ურევენ ხელს. თუმცა არ გეგონოს, ყველა უვარგისი იყოს, არც ასეა საქმე... უვარგისი და ნაგავი ყველა ერშია. მთავარია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენი ჭუჭყიანი საცვალი საჯაროდ არ გამოფინო თოკზე. ყველას დასანახად, თორემ... – ლევანს გაეცინა. – ისე, ერთი კარგი „მრეცხავი" ნამდვილად მოგვიხდებოდა. ჰა, რას იტყვი?

საშამ ჩაი ფრთხილად მოსვა და თავი დაუქნია.

– მართალი ხარ. რალაც გვაკლია ქართველებს... იქნებ – მარილი?!

– რას ამბობ, ზუსტად ეგ „მარილი" გვაქვს მეტი! – გადაბერდა ლევანი. მერე კედელზე ჩამოკიდებულ საათს მოჰკრა თვალი და შეშფოთდა, – მგონი, გაგათენებინე, ხომ იცი?! წამოდი, დაგაძინო... დედასავით უნდა მოგიარო...

დედის ხსენებაზე საშა შეცბა. რა ახლოს იყო ახლა ქალბატონი ლიზა, ხელის ერთ გაწვდენაზე... მართალია, „დედიკოს" ზუსტი ადგილსამყოფელი არ იცოდა, მაგრამ ამასაც დაადგენდა როგორმე, რომ მოენდომებინა... თუმცა... საშკამ ისევ იგრძნო გრილი ტუჩების შეხება შუბლზე და ტანში ტალღასავით დაურბინა ტკივილმა. ამ ტკივილმა ინა გაახსენა...

– შეიძლება დავრეკო? – გასძახა ლევანს, რომელიც საძინებელში კედლის კარადიდან ლოგინს იღებდა.

– როგორ არა, რას მეკითხები? დარეკე... ოღონდ გაითვალისწინე, თბილისში ახლა დილის ხუთი საათია, ყველას ფეხზე წამოყრი... გვარიანადაც დააფეთებ. უმჯობესია, დილით დარეკო, ტელეფონი მთელ დღეს შენს განკარგულებაში იქნება.

– მიდიხარ სადმე?

– არა, შენი ხათრით საღამომდე ფეხს არსად გავადგამ...

– მერე, სამუშაო?

ლევანს გაეცინა.

– მე მხოლოდ ღამით ვმუშაობ... და ვფიქრობ... ასევე მოგიწევს შენც...

საშამ კითხვიანი მზერა მიაპყრო მეგობარს.

– ასე ნუ მიყურებ, სუტენიორი ნამდვილად არა ვარ! – გაიღიმა ლევანმა. – ერთ-ერთ პრესტიჟულ კაზინოს ვიცავ. რას იზამ, ძმაო, თუ ფული გინდა, ცოტა ხნით ფუნჯი და ფანქარი უნდა დაივიწყო... თუმცა გულს ნუ გაიტეხ – მხოლოდ დროებით... ცოტა გაიმართები და მერე ხატვას ვინ გიშლის?! ისე, ღლისითაც შეგიძლია ხატო, თუ ამისი თავი გექნა. მე, მაგალითად, სამ თვეს სულ მეძინა, მერე ნელ-ნელა შევეჩვიე... ახლა ორი საათიც მყოფნის...

საშამ ამოიოხრა... ლევანმა გამამხნევებლად დაჰკრა მხარზე ხელი.

– არაფერია, ყველაფერი კარგად იქნება! Нет худа без добра!.. სამაგიეროდ, ფული შეგძულდება სამუდამოდ... ამის გარანტიას გაძლევ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– როგორ?

– ხვალ ნახავ... დავიძინოთ...

– მერე, მიმიღებენ?

– მაგაზე არ იდარდო... რაღაც-რაღაცები მეც მეკითხება... პრობლემა არ იქნება...

* * *

გაოგნებული საშა პირდაღებული შესცქეროდა გაკრიალებული ლიმუზინებიდან და ბოლო მოდელის, ძვირად ღირებული მანქანებიდან გადმოსულ, ძვირფას ქურქებში გამოხვეულ გრძელფეხება ლამაზმანებსა და მათ ღიპიან კავალრებს... შეუსვენებლად ტრიალებდა მინის კარი, გაჩახჩახებულ ჰოლში საშობაოდ მორთული ნაძვის ხის სათამაშოებივით ბრჭყვიალებდნენ სამკაულები... მწვანე ხავერდგადაკრულ მაგიდასთან ღელავდნენ ხელაკანკალებული მოთამაშენი... მშვიდად ჟღერდა კრუპიეს მონოტონური ხმა... ფეხი ფეხზე შემოდებული ქალბატონები ბარის მაღალ სკამებზე დასკუპებულიყვნენ, ნებანება წრუპავდნენ შამპანურს, რომლის ღირებულება საშკას, ალბათ, მთელ თვეს არჩენდა, გულგრილი გამომეტყველებით ათვალიერებდნენ გარემოს, შეფარვით ეკეკლუცებოდნენ ახალგაზრდა ლამაზ ბარმენს და ნატიფი მოძრაობით აბოლებდნენ ორთითშუა გაჩრილ სიგარეტს.

საშას ძირითადად შემოსასვლელის თვალყური დაევალა. ყურში პაწაწკინტელა გადამცემი ჩაუტენეს, ყელამდე შეკრული კიტელის შიგნით მინიატურული მიკროფონი დაუმაგრეს და ოცი-ოცდაათი ნაბიჯის რადიუსში სეირნობის უფლება მისცეს... ლევანი მეორე სართულზე, დაცვის უფროსის კაბინეტში იჯდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს კაზინოში დამონტაჟებულ ვიდეოკამერებს. საშკამ სულ ორჯერ მოჰკრა თვალი მეგობარს, სამაგიეროდ ყოველ წუთს ესმოდა მისი მხიარული შენიშვნები: „საშკა, დახურე პირი", „საშა, ყურადღებით", „საშკა, მორჩი მაგ ქალის თვალიერებას...", საშკა, კარს მიხედე, კარს", „ეგრე სარგადაყლაპულივითაც ნუ დგახარ, მოეშვი", „ცოტაც და, დავისვენებთ...", „ნუ ამთქნარებ, არ შეიძლება..."

უკანასნელი კლიენტი დაცვის ბიჭებმა დილის შვიდ საათზე გააცილეს დარბაზიდან... მერე კარი ჩაკეტეს და ზემოთ, ლევანთან აიხვეტნენ.

– ლენ! დასალევი ამოგვიტანე, რა! – კიბიდან გადმოსძახა ვადიმმა კრუპიეს.

– ჩამოდი და აიტანე! ისედაც ფეხზე ძლივს ვდგავარ, უნდა გამოვიცვალო და სახლში წავიდე! – უკმაყოფილოდ ასძახა გოგონამ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– შეხედე, როგორ კვდება?! – აბუზღუნდა ვადიმი. – აბა, სხვა რამისათვის ვეძახდე, იმ წუთში თუ არ ამოფრინდეს... საშოკ, იქნებ შენ ჩაგერბინა? – მიუბრუნდა დიდრინთვალება მწვითური ვადიმი საშას... ბიჭს, რატომღაც, ძალიან არ მოეწონა მისი კატეგორიული, მბრძანებლური ტონი. თვალი თვალში გაუყარა და უკმეხად მიუგო:

– რაღაც გეშლებათ, მოწყალეო ხელმწიფევ, მე ოფიციანტი არა ვარ.

კაბინეტის ოდნავ შეღებულ კარში ლევანი აისვეტა. სახე უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა, საშას ანიშნა, შემოდიო, ვადიმს კი გამაფრთხილებლად დაუქნია თითი:

– მგონი, ერთხელ უკვე გაგაფრთხილე: სმა – სახლში და სადმე ბარში... კაზინოს ტერიტორიაზე – არა!.. იცოდე, უკანასკნელად გეუბნები... ლენასაც თავი დაანებე!

შემცბარმა ვადიმმა უკან დაიხია:

– ლევანჩიკ, დოროგოი... – დაიწყო ენის ბორძიკით.

– ლევანჩიკი კი არა, შენთვის ლევან ალექსანდროვიჩი ვარ – ესეც დაიმახსოვრე! – მოუჭრა ლევანმა. საშა წინ გაუშვა და კაბინეტის კარი თადიმს ცხვირწინ მიუკეტა, – იდიოტი! – ჩაილაპარაკა გაგულისებულმა და საშკას თვალი ჩაუკრა. ოთახის სიღრმეში, რბილ სავარძელში ნებივრად მიწოლილმა კაზინოს გენერალურმა დირექტორმა, საფეთქლებთან თმაშეევერცხლილმა სიმპათიურმა მამაკაცმა დაბალი, მუცელგაბერილი ჭიქიდან ხმაურით მოწრუპა მინერალური წყალი და ლევანს გაოცებულმა შეხედა.

– არ მესმის, რატომ იშლი ნერვებს! გავაგდოთ და – მორჩა...

– არ გამოვა, გენა, ხომ იცი, ვისი მოყვანილია... – ხელი ჩაიქნია ლევანმა, მაგიდას მიუჯდა, სადაც მწვანე კუპიურების მთელი მთა იდგა და ფულის გადათვლა დაიწყო.

გენამ ჭიქას თავი ანება, წამოდგა, მაგიდას მიუახლოვდა და კიდეზე შემოჯდა.

– იმ ტუტრუცანა დედაკაცს გულისხმობ? მგონი, ისე ველარ „გრემიტობს", შეერყა პოზიციები...

– ჯერჯერობით მაგრად ზის და... მერე არ ვიცი, რა იქნება... – კბილებში გამოსცრა ლევანმა.

– არა უშავს. ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული... არა, საშკა? – თვალი ჩაუკრა უხერხულად ატუზულ ბიჭს გენამ და ალერსიანად გაულიმა. – ყოჩაღი ვინმე ჩანს. არა, ლევან?..

– არაფერია, მიეჩვევა, – გაეცინა ლევანს. – პირველი დღეა, ეგეც ჩაჯდება...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მიდი, მორჩი საქმეს და ჩემთან ავიდეთ... „იმათაც“ დავურეკოთ, ჩვენ რომ ვიცით.... ახალბედა არ მოვნათლოთ?! – ეშმაკურად მოჭუტა თვალები გენამ და ლევანს საშკაზე ანიშნა.

– დღეს არა, – თავი გააქნია ლევანმა. – დაისვენოს... ყველაფერმა ერთბაშად შეიძლება აწყინოს კიდეც... საშკა, მოდი, ფული აიღე... – ლევანმა დოლარების გროვადან სამი ცალი ასდოლარიანი გამოაძვრინა და საშკას გაუწოდა. ბიჭი გაშტერდა.

– ამდენი... სულ მე?..

– „არაააა... ნახევარი ლიდას წაუღე... – გაეხუმრა ლევანი.

– ლიდა ვინღაა? – გაუკვირდა გენას. – Молодец! ეს რა „შუსტრი“ ყოფილა, მოასწრო უკვე?

– არის ერთი... საშკაზე შეყვარებული „ასული“, – გაეცინა ლევანს. – მერე მოგიყვები... ბიჭო, რას გაშეშებულხარ?.. ხომ არ გეცოტავება?.. დღეს ასეა, მერე მეტი იქნება...

– არა, არა, რას ამბობ! – გამოერკვა საშა. – დიდი მადლობა.

ლევანმა ხელი აუქნია.

– რა მადლობა, კი არ გჩუქნი – შენი ხელფასია... ახლა მიდი, ბიჭებს დაუძახე და ქვემოთ, ბარში დამელოდე, მალე ჩამოვალ.

– კარგი ბიჭია, – დაფიქრებულმა ჩაილაპარაკა გენამ, როცა საშკამ კარი გაიხურა. – ვილაცას მაგონებს... ოღონდ ვერ გამიხსენებია, ვის...

* * *

მოწყენილი ინა ფანჯრის რაფაზე იჯდა და რიტმულად აქნევდა ფეხებს. გოგიჩას შესვლა არ გაუგია. ბიჭმა კარგახანს უყურა შეყვარებული თვალებით, მერე ოდნავ გასაგონად ჩაახველა. ინა შეკრთა, მოიხედა და გოგიჩას დანახვაზე წარბი შეიკრა.

– კიდევ კარგი, გამოჩნდი... საინტერესოა, სად დადიხარ.

– კარგი, რა, ნუ იბუტები. გუშინ არ მოვსულვარ... გუშინწინ ხომ ვიყავი?

– გუშინ. გუშინწინ... – აბუზღუნდა გოგონა. – იქნებ ჯობდა, გრაფიკი შეგედგინა? – დამნაშავე ბავშვივით გაწითლებულ გოგიჩას თვალი აარიდა, ფანჯრისკენ შებრუნდა და ამოიოხრა.

ბიჭი შეწუხდა.

– ნუ, რა, ნუ ოხრავ... გინდა, კინოში წავიდეთ?

– არ მინდა...

– მაშ გავისეირნოთ...

– სად?! – ინა მობრუნდა და ბიჭი უცნაურად შეათვალიერა.

– რა ვიცი, სად გინდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაგალითად? – ჩაციცვდა ვოგო.

გოგიჩამ კეფა მოიქექა.

– მაგალითად, პარკში...

– ზოოპარკში აჯობებს!... – გაცეცხლდა ინა.

გოგიჩა დაიბნა.

– რატომ მეჩხუბები?.. საერთოდაც, ვერ გამიგია, ამ ბოლო დროს რა გჭირს?

– ვერც გაიგებ, იმიტომ, რომ ეგოისტი ხარ! კიდევ – ბრმა და სულელი... – თვალები აუწყლიანდა გოგოს.

– საშას არ დაურეკავს?

– რა შუაშია საშა?.. მე შენზე ვლაპარაკობ... ჰო, დარეკა, დარეკა, დარეკა! – გაანჩხლდა მოულოდნელად ინა და ფეხების ქნევას მოჰყვა.

გოგიჩა დაიძაბა, უფრო ახლოს მიჩოჩდა ფანჯარასთან და ძლივს ამოიბლუკუნა:

– ინა-ა!

– რა გნებავს?.. – მზერა მოარიდა ინამ.

– რატომ, მ-მმით-თხარი... ეგოისტი ხარო?..

– იმიტომ... – დაიჩურჩულა ინამ და ხელები ფეხებქვეშ ამოიდო.

– მაინც?! – გოგიჩამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფანჯარასთან სულ ახლოს მივიდა.

– გოგიჩ, შენ რა, დებილი ხარ? თუ მაინცდამაინც მე უნდა გითხრა, რომ...

– მითხარი, რა... მითხარი... გემუდარები!.. – ყელი გამოიგლეჯა გოგიჩამ და პასუხის მოლოდინში მუხლები აუკანკალდა.

– მიყვარხარ! – ერთი ამოსუნთქვით თქვა გოგონამ, ხანმოკლე პაუზის შემდეგ კი დამარცვლით გაიმეორა: – მი-ყვარ-ხარ!..

გოგიჩას გული გაუჩერდა, ხელ-ფეხი წაერთვა, გამშრალ ყელში ძლივძლივობით გადააგორა პაწაწკინტელა ნერწყვი... და ხმის კანკალით ჰკითხა:

– გესმის, რას ამბობ?..

ინამ თავი დაუქნია. გოგიჩამ თვალები დახუჭა და დაიკვნესა:

– ინა... მომისმინე...

– არ მითხრა, რომ მოულოდნელია შენთვის... მე ვერ მომატყუებ... მშვენივრად ვიცი, შენც გიყვარვარ... ამიტომ ტყუილად მაწამებ...

– ინა... არ შეიძლება... უფრო სწორად, არ შეიძლებოდა ჩვენი სიყვარული... საშამ შენი თავი მე ჩამაბარა... ღმერთო, როგორ ვიქცევი... – სასოწარკვეთილმა გაასავსავა გოგიჩამ ხელები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არ გინდა ამდენი ფილოსოფია, პირდაპირ მითხარი, რომ არ გიყვარვარ! – ატირდა ინა და რაფიდან ჩამოხტომა დააპირა. ბიჭი კინაღამ გადარია მისი ცრემლის დანახვამ, გრძნობამ უკანასკნელი ეჭვებირიც გაარღვია, აკანკალებულ გოგონას ფეხებზე მოეხვია, ალმოდებული სახე ინას მუხლებში ჩარგო და გაინაბა...

* * *

– გაიღვიძე? მეგონა, გუშინდელი დღის შემდეგ ფეხზე ველარ წამოდგება-მეთქი! – ოთახის ღია კარში წინსაფარაფარებული ლევანი იდგა, კვერცხს თქვეფდა და ლოგინში წამომჯდარ საშკას მეგობრულად ულიმოდა.

– დაღლით ძალიან არ დაკღლილვარ, უბრალოდ, გარემოა ცოტა უსიამოვნო, – საშა შარვალს მისწვდა. ლევანმა ცოტა ხნით თქვეფა შეაჩერა და საშას კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– რას გულისხმობ?

– რას კი არა, ვის... კი იცი შენ, ლევან, არც კონფლიქტური ვარ და ჩხუბიც ჭირივით მეჯავრება, მაგრამ ვერავის უფროსობას ვერ ავიტან.

– აა, ვადიმზე ამბობ? – წარბი შეიკრა ლევანმა. – ყურადღებას ნუ მიაქცევ. მარტო შენ კი არა, ვერავინ ვიტანთ... მაგრამ...

– რა მაგრამ, ერთი კაცის გაგდება ველარ მოგიხერხებიათ? თუ შეუცვლელია? – ტუჩი აიბზუა საშკამ.

ლევანმა თავი დაუქნია.

– სწორედაც რომ შეუცვლელია. კაზინოს მეპატრონის ცოლის საყვარელია...

– გენას ცოლის? – თვალები ჭყიტა საშამ.

– გენას ცოლი რა შუაშია? ეგენა, უბრალოდ, მენეჯერია. არის ერთი „ბიძა"... ამბობენ, ქართველიაო. ადრე „შავი" ყოფილა, ჩვენნაირი კაზინო სამი მაინც აქვს... მაგრამ ცოლს მუჭში ჰყავს გამომწყვდეული... თუმცა გენამ თქვა, ამ ბოლო დროს ქალბატონის პოზიციები ცოტა შესუსტდაო.

– შენ არ იცნობ?

– ვის, იმ ქალს?

– არა, კაცს.

– ნახვით ორივე მინახავს, „გვაბედნიერებენ" ხოლმე ხანდახან... მაგრამ მათთან ურთიერთობა ჩემი საქმე არაა... ეგ გენას ეხება... მეც გენამ ამიყვანა.

– როგორ გაიცანი? – დაინტერესდა საშკა.

– ოოო, ეგ მართლაც საინტერესო ისტორიაა. მიდი, ჩაიცვი და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამზარეულოში გამოდი, საუზმეზე მოგიყვები... წავედი, თორემ ტაფა დამეწვება...

საშკამ ჰაერი შეისუნთქა:

– ჰო, გახურებული ლითონის სუნი მართლაც მცემს. რას ამზადებ?

– ჩემი საფირმო კერძი უნდა გაჭამო! – ამაყად განაცხადა ლევანმა, – „მულატი საყვარლის თვალები". გათქვეფილ კვერცხში ამოვლებული შემწვარი ძეხვი.

საშას გულიანად გაეცინა.

– თბილისში მაგას ჩვეულებრივი ტაფამწვარი ჰქვია.

ლევანი ყასიდად გაბრაზდა:

– გირჩევ, ჩემს კულინარულ მიღწევებში ეჭვს ნუ შეიტან, თორემ საერთოდ მშიერი დარჩები! თანაც, თბილისი – თბილისია. თუმცა მოსკოვზე ნაკლებად არც იქ ევასებათ მყვირალა სახელები.

– ახლავე მოვწესრიგდები და მოგეხმარები, – საშამ გეზი სააბაზანოსკენ აიღო.

– არაფერია, საუზმეში მხეცი ვარ. აი, სადილებში ვიჭედები, თორემ... – გამოსძახა სამზარეულოდან ლევანმა. – კიდევ კარგი, მოსკოვი კაფე-რესტორნების ნაკლებობას არ უჩივის... მაგრამ, რა არის, იცი? „ჩახოხბილი" მომენატრა ძალიან. ჩვენი მოსამსახურე ისეთს ამზადებდა, თითებს ჩაიკვნეტდი. ნეტავი, მესწავლა მაინც, ვიდრე გამოვიქცეოდი... სასაცილო არაა, კაცს მშობლიური ოჯახიდან მარტო „ჩახოხბილი" ენატრებოდეს?! ძაღლიც კი დაიმსგავსეს, მაგათი დედა ვატირე... – სინანულით შეხედა სამზარეულოში თმის სწორებით შემოსულ საშკას.

– მე კი ყველა და ყველაფერი მენატრება – ბებო, ინა, გოგიჩა, ბიჭები, ჩემი ოთახი, მეზობელი მერიკოს წიოკობა... დიდხანს ნამდვილად ვერ გავუძლებ.

საშამ სკამი გამოსწია, ჩამოჯდა და თავი ხელებზე დააყრდნო.

– ეეეეჰ! „ჩახოხბილიდან" ძალიან შორს გადახტი, ხომ იცი! ჩაი დაგისხა თუ ყავა?

– ჩაი მირჩევნია. რადგან ასე გენატრება, მოდი გავაკეთოთ... – საშკამ ჭიქაში ლიმონი ჩააგდო და ფინჯანი ლევანს მიუჩოჩა.

– რა, იცი?! – ეჭვით გადახედა მეგობარმა.

– არასოდეს მიცდია. მაგრამ, მგონი, ძნელი არ უნდა იყოს... ბებიაჩემს დავურეკავ და ვკითხავ.

– არა, ძმაო, – ხელები გაასავსავა ლევანმა. – ეგრე, ტელეფონით, გოზინაყის გაკეთება ვცადე და აქაურობა ისეთ დღეში ჩავაგდე, საწყალი ტოსია ორ დღეს მოუნდა დალაგებას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ტოსია?!

– ჩვენი კაზინოს დამლაგებელი... კვირაში ორჯერ შემომივლის ხოლმე და სახლს მილაგებს.

– არავინ გყავს? – საშკამ ძეხვით ორივე ყბა გამოიტენა და ძლივს აბლუკუნდა.

– ნელა, არ დაიხრჩო!.. – შეეშინდა ლევანს. – მუდმივი – არავინ. არა მაქვს ვინმეს გადაკიდებია თავი... აქაურ ქალს ცოლად არასოდეს შევირთავ, თანაც, ნიას შემდეგ... – ბიჭმა ამოიოხრა და თვალი ჩაიში მოტივტივე ლიმონს გაუშტერა... – რასაც აქ ვუყურებ?!. არა, ძმაო, ქართველი ქალი ამდენს არ იკადრებს, არ მიცა აქამდე...

– ნია ისევ გიყვარს? – პაუზის შემდეგ ჰკითხა საშკამ.

– რა ვიცი... – მხრები აიჩეჩა ლევანმა. – ნია ჩემთვის სივრცეში დაკარგული ციური სხეულია. ვცდილობ, არ ვიფიქრო მასზე.... ისე, შენ თუ რამე გინდა, ნუ მოგერიდება, – ეშმაკურად ჩაუკრა თვალი საშკას. – გოგოების მეტი რა არის?! ოღონდ, საშკა, თანამშრომლებთან ფლირტს არ გირჩევ... პრობლემებს მოერიდე. – ლევანმა მეგობრულად მოუთათუნა მხარზე ხელი, წამოდგა, მაგიდიდან ჭურჭელი წამოკრიფა და ნიჟარაში ჩააწყო.

– სადმე აპირებ წასვლას? – ჰკითხა საშკამ.

– არა, მირჩევნია, სახლში ვიყო. საღამომდე ცოტას დავისვენებ. არც შენ გირჩევ ხეტიალს. სანამ მიეჩვევი, ცოტა გაგიჭირდება. თუ გინდა, ერთ-ორ საათს კიდევ წაუძინე.

– არ მინდა, არა ვარ ძილის დიდი მოყვარული...

– მაშინ ტელევიზორს უყურე ან ჩანაწერებს მოუსმინე. კაბინეტი სავსეა დისკებით. მაგარი ჩანაწერები დავაგროვე, – ისე თქვა ლევანმა, ეტყობოდა, ამაყობდა თავისი კოლექციით.

– ქალაქში მინდოდა ცოტა ხნით გასვლა... – მორიდებით ჩაილაპარაკა საშამ.

– წადი მერე! ოღონდ ძალიან ნუ დაიგვიანებ.

– მინდოდა, შენც წამომყოლოდი...

ლევანს გაეცინა:

– ეეე, საშკა... ბავშვი ხარ, რა... პირდაპირ ვერ იტყვი, რა გინდა?

– ინასთვის საჩუქრის ყიდვა მინდოდა...

– რა საჩუქრის?

– იმდენი ხანია, მობილურზე ოცნებობს...

– მერე, იმ მობილურის ჩართვას ფული არ უნდა?.. თანაც, მარტო მობილურს ხომ არ გაუგზავნი? რამდენიმე დღე მოიცადე, მერე მობილურსაც ვუყიდით, სხვა რამესაც და ფულთან ერთად გავუგზავნით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლევანმა ბოლო თეფშს წყალი გადაავლო, საწურზე ჩამოდო, ხელები პირსახოცით შეიმშრალა, აკაპიწებული ჯემპრის სახელოები გაისწორა და ნირწამხდარ საშკას თვალი ჩაუკრა.

– ესეც ასე, ჭურჭელიც დაირეცხა. ერთ კვირას სტუმრად ითვლები და არ შეგაწუხებ. მერე კი, რა ვქნა, ძმაო, მონაწილეობა შესცა უნდა მიიღო... რეცხვა – კიდევ ჯანდაბას, უთოს ვერ ვიტან ვერაფრით, მაგრამ, რაც სარეცხი და უთო ტოსიას კომპეტენციაში გადავიდა, მოვისვენე...

შემოსასვლელში ტელეფონი აწკრიალდა. ლევანმა პირსახოცი მაგიდაზე მიაგდო და სამზარეულოდან გავიდა.

– შენა ხარ, გენა? რას უნდა ვაკეთებდეთ? ნუ ჯავრობ, არ მოვაწყენ... რა ვიცი, აბა?.. ხომ იცი, სახლში ეგეთ რამეებს ვერ ვიტან... მერე რა, რომ ანგელოზი არა ვარ... არა, აქ არაფერი გამოვა... იმიტომ!... კი ბატონო, იყოს ახირება... სადაც გინდა... არც იქ წამოვალთ, არა-მეთქი!. როგორც გინდა...

ლევანმა ყურმილი დადო, ოთახში შევიდა, ტელევიზორი ჩართო და შუბლშეკრულმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

– რადგან მარტო ვცხოვრობ, ჰგონიათ, სახლს „საროსკიპო" გადავაქცევ!..

– გენა იყო? – მიხვდა საშა.

– სხვა ვინ იქნებოდა? ერთი სული აქვს, როგორმე დამითანხმოს და ჩემთან ორგიები მოაწყოს. დღე არ გავა, არ შემომიძვრეს...

– ცოლი ხომ ჰყავს?

– ცოლიც ჰყავს და ოფიციალური საყვარელიც, მაგრამ მაინც ვერ ისვენებს. ყველა უნდა – ლამაზიც, უშნოც, მაღალიც, დაბალიც... კრუპიეებთან კურკურიც ძლივს მოვაშლევინე... – ლევანს გაეცინა. – კი არ მოვაშლევინე, უბრალოდ, ყველას გაუსინჯა უკვე გემო. ახლა ლენაზეა გადაკიდებული... ბიჭები ამბობენ, გენერალური დირექტორის ადგილიც დონ-ჟუანობით დაითრიაო...

– რითიო?

– ჩვენი „ბოსის" ცოლს მოსწონებია ერთხელ ბარში და...

– მაშ, ვადიმსაც დიდი მომავალი ეჯღანება? – სავარძელში მოხერხებულად მოირთხა ფეხი საშკამ.

– არა მგონია, ვადიმი გენასთან ვერ მოვა... ტვინის მაგივრად ბზე უყრია თავში... მალე მოსწყინდება ქალბატონს და მიაგდებს...

– ის ქალი გინახავს?..

– ვინ, ქალბატონი ლიზა?

– ლიზა ჰქვია? – გული უცნაურად შეეკუმშა საშას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რა ვიცი, ასე ეძახიან... – მხრები აიჩეჩა ლევანმა.

– რამდენი წლის იქნება?

– არ ვიცი, არ დავკვირვებივარ... თანაც, ამ ქალებისას გაიგებ რამეს? მით უმეტეს, თუ ფულიც აქვთ და თავის მოვლაც არ უჭირთ. შენ რაში გაინტერესებს, ჰა, იცოდე, არაფერი იეშმაკო! – ლევანმა სიცილით დაუქნია თითი საშკას.

– არა, რას ამბობ!.. უბრალოდ, ისე ვიკითხე... – უხერხულად შეიშმუშნა საშკა და გაწითლდა.

– მაგარი ქალი კია... მაღალი, მწვანეთვალება... – ლევანი უცებ გაჩუმდა და ფერწასული საშკა ყურადღებით შეათვალიერა.

მოულოდნელად კარზე ზარმა დარეკა...

– გააღე, რა... – ყელი გამოუწია ლევანმა.

– იქნებ ვინ არის?

– დაახლოებით ვიცი, ვინც იქნება, – სავარძელში გადაწვა ლევანი და ფეხები ჟურნალების მაგიდაზე შემოაწყო. – მიდი, მიდი, გააღე!

ოთახში ხელების ქნევით, უკმაყოფილო შეძახილებით შემოიჭრა გენა და პირდაპირ სავარძელში ნებივრად გართხმულ ლევანს დაეტაკა:

– ცუდი კაცი ხარ, ლევან ალექსანდროვიჩ, ძალიან ცუდი! ბოროტი ხარ, ბოზიშვილი ვიყო, თუ ვტყუოდე! – დაუმატა მოულოდნელად ქართულად. ლევანი გადაბუირდა, საშკამ გაოცებისაგან პირი დააღო.

– Да чего уставился? ბოზიშვილი ვიყო, თუ ვტყუოდე! – გაიმეორა.

– Геннадий Николаевич, საიდან იცით ასეთი „похабный" გამოთქმები? – ჰკითხა დაბნეულმა საშამ.

– აი, მაგ ახალგაზრდამ მასწავლა, უდარდელად რომ წამოგორებულა! – ხელი ჩაიქნია გენამ, ბართან მივიდა, გამოაღო და ცხვირი ცნობისმოყვარედ შერგო შიგ. – დასალევი არაფერი გაქვთ?

– მაინც, რას ინებებთ?

– ჭაჭის არაყს რომ არ დამალევინებ, ვიცი!.. ეეჰ, რანაირი ქართველი ხარ, ვერ გამიგია, სტუმარი არ გიყვარს...

ლევანს გაეცინა.

– ბატონი გენერალური დირექტორი დღეს ძალიან გაბრაზებულია!..

– გაბრაზებული ვიქნები, აბა რა? ისეთი გოგოები გამაშვებინე ხელიდან! – აბუზღუნდა გენა.

– რატომ, ვადიმთან ვერ ახვედით?

გენა ზიზღით დაიღრიჯა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გეგონა, მართლა იქ ვაპირებდი ასვლას? ეს ისე გითხარი, გასაბრაზებლად... შენ არ გინდა – არ გინდა, ჩვენ რალას გვერჩი, ძმაო?!

– მაგალითად, ვის თქვენ? – თვალი მოჭუტა ლევანმა და საშკას ბარზე ანიშნა – სასმელი გამოიღეო.

– მაგალითად, მე და საშკას! – გენამ ხელები გაშალა, აქაოდა, მარტო ჩემთვის კი არა, სხვისთვის უფრო ვზრუნავო და საშკას გადახედა, – იცით, რა „ნაშები" მომყავდა? არ გინდოდათ?.. საშკა, თქვი, არ გინდოდა?

საშკას გაელიმა, კონიაკის ბოთლი და პატარა ჭიქები უსიტყვოდ დაალაგა მაგიდაზე.

– არ უნდოდა! – მეგობრის მაგივრად უპასუხა ლევანმა.

– შენ რა იცი? – დაეჭვდა გენა.

– ვიცი!

– ტყუილად კი არ მეპარება შენს ქართველობაში ეჭვი!.. ახლა გინდა, ამ კაცზეც წამიხდინო შთაბეჭდილება?!

– მოიცა, რა, გენა, ნუ მოიმართები ბოლმე! რამდენჯერ გითხარი – ვერ ვიტან სახლში ეგეთ რამეებს!..

– გამაგიჟებ, ხომ იცი! აბა სად იტან, ქუჩაში? – გაცხარდა გენა. – შენ რალას გაშეშებულხარ, ბიჭო?.. დაასხი!

– მე ვერ დავლევ, – თავისი ჭიქა გვერდით მისწია ლევანმა.

– არც მე მინდა, – მორიდებით ჩაილაპარაკა საშკამ.

– Обижаете, друзья, обижаете!.. – გაიბუსხა გენა.

– მერე, გენა, სხვა დროს... ხომ იცი, არ მიყვარს, როცა სამუშაოზე ვინმე ნასვამი მოდის. მით უმეტეს, მე ვერ დავლევ.

– Хорошо, Леванчик... როგორც გინდა, – გენამ კონიაკი გადაჭრა და წამოდგა. – წავალ აბა, აღარ მოგაცდენთ...

– მოიცა, სად მიდიხარ? სამაგიეროდ, ყავა გვაქვს კარგი... ყავას დაგალევინებთ, კაზინოშიც ერთად წავიდეთ.

– კარგი, ოღონდ ნინას დაეურეკავ, ვეტყვი, რომ აქა ვარ. უმჯობესია, შენ უთხრა, ლევან, თორემ ამ ბოლო დროს აღარ მენდობა! – გაეცინა გენას, ნომერი აკრიფა და ყურმილი ლევანს მიაწოდა.

– გამოუსწორებელი კაცი ხარ! – ამის თქმა მოასწრო ლევანმა და ნინას მკაცრი ხმაც მოესმა. – ალო, ნინაჩკა! მე ვარ, ლევანი. გენადი ნიკოლაევიჩი ჩემთან არის და არ გაუბრაზდე. გინდა, გალაპარაკო? ვიცი, რომ გვერა, დიდი მადლობა ნდობისათვის! აუცილებლად, ნინაჩკა, აუცილებლად, ასეც ნუ მაქებ, თორემ მრცხვენია. რა თქმა უნდა... აუცილებლად... – ლევანმა გაიცინა, ტელეფონი გათიშა, აპარატი იატაკზე დადო და სმენად გადაქცეული გენას დანახვაზე ისევ სიცილი აუტყდა, – როგორ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეიძლება ასე, გენადი ნიკოლაევიჩ? ძალიან გაქვთ სახელი გატეხილი!

– ეეჰ, თქვენ კიდევ არ იცით, რა დღეში ვარ!.. შენი სჯერა, თორემ, სხვასთან რომ ვიყო, აუცილებლად შემამოწმებდა, – ამოიოხრა გენამ და უცებ აღშფოთდა, – აბა, სად არის თქვენი სახელგანთქმული ყავა? აღარ მოგაქვთ, თუ მომატყუეთ?

– დამშვიდდი, ახლავე იქნება, – ლევანი წამოხტა და სამზარეულოსკენ გაემართა.

– ხომ გახსოვს – ტკბილი არ მიყვარს! – გასძახა გენამ.

– მაგას რა დამავიწყებს! – სიცილით უპასუხა ლევანმა.

გენა საშას მიუბრუნდა:

– ჩვენი გაცნობის ამბავი თუ მოგიყვა?!

– არა! – თავი გააქნია საშკამ.

– არა?! როგორ არ გრცხვენია, ლევან? ასეთი მნიშვნელოვანი რამ როგორ დაუმალე?

– არ დამიმალავს, სწორედ დღეს ვაპირებდი მოყოლას, მაგრამ, რადგან დაიწყე, ბარემ მოუყევი კიდეც...

– საშკა, მე და ლევანს, ცოტა არ იყოს, უცნაური ნაცნობობა გვაკავშირებს, ასე ვთქვათ, „ყავიანი“.

– როგორ, „ყავიანი“? – ვერ მიხვდა საშკა.

– ერთი ფინჯანი ძალზე დამტკბარი ყავის წყალობით გავიცანით ერთმანეთი.

– მაინც ვერ გავიგე!.. – სულ დაიბნა საშა.

ზღურბლზე ლანგარმომარჯვებული ლევანი გამოჩნდა. პატარა ფინჯნებს ორთქლმავალივით ასდიოდა ნისლისფერი ოხშივარი. ოთახში მყოფნი ყავის დამათრობელმა სურნელმა გააბრუა.

– ლევან, აუხსენი, – დიდსულოვნად გადაულოცა მთხრობელის როლი გენამ, ფინჯანი ფრთხილად მიიჩოჩა და ხარბად შეისუნთქა ჯადოსნური არომატი.

– არავითარ შემთხვევაში! – იუარა ლევანმა. – ვინც დაიწყო, იმან გააგრძელოს. თანაც, საკუთარ ცოდვებზე თავად უნდა აგო პასუხი.

– რა ცოდვებზე?!.. მოკლედ, სულ დამაბნიეთ... – მოთმინების ძაფი გაუწყდა საშას და მეგობარს შეხედა.

– ახლავე, საშულჩიკ, ახლავე მოგიყვები, – გენამ ყავა ხმაურით მოხვრიპა და ყასიდად ჩაფიქრდა. – უნდა ვაღიარო, რომ ნამთვრალევი საშინელ გუნებაზე ვდგები ხოლმე და, ამაში ლევანიც დამემოწმება, უმიზეზოდ ვჯიჯღინებ, ვჩხუბობ... ერთი სიტყვით, შარს ვეძებ... იმ დილითაც „პახმელიაზე“ ვიყავი და „მარცხენა ფეხზე“ ავდექი. ჯერ სახლში მოვაწყვე აყალმაყალი, მაგრამ როცა მივხვდი, ზედმეტი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მომივიდა, ნინას გაცოფებას აღარ დავლოდებივარ, მახქანის გასაღებს ხელი დავავლე (ჩემი „ლამბორჯინი" ორი-სამი დღის ნაყიდი მყავდა) და უახლოეს კაფეში შევრგე თავი... ოფიციანტ გოგონას ყავა შევუკვეთე, იმის თქმა კი დამავიწყდა, უშაქრო რომ მინდოდა... ჰოდა... პირველივე ყლუპი მოვსვი თუ არა, გავცეცხლდი და საცოდავს ჩხუბი ავუტეხე. იმანაც მაშინვე არ გადმოყარა ცრემლები?!. – გენა გაჩუმდა, ყავა მოსვა და ლევანმა ეშმაკურად გადახედა.

– მერე, მერე? – მოუთმენლად იკითხა საშამ.

– მერე... როგორც ძველ რუსულ ზღაპრებში ხდება ხოლმე, „დაჩაგრულ" ტურფა ასულს მაშინვე გამოუჩნდა გულშემატკივარი შენი მეგობრის სახით, რომელიც მანამდე წყნარად იჯდა კუთხეში თაეისთვის, ხატავდა და არაფერს აქცევდა ყურადღებას... ლევან, გააგრძელე... – მიუბრუნდა გენა მოღიმარ მეგობარს.

– მიდი, მიდი, მშეენივრად ჰყვები! – წააქეზა ბიჭმა...

– ლევანი იმ ოფიციანტი გოგონას გამო გეჩხუბა? – თითქოს მიხვდა საშკა.

– უარესი! – ახითხითდა გენა. – მშვიდად ადგა, მოვიდა და მთელი ფინჯანი ყავა კისერში ჩამასხა!

– რაო?! მართლა?! – გადაირია საშა.

– დიახაც! ეს – ახლა მეცინება, თორემ მაშინ კინაღამ გავგიჟდი. ვერ წარმოიდგენ, რა დამემართა! მერე ხელი დამავლო, გარეთ გამიყვანა და ციმციმ ჩამდო მანქანაში.

– მაშინ დამეგობრდით?! – ყურებს არ უჯერებდა საშკა.

– არა, მაშინ არა... საღამოს ბედმა ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს... ჩემს სახლთან...

– სამი ზრდილობიანი ახალგაზრდა მანქანას „აწერდა"! – გაეცინა ლევანს.

– კეთილშობილმა რაინდმა ამჯერად უკვე ჩემს დასაცავად გამოიდო თავი და ბანდიტებს სულ კუდით ქვა ასროლინა. იმ საღამოს შემდეგ სულ ერთად ვართ. კაზინოშიც მე შევთავაზე დაცვის უფროხის ადგილი, თანაც – ყოველგვარი ტესტირების გარეშე...

გენა წამოდგა, საშკას მხარზე ხელი მოუტყაპუნა და ლევანს ცარიელი ფინჯანი გაუწოდა.

– ერთიც და – მივდივარ... მართლაც კარგი ყავაა.

– ამიტომ უნდა გაგვიჩანაგო? – აბუზღუნდა ლევანი...

– არა, არა, რა არ მინახავს, მაგრამ ასეთ უცხვირპირო ქვაწვია ქართველს არსად შეეხვედრივარ! – ხელები გაასავსავა გენამ და სამივეს სიცილი აუტყდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

– აუუუ! ინა, რას ჰგავხარ?! – დაუსტვინა გაოცებულმა გოგიჩამ და მოდურად გამოწყობილ გოგონას გარს შემოუარა.

– რას ვგავარ?! – შეშფოთდა ინა და ტანსაცმელზე დაიხედა.

– მაგარი „ნაშა" ხარ! გიყურებ და სხვა მგონიხარ! მოიცა, ერთი კარგად შემოგხედო! – გოგიჩამ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ინა კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

– რა უნდა გელაპარაკო, ნადირი ხარ! – ტუჩები გამობუსხა გოგომ. – ადამიანური ენით არ შეგეძლო გეთქვა, რომ მოგეწონა?!

გოგიჩამ ამოიოხრა.

– ადამიანური ენით არ შემიძლია... იმიტომ, რომ შენმა დანახვამ ენაც ჩამიგდო, მუხლიც მომკვეთა და გული გამიჩერა!.. – პათეტიკურად განაცხადა გოგიჩამ და ხელები თეატრალურად გაშალა.

– გეყოფა მაიმუნობა! – გაეცინა ინას და ბიჭს მხარზე მიეხუტა.

– საიდან გააჩინე ასეთი „შმოტკები"? – ჰკითხა გოგიჩამ.

– თოვლის ბაბუამ გამომიგზავნა!

– არა, მართლა...

– საყვარელი გავიჩინე მდიდარი!.. – აკისკისდა ინა.

– იცოდე, მოგხვდება!

– აბა, რას ჩამაცივდი – საიდან – საიდან?... საშკამ გამომიგზავნა. აი, კიდევ რა მაქვს! – ინამ ჯიბიდან ხელი ამოიღო და გოგიჩას ამაყად დაანახა თითზე წამოცმული ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი. ელექტრონის შუქზე ძვირფასმა თვალმა ნაპერწკლები გაჰყარა და ჯადოსნურ ფერებად აციმციმდა.

– ესეც საშკამ გამოგიგზავნა?!

– დიიაახ! მობილური ტელეფონიც, ოღონდ ჯერ არ ჩამირთავს, ვერ მოვასწარი. ხვალ გამომყევი, რა?!

– რა იშოვა შენმა ძმამ ასეთი?! – გაუკვირდა გოგიჩას. – რას ვაკეთებო, არ უთქვამს?!

– არა. მარტო ის უთხრა ლილის ლევანთან ერთად ვმუშაობ და მალე არაფერი გაგიჭირდებათო. ბებომ მითხრა, სულ რომ ძაღლზე ოცნებობდი, გიყიდიო... – სხაპასხუპით მიაყარა ინამ და ჯიბეში რაღაცას დაუწყო ძებნა.

– ჰოდა, მეტი რა გინდა... რაღა – შენ და რაღა – თიკო ნინუა! შეიძლება, მალე გამარჯობაც აღარ მითხრა!

ინა გამწარდა, გოგიჩას ზურგში მუშტები დაუშინა და სატირლად მოიღრუბლა.

– საზიზღარი ვინმე ხარ, გოგიჩ! სულ იმას ფიქრობ, ნერვები რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გორ მომიშალო!.. საშკამ საჩუქარი შენთვისაც გამოგზავნა, მაგრამ ვხედავ, ღირსი არა ხარ!

– რა საჩუქარი? – დაინტერესდა ბიჭი.

– აი, გამომართვი. საშკამ თქვა, თუ ჭკვიანად მოიქცევა, კიდევ გამოვუგზავნიო...

ინამ ჯიბიდან ტკიცინა ასდოლარიანი ამოიღო და გოგიჩას მუჭში ჩაუჩურთა. ბიჭმა მოულოდნელობისაგან პირი დააღო.

– გაგიჟდი, გოგო? ეს რა არის?

– მე რა შუაში ვარ? რაც შენმა ძმაკაცმა თქვა, იმას ვაკეთებ...

– ჰმ, ძმაკაცმა... ჯერ გაიგოს, რა ჩავიდინე!.. მგონი, თავის ჩამოსახრჩობი თოკი გამომიგზავნოს! – ჩაიბურტყუნა გოგიჩამ და ფული ხელში გულგრილად შეატრიალა.

– განსაკუთრებული არაფერი ჩაგვიდენია! – მხრები აიჩეჩა ინამ.

– მართლა?!

– დიახ, მართლა! ეს შენ ჰქმნი ყველაფრიდან ტრაგედიას, თორემ...

– თორემ... მეგობრის და რომ შევიყვარე, ნორმალურად მოვიქეცი, არა?!.

– სიყვარულმა მეგობრის და თუ ბიძაშვილი არ იცის...

– სამაგიეროდ, მე უნდა მცოდნოდა, – ამოიოხრა ბიჭმა.

– სანამ არ ამატირებ, არ გაჩუმდები?! – უკმაყოფილოდ ჰკითხა ინამ და ცხვირი ქურქის ფუმფულა საყელოში ჩარგო. – იცოდე, ახლავე სახლში წავალ! – დაემუქრა.

– ოღონდ ეგ არ ჰქნა და, მზად ვარ, სამუდამოდ დავმუნჯდე!

ინა მოულოდნელად გაჩერდა, ბიჭისკენ შებრუნდა, ორივე ხელი ყელზე შემოხვია და სახით მკერდზე მიეკრა.

– გოგიჩ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!..

ბიჭმა საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი. აკანკალებულმა ინა უფრო მაგრად მიიხუტა და იგრძნო, ბედნიერებისაგან როგორ შეეკუმშა გული.

– ოჰ, ინა! შენ მე ნამდვილად ბოლოს მომიღებ!..

ინამ თავისი გრძელი თითები პირზე ააფარა ბიჭს. ფეხის წვერებზე წამოიწია და ტუჩებით ფრთხილად შეეხო ყურთან. გოგიჩას ნეტარების ჟრუანტელმა თხემით ტერფამდე დაუარა, ინა ხელში აიტაცა და დაატრიალა.

– ნელა, გადარეულო, ხელიდან არ გაგიფარდე! – აკისკისდა გოგონა.

– ნუ გეშინია, გაჩუმდი და მაღლა აიხედე, – უჩურჩულა ბიჭმა.

ინამ დაუჯერა... ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ნელ-ნელა დაეშვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქვევით, მათთან ერთად ჩაება სიყვარულის ფერხულში... უზარმაზარმა სიხარულმა პირთამდე ააგსო ორივე და კარგა ხნით მოსწყვიტა რეალობას...

* * *

თავის განუყრელ, საყვარელ სარწეველა სავარძელში მჯდარი ქალბატონი ლილი ინას ჯემპრს უქსოვდა და საშკაზე ფიქრობდა: „ამდენი ფული ასე უცებ საიდან უნდა ეშოვნა?! როგორ უთხრა?! – ჯერ ეს იყოს და მალე უფრო მეტს გამოგიგზავნითო. ის კი არაფრით გაამხილა, სად მუშაობს... არადა, თავიდან როგორი გულგატეხილი ჩანდა... ახლა კი თითქმის ყოველდღე რეკავს, იმედიანი ხმა აქვს, მხიარული... ინას არაფერი მოაკლოო, – მეხვეწება... სულ არ გაატუტუცოს ეს გოგო... როგორ დააგვიანა, უკვე მერამდენედ, ნეტავ სად დადის გვიანობამდე?„ – ქალმა ქსოვა შეაჩერა და ამოიოხრა." – რა უცებ გაიზარდნენ ბავშვები!.. იმდენი ყურადღება უნდათ... არა, დარწმუნებული ვარ, ცუდს არც ერთი არ ჩაიდენს, მაგრამ ვინ იცის, ეშმაკს არ სძინავს... ვაითუ, ამ გარყვნილი დედაკაცის გენმა რაღაცაში მაინც იჩინოს თავი"... – ქალს რძალყოფილის გახსენებაზე სხეულში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.

კარმა ფრთხილად გაიჭრიალა და ჯერ ინას პაჭუა ცხვირი გამოჩნდა, მერე – შუბლზე უწესრიგოდ დაყრილი ქერა კულულები, ბოლოს კი მთელი ტანით შემოძვრა და სავარძლის წინ გალახული ლეკვივით აიტუზა... ლილიმ თვალი მოარიდა.

– ბე, მიბრაზდები?

– შენ როგორ გგონია? – კითხვითვე მიუგო ქალმა და ჩხირები გამალებით აამოძრავა.

– მიბრაზდები! – დაასკვნა ინამ. – ოღონდ რატომ – ვერ გამიგია...

– ძალიან ცუდია, თუ ვერ გაგიგია! სადა ხარ აქამდე?

– კინოში ვიყავით გოგოები...

– ნუ მატყუებ, ინა! ხომ იცი, მაშინვე გეტყობა! – ალერსით მოუთათუნა ბებიამ ცხვირზე თითი.

ინას გაეცინა:

– კარგი, კინოში არ ვყოფილვარ... ვსეირნობდი...

– მარტო?

– არა, გოგიჩასთან ერთად. მასწავლებელთან მომაკითხა და ცოტა გავიარეთ.

– წავიდა? – ლილიმ დაკვირვებით შეათვალიერა შვილიშვილი.

– ვინ, გოგიჩა?

– ახლა არ თქვი, გოგიჩასთან ერთად ვსეირნობდიო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– პოო, მართალია, მომაცილა და სახლში წავიდა.

– რატომ არ ამოვიდა?! – გაუკვირდა ლილის. – ამ ბოლო დროს სულ ამოიკვეთა ფეხი.

– რა ვიცი, აბა... რაღაც საქმე ჰქონდა... – სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა ინამ და იმის შიშით, გოგიჩაზე ალარაფერი მკითხოს, სასწრაფოდ დაუმატა: ჩაი არ დაგლიოთ?

– თუკი გინდა... ბებომ საქსოვი გვერდზე გადადო და წამოიწია.

– იჯექი, მე წავალ, ჩაიდანს დავადგამ...

ინამ ჩანთა და ქურქი საწოლზე მიაგდო და სამზარეულოსკენ გაბაკუნდა. გულში უხაროდა, სახიფათო საუბარს რომ დააღწია თავი. თუმცა იმასაც შესანიშნავად ხვდებოდა, ასე დიდხანს რომ არ გასტანდა... იქნებ ჯობდა, დღესვე ეთქვა სიმართლე?.. საკმარისი იყო, ჰაერი ღრმად ჩაესუნთქა, პირი გაეღო და ერთი სიტყვა ეთქვა – მხოლოდ ერთი სიტყვა... მერე კი სათქმელი თავისთავად აეწყობოდა: მართალია, შედეგზე, რომელიც ამ საუბარს აუცილებლად მოჰყვებოდა, ინას წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თაეისუფლად ამოისუნთქავდა და აღარც თვალთმაქცობა დასჭირდებოდა, რაც საერთოდ არ ეხერხებოდა.

ინამ ამოიოხრა და აშიშინებული ჩაიდანი ქურიდან გადმოდგა.

– ბებოოო, მოდიხარ? – გასძახა ლილის და მაგიდაზე ჩაის ფინჯნები დააწყო.

ლილიმ სკამი გამოწია, მაგიდას მოუჯდა და გოგონას გამომცდელად შეხედა.

– რა მოხდა, ბე?

– რამდენჯერ გითხარი, „ბეს" ნუ მეძახი-მეთქი! – ვითომ გაბრაზდა ქალი. – ისევ პატარა კი არა ხარ!

– აბა, რომ მეუბნებოდი, ჩემთვის ყოველთვის პატარა იქნებიო? – ყასიდად გაიბუტა გოგონა.

– დიდი ეშმაკი ვინმე ხარ, რაც გინდა, იმას შესანიშნავად იმახსოვრებ! მხოლოდ... დღეს რაღაც უცნაურად გამოიყურები...

– უცნაურად – რატომ? – დაიძაბა ინა.

– ცოტა აფორიაქებული მეჩვენები, დაბნეული... ხომ არაფერს მიმალავ?!

– არა-ა, რას ამბობ! – იუარა გოგონამ. – უბრალოდ, საშკა მომენატრა, სახლი თითქოს ცარიელია მის გარეშე...

– მართალი ხარ... – ამოიოხრა ქალმაც. – გოგიჩამაც როგორ გვიღალატა?.. ადრე სულ აქ იჯდა...

ლილი ბებიამ ფინჯნებში ჩაი დაასხა და შვილიშვილისკენ ეშმა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერი მზერა გააპარა. ინამ თითქოს ვერ გაიგონა ბებიის ნათქვამი. ჯერ დაჭრა, მაცივრიდან კარაქი, ყველი, მურაბის ქილა გამოიღო. ქილას თავი მოხადა.

– ლელვის მურაბა... როგორ უყვარს საშას! – ჩაილაპარაკა ლილიმ.

– გოგიჩასაც... – წამოსცდა ინას, დანაშაულზე წასწრებული ონავარი ბიჭივით ჭარხალივით გაწითლდა და თავი ჩალუნა. ბებია წამოდგა. შვილიშვილს ნიკაპი აუწია, ღიმილით თვალებში ჩახედა.

– აბა, არც ახლა არაფერი ვაქვს სათქმელი?

ინა გაშეშებული იდგა, სიტყვის დაძვრა ვერ მოეხერხებინა, მოულოდნელად ამოიფშლუკუნა, ლილის მკერდზე მიეკრა და გულამოსკვნილი ატირდა.

– ჩუმად, ჩუმად, ნუ ტირი!.. მოდი, დავსხდეთ, დამშვიდდი და ყველაფერი დალაგებით მომიყევი.

– არ შემიძლია... – ამოიოხრა ინამ.

– რატომ?

– იმიტომ! – გააგრძელა სლუკუნი.

– ასე არ შეიძლება, ინა! საკმაოდ დიდი ხარ იმისთვის, რომ საკუთარ საქციელზე პასუხი აგო. მითხარი, გოგიჩა გიყვარს? – ლილის ხმა გაუმკაცრდა.

ინა გაისუსა.

– ინა, მიპასუხე! გოგიჩა გიყვარს?

– ჰო...

– იმას?

– ვუყვარვარ! – ჩაიბურტყუნა გოგონამ.

– მერე?!

– მერე... საშასი ეშინია... – ინამ ბებოს თვალი მოარიდა, ფანჯარასთან მივიდა და სიბნელეს გახედა.

– როგორ თუ ეშინია? – გაუკვირდა ქალს.

– არა, კი არ ეშინია, ერიდება... – დააზუსტა ინამ და ისე ამოიოხრა, გული ამოაყოლა.

– და, რადგან ერიდება, ასე ქუჩა-ქუჩა უნდა იწანწალოთ? მაინც, როდემდე აპირებდით ამ ამბის დამალვას? – გაბრაზდა ლილი.

– სულაც არ ვაპირებდით რამეს დამალვას, უბრალოდ, შესაფერ მომენტს ვეძებდით. სხვათა შორის, დღესაც მინდოდა...

– არა, ჩემო კარგო, ასე არ შეიძლება. გოგიჩას დაურეკე, უთხარი, ხვალ ჩვენთან მოვიდეს. უნდა დაველაპარაკო და თუ მართლა ასე გიყვართ ერთმანეთი... ერთი სიტყვით, საშასთან ორივენი ტყუით... დამაცადე, მათქმევინე ბოლომდე!.. წარმომიდგენია, როგორ ინვერვი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ულებს, როცა ამ ამბავს გაიგებს. მაგრამ გიმეორებ, თუ მართლაც ძალიან გიყვართ ერთმანეთი, საშას მე დაველაპარაკები, ავუხსნი და, დარწმუნებული ვარ, გაგიგებთ. მხოლოდ... – ბებიამ ინას გამომცდელად შეხედა და გაჩუმდა...

– მხოლოდ რა?! – ველარ მოითმინა გოგონამ.

– პირობა უნდა მომცე, რომ წესიერად მოიქცევი!

– ნეტავ უწესოდ როდის ვიქცეოდი? – ეწყინა ინას.

– წესიერად მოქცევაში იმას ვგულისხმობ, რომ უნდა ისწავლო, გვიანობამდე აქეთ-იქით ხეტიალს თავი ანებო და არასოდეს მომატყუო.

– არასოდეს მიცდია შენი მოტყუება, უფრო მეტიც – ტყუილი საერთოდ არ მეხერხება...

– ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა დავიძინოთ, ხვალ კი გოგიჩასთან დარეკვა არ დაგავიწყდეს. ნუ ჯავრობ, ყველაფერი კარგად იქნება. ოხ, შე ეშმაკო, შენა! – ლილიმ შვილიშვილს ალერსით მოქაჩა კულულები და შუბლზე აკოცა.

გახარებულმა ინამ შვებით ამოისუნთქა და ხტუნვა-ხტუნვით გავარდა სამზარეულოდან. ბებიამ ღიმილით გააყოლა თვალი, თითქოს უზარმაზარი ლოდი მოსცილდა გულიდან. „კიდევ კარგი, ისევ გოგიჩა და არა სხვა, ვიღაც უცხო, გადამთიელი. გოგიჩა კარგი ბიჭია, ჭკვიანი, წესიერი. ჩემ თვალწინ გაიზარდა, მშვენიერი მშობლები ჰყავს. მიხედავენ ჩემს გოგოს. აი, საშა კი ნამდვილად გადაირეკა – ბიჭებს ცოტა სხვანაირად ესმით ასეთი რაღაცები. საოცარია, როგორ ვერ შეამჩნია გოგიჩას, რომ ინა უყვარდა? მაგრამ ისე იყო უკანასკნელ ხანს საკუთარი პრობლემებით დათრგუნული, სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა... საშკა, ნეტავ, სად ხარ, შვილო, ახლა? ვისთან ხარ... იმ ლევანზე კი ამბობენ გოგიჩა და დათო, მაგარი ვინმეაო, მაგრამ, ნუთუ შესაძლებელია, იმ გველების ბუდიდან ნორმალური ადამიანი გამოსულიყო?... არა, როგორც კი დარეკავს საშა, აუცილებლად ყველაფერს ათქმევინებს, თორემ გასკდა გული ნერვიულობით და ესაა...“

ლილიმ სამზარეულოში სინათლე გამოთიშა და ინას ოთახში შევიდა. გოგონას უკვე ეძინა, სახეზე ბედნიერი ღიმილი ეფინა. დაიხარა, საბანი შემოუკეცა, შუბლზე ფრთხილად შეეხო ტუჩებით... „მაშ, გოგიჩა?!. ჰმ, უყურე ერთი ამათ! თუმცა სულაც არ მიკვირს. ისეთი შეყვარებული თვალებით უყურებდნენ ხოლმე ერთმანეთს, ვგრძნობდი, ასე რომ მოხდებოდა. გოგიჩა ცუდი ბიჭი არ არის... ცოტა დაბნეულია, მაგრამ კარგი კაცი დადგება... მთავარია, საშკა არ გადამერიოს...“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

• • •

ლოგინში გულალმა მწოლარე საშკა ჭერს მიშტერებოდა და ფიქრობდა. ერთი თვე გავიდა, რაც კაზინოში დაიწყო მუშაობა. იმდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ... – საშამ ამოიოხრა და გვერდი იცვალა.

– არ გძინავს? – საწოლის ჭრიალზე თავი წამოჰყო ლევანმა.

– არა...

– რატომ ოხრავდი?

– რა ვიცი, ისე...

– შეუძლებელია, ტყუილუბრალოდ არ ოხრავენ... – ლევანი წამოდგა. შარვლის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ფანჯარასთან მივიდა, სიგარეტს მოუკიდა და საშკას ღიმილით გაუმეორა: ტყუილუბრალოდ არ ოხრავენ-მეთქი.

– დიდი ხანია, რაც სიგარეტის მოწევა დაიწყე? – სიტყვა ბანზე აუგდო საშამ.

– არც დამინებებია, ოღონდ დღეში ერთი ღერიც მყოფნის და ამიტომ ვერ ამჩნევ. მითხარი, რატომ ოხრავდი?

– შენი ნათქვამი გამახსენდა...

– რა ნათქვამი? – გაიოცა ლევანმა.

– „გარანტიას გაძლევ, მალე ფული საერთოდ შეგძულდებაო"...

– ააა! – თქვა ლევანმა და სიგარეტის კვამლს თვალი გააყოლა...

– რა საშინელი საყურებლები არიან, არა? როგორ ნელ-ნელა კარგავენ ადამიანურ სახეს და ცხოველებს ემსგავსებიან – მოთამაშეებს ვგულისხმობ.

– მივხვდი. ისე, კაცმა რომ თქვას, საოცარი ამაში არაფერია, თუ გავითვალისწინებთ ადამიანის ბუნებას... საერთოდ, ფული საზიზღარი რამეა, ყველას აფუჭებს.

– ყველას არა! – შეედავა საშა.

– ყველას, ჩემო საშა, ყველას! ოღონდ გააჩნია რაოდენობას. შენ რა გგონია, დიდი ფული შენც გაგაფუჭებს!.. გაგხრწნის, გადაგაგვარებს...

– შეუძლებელია...

– ძალიან შესაძლებელია, – გაეცინა ლევანს. – ბევრი ფული ისეთივე საშინელებაა, როგორიც უფულობა.

საშკა ლოგინში წამოჯდა და პროტესტის ნიშნად ხელი გაიქნია:

– არც ასეა საქმე! ფულით იმდენი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება, იმდენი სიკეთის... მე რომ ბევრი ფული მქონდეს, რამდენ გაჭირვებულს დავეხმარებოდი!..

– თავიდან ყველა ასე ლაპარაკობს... მაგრამ შენ ეს საშიშროება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნამდვილად არ გემუქრება, იმიტომ, რომ დიდ ფულთან არავინ მიგიშვებს, – დაასკვნა ლევანმა, სიგარეტის ნამწვი ფანჯრიდან გადაგდო და რაფიდან იატაკზე ჩამოხტა. – რა ჰქენი, თბილისში დარეკე?

– ორი დღეა, ველარ მოვახერხე, თან ბებიაჩემის შეკითხვებმაც დამღალა.

– რაო?

– გინდა თუ არა, მითხარი, სად მუშაობ.

– შენც უთხარი, რას მალავ?

– გადაირიე? შეკითხვები მერე ნახე! სულს ამომხდის!.. რამე უნდა მოვიფიქრო... აღარ წვები?

– რაღა დროს ძილია, ოთხი საათი გახდა! ადექი. სადმე გავიდეთ, შევჭამოთ რამე, თორემ დღეს სადილის კეთების გუნებაზე არა ვარ. – ლევანმა კარადიდან პირსახოცი გამოიღო და სავარძელზე მიფენილ ხალათს დასწვდა. – წავედი აბაზანაში...

ერთი საათის შემდეგ ჩაფუთნილი საშა ქვემოთ იდგა და ელოდა, ლევანი მანქანას როდის მოიყვანდა სადგომიდან. საკმაოდ შემცივნულმა კარი გამოაღო და მეგობარს ხელების ფშვნეტით ჰკითხა:

– სადა ხარ აქამდე?

– ცოტა დაქოქვა გაუჭირდა. გზად პროფილაქტიკაში მომიწევს შევლა, შემახსენე.

– რატომ არ გამოცვლი?

– რას, მანქანას?

– იყიდე შენც ერთი „ინომარკა"! ვერ ხედავ, გენა რა მანქანით დადის?

– არა, საშკა, მე მაგის კაცი არა ვარ. თანაც, სხვა გეგმები მაქვს, სიცოცხლის ბოლომდე მაგ კაზინოში დარჩენას კი არ ვაპირებ!.. საჭირო თანხას თავს მოვუყრი თუ არა, მაშინვე წავალ აქედან.

– სად?

– რა ვიცი... ქვეყანა დიდია... ევროპაში – გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში...

– ახლა არ შეგიძლია წასვლა?

– ხომ გითხარი, სხვა გეგმები მაქვს-მეთქი. მათხოვარივით არსად ავალ და რესტორნებში ჭურჭლის რეცხვას არ დავიწყებ. უამრავი იდეა დამიგროვდა. ისევ ფუნჯი უნდა ავიღო ხელში, მერე კი...

– მერე, რა?! – ჩაეძია საშა.

– არაფერი... სხვა დროს გეტყვი... – ლევანმა პასუხს აშკარად აარიდა თავი და მანქანა ჰაჭარა კაფესთან მიაყენა.

www.PDP.ChiaturaINFO.GE

– გადმოდი. აქ შედარებით იაფიცაა და კარგადაც ამზადებენ.

სადილმა სრულ სიჩუმეში ჩაიარა. ლევანი საკუთარ ფიქრებში ჩაიძირა, არც საშა უშლიდა ხელს, თავისთვის იჯდა, ჭამდა და კაფეში მსხდარ ხალხს ათვალიერებდა. მოშორებით მდგარ მაგიდასთან გოგონა შენიშნა. ქალიშვილი გვერდულად იჯდა და. მიუხედავად იმისა, რომ სახის ნახევარს უსაშველოდ შავი მსხვილკულულებიანი თმა უფარავდა, საშკამ მაშინვე შენიშნა, რომ გოგონა საოცრად ლამაზი იყო. უკეთესად რომ შეეხედა, ბიჭმა სკამი ოდნავ უკან დასწია. მაგრამ ქალიშვილის გვერდით აყუდებულმა უზარმაზარმა მუტრუკმა ზუსტად მაშინ შეიცვალა ადგილი და სასურველ ობიექტს მთელი ტანით ჩამოეფარა. საშკას გული მოუვიდა, აწრიალდა, რამდენჯერმე გაიხედა ქალიშვილისაკენ. ლევანს მხედველობიდან არ გამოპარვია ბიჭის მოუსვენრობა.

– რა მოხდა, საშკა?

– არაფერი...

– კისერი კი მოგელრიცა და... – ჩაეცინა ლევანს და თითით ოფიციანტს უხმო.

– მაგარი გოგო ჩანს... – ისევ მიიხედა საშამ.

– მოეშვი, ვერ ხედავ, დაცვა რომ ახლავს?

– დაცვა?

– აბა რა! როგორც შემოვიდნენ, მაშინვე შევნიშნე... ეგეთი ქალები ჩვენისთანა ბიჭებისთვის არ არიან...

– ალბათ ვინმე „ბაბუს“ ცოლია, არა?

– არა მგონია. უფრო – საყვარელი იქნება. ან...

– ან?!.

– ახლავე აგიხსნი. არის მეძავების გარკვეული კატეგორია, რომლებზეც ყველას არ მიუწვდება ხელი. საათში დაახლოებით იმდენივეს იღებენ, რამდენსაც ჰოლივუდის კინოვარსკვლავები. ასე რომ...

– ასე რომ, ალარ მივიხედო, არა? – გაეცინა საშკას.

– ჭკვიანი ბიჭი ხარ, უცებ მიხვდები ხოლმე... – თვალი ჩაუკრა ლევანმა. – შენ გული არ გაიტეხო, თუ გინდა, ისეთ გოგოებს გაგაცნობ...

– არა, არ მინდა, როგორმე მე თვითონ, ოღონდ ეგაა... – საშკას უნდოდა ეთქვა, შენი დის შემდეგ სიყვარულზე ფიქრიც ალარ შემიძლიაო, მაგრამ გაჩუმდა და მხოლოდ ამოიოხრა.

– ჩემი და ისევ გიყვარს? – ჰკითხა მოულოდნელად ლევანმა და ოფიციანტს ფული გაუწოდა.

საშა გაფითრდა. თავს არ უტყდებოდა, ორეომ თიკოს მწვანე თვა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლები დღემდე უკარგავდა მოსვენებას. თუმცა ვერც ამ სიმწარეს ივი-წყებდა, მან და მისმა ოჯახმა რომ მიაყენეს.

– იცი, ლევან... თიკომ ძალიან დამამცირა... ისე მატკინა გული...

– ვიცი, ვიცი, – მხარზე ხელი დაჰკრა ლევანმა. – საპატიე, რომ გაგახსენე...

– არაფერია... გავდივართ?

– ჰო, წავიდეთ!

ლევანმა მაგიდიდან მანქანის გასაღები და ხელთათმანები აიღო და გასასვლელისაკენ გაემართა. საშკა უკან გაჰყვა. ქალიშვილის მაგიდას რომ ჩაუარა, ვერ მოითმინა და ნაბიჯს უკლო...

გოგონა მართლაც იშვიათი სილამაზის აღმოჩნდა. ოდნავ გრძელი, თხელი სახის ოვალს ძვირფას ჩარჩოსავით შემოეკლებოდა კუპრივით შავი, ხვეული თმა. სახის კანი მუქი ჰქონდა, ოქროსფერი, არა, უფრო სწორად – რძიანი ყავის ფერი. საშკა მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ ქალიშვილი შერეული სისხლისა უნდა ყოფილიყო, ალბათ – რუსისა და მულატის... დაცვის ბიჭები რაღაცას უყვებოდნენ, ის კი გრაციოზულად აბოლებდა სიგარეტს, წინ ყავის ნახევრად დაცლილი ფინჯანი ედგა და ხმამაღლა კისკისებდა. გრძელი, თლილი ფეხები მთლიანად მოუჩანდა გამჭვირვალე კაბიდან. უცებ, თითქოს საშკას დაჟინებული მზერა იგრძნოო, გაჩუმდა და მიმოიხედა. საშკას კინაღამ მუხლმა უმტყუნა, როცა ქალიშვილის მწვანედ მოელვარე თვალები დაინახა.

– საშკა, აღარ მოდიხარ? ვაგვიანებთ, – გამოარკვია ლევანის ხმამ. გულდაწყვეტილმა ბიჭმა უკანასკნელად შეავლო თვალი მწვანეთვალება ანგელოზს და კაფედან გამოვიდა.

* * *

ყურის ნიჟარაში ჩადგმული პაწაწინა გადამცემი გულისგამაწვრილებლად ზუზუნებდა და საშკას ნერვებს უშლიდა. კარიც შეუსვენებლად ბრუნავდა, კაზინო ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით.

– საშა, ყურადღებით! – ლევანის მკაცრმა ხმამ ბიჭი რეალობას დაუბრუნა. – შემოსასვლელისკენ შებრუნდი. ვადიმიც გააფრთხილე, ლენას გარშემო წრიალს თავი ანებოს და საქმეს მიხედოს.

საშკა ბარის დახლზე დაყრდნობილ ვადიმს მიუახლოვდა და ოდნავ შეეხო მხარზე.

– რა ხდება? – უკმაყოფილოდ შეუბღვირა ვადიმმა.

– ლევანმა – საქმეს მიხედოსო. – კარისკენ ანიშნა საშკამ.

– ხუთი წუთი რომ დავისვენო, იმის უფლებაც არა გვაქვს! – აბუზღუნდა ვადიმი და ზანტად გასწორდა წელში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გადამცემი ჩართე და წუწუნს მორჩი... თუ მუშაობა არ გინდა, ვინ გაძალებს? – პირქუშად ჩაილაპარაკა საშამ.

– შენ ვინლა გეკითხება, ლაწირაკო! – წამოჭარხლდა ვადიმი. – დამაცადეთ, მალე ყველას მოგივლით! – დაიქადნა გაგულისებულმა და შემოსასვლელისკენ გაემართა. იქვე მდგარმა ლენამ ყველაფერი გაიგონა, საშას მადლიერების ნიშნად გაუღიმა და მწვანე ხავერდგადაკრულ სათამაშო მაგიდისკენ გაეშურა. საშამ ამოიოხრა და ვადიმს მზერა გააყოლა.

– საშკა, შემოსასვლელს მიხედე! – ისევ გაიგონა ლევანის ხმა. და იქით გაიხედა. კაზინოს შემინულ კართან ახალთახალი წითელი „პორშე" გაჩერდა. უნიფორმიანი შვეიცარი განსაკუთრებული ფაციფუცითა და მოწიწებით მიიჭრა მანქანასთან, რათა სალონში ამაყად მჯდარ ქალბატონს გადმოსვლაში დახმარებოდა. საშკამ რამდენიმე ნაბიჯით გადაკვეთა დარბაზი და შემოსასვლელთან ზუსტად იმ დროს აღმოჩნდა, როცა ძვირფას ქურქში გამოწყობილმა მედიდურმა ქალბატონმა კაზინოში ფეხი შემოდგა... კართან უხერხულად ატუზულ ბიჭს ამრეზით შეხედა და პირდაპირ ვადიმისაკენ აიღო გეზი. მერე უცებ შეჩერდა, შემოტრიალდა, უცნაურად შეათვალიერა საშკა, მისკენ გრძელ, თლილ, ბრილიანტებასხმულ თითებში გაჩრილი მუნდშტუკი გაიშვირა და მოახლოებულ გაბადრულ ვადიმს მკვახედ ჰკითხა:

– ეს ვინ არის?!.

უცნაურმა ჟრუანტელმა საშას მთელ სხეულში დაუარა და უნებლიეთ შეაჟრჟოლა. ქალის ცივი თვალების ელვარებამ შეაშფოთა და მოუსვენრად აწრიალდა. ბევრს ეცადა, მაგრამ ეს მზერა ვეღარ მოიცილა. ქალმა დაუდევრად მიაგდო ძვირფასი ქურქი ბარის უზურგო მაღალფეხა სკამზე, თვითონაც იქვე მოკალათდა, მუნდშტუკში ახალი სიგარეტი ჩაამაგრა, ზანტად გააბოლა და ერთგული ძაღლივით კუდაქიცინებულ ვადიმს შეკითხვა გაუმეორა:

– ის ბიჭი ვინ არის?

ვადიმმა ისე გაიოცა, თითქოს ვერ მიხვდა, ვისი ვინაობა აინტერესებდათ.

– ვინ ბიჭი, ძვირფასო ლიზი? – შესცინა ქალს.

– თავს ნუ ისულელებ! – უკმაყოფილოდ აიმრიზა ლიზა. – ხომ იცი, ვერ ვიტან იდიოტებს! იმ ტიპზე გეუბნები, შემოსასვლელთან რომ დგას. ახალია?

– აა, ლაწირაკზე ამბობ? ლიზა, საყვარელო, ის ხომ შენი ყურადღების ღირსი არ არის!.. მე ვფიქრობ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სულაც არ მაინტერესებ, შენ რას ფიქრობ, დარწმუნებული ვარ, ჭკვიანურს ვერაფერს მოიფიქრებ! – უხეშად შეაწყვეტინა ქალმა და სიგარეტის კვამლი სახეში შეაბოლა. ვადიმი დაიბოლმა, მაგრამ არ შეიმჩნია. მხოლოდ სიძულვილით სავსე მზერა სტყორცნა დაბნეულ საშას და ქალს ნაძალადევად გაულიმა.

საშკა კი იდგა... ამ ქალმა შორეული მოგონება გაუცოცხლა, თუმცა – გაურკვეველი და ბურუსით მოცული. თითქოს იყო მასში რაღაც ნაცნობი, მაგრამ – რა?! ან საიდან უნდა სცნობებოდა უბრალო თბილისელ ბიჭს მოსკოვის ერთ-ერთი ფეშენებელური კაზინოს მეპატრონის მედიდური ცოლი?!. თუმცა... ო, ღმერთო, არა!.. აზრი რომელიც იმ წუთში საშას გონებაში მომწიფდა, საშინელი იყო და ბიჭს ამაზე ფიქრი არ სურდა.

– ითამაშებ? – ჰკითხა ვადიმმა ლიზას, რომელიც ისევ საშკას უყურებდა.

– შეიძლება. თუმცა არა... დღეს სხვა გეგმები მაქვს. უმჯობესია, ვისკი დამისხა. ორმაგი, გაუზავებელი, ყინულის გარეშე...

– იქნებ „მარტინი" დაგელია, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს სვამ...

– „მარტინი" შენს ცხვირმოუხოცავ თავაშვებულ თინეიჯერებს დაალევინე, ჩემი მოცემული ფულით აქეთ-იქით რომ დაასეირნებ! – გაღიზიანდა ქალი და სიგარეტიანი ხელი ოდნავ შესამჩნევად აუკანკალდა.

ნირწამხდარი ვადიმი ბართან მივიდა, ვისკის ბოთლს ხელი წაატანა, ორი პატარა მუცელგაბერილი ჭიქა პირთამდე შეავსო და ქალთან დაბრუნდა. ლიზის ზედაც არ შეუხედავს ვადიმისთვის, მოულოდნელად წამოდგა და მეორე სართულზე ამავალი კიბისკენ გემართა.

– ლენას უთხარი, ქურქი და სასმელი ამომიტანოს! – უბრძანა ჭიქებით ხელში გაშეშებულ, სულელივით მოღიმარ ვადიმს და ტანის კეკლუცი რხევით აუყვა საფეხურებს.

ვადიმმა ჯავრი უდანაშაულო ჭიქებზე იყარა. ისე დაახეთქა მაგიდაზე, ვისკი შხაპუნით გადმოიღვარა მუქი ხის კრიალა ზედაპირზე. მერე გულმოსული გაემართა ჯერ ისევ გაოგნებული საშასკენ და შეუბღვირა.

– ოლბლიან ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული, – ჩაუსისინა გველივით.

საშკას არ ესიამოვნა მისი აგრესიული კილო.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა გულგრილად და ყურის ნიჟარაში მოთავსებული გადამცემი შეისწორა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მშვენივრად ხვდები, რასაც ვგულისხმობ! – ჩაიცინა ვადიმმა. – ქალბატონს მოეწონე, ეს კი ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს! – თითი მრავალმნიშვნელოვნად შემართა და ისევ გაიცინა.

– თუ ძმა ხარ, რებუსებით ლაპარაკს მოეშვი და იმუშავე! – გაბრაზდა საშა. – ნუ გეშინია, მე დონჟუანების რიცხვს არ მივეკუთვნები, არც სხვისი ცოლებისკენ გამირბის თვალი ზოგიერთებივით... ასე რომ... სანერვიულო არაფერი გაქვს.

ვადიმი გაფითრდა.

– დიდი სიამოვნებით დაგამტვრევდი ცხვირ-პირს!.. – გამოსცრა კბილებსშუა.

– მერე, ხელს რა გიშლის? – მშვიდად მიუგო საშამ.

– აქ ხომ არ გავმართავ მუშტი-კრივს?!

– რატომ – აქ? აი, მოვრჩებით სამუშაოს და... – ჩაიცინა საშამ.

– გველის წიწილო, დამაცადე, მოგივლი როგორმე! – დაიქადნა ვადიმმა, საშას მოსცილდა და ახლა ლენას მიადგა. გოგონა მის დაღვრილ ვისკის წმენდდა მაგიდის ზედაპირიდან. ზურგით მდგარს არ შეუმჩნევია ვადიმის მიახლოება, ამიტომ ბიჭის უხეში ხმის გაგონებაზე ოდნავ შეკრთა:

– რატომ არ მუშაობ?

ლენამ არაფერი უპასუხა, მაგიდის წმენდა განაგრძო.

– შენ გეკითხები! – ხმას აუმაღლა ვადიმმა.

– ხომ ხედავ, მაგიდას ვწმენდ! – ჩაიბურტყუნა გოგონამ.

– თუ მეხსიერება არ მღალატობს, აქ დამლაგებლად სხვა მუშაობს.

– მაინც არაფერს ვაკეთებ... არ არის ჩემს მაგიდასთან ხალხი... კოსტიამ მთხოვა და ვეხმარები.

– კოსტიას ვინ ჰკითხავს?! როდის აქეთ აქვს მბრძანებლობის უფლება?

– შენც არავის დაუყენებიხარ უფროსად, თავი დამანებე! – მიახალა ლენამ, წმენდას მორჩა და ბარისაკენ გაემართა.

– ერთხელაც იქნება, მოთმინებას დამაკარგვინებ და...

– და... დაამთავრე, რისი თქმა გინდა! – ლენა ერთიანად გაფითრდა და ტუჩები აუთრთოლდა.

– პატიოსნად რომ მოგაქვს თავი, გგონია, არ ვიცი, ლევანს რომ ეკურკურები?.. ვერ ხედავ, ძაღლად რომ არ გაგდებს? ისე, საშაზეც არ იტყოდი, მგონი, უარს... მარტო მე მეპრანჭები, შენი დედაც... – შეიკურთხა ვადიმმა და გოგონას მაჯაში უხეშად წაავლო ხელი.

– ვადიმ! ლევანმა – გადამცემში ჩართოს და ზევით ამოვიდესო! –

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი წამოჭარხლებულ ვადიმს მიუახლოვდა და კიბისკენ ანიშნა.

– არა უშავს, მოვიცლი შენთვისაც! – უტიფრად ჩაიბურტყუნა ვადიმმა, ლენას ხელი უშვა და კიბისაკენ გაალაჯა.

– სულ გატუტუცდა, – ჩაილაპარაკა კოსტიამ და ლენას გამამხნევებლად გაუღიმა. – ჩამოჯექი, რამეს დაგისხამ.

– საზიზღარი!.. მეტი აღარ შეიძლია, აუცილებლად ვეტყვი გენას. – ხელის გულით ცრემლს იწმენდდა ლენა.

– კარგი, ნუ ინერვიულებ. მგონი, მალე მოაცილებენ აქაურობას. ხომ დაინახე, ქალბატონი როგორ უბღვერდა?

– იმიტომაცაა ასე გაგიჟებული! – ჩაილაპარაკა გოგონამ და მაღალი ჭიქიდან კოქტეილი მოწრუპა.

* * *

ადმინისტრაციის ოთახში რბილ საკარძელში ნახევრადმიწოლილი ლიზა სიგარეტს აბოლებდა. გენა რაღაცას უყვებოდა, ის კი გულიანად კისკისებდა. უცნაური ფორმის პატარა, შავი საფერფლე მოშიშვლებულ მუხლზე ედო და ლევანისკენ იშვიათად თუ გააპარებდა ეშმაკურ, მალულ მზერას.

ლევანი საერთოდ არ აქცევდა ქალს ყურადღებას. ჩართული კამერების ეკრანს მისჩერებოდა და ისე ადევნებდა თვალყურს კაზინოს დარბაზს. კარის ხმაზე შემობრუნდა, ვადიმს წარბშეკრულმა შეხედა და ანიშნა, მაგიდასთან დამჯდარიყო. ბიჭმა აინუნშიაც არ ჩააგდო მისი უსიტყვო ჟესტი, ფეხათრევით წავიდა მაგიდისკენ, ლიზას ღიმილით გადახედა, იქვე მდგარი მბრუნავი სკამი ფეხით გამოსწია, დაჯდა, გამომწვევი პოზა მიიღო და უტიფრად იკითხა:

– რატომ მეძახდით?

– ჯერ წესიერად დაჯექი! – ცივად მიახალა ლევანმა. – რამდენჯერ გითხარი, ლენასთან ბღლარძუნს თავი დაანებე-მეთქი?!. მიპასუხე, შენ გეკითხები!

ვადიმმა თავხედურად ჩაიცინა, იმედიანად გადახედა ლიზას და, იმავე პოზაში მჯდომმა, განაგრძო:

– განსაკუთრებული არაფერი ჩამიდენია. უბრალოდ, გავეხუმრე. გამომივიდა ერთი ეგეც, უკარება!.. თითქოს ის ბავშვი, ღვთისმშობელივით, უკაცოდ ჰყავდეს გაჩენილი... – ახითხითდა საზიზღრად და ფეხი მაგიდაზე შემოდო.

– წესიერად დაჯექი-მეთქი! – ხმა გაუმკაცრდა ლევანს და თვალებში ველური ნაპერწკალი აენთო. – რამდენიმე დღის წინ ხომ გაგაფრთხილე, კაზინოში უწესოდ მოქცევას და თავხედებს ვერ ავიტან-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეთქი?! გაგაფრთხილე თუ არა?!

– გამაფრთხილე... მერე?! – ცოტა არ იყოს, დაფრთხა ვადიმი და შეშფოთებულმა მზერა ლიზასკენ გააპარა, რომელიც გენასთან „ჟლურტულს" განაგრძობდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ბიჭების კამათს.

– მერე?! – ლევანს ირონიულად ჩაეცინა. – მერე ის, რომ ახლა ანგარიშს გავასწორებთ და ხვალიდან ამ კაზინოში შენი ფეხი აღარ იქნება!

ვადიმს მოულოდნელობისაგან კინაღამ ენა ჩაუვარდა. თუმცა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და შეეცადა, უდარდელი სახე მიეღო:

– მადლობა ღმერთს, ეს კაზინო შენი არაა! უფროსები სხვები არიან, ასე რომ...

– ასე რომ... იმას გააკეთებ, რასაც ლევან ალექსანდროვიჩი გეუბნება! – გენა სავარძლიდან წამოდგა, მაგიდას მიუახლოვდა და ლევანს მხარზე ხელი დაადო.

– ეს... ეს... როგორ?.. გენა, ძვირფასო, რატომ, რისთვის? – აბლუკუნდა ვადიმი. ერთადერთ ნუგეშად ლიზა რჩებოდა, მისკენ გაიწია, მაგრამ ქალმა გულგრილად შეავლო თვალი, საფერფლე იატაკზე ჩამოდგა და გენას გაუცინა.

– გენა, Дорогой. А где моя вышивка?!

– ახლავე, ლიზოჩკა, ახლავე, ჩემო კარგო! – აფუსფუსდა გენა, კართან მკვირცხლად მიირბინა და კიბეზე დაეშვა. განცვიფრებული, დაბნეული ვადიმი გაუნძრევლად იდგა. ხელები ულონოდ ჩამოეშვა, ლევანის მაგიდაზე დაწყობილ ფულს მიშტერებოდა და სიტყვის დაძვრა ვერ მოეხერხებინა. კარგახნის ყოყმანის შემდეგ ისევ ლიზას მიაპყრო მუდარით სავსე მზერა:

– ლიზა, საყვარელო... თქვი რამე...

ქალმა ძვირფასი ბეჭდებით დახუნძლული თითები შეითვალიერა და გულგრილად აიჩეჩა მხრები.

– კარგად იცი, ადმინისტრაციული საკითხები მე არ მეხება, თუ რამე პრეტენზია გაქვს, გენას ან Владик-ს მიმართე, ჩემს ქმარს, თუმცა, არა მგონია, რამე შეიცვალოს – ვლადიკი ბიჭებს ძალიან ენდობა... ასე არ არის, ლევან?! – გაეკეკლუცა ბიჭს და თითი ალერსით მოუთათუნა ნიკაპზე. ლევანი დასანახად ვერ იტანდა ლიზასნაირ ქალებს, თუმცა ახლა სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მოეთმინა როგორმე. ამიტომ ნაძალადევად გაიღიმა და ვადიმს ფული გაუწოდა:

– აი, გამომართვი და კარგად იყავი!

– თუ გგონიათ, ჩემი თავიდან მოცილება ასე ადვილია, ძალიან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცლებით! – ჩაისისინა ვალიმმა, ლევანს ფული გამოაგლიჯა და შლეგიანივით გავარდა ოთახიდან.

– ერთი შეხედე, რა ლლეშია?! მართლაც თავს გაუვიდა! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ლიზამ, სიგარეტს მოუკიდა და ლევანს შესცინა. – ძალიან გავათამამე, დამრცხავე ვარ. კარგი ჰქენი, სამუშაოდან რომ დაითხოვე – პრობლემებს შეგვიქმნიდა. თან, შემცვლელიც უკვე გიპოვია... მშვენიერი ბიჭია... შენი მეგობარია?!

– ვერ გავიგე... – მიაშტი ბავშვივით გაიოცა ლევანმა და გენას, რომელმაც სწორედ იმ დროს შემოაღო კარი, ანიშნა – ზედმეტი არაფერი წამოეცდესო.

– დიდი ეშმაკი ვინმე ხარ, ლევანჩიკ, საყვარელო! – აკისკისდა ქალი. – გესმის, გენა?! ვითომ ვერ მიხვდა, ვისზე ვეკითხები! განა ის ახალი თანამშრომელი, კართან რომ დგას, სამუშაოზე ლევანის მოყვანილი არ არის? – თქვა ლიზამ და საჩვენებელი თითი ეკრანზე იმ ადგილს მიუკაკუნა, სადაც საშა მოჩანდა.

– ახ, Это-же Алексей! – გაიცინა გენამ და ლევანს შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა.

– ალექსი ჰქვია?! მე კი ქართველი მეგონა, ლევანივით... – ლიზამ გენას ვისკით სავსე ჭიქა გამოართვა, საკარძელში ჩაჯდა და ეკრანს შეხედა. – მშვენიერი ბიჭი ჩანს, – ჩაილაპარაკა უფრო თავისთვის.

– ჰო, არა უშავს. ჩემი მეგობრის შვილია. მამამისმა მთხოვა, არ მინდა ტყუილად იწანწალოსო, ჰოდა, მეც აქ მოვიყვანე...

– კარგი გიქნია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს უკვე მინახავს სადღაც...

– შეიძლება, – დაეთანხმა გენა. – მოსკოვი არც ისე დიდი ქალაქია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ან, იქნებ, თბილისში?.. თუმცა მაშინ სა... – „საკმაოდ პატარა იქნებოდა ალექსეი", – ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი გენამ და უხერხულად შეიშმუშნა. თბილისის ხსენებაზე ქალი შეკრთა, ვისკი გადაჰკრა და ხელები გაასავსავა.

– თბილისი? თბილისი რა შუაშია? რა მინდოდა: თბილისში? Что я там потеряла? Ты что-то путаешь...

გენა დაიბნა.

– რატომღაც მახსოვდა, თითქოს ერთხელ მითხარი – რამდენიმე წელი თბილისში ვცხოვრობდიო. თუმცა, შეიძლება, მეშლება კიდეც... ეჰ, ჯანდაბა! მგონი, ვბერდები... ჰოდი, დავლიოთ! ჩვენ გაგვიმარჯოს. ლევან, არ დალევ?

– ხომ იცი, სამუშაოზე არასოდეს ვსვამ, ასეთი ჩვევა მაქვს და რა ვუყო! – მხრები აიჩეჩა ლევანმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ოპო! ისევ ისეთი პრინციპული ხარ, ლევანჩიკ, Дорогой... მაშ, ალექსეი, არა? – ჩაიბუტბუტა ლიზამ და გენას ჭიქა გაუწოდა. – კიდევ დამისხი.

– ლიზ, იცოდე, დათვრები... – გააფრთხილა კაცმა.

– შერე რა მოხდა?!

– ვლადი გაგვიჯავრდება...

– არაფერია, უკვე მიეჩვია... ველარც კი ამჩნევს, – გაიცინა ქალმა.

– სად არის? მოგაკითხავს?

– ალბათ არა – არ სცალია ვაჟბატონს. თავი ისევ ოცი წლის ბიჭი ჰგონია. ეტყობა, გააფრინა, პატარა ბოგოებს დასდევს. თუმცა სიმართლე გითხრა, სულაც არ მადარდებს მისი სასიყვარულო ავანტიურა. გაიხაროს ბერიკაცმა...

ლევანმა ქალს გადახედა. მის მზერაში ისეთი ზიზღი იგრძნობოდა, კიდევ კარგი, ლიზას შეუმჩნეველი დარჩა. სამაგიეროდ გენამ შენიშნა და შეშფოთებულმა სასწრაფოდ შეავსო ჭიქები.

– გაგიმარჯოს, ლიზა! იშვიათი ქალი ხარ, შეუდარებელი, ნამდვილი დედოფალი. ეტყობა, არ იცის ვლადიკმა შენი ფასი...

– სამაგიეროდ, სხვებმა იციან! – ხმამაღლა გაიცინა ლიზამ და გენას ჭიქა მიუჭახუნა. ლევანმა იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი სახეში. მიხვდა – ცოტაც და, ვიფეთქებო. სასწრაფოდ წამოხტა, ჩაიბურტყუნა – „წავალ, ქვევით ბიჭებს დავხედავო", – და კარი გაიხურა. კიბეზე თავისუფლად ამოისუნთქა, დარბაზში გადაიხედა და თვალით საშკას დაუწყო ძებნა...

სიბრაზისაგან ერთიანად გამწვანებულმა ვადიმმა დარბაზში შლეგიანივით გაიქროლა და შემოსასვლელ კართან მიიჭრა. საშკამ უნებლიეთ უკან დაიხია, გზა დაუთმო...

– ყველაფერი შენი ბრალია, ლაწირაკო! მაგრამ არა უშავს, გაგისწორდები! – მიახალა გაცოფებულმა და ქუჩაში ისე გავარდა, გარეთ თავისთვის მდგარი შვეიცარი გადააყირავა.

– გაგიჟდა თუ რა მოუვიდა? – ჰკითხა საშკას ვოვამ და ვადიმს განცვიფრებულმა გააყოლა მზერა.

– რა ვიცი? – მხრები აიჩეჩა საშკამ, – ნეტავი მალე დავიკეტებოდეთ, ძალიან დავიღალე.

– ერთ-ორ საათს კიდევ მოგვიწევს ყურყუტი... – ამოიოხრა ვოვამ. – ნამდვილი საგიჟეთია, არა?

საშკამ თავი დაუქნია:

– დიდხანს ვერ გავუძლებ...

– ჯერ ახალი ხარ, მიეჩვევი. უარესებს უძლებს ხალხი... ისე, აქ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არც ისე ცუდია, მხოლოდ მაშინ აირევა ხოლმე, როცა ის ქალბატონი მოიხსენიებენ.

– ვის ქალბატონი? – ვითომ სასხვათაშორისოდ იკითხა საშამ.

– ამ კაზისის ბატონ-პატრონი ქალბატონი – ლიზი. ჩანს, ვადიმი უკვე ცოიბეზრდა და... – ვოვა გაჩუმდა და საშას შეაყლო თვალი.

– ასე რატომ ბიყურებ?

– ფრთხილად იყავი, თორემ, თუ თვალში მოუხვედი... ნამდვილი აფთარია... ქმარიც მაგრად ჰყავს გამოჭერილი...

– გინახავს?

– ვინ?

– მაგისი ქმარი.

– ვლადიკ საველიჩი? ორჯერ თუ სამჯერ შემოიარა თავის კახპებთან ერთად. ისიც მაგარი მუსუსია... მოკლედ, ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე გრიალებს, გაიგე?!

– ისე, რა...

– ბატონი უფრო კლუბებში ერთობა, კაზინო კი ქალბატონის საფლობელია. ახლა მიხვდი? იცოდი, გენას საყვარელიც რომ იყო? – ვოვას გაეცინა. – არავის ტოვებს... თუ მოეწონე – მორჩა!

– შენც?! – საშკამ იგრძნო, როგორ დაეცა სხეული, ლამის გული საგულედან ამოუვარდა.

– რა – მეც? აა, ჩემთანაც იწვა თუ არა? რას ამბობ, მაგისი ბედი ვინ მომცა! მე მის გემოვნებაში არ ვჯდები... თუმცა, ვინ იცის, ახლა თავისუფალია, შეიძლება, შეგვამჩნიოს კიდეც... ასე არ არის, ლევან ალექსანდროვიჩ? – მიუბრუნდა მოახლოებულ ლევანს ვოვა. მერე თავი ეშმაკურად გადააქნია და მოთამაშეებისკენ ისე გაეშურა, პასუხს არ დალოდებია.

– ლევან, რა ხდება?

– ისეთი არაფერი... ვადიმი გავუშვით.

– იმიტომ იყო ასეთი გაცოფებული? ლიზა როგორ შეელია?

– არ ვიცი, აქ რა მოხდა, მაგრამ როგორც კი ზემოთ ამოვიდა, თვითონვე მითხრა – მაგ თავხედმა თავი მომაბეზრა, რაც გინდა, ის უყავი, ოღონდ აქაურობას მოაცილეო. მერე შენზე მკითხა, ვინ არისო.

საშკას ისევ შეუხტა გული.

– ჩემზე – რატომ?

– რა ვიცი... მაგისას გაიგებ რამეს? მგონი, მოეწონე... – ლევანი გაჩუმდა და საშკას უცნაურად შეხედა. – მოდი, რა, სახლში წადი... ტაქსი აიყვანე და ისე... მეც მალე მოვალ. ასე ავჯობებს...

– კარგი, თუკი ასე ჯობებს, წავალ... – საშკამ ყურიდან გადა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მცემი გამოიცალა და ლევანს მიაწოდა. მერე მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახისაკენ გაეშურა, ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. გათენებას ცოტაღა უკლდა, ძალიან ყინავდა. ბიჭს შესცივდა, ქურქის საყელო წამოიწია, გზაზე გადავიდა და ტაქსს დაუწყო ლოდინი... ნაბიჯების ხმა არ გაუგონია, არც არაფერი დაუნახავს. მხოლოდ იგრძნო, როგორ დაეშვა მის თავზე რაღაც ძალიან მძიმე და გონი დაკარგა...

• • •

– მგონი, თვალს ახელს... ხომ გითხარით, ყველაფერი კარგად იქნებამეთქი... მაგრამ მაინც გირჩევთ, საავადმყოფოში გადაიყვანოთ, უფრო დაზღვეულები რომ ვიყოთ. – ექიმმა ამპულას თავი წაატეხა, ნემსი გაამზადა და საშკას მკლავზე რეზინი გადაუჭირა. – ყოველი შემთხვევისთვის, ტკივილგამაყუჩებელს კიდევ გავუკეთებ, საღამომდე მშვიდად რომ იძინოს. რას იზამთ, დააწვენთ საავადმყოფოში? – ექიმმა საშკას ვენაში წამალი შეუშხაპუნა და ფანჯარასთან მდგარ გაფითრებულ ლევანს შეხედა.

– არა. სახლში მივხედავთ. მხოლოდ სიმართლე მითხარით, საშიში ხომ არაფერია? – ლევანმა ფრთხილად შეახო ხელი საშკას დალურჯებულ სახეს. მერე გენას გადახედა. გენამ სიგარეტი საფერფლეს დაასრისა და თავი გადააქნია.

– მაგარი ნაცემია... ოხ, მაგათი... – შეიგინა ბოლმიანად.

– გეთანხმებით, კარგი ნამუშევარია! – დაეთანხმა ექიმიც. – არაფერია, ორ კვირაში ჩიტივით იქნება. მე წავალ, თუ რამე დაგჭირდებათ, დამირეკეთ. – ექიმმა თავისი ხელსაწყოები წამოკრიფა, ჩანთაში ჩააწყო და გასასვლელისკენ გაემართა. გენაც წამოდგა.

– მე წავიყვან.

კართან მისული ექიმი შედგა და ლევანს მიუბრუნდა.

– კარგს იზამთ, თუ ავადმყოფს მედდას მიუჩენთ. ორი-სამი დღით მაინც. გამოგიგზავნოთ ვინმე?

– ლევან, თუ წინააღმდეგი არ იქნები, მე დავრჩები, – სამზარეულოდან გამოვიდა ლენა, ლევანს ყავით სავსე ფინჯანი მიაწოდა და საშკას სასთუმალთან ჩამოუჯდა.

– მერე, ბავშვი?

– დედაჩემი მიხედავს. ისედაც სულ მასთან არ არის? რაც უნდა იყოს, სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი, რაღაცები გამეგება.

– კარგი, დარჩი, – ლევანმა ლენას გაულიმა, ექიმი გააცილა და ოთახში შემობრუნდა. – სძინავს? – ჰკითხა ლენას.

– ჰო, საღამომდე, ალბათ, არც გაილვიძებს. იქნებ შენც დაგეძინა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისეთი დაღლილი სახე გაქვს... სამ-ოთხ საათში ისევ კაზინოში უნდა იყო... მეცოდები...

ლევანი ლენას მიუახლოვდა და თავზე ალერსით გადაუსვა ხელი.

– შენ ძალიან კარგი ბიჭო ხარ, ლენა.

– ვიცი, – სევდიანად გაეღიმა ქალიშვილს. – მაგრამ არ გიყვარვარ, არა?

– ყერ მოგატყუებ, ეს ჩემი მხრიდან დიდი უსინდისობა იქნებოდა... მაპატიე, ლენა, მაგრამ არ შემიძლია შენი სიყვარული...

– რატომ, არ მოგწონვარ? – ტუჩები აუთრთოლდა გოგოს.

– ეს არაფერ შუაშია! ოღესმე ყველაფერს მოგიყვები და გამიგებ.

ლევანმა ფრთხილად მიიტანა ლენას პატარა, თეთრი თითები ტუჩებთან და ნაზად აკოცა. ლენა გაწითლდა. ხელი ნელა გაითავისუფლა, წამოდგა.

– წავალ, ჭურჭელს დავრეცხავ, – ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავიდა.

ლევანმა სავარძელი საწოლთან მიაჩოჩა, ჩამოჯდა, მძინარე საშას ბალიში შეუსწორა და ამოიოხრა:

– ეჰ, საშკა, საშკა...

• • •

საღამური ნათურის მკრთალი ნათება ოთახს იდუმალ შუქში ახვევდა. მყუდროებას მხოლოდ ძველებური კედლის საათის მონოტონური წიკწიკი არღვევდა. იატაკზე დაფენილ რბილ ხალიჩაზე ორნი ისხდნენ. ნახევრად წამოწოლილ ბიჭს გოგონას კალთაში ედო თავი, გრუზა თმაში კრთოდა პატარა, თითქოს სპილოს ძვლისგან გამოთლილი ხელი. ნეტარებით მთვრალ გოგიჩას თვალები დაეხუჭა და ლეკვივით მინდობოდა ინას ჯადოსნურ თითებს.

– რა კარგია ასე!.. – ამოიკვნესა ბედნიერებისაგან სულშეგუბებულმა. – რომ შემეძლოს, მთელ სიცოცხლეს შენს კალთაში თავმიდებული გავატარებდი.

ინას გაეცინა:

– რა ვენალვლება, მე დამიბუჟდა მუხლები, შენ ხომ არა?

– მართლა? – შეშფოთდა გოგიჩა და წამოიწია.

– იყავი, იყავი, ცოტა ხანს კიდევ გაგიძლებ. ბერე ბებიაც მოვა...

– ნუ მაშინებ, რა, ინა, ისედაც გული მიმდის.

– სულაც არ გაშინებ. ბებოს ყველაფერს ეტყვი და – მორჩა!..

– ოჰო, თითქოს ადვილი იყოს... მაინც, როგორ ვთქვა – უკაცრავად, მე თქვენი შვილიშვილი მიყვარს-მეთქი?.. თუ რამე, უფრო ორიგინალური მოვიფიქროთ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გეყოფა მაიმუნობა, – გაიბუტა ინა. – აბა, რა გეგონა, უპატრონო კი არ ვარ!

– რას ამბობ, უპატრონო რა შუაშია?! – მუხლზე აკოცა გოგიჩამ. – აი, ნახავ, ნამდვილი რაინდივით მოვიქცევი!

ინა აკისკისდა, მაგრამ მოულოდნელად სახე მოეღრუბლა.

– რა მოხდა?

– საშა გამახსენდა... ისე მენატრება... თან გუშინ ცუდი სიზმარი ვნახე. ნეტავი დარეკოს... რამე ხომ არ უჭირს...

– ნუ გეშინია. ლევანი არაფერს გაუჭირვებს. იცი, რა ბიჭია?

– არ ვიცი და ვერც წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, თიკო ნინუას ძმა კარგი იყოს? – მხრები ეჭვით აიჩეჩა ინამ.

– ეეე, ნუ დაიწყე დედაბერივით! ლევანი მაგათ არც ერთს არა ჰგავს. იმიტომაც გაიქცა ოჯახიდან! მოდი, თუ გინდა, ჩვენ თვითონ დავურეკოთ, – შესთავაზა გოგონას.

– საშკა რომ გაჯავრდეს?

– რატომ უნდა გაჯავრდეს? პირიქით, გაუხარდება. ერთი ტელეფონი მოაცუნცულე, შენს გაზრდას... – გოგიჩამ ინას პატარა ხელისგული ტუჩებზე დაიფარა და ასადგომად მსუბუქად უბიძგა. ინა მოჩვენებითი უკმაყოფილებით აბუზღუნდა, ტელეფონის აპარატთან მიჩოჩდა და დაითრია.

– ჩვენი ამბავიც ვუთხრათ? – ჰკითხა გოგიჩას და ყურმილი შეაჩეჩა.

– გადაირიე?! მაშინვე ენა ჩამივარდება...

– ჰო, კარგი, კარგი, შე მშიშარა კურდღელო! – ჩაეცინა ინას. – ბებო მოგვიგვარებს ამ საქმეს, ოღონდ იცოდე, თუ გამაბრაზებ... – ხმაში ფოლადი გამოურია გოგონამ და პაწაწა ლამაზი მუშტი ცხვირწინ აუთამაშა...

გოგიჩამ მუშტზე აკოცა და ნომერი აკრიფა.

* * *

საშკას სასთუმალთან მჯდარი, ფიქრში წასული ლევანი ტელეფონის ზარმა გამოარკვია. შეკრთა, საშკას დახედა და მხოლოდ შემდეგ გაიწოდა აპარატისკენ ხელი. კარის ჩარჩოში ლენა გამოჩნდა, მხარზე ტილო გადაეკიდა და თეფშს წმენდდა.

– თუ გინდა, მე ვუპასუხებ...

– შენ, ერთი, ჩაი გამიკეთე, რა! მაგარი, შავი ჩაი ლიმონით.

– ჯერ გეჭამა რამე. სადილი მოვამზადე...

– არ მშია... – თავი გააქნია ლევანმა და ყურმილი ყურთან მიიტანა. – ალო! გოგიჩ, შენა ხარ?!.. რა ვიცი, არ გელოდი... ცუდად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რატომ უნდა ეიყოთ?.. საშკა? სახლში არ არის, რამდენიმე წელია, გავიდა... რას უნდა ვიმალავდე?.. ვის? ინა? კარგი, კარგი, ცამეტია რაკე... რაო, ინა?.. მშვენიერად... ხე ფანერისაა, ჩვენთან არაფერი გაუჭირდება... გოგოსაც ამას ვეუბნებიან? ჰოდა, დაუჯერე ვიოლინას... კარგი, როცა მოვა, ვეტყვი, რომ აუცილებლად დარეკოს... საკრას მგონი დღეს ვერ მოახერხებს, უფრო – ხვალ... აბა რა! ხომ ვეუბნები, ძალიან კარგად არის... ბებოსაც უთხარი, ნურაფერზე ისერიოზულები... რად მინდა თხოვნა!.. უეჭველად...

ლევანმა აპარატი იატაკზე დადო, ფეხით ვეერდზე მისწია და შვებით ამოისუნთქა. ლენამ თანაგრძნობით გაიღიმა, ახლოს მივიდა, სახეზე ხელი ნაზად ჩამოუსვა. მერე თითები ბიჭის ტუჩებზე შეაჩერა... მის თვალებში იმხელა ტკივილი, სევდა და სიყვარული ჩანდა, ლევანს შეეშინდა.

– ლენა...

– ჩუუ.... გაჩუმდი და არაფერი თქვა! მე ხომ არაფერს ვითხოვ – მხოლოდ მოგეფერები. ცოტას, სულ ცოტას... – ქალიშვილს ხმა უთრთოდა. მისი თითები ტუჩებიდან ყელს მოეკვნენ და ნელ-ნელა ქვემოთ გააგრძელეს გზა.

ლევანი გაფითრდა. სუნთქვა გაუხშირდა. ლენას მოხვევის, გულში ჩაკვრის დაუოკებელმა სურვილმა სხეულში ცხელ ნაკადად დაუარა. ძლივს შეიმაგრა თავი... ქალს მაჯაში სწვდა, მისი შეჩერება სცადა...

– მხოლოდ მოგეფერები, ლევან... მომეცი უფლება, მოგეფერო... – ჩურჩულებდა ლენა და ბიჭისკენ მიიწევდა... ლევანი უკვე გრძნობდა მისი ცხელი ტუჩების სიმხურვალეს, ხედავდა, როგორ ძალუმად უფეთქავდა თითქმის გამჭვირვალე ყელზე ცისფერი ძარღვი... შეუძლებელი ხდებოდა საკუთარ თავთან ბრძოლა და ლევანიც დანებდა... ლენა მსუბუქად აიტაცა ხელში, საძინებელში ციმცამ გაიყვანა და ლოგინზე დააწვინა. თითებმა თავისით მოძებნეს პერანგის ღილები... მერე კი ორივე უსასრულობაში ჩაინთქა...

... ქალიშვილის დახუჭული ქუთუთოებიდან ცრემლი ჩამოგორდა. ლევანი იდაყვს დაეყრდნო და ტუჩებით ფრთხილად შეეხო სველ წამწამებზე.

– ლენა!

ლენა არ განძრეულა, მხოლოდ ღრმად ამოისუნთქა.

– ლენა, მაპატიე... ეს არ უნდა მომხდარიყო...

ქალმა ორივე ხელი მოეხვია ვაჟს და მკერდზე მიიკრა.

– გაჩუმდი, ლევან, მე ბედნიერი ვარ... ისეთი ბედნიერი...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაგრამ... მე ხომ... მე...

– ვიცი... შენ უკვე მითხარი, რომ არ გიყვარვარ... ამიტომაც გთხოვ, გაჩუმდი... ეს რამდენიმე წუთი მაჩუქე... მინდა მჯეროდეს, თითქოს გიყვარვარ... ნუ ჩამაშხამებ იმას, რასაც ამდენ ხანს ველოდი...

ლევანმა იგრძნო, როგორ გაულღვა გულში უზარმაზარი, ყინულივით ცივი ლოდი და როგორ ჩაიღვარა სხეულში. ნია რომ არა, იქნებ ეს ნუკრისთვალება გოგო შეჰყვარებოდა კიდეც, მაგრამ ლენამ უფრო მწვავედ გაახსენა დაკარგული ბედნიერება, თითქოს იარას ხელახლა შეეხსნა პირი და ახლა ლენა – თუმცა კი ნაზად და უნებლიეთ – მაინც ალიზიანებდა ჭრილობის მოუშუშებელ ნაწიბურებს.

მეორე ოთახში საშამ დაიკვნესა. ლევანი დაიძაბა, წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა. ქალი უსიტყვოდ მიხვდა, რომ ყველაფერი მორჩა... ის ჯადოსნური ნაპერწკალი, რომელმაც ისინი კოცონად ააგიზგიზა, ჩაიფერფლა... ლევანი ისევ ისეთი მიუწვდომელი, შორეული იყო მისთვის, როგორიც აქამდე...

– ლენა, ჩაიცვი, რა... – სთხოვა ბიჭმა.

– კარგი. გადი და გამოვალ...

– ლოგინსაც ხომ გაასწორეებ?!. – ლევანმა გრილ ლოყაზე აკოცა.

– აუცილებლად!.. მე ხომ კარგი გოგო ვარ! – გამოაჯავრა ვაჟს...

ლევანი შეწუხდა.

– დავაშავე რამე?

– არაფერი, ყურადღებას ნუ მომაქცევ. ახლავე ავდგები... – ლენა გადაბრუნდა, თავი ბალიშში ჩარგო და აქვითინდა.

– აი, სწორედ ამის მეშინოდა... – ლევანი საწოლზე ჩამოუჯდა და თავზე ხელი გადაუსვა. – გეფიცები, არც მიფიქრია შენთვის ტკივილის მოყენება... გესმის, ლენა? ძალიან გთხოვ, არ იტირო. ცუდად ვხდები ქალის ცრემლებზე... ნეტავ შემეძლოს, შეგიყვარო, მაგრამ არ შემიძლია...

– ამიხსენი – რატომ? – ამოისლუკუნა გოგომ.

– სხვა მიყვარს! – ამოიოხრა ბიჭმა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და სიგარეტს მოუკიდა. ლენა გაჩუმდა, ცრემლით სველი სახე ლევანს მიაპყრო და ჩუმად ჰკითხა:

– ვინ? მე ვიცნობ?

– არა. დიდი ხნის ამბავია... ძველი და სევდიანი ისტორია... მაგრამ რა ვქნა, ვერაფერს ვუხერხებ საკუთარ გულს. ნია ისევ მიყვარს, სიცოცხლეს მირჩევნია... ყველას და ყველაფერს...

– ბედნიერი...

– ვინ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ნია... – ლენამ ლევანს სახე მოარიდა, ზეწარი მკერდზე აიფარა და ტანსაცმლისკენ გაიწოდა ხელი. – ჯადი, უნდა ჩავიცვა.

ვაუმა ნაბიწვი ფანჯრიდან მოისროლა და კარისკენ გაეშართა.

– სიგარეტი დამიტოვე! – ხმადაბლა მიაძახა ლენამ.

* * *

გენა ხმაურით შემოიჭრა ოთახში, გასაღებების აცმა პატარა მაგიდაზე მიაგდო და სავარძელში მჯდარ ლევანს საშკაზე ანიშნა:

– როგორ არის?

– რა ვიცი, ჯერ ისევ სძინავს... მაგრამ მოუსვენრად...

– ოხ, მაგათი... ბიჭები ყალყზე დგანან, ვერსად მივაკვლიეთ, თითქოს აორთქლდაო...

– დარწმუნებული ხარ, რომ მისი ნახელავია? – შუბლი შეიჭმუხნა ლევანმა.

– რა, ეჭვი გეპარებოდა?! ვადიმის მეტი ვინ იზამდა?.. ოხ, ეგ ნაბიჭვარი! – გენა წამოხტა და ოთახში ბოლთისცემას მოჰყვა.

– კი, მაგრამ რატომ, რა დაუშავა?

– ვერ ხვდები? იეჭვიანა იმ იდიოტმა! ლიზას გამო... და, მგონი, არც შემცდარა... ქალბატონმა ობობამ ახალი მსხვერპლის შეთრევა სცადა თავის ოქროს ქსელში. – გენა გაჩუმდა, საშას დააკვირდა.

– ხომ არ გაელვიძა? – წამოდგა ლევანი.

– არა! ლევან, გახსოვს? როცა საშკა პირველად გამაცანი, გითხარი, ვიღაცას მაგონებს-მეთქი...

– მახსოვს. მერე?..

– არ ვიცი, შეიძლება სულელად ჩამთვალო, მაგრამ... საშა საოცრად ჰგავს ლიზას... – როგორც იქნა, სათქმელს თავი მოაბა გენამ და მეგობარს დამნაშავესავით გადახედა. ლევანი გაშეშდა.

– წარმოუდგენელია!..

– დააკვირდი – თვალები, ცხვირი, ტუჩები... საშა ოდნავ მუქია, ესაა და ეს. დარწმუნებული ვარ, თმა საშკასავით წაბლისფრად რომ შეულებო, ერთმანეთისაგან ველარ გამოარჩევ...

– გენა, გესმის, რას ამბობ?!.

– არა, არ მესმის... სამაგიეროდ, ვხედავ... თუმცა შეიძლება მეჩვენება...

– გეჩვენება! – მოუჭრა ლევანმა. –ის, რასაც შენ გულისხმობ, სისულელეა და მეტი არაფერი!

– რატომაა სისულელე? თვითონ მითხრა – დედამ სულ პატარა მიმატოვა და მას შემდეგ არ ვუნახივარო. იქნებ...

– სისულელეა-მეთქი! – გალიზიანდა ლევანი. საშკას ოჯახის ისტო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რია ყურმოკვრით ჰქონდა გაგონილი, ისიც – გოგიჩასაგან. თუმცა გენასი არ იყოს, საშასა და ლიზას საოცარ მსგავსებას თვითონაც ამჩნევდა. „როგორც კი კარგად გახდება, ყველაფერს ვკითხავ", – გაიფიქრა, თქმით კი სულ სხვა რაღაც თქვა: – როგორ გგონია, სად უნდა წასულიყო?

– ვინ, ლიზა?! ალბათ, სახლშია, მაგისას რას გაიგებ?

– ლიზაზე კი არა, ვადიმზე გეკითხები...

– შვმძვრალი იქნება სადმე, მაგრამ სად წავა? მიწის გულიდან ამოვიყვან და მერე ისევ მიწაში ჩავაწვენ! – ბრაზით მოსრისა სიგარეტი გენამ. – არ წავიდეთ? დროა...

ლევანმა საათს შეხედა.

– ყელში ამომივიდა ყველაფერი! – ჩაილაპარაკა შუბლშეკრულმა. – მალე, ალბათ, საერთოდ მივატოვებ მაგ დაწყევლილ კაზინოს...

– Ты что, Лева! ამაზე უკეთეს ადგილას სად წახვალ?!. – განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა გენას.

– არ არის ეგ ჩემი საქმე, არა!

– აბა, რა არის შენი საქმე – ჯატვა? მერე, ხატე, დაგიშალა ვინმემ?

– ეეჰ! – ხელი ჩაიქნია ლევანმა. – აზრი არა აქვს ლაპარაკს, ტყუილად ყბებს ვიღლი... სული მეხუთება, არ გესმის, სული!..

– უცნაური ვინმე ხარ, ლევან ალექსანდროვიჩ! საერთოდ, ყველა მხატვარი ცოტას... – გენამ შუბლზე მიიკაკუნა საჩვენებელი თითი. – მაგრამ ძალიან მიყვარხარ და გამიჭირდება უშენობა. თუმცა ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც მოესურვება.

გენა გასაღებს დასწვდა, ქურთუკი ბეჭზე მოიგდო და გასვლისას საშკას ერთხელ კიდევ დახედა:

– ჰმ, საწყალი ბიჭი, სასიკვდილოდაა გამეტებული...

– ვადიმს ამას მაინც არ შევარჩენ. გაჩენის დღე უნდა ვაწყევლინო... – ტუჩი მოიკვნიტა ლევანმა და ლენას გასძახა. – ლენა, ჩვენ ბრივდივართ. საშა არ დატოვო, რა...

მეორე ოთახიდან ლენა გამოვიდა მშვიდი, ოდნავ გაფითრებული სახით.

– ნუ ინერვიულებ, გვერდიდან არ მოვცილდები.

– ყოჩაღი გოგო ხარ, საყვარელო! – თვალი ჩაუკრა გენამ. – გასამრჯელოს ისევე მიიღებ, თითქოს კაზინოში გემუშავოს.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა ლევანი. – ოღონდ საშკა იყოს კარგად...

***

მარტოდ დარჩენილი ლენა ერთხანს საშკას სასთუმალთან იჯდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიჭს, მართალია, მოუსვენრად, მაგრამ ღრმად ეძინა. ლენას მოსწყინდა. წამოდგა, საძინებელში შევიდა, ბალიში აიღო, სახესთან მიიტანა და ღრმად შეისუნთქა მისი სურნელი.

ბალიშს ლევანის ოდეკოლონის სუნი შერჩენოდა... ლენას გაეღიმა, ორივე ხელი შემოჰხვია და მკერდზე მიიკრა... მთელი სიცოცხლე ასეთ კაცზე ოცნებობდა. როგორც იქნა, შეხვდა კიდეც, მაგრამ სწორედ მაშინ გაუსხლტა ხელიდან, როცა ასე ახლოს მივიდა მასთან, როცა ხელითაც შეეხო თავის ოცნებას.

ქალმა ამოიოხრა. ქმარი არასოდეს ჰყვარებია. ფაქტობრივად, ვერც მოასწრო მისი შეყვარება, ისე მალე დაცილდნენ ერთმანეთს და ლენას ოჯახური იდილიის მოსაგონებლად თმახუჭუჭა, ცხვირაპრეხილი ანასტასია დარჩა... პატარა მეტიჩარა... შვილის გახსენებამ ღიმილი მოჰგვარა, ბალიში საწოლზე ფრთხილად დადო და კედელზე გაკრულ ნახატებს შეავლო თვალი. გაგონილი ჰქონდა, მხატვრები ყველაზე ხშირად იმათ ხატავენ, ვინც უყვართო, სურდა, ლევანის ნახატებში მეტოქე ამოეცნო, მაგრამ აქ მხოლოდ პეიზაჟები იყო, – პორტრეტი არც ერთი...

გამეფებული სიჩუმე ზარის უსიამოვნო ხმამ გაჰკვეთა. ლენა შეკრთა. ვინ უნდა ყოფილიყო? ნუთუ ლევანი მობრუნდა? ქალმა თითქმის სირბილით მიაშურა კარს, გააღო და განცვიფრებულს ენა კინაღამ მუცელში ჩაუვარდა: ზღურბლზე ქალბატონი ლიზი იდგა და ქედმაღლურად იღიმებოდა. ორი ბრგე, კუნთებდაბერილი მუტრუკი „უმშვენებდა“ მხარს.

– საღამო მშვიდობისა! შეიძლება, შემოვიდე? – წარბი შემართა ლიზიმ და მოულოდნელობისაგან გაშეშებული ლენა თავით ფეხებამდე შეათვალიერა.

– ლევანი სახლში არ არის, – ჩაილულღლუღა ლენამ.

– ვიცი, მე ავადმყოფის სანახავად მოვედი. შემომიშვებ თუ ლევანის მოსვლამდე კიბეზე მომიწევს ჯდომა?

– მო... მო... მობრძანდით... – ენა დაება ქალიშვილს, გვერდზე გადგა და სტუმარს გზა დაუთმო.

– შეგიძლიათ, ერთი საათით სადმე გაისეირნოთ, თუ დამჭირდებით, დაგირეკავთ.

ორივე ახმახი უსიტყვოდ შებრუნდა და კიბეზე დაეშვა.

– უტვინოები არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრძანება ესმით კარგად! – გაეცინა ლიზას, შემოსასვლელში ქურქი გაიძრო და ლენას მიუგდო. – მშვენიერი ბინაა, – ჩაილაპარაკა, როცა ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა, – ლევანს კარგი ბუდე მოუწყვია. შენ, ალბათ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი საყვარელი ხარ, არა?

– მე, მე... მე... ა-არა! – დაიბნა ლენა.

– აბა, ექთანი?

– ქალბატონო ლიზი, თქვენთან ვმუშაობ, კაზინოში...

– ააა! მაპატიე, საყვარელო, ძალიან ცუდი მეხსიერება მაქვს, თან იმდენი ხართ, ყველას ხომ ვერ დაგიმახსოვრებთ? – აკისკისდა ლიზა და სიგარეტს მოუკიდა. – აქ რას აკეთებ, ცუნცული, რატომ კაზინოში არა ხარ?

– ლევანმა საშასთან დამტოვა.

– საშასთან? – სიგარეტიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა ლიზას. – მაგას ხომ ალექსეი ჰქვია?

ლენა დაიბნა.

– ა-არა!.. თუმცა შეიძლება, ალექსეი, ალექსანდრე... საშკა... მგონი, ეს ერთი და იგივეა...

– ჰოოო?! მართალი ხარ... – შვებით ამოისუნთქა ქალმა და შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს რაღაცის მოცილებას ლამობსო... – სად არის?

– ვინ, ავადმყოფი? სძინავს.

– ძალიან არის ნაცემი?

– ძალიან.

– რა თქვეს, ვინ სცემაო?

– არ ვიცი, ქალბატონო ლიზა, ჩემთვის არ უთქვამთ. შეიძლება, ბიჭებმა იციან... – იცრუა ქალიშვილმა და გაწითლდა.

– ტყუილებიც გვცოდნია... არაფერია, არაფერი... შენი სახელი შემახსენე, ცუნცულავ...

– ლენა...

– ჰო, ლენა, ლენა... – გაიცინა ლიზამ. – აბა, ჩემო ლენოჩკა, გაცუნცულდი და ერთი ბოთლი „მარტინი" მიყიდე. – ქალმა მინიატურული ხელჩანთიდან ორმოცდაათდოლარიანი ამოიღო და ქალიშვილს გაუწოდა. – იცოდე, არ შეგეშალოს: „მარტინი". დაიმახსოვრებ? ანანასიც წამოაყოლე, ხურდა კი შენი იყოს. ასე რატომ მიყურებ? არ გესმის, რას გეუბნები?

– ლევანმა მთხოვა, რომ... მიმეხედა... მისთვის...

– აქ არა ვარ? მე მივხედავ. თანაც, ჯერ სძინავს... სანამ გაიღვიძებს, კიდევაც მოხვალ.

ლენამ ერთხანს კიდევ იწრიალა, მერე ჩაიცვა, კარი გამოაღო, კიბე ჩაირბინა და ქუჩაში გავიდა. სუსხმა სახე აუწვა. საკუთარ თავზე მოსდიოდა ბრაზი, ასე ილლაფ რომ დაემორჩილა ქალბატონის ბრძა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებას. ჯიბეში სასიამოვნოდ შრიალებდა ტკიცინა ორმოცდაათდოლარიანი. „ზოგს რა ბედი აქვს! – გაიფიქრა შურით. – ქმარიც ჰყავს, საყვარლებიც... არც არაფერს იკლებს. ქალი ვარო, მაგან უნდა თქვას. შენ კი იდექი მთელ დღეს ფეხზე, ეგეთი განებივრებული ქალბატონების ხუშტურებს გაუძელი... ეეჰ! სად ვიყიდო ახლა ეს ოხერი „მარტინი" და ანანასი?!" – გაიფიქრა დაღონებულმა და ფეხს აუჩქარა.

... ლიზა ფეხაკრეფით მიუახლოვდა საშკას საწოლს და მძინარეს ყურადღებით დააცქერდა. ბიჭი მძიმედ სუნთქავდა, დალურჯებული სახე შეშუპებოდა. ალაგ-ალაგ გადაყვლეფილი შუბლი და ნიკაპი წითლად მოუჩანდა... ლიზი ლოგინზე ჩამოჯდა, ხელი გაუბედავად გაიწოდა ბიჭისაკენ, ჯერ შიშველ მხარზე მოეფერა, მერე მკლავს ჩამოჰყვა... საშამ დაიკვნესა... ქალი შეკრთა, ხელმაც მოძრაობა შეწყვიტა. მაგრამ ავადმყოფს ისევ ეძინა. დახუჭულ თვალებზე წამწამები უთრთოდა... ხელი ისევ „გათამამდა"... ნაზად შეეხო ვაჟის დაკუნთულ მკერდს, ყელს... თითები ფრთხილად, დაჟინებით მიიწევდნენ შესიებული ტუჩებისაკენ. არც გატეხილი ცხვირი გამოიყურებოდა მაინცდამაინც მიმზიდველად... ლიზა ახლა თმაზე მიეფერა მძინარეს, ალერსით შეუცურა თითები საფეთქლებთან, მერე შუბლზე დაადო გრილი ხელისგული...

საშა შეკრთა... ბორგვა დაიწყო, თითქოს საბანზე ულონოდ გადმოკიდებული ხელის აწევა უნდაო... ტუჩებმა სრულიად გარკვევით წარმოთქვეს:

– დედა!

ლიზას თითქოს დენმა დაჰკრა. გველნაკბენივით შეხტა. დამდუღრულივით გამოსწია ხელი. საშას დაჟინებით ჩააშტერდა სახეზე და წამოიკივლა:

– საშა?!

ბიჭმა წვალებით გაახილა შესიებული ქუთუთოები, ამღვრეული მზერა მიაპყრო სიკვდილივით გაფითრებულ ქალს და გაიმეორა:

– დედა!

ლიზას ნერვებმა უმტყუნა, იატაკზე ჩაიკეცა და შუბლი საწოლის კიდეს მიადო.

– საშკა! ვაიმე, საშა...

შეუძლებელია, წარმოუდგენელი!.. საიდან, როგორ?.. იმდენი წელი გავიდა მას შემდეგ... ნუთუ ეს კაცი, ლოგინში გაუნძრევლად მწოლიარე, შეუბრალებლად ნაცემი – საშაა? ცეროდენა, ონავარი საშა... მისი შვილი, მისი სისხლი და ხორცი... ასეთი რამ რატომ უნდა მომხდარიყო?.. მაშინვე როგორ ვერ მიხვდა... აი, შეხვდა დედა-შვილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთმანეთს... ჰმ! დედა-შვილი... აქვს კი უფლება, შვილი დაუძახოს სრულიად უცხო ადამიანს, კაცს, რომელსაც ალარაფერი შემორჩენია ამ მოცუცქნული, ოდესლაც მიტოვებული ბიჭუნასი?.. თუმცა აქ არის, ისევ ატყვია პაწაწინა ნაწიბური მარჯვენა წარბს ქვემოთ... ახლად ფეხადგმული წაექცა პარკში... სულ ერთი წუთით მიბრუნდა სიგარეტის საყიდლად... რამდენი იჩხუბა მაშინ მერაბმა...

ლიზა მუხლებზე ჩამოჯდა... ცრემლებმა თავისით მონახეს გზა და ლაწვებზე ორი სველი ზოლი დატოვეს...

შეუძლებელი ყოფილა წარსულისაგან მოწყვეტა, სადაც უნდა წახვიდე, მაინც მოგძებნის, მოგნახავს, კისერში ხელს წაგავლებს და პასუხს მოგთხოვს ყველაფრისათვის... ჩემი პატარა, სულელი ბიჭი... საშა... საშკა...

ლიზა დაიხარა და შვილის დალილავებულ შუბლს ტუჩებით ნაზად შეეხო...

– დედა! შენ დედაჩემი ხარ?!. – მოესმა ბიჭის ზიზღით სავსე ხმა და სასწრაფოდ წამოდგა... საშას შეხედა, შეკრთა: შვილის თვალებიდან შემაძრწუნებელი სიცივე ილვრებოდა...

საბოლოოდ გამოფხიზლებული საშა ლოგინში წამოჯდა და მის წინ გახევებულ, მღელვარებისაგან ერთიანად აცახცახებულ ქალს ზიზღით გაუმეორა:

– მაშ, შენა ხარ დედაჩემი?.. ღმერთო, რა საშინელებაა!..

– ასე ნუ ამბობ, შვილო... – ხელები მუდარით გაიწოდა ბიჭისკენ ლიზამ.

– შვილო?! როგორ თქვი – შვილო?!. ნუთუ საერთოდ არ გრცხვენია?!. მართალია, შენს უსირცხვილობაზე ლეგენდები დადის, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია! – სარკასტულად ჩაეცინა საშას.

– გეყოფა, სულ ნუ გამანადგურებ! არც ჩემთვის ყოფილა ადვილი ცხოვრება... იმდენჯერ მიფიქრია თქვენზე – შენზე და ირაზე... მერაბმა თქვენთან მოახლოებაც კი ამიკრძალა...

– არ გაბედო მამაჩემის ხსენება! ჰმ, ირა... საკუთარი შვილის სახელიც კი არ გახსოვს წესიერად... სამაგიეროდ, საყვარლების არ გეშლება. შემომხედე, კარგად შემომხედე! – საშკამ სახესთან მიიტანა აცახცახებული ხელი. – იცი, ეს ვისი ნამუშევარია? მერე, იცი, რატომ?.. მეზიზღები! გიყურებ და გული მერევა! აქაც ხომ ახალი კურის „შესაბმელად" მოხვედი? მისამართი შეგეშალა!.. შეიძლება, არც ერთს ეს არ გვსიმამოვნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტს ვერსად წაუვალთ: მე შენი ბიოლოგიური შვილი ვარ...

საშას სიტყვებში ისეთი ზიზღი, ისეთი სიცივე იგრძნობოდა, ლი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზას მთელ სხეულზე ეკალმა დააყარა, შუბლებმა უმტყუნა, საშკას საწოლთან დაიჩოქა და ხელები სახეზე აიფარა.

– ცრემლების ყრას და ისტერიკებს აზრი არა აქვს – თავს ვერ შემაცოდებ!.. თუმცა მშვენივრად მესმის თქვენი, ქალბატონო – იმედი გაგიცრუეთ! რას იზამთ, ერთ დროს მეც მწარედ გამიცრუვდა იმედი, როცა ერთი მწვანეთვალება, ულირსი ქალი დედად მივიჩნიე...

– საშკა, გემუდარები, მომისმინე! შეეცადე, გამიგო... მე მიყვარდა მამაშენი... თქვენც მიყვარდით...

– იმიტომაც დაასხი, არა, თავზე ლაფი?! ჩვენც დიდი სიყვარულის გამო მიგვყარე, არა, უპატრონოდ?.. მაპარების სიკვდილიც შენი ბრალია, შენმა ღალატმა მოულო ბოლო!.. ჩამქრალი დადიოდა, ჩაფერფლილი...

საშამ თვალები დახუჭა. უცებ ისე ნათლად დაინახა ფუნჯით ხელში იატაკზე მჯდარი, ცოლყოფილის სურათს მიშტერებული მერაბი, რომ კინალამ გული გაუჩერდა... გაახსენდა, ბებიასთან როგორ გაიქცა ყვირილით – მამიკო დამუნჯდა!.. სწორედ იმ დღის შემდეგ გაქრა მათი სახლიდან ლიზას ყველა პორტრეტი და ფოტოსურათი, რათა სამუდამოდ წაშლილიყო ქმრისა და შვილების მეხსიერებიდან... მაგრამ ბედისწერას სად წაუხვალ?!. და აი, ახლა, თითქმის ოცი წლის შემდეგ, საშკას ლოგინთან დაჩოქილი, გამოპრანჭული ქალბატონი სწორედ ის ქალია, რომელიც არაერთხელ მოსულა მასთან სიზმრებში, მოსულა და გრილი ხელით გახურებულ შუბლზე მოფერებია. საშკამ ამოიოხრა, თითქოს ისევ იგრძნო ნაზი თითების სუსტი მოძრაობა... მერე უცებ მიხვდა, რომ ამჯერად თითები ნამდვილი იყო... ლიზა ეფერებოდა ნაიარევ შუბლზე... თავი გააქნია, მისი ხელის მოცილება სცადა...

– საშკა, გემუდარები, მომისმინე, – ჯიუტად იმეორებდა ქალი. – მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ მახსოვდით... დღე არ ყოფილა, თქვენზე არ მეფიქროს. თავიდან ვრეკავდი კიდეც, ლილი კი ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევდა. მერე საერთოდ შეცვალა ტელეფონის ნომერი... შენ, ალბათ, არ იცი, თორემ ლადო თბილისშიც კი ჩამოვიდა თქვენ წამოსაყვანად...

საშკამ ხმამაღლა, მწარედ გაიცინა. ლიზა შეცბა. ხელი ჰაერში გაუშეშდა, უკან დაიხია.

– მშვენივრად ვიცი, როგორ შესთავაზე მამას – შვილები გავიყოთო. ლადო „ჩვენს" კი არა, თბილისში ინას წამოსაყვანად გამოგზავნე... საშკაზე საერთოდ არ გიფიქრია. ახლა კი გინდა ეამაჯერო, რომ ძალიან გიყვარვარ!.. უსინდისო!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ორივე შვილს მერაბი არასოდეს დათმობდა. მეც...

– შენც არჩევანი გააკეთე, არა? მეზიზღები, ისე მეზიზღები, რომ შემეძლოს, საკუთარი ხელით დაგახრჩობდი!

– საშკა!..

– გაჩუმდი! იმისთვის მიატოვე ოჯახი, რომ უკანასკნელი მეძავივით გეცხოვრა?! ეს გინდოდა, არა? – კაზინო, ლიმუზინი, ბრილიანტები, პატარა ბიჭები... კიდევ გყოფნის თავხედობა და ამტკიცებ, რომ მსხვერპლი ხარ? წადი აქედან, წადი და არასოდეს ახსენო, რომ შვილები გყავს!.. გიკრძალავ, იცოდე!.. – საშკა უკვე ყვიროდა...

– სასოწარკვეთილი ვიყავი... რატომ არ გესმის? ჰო, შევცდი, სისულელე ჩავიდინე, როცა მერაბი მივატოვე, მაგრამ შემიყვარდა... ნუთუ შენ არავინ გყვარებია? საშკა, სიყვარული უამრავ სისულელეს აკეთებინებს ადამიანებს... – ლიზას ცრემლები ლაპალუპით სცვიოდა თვალებიდან...

– გეყოფა, შენნაირმა ქალებმა სიყვარული საერთოდ არ იციან... ეგ ცრემლებიც ყალბია... წელან გითხარი – მეზიზღები-მეთქი, მაგრამ არ ვიყავი მართალი: მეცოდები... უბადრუკი არარაობა ხარ, რომელიც არავის სჭირდება. თავადაც მშვენივრად მიხვდები ამას, როცა, ძალიან მალე, სრულიად მარტოდ დარჩები... ახლა კი წადი, შენი დანახვაც აღარ მინდა!..

საშკა გაჭირვებით გადაბრუნდა კედლისკენ და თავი ბალიშში ჩარგო... ლიზა ერთხანს კიდევ იყო მუხლზე დაჩოქილი, მზერაჩამქრალი დაშტერებოდა იატაკს. ტუჩები უთრთოდა, მაგრამ აღარ ტიროდა... ამ წუთში მას განაჩენი გამოუტანეს, სასტიკი, შეუბრალებელი, მაგრამ – სამართლიანი... თუმცა არა! ახლა კი არა, დიდი ხნის წინ მან თავად გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს, როცა ვნებას აყოლილმა და დაბრმავებულმა მიატოვა ქმარი და ლადოს გაეკიდა... შეიძლება, მართალი იყო საშა, როდესაც ეუბნებოდა – შენნაირმა ქალებმა სიყვარული არ იციანო... მაშ, რატომღა სტკიოდა ასე საშინლად გული?!

ლიზა წამოდგა... გაუბედავად მიუახლოვდა საწოლს. მერე გაჩერდა და ძლივსგასაგონი ხმით დაუძახა:

– საშა!.. საშკა...

ბიჭმა ხმა არ ჯასცა, არც კი შერხეულა, თითქოს ქალის ძახილი მას არ ეხებოდა. ლიზა მიხვდა – შვილისთვის იგი სამუდამოდ მოკვდა... აქ დგომასა, და მოწყალების ლოდინს აზრი არ ჰქონდა. შებრუნდა და ფეხათრეული გაემართა გასასვლელისაკენ. კართან მისული შედგა, უკანასკნელად მიიხედა საშასკენ... იქნებ ღირდა, კი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დევ ეცადა ბედი? იქნებ როგორმე მოელბო ბიჭის გული?.. უცებ საშას მიერ ზიზღით ნათქვამი სიტყვები გაახსენდა – „აქაც ახალი კუროს „შესაბმელად" მოხვედიო?"... საკუთარი თავი შესძაგდა, ქურქს დასწვდა, მხრებზე მოიგდო და კარი გამოაღო...

– უკვე მიდიხართ? მე კი „მარტინი" და ანანასი მოგიტანეთ... – ზღურბლზე ლენა იდგა, გაოცებული შესცქეროდა ქალს და უღიმოდა.

– გმადლობ, ჩემო გოგო, აღარ მინდა... – ლიზამ ქალიშვილს გვერდი აუარა და კიბეზე დაეშვა.

– კი მაგრამ... ამათ რა ვუყო?... ხურდა მაინც გამომართვით! ლევანს რა ვუთხრა?.. – ლენა უკან გამოუდგა სტუმარს, შუა კიბეზე დაეწია, ფრთხილად შეეხო მხარზე, შეხედა და გაოგნდა: ლიზა ტიროდა, ცრემლები პაწაწინა ნაკადულივით მოედინებოდა ქალის სახეზე... ლენა დაიბნა. – რა მოხდა?! ცუდად ხომ არ ბრძანდებით?! გნებავთ, ისევ ზემოთ ამობრძანდით, დამამშვიდებელს მოგცემთ...

– არა, არ მინდა... მანქანა მელოდება. სახლში წავალ... არაფერი მომხდარა, უბრალოდ, საშკა შემეცოდა... მართლაც ძალიანაა ნაცემი... საწყალი ბიჭი!..

– გაილვიძა?

– არა, ჩემს იქ ყოფნაში სულ ეძინა... მაპატიე, საყვარელო, მაგრამ ძალიან მეჩქარება, უნდა წავიდე. მშვიდობით...

– ლევანს რა ვუთხრა... ან საშკას?!

ლიზას აღარაფერი უთქვამს, ფეხს აუჩქარა და უკანმოუხედავად გავარდა ქუჩაში.

ლენამ მხრები აიჩეჩა, სწრაფად აირბინა საფეხურები და ბინაში შევიდა. ხელში შერჩენილი, საფირმო ნიშნით დამშვენებული ქაღალდის ჩანთა შემოსასვლელში იატაკზე დადო და საშკასთან შეიხედა. ბიჭი გულაღმა იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა, მის მკერდზე თანაბრად მოძრაობდა ზეწარი... „სძინავს", – გაიფიქრა ლენამ, ფრთხილად გამოიხურა ოთახის კარი, ჩანთა სამზარეულოში გაიტანა და ელექტროყავადანი ჩართო... – „ესეც, ანანასი და „მარტინი"... ნეტავ რა ნებავდა ქალბატონს, რისთვის გამომეცხადა? ვითომ, ნაცემი საშკას ბედი აწუხებდა? იქნებ ვადიმის გამო გაიხარჯა ასე? ალბათ, იცის, საშკას ვადიმმა რომ სცემა და ეშინია, ლევანმა საყვარელი არ მოუკლას... არა, სასწრაფოდ უნდა დავურეკო ლევანს, თორემ, ვინ იცის, რა მოხდება!"

ლენამ ქურთუკის ჯიბიდან მობილური ამოიღო და ნომერი აკრიფა. ლევანი არ პასუხობდა. შეფიქრიანებულმა ქალმა გენას დაურეკა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ᲒᲔᲜᲐ, ᲛᲔ ᲕᲐᲠ, ᲚᲔᲜᲐ... ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲨᲙᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲭᲘᲠᲡ... ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲮᲐᲠᲗ?.. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲘᲒᲖᲔᲐ? ᲚᲔᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ? ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ... ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲓᲐᲐ? ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ – ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲘᲖᲐ! ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲐ? ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘ... ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ... ᲮᲝᲛ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ – ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ, ᲒᲔᲚᲝᲚᲔᲑᲘᲗ... – ᲚᲔᲜᲐᲛ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲘᲨᲐ, ᲛᲝᲗᲣᲮᲘᲣᲮᲔ ᲩᲐᲘᲓᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲗᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲡ ᲓᲐᲡᲬᲕᲓᲐ...

ᲡᲐᲨᲙᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲫᲘᲜᲐ. ᲚᲔᲜᲐᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲔᲩᲘᲜᲐ, ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲗᲠᲗᲝᲓᲐ ᲑᲘᲭᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲛᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲬᲐᲛᲔᲑᲘ...

* * *

ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲚᲘᲖᲐ ᲥᲣᲩᲐᲡ ᲓᲐᲣᲧᲕᲐ... ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲥᲣᲠᲭᲘ ᲒᲐᲚᲔᲦᲝᲓᲐ, ᲚᲐᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲩᲐᲜᲗᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲗᲠᲔᲕᲓᲐ. ᲨᲝᲠᲘᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ „ᲞᲝᲠᲨᲔ“ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲔᲚᲝᲓᲐ. ᲚᲘᲖᲐᲛ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲐᲓ ᲩᲐᲣᲐᲠᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ. ᲘᲥᲕᲔ ᲐᲧᲣᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲐᲧᲝᲚᲔᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ.

– ᲜᲔᲢᲐᲕ ᲠᲐ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ? – ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ. ᲪᲘᲪᲗᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲛᲮᲐᲠᲑᲔᲭᲘᲐᲜᲛᲐ, ᲥᲔᲠᲐ ᲐᲮᲛᲐᲮᲛᲐ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲓᲐᲑᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲣᲜᲗᲘᲔᲑᲘ.

– ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ, ᲛᲐᲒᲘᲡᲐᲡ ᲠᲐᲡ ᲒᲐᲘᲒᲔᲑ? ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲪᲔᲜᲢᲠᲘᲚᲘ ᲕᲘᲜᲛᲔᲐ... ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲕᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲕᲚᲐᲓᲘᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲛᲚᲔᲑᲡ?

– ᲣᲧᲕᲐᲠᲡ! ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲡ ᲪᲮᲕᲘᲠᲬᲘᲜ ᲐᲐᲪᲐᲚᲐᲝ... ᲝᲯᲐᲮᲘ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ...

– ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ... ᲝᲠᲘᲕᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲑᲡ... ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲛᲔᲚᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲣᲡᲣᲡᲘᲐ, ᲡᲣᲚ ᲥᲝᲠᲬᲐ „ᲕᲐᲠᲘᲙᲔᲑᲘ“ ᲜᲔᲑᲐᲕᲡ... ᲔᲡ ᲢᲣᲢᲣᲪᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲪ ᲘᲡᲔ ᲘᲠᲔᲕᲘᲐᲜ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲖᲔ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲖᲔᲭᲐᲠᲣᲙᲘ ᲓᲐᲔᲜᲐᲮᲝᲗ... ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ ᲛᲐᲒ ᲮᲠᲝᲜᲪᲘᲡ...

– ᲤᲣᲚᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ, ᲤᲣᲚᲘ! ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲠᲝᲜᲪᲘᲐ... – ᲩᲐᲘᲪᲘᲜᲐ ᲐᲮᲛᲐᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲖᲐᲡ ᲒᲐᲮᲔᲓᲐ. – ᲠᲐᲚᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲝᲠᲡ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲧᲝᲚᲝᲓᲘᲗ? ᲓᲦᲔᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ... ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, „ᲩᲘᲢᲣᲜᲘᲐᲛ“ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲓᲐ...

– ᲒᲔᲧᲝᲤᲐ ᲚᲐᲥᲚᲐᲥᲘ! ᲩᲐᲯᲔᲥᲘ, ᲛᲘᲔᲧᲕᲔᲗ, ᲠᲐ ᲘᲪᲘ, ᲠᲐ ᲛᲝᲣᲤᲠᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ? ᲠᲐᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲥᲡ, ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲠᲩᲔᲑᲘᲗ...

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲡᲮᲓᲜᲔᲜ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ „ᲞᲝᲠᲨᲔ“ ᲜᲔᲚᲐ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲡ ᲤᲔᲮᲓᲐᲤᲔᲮ ᲐᲔᲓᲔᲕᲜᲐ. ᲚᲘᲖᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲒᲖᲐᲡ. ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲐᲕᲡᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲕᲔᲚᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲔᲒᲝ ᲒᲝᲜᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲣᲮᲠᲣᲭᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲚᲠᲭᲘᲐᲚᲘ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲐ... ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ ᲘᲒᲠᲫᲜᲝ ᲓᲐ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რალაც ძალამ კედელს მიანარცხა... თითქმის მაშინვე გაჩერდა წითელი „პორშეც", მანქანიდან გადმომხტარი მცველები ლიზისკენ გაქანდნენ, მძღოლმა კი ლამის სალონშივე მიახრჩო შიშისაგან გაფითრებული „ნივის" პატრონი, რომელიც თავის მართლებას ცდილობდა:

– რა ჩემი ბრალია, თვითონ შემომივარდა ბორბლებში... გიჟი თუა, მიხედეთ, ბატონო! რას აკვლევინებთ თავს?..

– ხმა ჩაიწყვიტე, უბედურო! კიდევ იოლად გადარჩი! რამე რომ მოსვლოდა, წასული იყო შენი საქმე, აქვე ჩაგკლავდით ძაღლივით! მოსცილდი აქაურობას, სანამ არ გადამიფიქრებია!

„პორშეს" მძღოლმა დამნაშავეს თვალები დაუბრიალა და მოახლოებულ ქალბატონს მანქანის კარი გაუღო.

– სახლში წამიყვანე, კოლია, – ყრუდ ჩაილაპარაკა ლიზამ. – ძალიან დავიღალე. – ქალმა თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო და თვალები დახუჭა...

• • •

მოსკოვთან ახლოს, ფეშენებელურ ვილაში, ძვირფას აპარტამენტებში, მარმარილოთი და მოოქრული ბრინჯაოთი გაწყობილი მოგიზგიზე ბუხრის წინ მდგარ კომფორტულ სავარძელში საფირმო სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცი გაშხლართულიყო და ბროლის მაღალფეხა ბოკალიდან ნება-ნება წრუპავდა შამპანურს. ერთი შეხედვით, სამოცი წლის მაინც გეგონებოდათ, მაგრამ, რამდენიმე კაზინოს, ღამის ბარებისა და საუნის მფლობელი – ბატონი ვლადიკი – სინამდვილეში ორმოცდათორმეტი წლის ბრძანდებოდა. დიდთავასა და მოუქნელს, მოთანთალე ღიპი სასაცილოდ გადმოკიდებოდა მოკლე ფეხებზე. ტანთან შედარებით გაცილებით გრძელი ხელები მაიმუნს ამსგავსებდა. საფეთქლებთან შეჭაღარავებული თმა სასაცილოდ ჰქონდა ყურებს უკან გაფშეკილი. ცივი, შუშასავით გამჭვირვალე თვალები მის უმეტყველო სახეს განსაკუთრებულ სისასტიკეს ანიჭებდა.

ვლადიკმა ჭიქა იატაკზე დადგა და ცეცხლს ჩააშტერდა... წუხანდელი სალამო გაახსენდა: საკუთარ ღამის კლუბში სიარულით გაბეზრებულს სიახლე მოუნდა და ერთ პრესტიჟულ ბარს მიაკითხა. საკმაოდ შემთვრალს, განმარტოებით მჯდარი მწვანეთვალება ლამაზმანი მოუვიდა თვალში. მაგრამ მოხდა საოცრება – გოგონამ ზიზღით მოიცილა თავიდან აბეზარი თაყვანისმცემელი... შეურაცხყოფილმა ვლადიკმა ქალიშვილს მაჯაში უხეშად წაავლო ხელი და ბარიდან ძალით დაუპირა გამოთრევა. ჰოდა, აქ მოხდა, რაც მოხდა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოულოდნელად ორმა კუნთებდაბერილმა ყმაწვილმა პატივცემულ ბატონ ვლადიკს კისერში წაავლო ხელი და, სანამ მისი დაცვა გონს მოეგებოდა, კინწისკვრით მოისროლა ქუჩაში... გაცოფებულ კაცს მაშინვე უნდოდა, იმ კახპასთვის ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ გაახსენდა, საკუთარ ტერიტორიაზე რომ არ იმყოფებოდა, სიტუაციის გამწვავებას მოერიდა, მანქანაში ჩაჯდა და, სიმწრისაგან ჭარხალივით გაწითლებული, იქაურობას გაეცალა. ახლა კი იჯდა ბუხართან და გულზე სკდებოდა...

თთახში ფეხაკრეფით შემოიპარა ერთიანად შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკი და პატრონის ფეხებთან ერთგული ძაღლივით გაჩერდა... ვლადიკმა ცეცხლს მზერა მოაცილა და ბიჭი წარბშეკრულმა შეათვალიერა.

– აბა, გაიგეთ რამე?

– ბევრი ვერაფერი... დილამდე ფეხი არ მოგვიცვლია იქიდან, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერ გავიგეთ.

– იდიოტებო, დილითაც იქ უნდა მდგარიყავით! ფულს რაში გიხდით? ერთი კახპა ვერ უნდა მოებნოთ?..

– ნუ ღელავთ, ვლადიკ საველიჩ... აუცილებლად ვიპოვნით... თუმცა...

– არავითარი „თუმცა"! მე გუშინ დამამცირეს, გესმის შენ? ამისათვის კი პასუხი უნდა ვაგებინო... წადი, საქმეს მიხედე! რაც გინდა, ჰქენი, მაგრამ ის კახპა იპოვნე და თმებით მომითრიე... გესმის? რას გაშეშებულხარ! ორი დღის ვადას გაძლევ, იცოდე!.. ჰო, მართლა, ქალბატონი მოვიდა?

– თავის ოთახში გახლავთ, საშინელ გუნებაზეა... გნებავთ, დავუძახო?

– საჭირო არ არის, თავად მივხედავ. შენ კი, რაც გითხარი, ის გააკეთე!..

ვლადიკი წამოდგა, დარბაზი გადაჭრა, უზარმაზარ ჰოლში გავიდა, ლიფტს გვერდი აუარა და კიბეს შეუყვა...

ლიზა საწოლზე იჯდა. ხელები ულონოდ ჩამოეშვა და უაზრო, არაფრის მთქმელი მზერა კედელზე ჩამოკიდებული, დიდი ოსტატობით შესრულებული პორტრეტისათვის მიეშტერებინა... აი, რა დარჩა მისი და მერაბის ოჯახისაგან – ეს ერთადერთი, ზეთის საღებავებით შესრულებული, ახალგაზრდა მოცინარი ქალიშვილის პორტრეტი... რა ბედნიერები იყვნენ მაშინ – ლამაზები, ხალისიანები... თხელ, სიფრიფანა სარაფანში გამოწყობილ ლიზას ოდნავ ეტყობოდა მუცელი – საშაზე იყო ორსულად... საშა! მისი საშა... რამხელა გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზრდილა, მის გარეშე, მისი ზრუნვის, ალერსის გარეშე... როგორ დამგვანებია მერაბს! მასავით ახოვანია, მამასავით პრინციპული... ნეტავ, ინა ვის ჰგავს...

ლიზამ ამოიოხრა. საწოლზე გულაღმა გადაწვა... ტრემლმა თავისით დაიწყო დენა... საფეთქლები დაუსველდა და კისერთან დაიწყო დაგუბება...

– რა მოგივიდა, ლიზა? – ლადო გვერდით მიუჯდა ცოლს და თმაზე მოეფერა.

ქალი გველნაკბენივით წამოხტა, ფანჯარასთან მივიდა, შუბლი მინას მიაყრდნო...

– რა მოგივიდა-მეთქი?! – ხმაში გაღიზიანება შეეპარა კაცს...

– არაფერი...

– არაფერი? საკუთარ თავს აღარ ჰგავხარ!.. რაღაც გაწუხებს, – ლადო ცოლს მიუახლოვდა და ყურადღებით შეათვალიერა. – ეს რა არის – კაბა გაგხევია, ერთიანად მტვერში ხარ ამოგანგლული... წაიქეცი? მითხარი, რა გჭირს?! – ქალს მკლავზე მოავლო ხელი და თავისკენ შეაბრუნა. ლიზამ მკლავი გამოჰგლიჯა.

– თავი დამანებე... ვერ გიტან...

– ეს ახალი ამბავი არ არის, – ჩაეცინა კაცს. – რას იზამ, საყვარელო, ეტყობა, სიცოცხლის ბოლომდე მოგვიწევს ერთმანეთის ატანა. ხომ არ გგონია, ჩემ გარდა ვინმეს სჭირდები?.. შენს საყვარლებს მანამ ენდომები, სანამ ფული გექნება – ჩემი ფული...

– ის ფული ჩემიც არის, ხომ არ გავიწყდება? – შეუყვირა ლიზამ.

– სისულელე ჩავიდინე, როცა ანგარიშები შენს სახელზე გავაფორმე, მაგრამ არაფერია!.. ერთ დროს მართლაც კარგად ვეწყობოდით ერთმანეთს... ასე არ არის? – ლადომ ნიკაპზე ხელი მოავლო ქალს, თავი ააწევინა და თვალებში ჩახედა.

ლიზამ მზერა მოარიდა.

– რაღაცას მიმალავ, ლიზა. ხომ იცი, ვერაფერს გამომაპარებ... სად იყავი?

– არსად. მაღაზიებში დავხეტიალობდი.

– მერე, რა იყიდე? – ოთახში მიმოიხედა კაცმა.

– არაფერი. გულს ვაყოლებდი.

– დღემდე გულის გადასაყოლებლად სხვა გასართობი გქონდა! რა მოხდა, იმიჯი შეიცვალე? – ირონიულად ჩაეცინა ლადოს.

– ჩემი პირადი ცხოვრება შენ არ გეხება!

– ვიცი, დიდი ხანია, მხოლოდ სხვების თვალში ვართ ცოლ-ქმარი. ძალიან შევცდი, როცა ბავშვის ყოლაზე უარი გითხარი... თუმცა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– თუმცა – რა? დაამთავრე, რისი თქმა გინდა?!. – მოულოდნელად გააფთრდა ქალი. – ვიცი, რასაც მეტყვი: რომ მე ცუდი დედა ვარ, შვილები მივატოვე, უპატრონოდ მივყარე... შენი ბრალია ყველაფერი, შენ ამირიე თავგზა! რა გინდოდა ჩემგან, რას მერჩოდი?! – აქვითინდა სასოწარკვეთილი ქალი...

– ძალიან გთხოვ, მაგაში ნუ დამადანაშაულებ. განა მე არ წავედი თბილისში ინას ჩამოსაყვანად?.. იქნებ დაგავიწყდა, რა პასუხით გამომისტუმრეს?.. ასე რომ...

– ბოლომდე უნდა მებრძოლა, არ უნდა დამეთმო...

– გებრძოლა მერე, ვინ დაგიშალა?! – მხრები აიჩეჩა კაცმა. – ძალიან გთხოვ, ისტერიკებს ნუ მომიწყობ, ისედაც არა ვარ შენს გუნებაზე... კაზინოში წადი, გაერთე... მოკლედ, არ ვიცი... რაც გინდა, ის ჰქენი, ოღონდ ასეთი ცხვირპირჩამომტირალი ნუ დადიხარ... თავი საკუთარ პანაშვიდზე მგონია...

გააფთრებულმა ლიზამ ისტერიულად შეჰკივლა და კაცს სახეში ფრჩხილებით ეცა...

ძუ ვეფხვივით გამძვინვარებული ქალის მწვანე თვალები ელვას აკვესებდა. სიბრაზისაგან გონდაკარგულს ერთადერთი მწველი სურვილი ამოძრაკებდა – როგორმე მისწვდომოდა საძულველი კაცის სახეს და დაემახინჯებინა. იმ წუთში სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა... ლადოს ასეთი ლიზა არასოდეს უნახავს, შეშინებულმა დაასწრო, ორივე მაჯა გაუკავა ქალს და საშველად დაცვას მოუხმო. ლიზა კიოდა, ხელების გათავისუფლებას ცდილობდა. ლადომ ცოლი მცველების „საიმედო" მკლავებს „გადაულოცა" და შვებით ამოისუნთქა.

– როგორმე დაამშვიდეთ, ოთახში ჩაკეტეთ და თვალყური ადევნეთ, არსად გავიდეს! – დაღლილობისაგან სულს ძლივს ითქვამდა და ხვნეშით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძლეოდა განკარგულებას.

– ექიმს ხომ არ გამოვუძახოთ? – ეჭვით შეათვალიერა ერთიანად აკანკალებული, დუმილეული ქალი კოლიამ.

– საჭირო არ არის, ცოტა ხნის შემდეგ გონს მოეგება. არაფერია, გაუვლის... ეტყობა, დიდი ხანია, აღარ გაუჩხირავს. თუ მოგთხოვოთ, მიეცით... მე ქვემოთ ჩავალ, ცოტას დავისვენებ, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, არ შემაწუხოთ! – ლადომ თავზე ალერსით გადაუსვა ცოლს ხელი და ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა: ეჰ, ლიზიკო, ლიზიკო, როგორ მიყვარდი... მაინც, რა მოხდა ჩვენ შორის...

ლიზამ კაცს ამღვრეული მზერა მიაპყრო, უცებ გადაიხარხარა და ქმარს სახეში მიაფურთხა. მოულოდნელობისაგან წამიერად გაშეშე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბულ კაცს თვალები ნელ-ნელა აეკვნა სიბრაზით. [illegible] წყვეტით გაუქანა ყბაში. საშინელი ღიაწანის ხმა [illegible] ქალის გახეთქილი ტუჩიდან სისხლმა [illegible] ჩაიკეცა, ქმარს ზიზღით შეხედა და კბილებში [illegible]

– მძულხარ!..

ლადოს ცოლისთვის აღარ შეუხედავს, ოთახიდან [illegible] და [illegible] რგს უკან კარი გაიჯახუნა.

კოლია ჩაჩოქილ ლიზას მიუახლოვდა, [illegible] ქალი არ განძრეულა.

– ქალბატონო... როგორა ხართ?..

– თავი დამანებეთ! დამანებეთ ყველამ თავი!.. – ლიზი სახით სა-ფოლის კუთხეს მიეყრდნო და აქვითინდა.

– ლიზ, არ გინდათ, რა... ყველაფერი გაიგლის... [illegible] ლიჩი დღეს ცუდ გუნებაზეა... ხელი მოიმეცით, წამოდგომაში [illegible] ლით... გინდათ „მარტინი"? მოგიტანთ, თქვენს საყვარელ კოქტე-ილსაც მოგიმზადებთ... ოღონდ ნუ ტირით...

– წადი, კოლია, დამტოვე, მეტი არაფერი მინდა...

– ლიზ!..

– წადი-მეთქი... საზიზღარი ქალი ვარ, გულის ამრევი...

ლიზი გაჭირვებით წამოდგა ფეხზე, ბარბაცით მივიდა ფანჯარა-სთან მდგარ საკარძელთან და მოწყვეტით ჩაეშვა შიგ...

კოლია თანაგრძნობით შესცქერიოდა. ლიზას გაეცინა.

– რას მომჩერებიხარ?.. გეცოდები, არა? ვერ გიტანთ, ვერავის ვერ გიტანთ! საცოდავი კაცუნები ხართ ყველანი... „იმან" რომ [illegible] ნოთ, ყველანაირ სისაძაგლეს იკისრებთ, კაცსაც მოკლავთ... [illegible] კოლია, კაცი ჯერ არ მოგიკლავს? არა?.. ჯერ [illegible] ხარ, კიდევ მოასწრებ!.. – ლიზამ ხმამაღლა გაიცინა და ხელი ხელს შემო-ჰკრა.

– წავალ, „მარტინის" მოგიტანთ... – კოლია შებრუნდა.

– არ მინდა „მარტინი"! ვისკი მომიტანე და „ის", [illegible] ოღონდ არ იძუნწო, იცოდე... – თითი გამაფრთხილებლად დაუქნია ქალმა.

– იქნებ არ ღირდეს... ასეთ მდგომარეობაში... – შეეყოყმანდა ბიჭი.

– აი, ეს უკვე შენი საქმე არ არის! რასაც გეუბნებიან, [illegible] თორემ!.. – ავად შეუყვირა ლიზამ, აგრძნობინა, აქ ჯერჯერობით ისევ მე ვარ უფროსი...

კოლიამ მორჩილად დაუქნია თავი და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ვისკის ბოთლითა და ჭიქით ხელში შემობრუნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მოიტანე? – თვალგაუბززლლად იკითხა ლიზამ.

– მოვიტანე. ახლავე გაგიკეთები...

– მაგიდაზე დადე და გადი... მე თვითონ გავიკეთებ...

– ლიზ...

– მე თვითონ-მეთქი!.. ოლონდ გაამზადე... თუმცა, არ არის საჭირო, მაგასაც მოვახერხებ...

კოლიამ პატარა მაგიდაზე შპრიცი, რეზინის ძაღი, რამდენიმე ამპულა დააწყო, გვერდით ვისკის ბოთლი და ჭიქა მოუდგა და ოთახიდან გავიდა. ლიზა გამოერკვა, წამოიწია. ფიშველ ხელ აკეზე რეზინი გადაიჭირა, თითებით ამობურცული ძარღვი მოძებნა. შეფერილი შპრიცი სწრაფად გაბსნა, ხსნარით ნახევრამდე შეავსო, ხელი უკან გადაიფიქრა, დგუში ბოლომდე ამოწია – დოზა გაზარდა. ხელის ოსტატური მოძრაობით ზუსტად დაუმიზნა ხელავს... რეზინი შეიხსნა, სავარძელში გადაესვენა და თვალები მიილულა. ნისლში ხელ-ხელა გამოიკვეთა ნაცნობი სახეები... ინას კისკისი ჩაესმა შორიდან. სადღაც ყრუდ დგაფუნობდნენ ზღვის ტალღები... „ლიზა, ჩაეშვი წაიქცა!" – აშკარად ჩაესმა მერაბის ხმა. „ბავშვი წაიქცა... ჩაეშვი წაიქცა..." – ყრუდ გაიმეორეს ოთახის კედლებმა და ყველაფერი ვარდისფერ უსასრულობაში დაინთქა...

* * *

აუზის თბილ წყალში მონებივრე ვლადიკს მყუდროება მეორე სართულზე ატეხილმა ხმაურმა დაურღვია. ვილაცები ბრაჭაბრუგით არბოდნენ და ჩამორბოდნენ კიბეზე, ისმოდა შეშფოთებული შეძახილები.

– გაიგე ერთი, რა ამბავია! – უბრძანა ვლადიკმა ზოლიან შეზლონგზე გაშხლართულ ვადიმს, რომელიც უკმაყოფილოდ შეიშმუშნა...

– ზემოთ ვერ ავალ, არ მინდა, ლიზამ მნახოს. მაშინვე და ურეკავს ლევანს... ბიჭებმა მითხრეს, ისა და გენა გააფთრებული დაგეძებენ – იმ ლაწირაკის გულისთვისო... ისე, მაგრად კი მოხვდა... – უკბიფრად ჩაიბითხითა ვადიმმა.

– იდიოტი ხარ, თანაც – მშიშარა!.. – ვლადი წყლიდან ამოვიდა, სველ ტანზე გრძელი ხაოიანი ხალათი შემოიცვა და ბიჭს ანიშნა, სავარძელზე მიგდებული პირსახოცი მომაწოდეო. ხმაური გაძლიერდა და ის იყო, ლადომ ისევ დააპირა ვადიმის ამბის შესატყობად გაგზავნა, რომ შიშისაგან სახედაღრეჯილი კოლიაც შემოვარდა.

– ბოს! იქ... იქ... ქალბატონი ლიზა... – ვერაფრით ახერხებდა სათქმელისათვის თავის მობმას.

– გამაგებინეთ, რა მოხდა! რა მოუვიდა ლიზას?!.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ცუდად არის, ძალიან ცუდად... აღარ სუნთქავს... ვერაფრით მოვაბრუნეთ... მგონი...

– რაო?! – დაიღრიალა ლადომ და გიჟივით გავარდა მეორე სართულისაკენ, ვადიმი და კოლიაც გაედევნენ. მეორე სართულის ჰოლი სავსე იყო დაცვის ბიჭებითა და მომსახურე პერსონალით. სავარძელში გადასვენებულ ლიზის უჩვეულოდ მშვიდი, ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ნატიფი ხელის მტევანი ულონოდ გადმოჰკიდებოდა სავარძლის სახელურს. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ლადო ცოლს შივარდა, მხრებში ხელი მოავლო, შეანჯღრია.

– ლიზა, ლიზა! შემომხედე, გესმის?! თვალი გაახილე, ლიზა! – ჩასძახოდა გამწარებული. – ექიმი! რაღას უცდით, ექიმი მოიყვანეთ, ჩქარა!.. გაინძერით, თქვენი!..

კოლიამ სავარძელთან ჩაიმუხლა, ქალს მაჯაზე მოჰკიდა აკანკალებული ხელი. მერე ქუთუთო აუწია, თვალის ფსკერს ჩახედა.

– გვიანაა, მკვდარია... ეტყობა, დოზა მოუვიდა მეტი... – ჩაილაპარაკა სევდიანად და ქალს მოსცილდა.

– რატომ დატოვეთ მარტო?!. ხომ გითხარით, თვალი არ მოაცილოთ-მეთქი?!. მიპასუხეთ, ხომ გითხარით?! – ბღაოდა კაცი... მერე ცოლის უსულო სხეულს დასწვდა და გიჟივით დაუწყო კოცნა. ბიჭები ერთმანეთის მიყოლებით გაიპარნენ ოთახიდან.

ქალაქგარეთ მდებარე ფეშენებელურ ვილაში კიდევ დიდხანს ისმოდა მამაკაცის თავშეუკავებელი ღრიალი...

* * *

საშკას გამთენიისას ჩაეძინა. დიდხანს ეძინა, მშვიდად, უშფოთველად. სახლში დაბრუნებულ, მღელვარებისაგან გაფითრებულ ლევანს კარი ნახევრად მძინარე ლენამ გაუღო.

– უკვე მოხვედი?.. მარტო ხარ? – იკითხა ქალმა და ლევანის ზურგს უკან სივრცე მოათვალიერა.

– გენა ვლადიკ საველიჩთან წავიდა... უბედურება მოხდა... – ლევანმა ქურქი საკიდზე დაუდევრად ჩამოკიდა, ოთახში შევიდა და საშკას დახედა.

– ამას სულ სძინავს?

– თითქმის... თუმცა არ ვიცი, შეიძლება მაშინ გაიღვიძა, როცა ქალბატონი ლიზა მოვიდა. მე გასულ ვიყავი – იმან გამაგზავნა, „მარტინი" უნდოდა.

ლევანმა გაოცებით შეხედა ლენას.

– ლიზა აქ იყო?! როდის, რა უნდოდა?! რატომ არ დამირეკე?

– გირეკავდი, მაგრამ **შენ** არ მპასუხობდი... მერე გენასთან და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვრეკე, მითხრა, ყველაფერი რიგზეაო... – ლენამ ახლაღა შენიშნა, რომ ბიჭს სახეზე ფერი არ ედო. – წეღან... უბედურება მოხდაო, რომ თქვი... რა მოხდა?

– ქალბატონი ლიზა გარდაიცვალა...

– რას ამბობ? როდის?! როგორ?.. – თითქმის კივილით ჰკითხა ლენამ.

– ორი საათის წინ, თავის სახლში... ამბობენ, დოზა მოუვიდა მეტიო... ლენა! – ლევანმა უცნაურად შეხედა ქალიშვილს. – არ იცი, ლიზას რა უნდოდა? რისთვის მოვიდა?..

– არ ვიცი... – მხრები აიჩეჩა ლენამ. – მგონი, საშკას ნახვა უნდოდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე თქვა... შერე სასმელისათვის გამაგზავნა, თვითონ კი აქ მარტო დარჩა, საშასთან.

– სწრაფად დაბრუნდი?

– მგონი, კი... თუმცა ის უკვე მიდიოდა, შემოსასვლელში შევეჩეხე.

– უცნაური არაფერი შეგინიშნავს?!

ლენა დაფიქრდა:

– არა... თუმცა, კი, – რაღაცნაირი სახე ჰქონდა... მელაპარაკებოდა, მაგრამ არ მისმენდა... შეცბუნებული იყო, დაბნეული... „მარტინის" ზედაც არ შეხედა, ფეთიანივით დაეშვა კიბეზე...

– ლენა, მაგარი ყავა გამიკეთე, რა... – სთხოვა ბიჭმა.

– ახლავე, – ლენა სამზარეულოში გავიდა და კარი მიხურა.

ლევანი საშკასთან მივიდა, და საწოლზე ჩამოუჯდა.

– საშა! – დაუძახა ხმადაბლა. ბიჭმა დაიკვნესა და გვერდი იცვალა.

– საშა! – ლევანმა ფრთხილად შეანჯღრია. ბიჭი შეიშმუშნა, თვალი გაახილა და ლოგინში წამოჯდა...

– როგორ ხარ? – გაულიმა ლევანმა.

– არა მიშავს, – თავი დაუქნია საშკამ.

– საშკა, რაღაც მინდა გკითხო და, ძალიან გთხოვ, სიმართლე მითხარი... ლენასგან ვიცი, შენ სანახავად დღეს აქ ლიზა მოსულა. რა უნდოდა?.. საშკა, ნუ დამიმალავ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია... – ლევანს მღელვარებისაგან ხმა უთრთოდა.

საშკა დუმდა.

– საშა, მე შენთვის არასოდეს არაფერი მიკითხავს... მაგრამ ახლა უნდა მითხრა, ვალდებული ხარ, მითხრა: რა მოხდა აქ ისეთი, რომ...

– რომ?.. – კითხვა შეუბრუნა ბიჭმა.

– ლიზა დაიღუპა – დოზა მოუვიდა მეტი... მაგრამ, რატომღაც მგონია, მან ეს შეგნებულად გააკეთა... ის, ის... დედაშენი იყო, ხომ?!

ზეწარივით გაფითრებულმა საშამ ოდნავ შეარხია გასიებული ტუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩები და ჩაიჩურჩულა:

– ჩემი ბრალია...

– საშკა!..

– ახლა მეტი აღარაფერი მკითხო და.. თუ შეგიძლია, მარტო დამტოვე.

– კარგი, როგორც გინდა... – ლევანი ოთახიდან გავიდა. მარტოდ დარჩენილმა საშკამ ზეწარი თავზე გადაიფარა და პატარა ბავშვივით აზლუქუნდა...

• • •

ლევანმა ჩანთას კიდევ ერთხელ გადახედა, შეკრა და შემოსასვლელში გაიტანა... მაგიდაზე გაშლილი სახატავი ქაღალდები, ფანქრები მოხვეტა და პატარა კეისში ჩააწყო... კედლებს თვალი მოავლო. დიდხანს უყურა „სატანის ლიმილს". ჯერ მისი ჩამოხსნა უნდოდა, მერე გადაიფიქრა...

– უკვე მიდიხარ? – ოთახის ზღურბლზე ლოგინიდან ახლად ამდგარი საშკა იდგა და თვალებს იფშვნეტდა.

– ჰო, სადაცაა, გენა მომაკითხავს...

– მეც გაგაცილებ, რა...

– არ გინდა, ჯერ ისევ სუსტად ხარ. გამცილებლის როლში გენაც მშვენივრად გამოდგება. აქ დავემშვიდობოთ ერთმანეთს...

ლევანი საშკას გადაეხვია.

– ბინას და მანქანას შენ გიტოვებ. დიდი არაფერია, მაგრამ გამოგადგება... ფულიც გაქვს... ცოტახანს თავს გაიტან...

– იქნებ გადაიფიქრო, ჰა? დარჩი, რა, ლევან!

– არა, საშკა, უკვე ყველაფერი გადავწყვიტე! ისეთი სახე გაქვს, თითქოს ქვეყნის დასალიერში მივდიოდე... იტალია კი აქვეა, ხელის გაწვდენაზე... – გაეცინა ლევანს.

– ალბათ, აღარც ჩამოხვალ... – გულდაწყვეტილი საშა ვეღარ მალავდა მღელვარებას.

– ვინ იცის. შეიძლება, ჩამოვიდე კიდეც... ჩემი მოუსვენარი ბუნებიდან გამომდინარე, დიდხანს ერთ ადგილას ვერ ვჩერდები... ჰო, მართლა, რა გადაწყვიტე? მოსკოვში რჩები?

– დავრჩები... კოსტია ბარს ხსნის, შემომთავაზა, ერთად ვიმუშაოთო. ჯერ კედლებს მოვხატავ... ისედაც მივეხმარები.

– კოსტია კარგი ბიჭია, ერთად ცუდად არ იქნებით. იცოდე, ჭკვიან იყავი! დიდი ხიფათიანი ვინმე ხარ, წუთით არ შეიძლება შენი მარტოდ დატოვება, მაშინვე შარში ეხვევი...

საშკას გაეღიმა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ნუ გეშინია, კარგად მოვიქცევი!

– იმ ნაბიჭვრის ჯავრიც მიმყვება... როგორ დაგვეკარგა! – ვადიმი გაახსენდა ლევანს.

– Ничего, Леванчик! Я найду его, გპირდები, – მკერდზე მუშტი დაიბრაგუნა ოთახში შემოსულმა გენამ. – ორივეს მაგივრად დავუნაყავ თავყბას! მაგრამ, გეფიცები, ძალიან მწყდება გული, რომ მიდიხარ, будь что будет, მოდი, რა, დარჩი! ჯანდაბას იტალიაც და ბილეთიც. ერთად ისეთ საქმეებს დავატრიალებთ...

– არა, გენა, ჩემი საქმე ფუნჯი და ფანქარია... უნდა ვხატო, ვხატო!

– ეეჰ, აკი ვთქვი, ყველა მხატვარი ცოტას აფრენს-მეთქი! რა გაეწყობა, წავიდეთ, თორემ თვითმფრინავი არ დაგველოდება! – გენა შემოსასვლელში გავიდა, ჩანთებს დასწვდა და ლიფტში შეიტანა.

ლევანი საშკას გადაეხვია.

– ნახვამდის, საშკა!

– ნახვამდის, ლევან!

– საოცარია, იმდენი რამე მინდა გითხრა, მაგრამ...

– არაფერია, კიდევ დავსხდებით სასაუბროდ...

– აბა რა! – კართან მისული ლევანი შედგა, მოტრიალდა,– საშკა, ინას არაფერი უთხრა ლიზას შესახებ... დამიჯერე, ასე ჯობს, ცოდოა ბავშვი...

– მართალი ხარ... არაფერს ვეტყვი, – საშკამ უკანასკნელად გაულიმა ლევანს და ხელი გამამხნევებლად დაუქნია.

– ჩქარა, ბიჭო, გამილურჯდა თითები!.. – დაუყვირა გენამ ლევანს. – არ მოიწყინო, საშკა, შემოგირბენ ხოლმე!.. – ამის თქმაღა მოასწრო გენამ და ლიფტის კარიც დაიკეტა...

სადარბაზოსთან თვალცრემლიანი ლენა ატუზულიყო.

ლევანი ლენას მიუახლოვდა, წინ გაუჩერდა და თმაზე ოდნავ შეეხო ტუჩებით.

– მიდიხარ? – სევდიანად იკითხა ლენამ.

– ჰო!

– სხვანაირად არ შეგიძლია?

– არა!

– მაშინ წადი! – ლენამ ლევანის ხელი ტუჩებთან მიიტანა, აკოცა და თვალები დახუჭა.

– შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ლენა!

– ვიცი, ერთხელ უკვე მითხარი...

– გეფიცები, ყოველთვის მემახსოვრები...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საყვირის ხმამ იქაურობა გააყრუა – გენას მოთმინება დაეკარგა. ლევანმა მანქანის კარი გამოაღო, ჩავდა და გენას მიუბრუნდა:

– წავედით!

– ძლივს! – გაუხარდა გენას და მანქანა დაძრა.

* * *

დაღლილი საშკა პარკში განმარტოებით მდგარ სკამზე იჯდა და ფიქრობდა. ზამთრის სუსხს სისუსტე შეპარვოდა, ჰაერში უკვე იგრძნობოდა გაზაფხულის სურნელი... ციყვები გამალებით ხტოდნენ ტოტიდან ტოტზე. მათში ზოგი ისეთი „უტიფარიც“ გამოერეოდა, სულაც არ დაგიდევდათ, ჰქონდა თუ არა საშკას თამაშის სურვილი, ძველი მეგობარივით გვერდით მიუსკუპდებოდა და სასაცილოდ აცმაცუნებდა პაწაწინა ულვაშებს. პარკის მოხრეშილ ბილიკზე მშვიდად სეირნობდნენ ხანშიშესული წყვილები და ახლაგაზრდა დედები, შეფუთული ჩვილებით ხელში.

საშკა ფიქრობდა... ორიოდ კვირაში იმდენი რამ შეიცვალა, რომ... ლიზას ამბავი ჯერაც ვერ მოენელებინა წესიერად... თურმე იმაზე მეტად ჰყვარებია, ვიდრე ისურვებდა. ქალის სიკვდილში საკუთარ თავს ადანაშაულებდა, თუმცა მის პატიებას, ალბათ, ვერასოდეს შეძლებდა... ლევანი წავიდა... უზარმაზარი, ამოუვსები სიცარიელე დარჩა მის ადგილას. საშკას ძალიან მოაკლდა დილაობით მისი მხიარული შეძახილი... კიდევ ერთ საყვარელ ადამიანს დაშორდა. ახლა ბებოს, ინასა და გოგიჩას გარდა ლევანიც ენატრებოდა... საშკამ ამოიოხრა. კიდევ კარგი, სამუშაო ჰქონდა. ესკიზებს უკვე მორჩა, ახლა მათი კედლებზე განლაგება იყო საჭირო. მოხატვაზე არასოდეს უმუშავია, მაგრამ ბავშვობაში ხშირად უყურებია მამისთვის. დარწმუნებული იყო, არ გაუჭირდებოდა.

წამოდგა, ნელი ნაბიჯით დაუყვა ხეივანს... თბილისშიც, უკვე რამდენიმე დღეა, აღარ დაურეკავს. ნეტავ რას შვრებიან ჩემები?.. ბებიამ რომ ლიზას ამბავი შეიტყოს, იტყვის – მერაბისა და თქვენმა ცოდვამ უწიაო... შეიძლება, გაუხარდეს კიდეც... თუმცა ლილი ბოროტი არ არის, არასოდეს უხსენებია რძალყოფილი ბავშვებთან აუგად... შესაძლოა, შეებრალოს კიდეც. საცოდავი...

საშკამ თავი გააქნია, თითქოს აბეზარი ფიქრის მოცილება სურსო. ბილიკზე პაწაწინა პუდელი მოხტოდა. პატრონს, უხეიროდ შეპუდრულ, თმააფუებულ ქალს, საიმედოდ ჩაებღუჯა საყელურის თასმა ხელში და ძაღლს აქოშინებული მისდევდა. პუდელის დანახვამ თიკო გაახსენა... რამდენი ხანია, აღარ მოჰგონებია... მისი სახება ნელ-ნელა გაიცრიცა და გაითქვიფა ყოველდღიურობაში. არაღა, როგორ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფერადა, ეგონა, მის გარეშე სიცოცხლეს ვერ შეძლებდა... ნუთუ ყველაფერი ტყუილია, ნუთუ სიყვარული მართლაც უკვალოდ ქრება?.. საშკამ ფეხსაცმლის ჭვინტი ენჭს გაჰკრა, თვალი გააყოლა და ამოიოხრა...

* * *

უფერული დღეები მონოტონურად მისდევდნენ ერთმანეთს. სიმარტოვე აუტანელი გახდა. საღამოობით საშკა გვიანობამდე რჩებოდა ხოლმე ბარში. თითქოს ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა, სინამდვილეში კი სახლში გამეფებული სიცარიელის ეშინოდა. კოსტიამ რამდენჯერმე შესთავაზა, ვინმე გაიჩინე, მოგხედავს კიდეც და ხმის გამცემიც გყოლებაო. მაგრამ საშკას არ შეეძლო, სრულიად უცხო ადამიანისთვის დაეთმო სულის თუნდაც ყველაზე პაწაწინა ნაწილი... იქნებ, მხოლოდ თავად ეგონა ასე?..

ძალიან მოენატრა თბილისი და თავისიანები. თითქმის ყოველდღე რეკავდა სახლში, მაგრამ ეს ვერ შველოდა იმ საშინელ სევდას, რომელიც ნელ-ნელა უძვრებოდა სულში და გულს ულრღნიდა... გახდა, სახე ჩამოუგრძელდა... თვალებმა თითქოს უკან, სიღრმეში დაიხიეს, უპეები ჩაუმუქდა, ორი გრძელი ხაზი გაიჭიმა მათ ქვემოთ, გაიჭიმა და ფეხი აღარ მოიცვალა...

* * *

ბარის დახლში ჩამდგარი კოსტია ბოკალებს წმენდდა, თან ცალი თვალით საშკას უჭვრეტდა. „როგორ გამოიცვალა ამ ბოლო დროს, – ფიქრობდა ნაღვლიანად. – არა, რამე თუ არ ვიღონე, ხელში ჩამადნება... დიდი უცნაური ვინმეა, გულჩახვეული. თუმცა ლევანიც ასეთი იყო, საოცარი ხალხია, სულ რაღაც არარსებულს დაეძებენ, ძალით ირთულებენ ცხოვრებას“...

კოსტიამ ბოკალები ზემო თარიზე ჩამოამწკრივა, ტილო მიაგდო და საშკასთან მივიდა. ბიჭი თავის საყვარელ ადგილას, ბარის ყველაზე შორეულ კუთხეში მიმჯდარიყო, წინ ფურცლები დაელაგებინა, ქუჩას უყურებდა და გამალებული რაღაცას ხატავდა. კოსტიას მიახლოება იგრძნო, თავი ასწია და გაულიმა.

– რა, გჭირდები?!.

– არა... – კოსტიამ მხრები აიჩეჩა და მეზობელ სკამზე ჩამოჯდა. – დღეს ცოტა ხალხია, არა?

– ჰო, იმიტომაც ვერთობი, – საშკამ ფანქარი მოიმარჯვა და ხატვა განაგრძო.

– ერთობი კი არა... აბა, ეს რა გართობაა!.. მოდი, დღეს მართლა გავერთოთ: სასმელი ავიღოთ, გოგოებს დავურეკოთ და ჩემთან ავი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დეთ... თუ გინდა – შენთან...

საშკა დაფიქრდა, სახე მოეღრუბლა.

– რა ვიცი, კოსტია... მგონი, არა ღირს... არ მიყვარს ასეთი რაღაცები.

– კარგი, რა, საშკა! ასე არ შეიძლება! ვერ ხედავ, რას დაემსგავსე? განდეგილი ბერივით ცხოვრობ...

საშკას გაეცინა.

– რა გაცინებს, ასე არ არის?.. წამოდი, წამოდი, ბარს დავკეტავ და...

– არა, კოსტია, არ შემიძლია... ასე არ შემიძლია... უსიყვარულოდ...

– ეეე, ძმაო, კარგი, რა! სიყვარული... სიყვარულიც იქნება, მაგრამ ესეც საჭიროა. იცი, რა გოგოებს ვიცნობ? ნუ მეჯიუტები, წამო! – კოსტიამ ცალი ხელი მხარზე დაადო საშკას, მეორით კი მაგიდაზე ფურცლებს დასწვდა წამოსაკრეფად.

– ოლონდ დღეს – არა, კოსტია, დღეს არ შემიძლია... სხვა დროს იყოს. თუნდაც – ხვალ...

– რატომ?

– ლევანმა უნდა დარეკოს, ჩვენებთანაც რაღაც საქმე მაქვს, სახლში მინდა ვიყო, – იცრუა საშკამ.

კოსტიამ უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი.

– ეეჰ, ვიცი შენი ამბავი – ხვალაც რაღაცას მოიმიზეზებ. დიდი უცნაური კაცი ხარ....

საშკას გაეცინა.

– რაცა ვარ – ეს ვარ! ცოტა დაგვიანებულიცაა ჩემი გამოცვლა, – საშკა წამოდგა, ნახატები მოხვეტა, ფანქარი ჯიბეში ჩაიდო.

– მაშ, მიდიხარ? – ჰკითხა კოსტიამ.

– ჰო...

მანქანა ნელა მიჰყავდა. ფიქრობდა... იქნებ ღირდა, დათანხმებოდა კოსტიას წინადადებას? გულს გადააყოლებდა მაინც... რა მიარბენინებდა შინ, ვინ ელოდებოდა ორი გამოცარიელებული ოთახისა და უსიცოცხლო ნივთების მეტი!.. საშკამ ამოიოხრა, პატარა ქუჩაზე ჩაუხვია, დაამუხრუჭა და, ის იყო, უკან, ბარში აპირებდა დაბრუნებას, რომ მიხვდა – გზაზე რაღაც უცნაური ხდებოდა.

ვერცხლისფერი „რენო“ „მერსედესსა“ და მუქი ფერის „ჩეროკს“ კუთხეში მიემწყვდიათ. „მერსედესი“ წინ იყო ჩახერგილი, „ჯიპი“ კი უკნიდან მისდგომოდა „ტყვეს“ და განძრევის საშუალებას არ აძლევდა. მოსახვევი ვიწრო იყო. საშკა დაიძაბა, ყურადღებით დააკვირდა ბინდს. ცუდად განათებულ ქუჩაზე მოჩხუბარნი შენიშნა, უფრო სწო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რად – სამი ურტყამდა ერთს. საცოდაოისთვის ხელები გაეკაეებინათ და გამეტებით, დაუზოგავად უბრახუნებდნენ მუცელსა და სახეში. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი საკმაოდ მოსული ალბაგობისა ჩანდა, მაინც ვერ ახერხებდა მუშტების არიდებას. საშკას მოეჩვენა, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს მუშტი უჩვეულოდ უბრწყინავდა. „კასტეტი!" – გაუელვა გონებაში. მართლაც, წუთის შემდეგ იმ უბედურის სახე უმი ხორცის ნაჭერს დაემსგავსა და მუხლებში ჩაიკეცა. თავდამსხმელებმა მისი მომჩვარული სხეული გვერდით მიაგდეს და „რენოს" კარებს დაეჯავჯგურნენ. საშკას სუნთქვა შეეკრა. გული ისე უცემდა, შეეშინდა, მის ბაგაბუგს არ გაეცა. საზიზღარი სანახაობა იყო. მითუმეტეს, შველა არაფრით შეეძლო, ამგვარ ჩხუბში ჩარევა თვითმკვლელობას უდრიდა. საშკას მღელვარებისაგან ხელები აუკანკალდა... უცებ ქალიშვილი დაინახა. ბიჭებმა იგი ძალით გადმოიყვანეს ვერცხლისფერი „რენოდან" და ახლა „ჯიპისაკენ" მიათრევდნენ. საშკას ყრუდ ჩაესმა გოგონას კივილი. „რენოს" მძღოლმა სცადა, გამკლავებოდა ბანდიტებს, მაგრამ „რაინდობა" ძვირად დაუჯდა – ერთ-ერთმა ახმახმა ქალს ხელი უშვა და მეტიჩარას ტყვია შუბლში მიაჭედა... გოგონა განწირული იყო, ამაოდ ებღაუჭებოდა მანქანის გამოღებულ კარს, ამაოდ იქნევდა ფეხებს, ამაოდ უხმობდა მშველელს. საშამ მოახერხა, ერთი შეხედვით შეეფასებინა მისი უბადლო გარეგნობა. მოკლე, ცალ მხარეს ღრმად შეჭრილი კაბა, ფაქტობრივად, მთლიანად აჩენდა მის შეუდარებელ აღნაგობას. შავი ხვეული თმა მხრებს უფარავდა, პროფილი ძველბერძნული მარმარილოს ქანდაკებისა ჰქონდა და მთლიანადაც ანტიკური ეპოქის მხატვრის შედევრს ჰგავდა. საშკას მეტი აღარ უფიქრია, დასაჯდომის ქვეშ ხელი მოაფათურა, იქიდან დიდი ქანჩის გასაღები გამოიღო, მაგრად ჩაბღუჯა და შეუმჩნევლად გადავიდა მანქანიდან. სიტუაცია სწრაფად შეაფასა: ორი ბანდიტი, რომლებიც ქალიშვილს ხელებში ჩაფრენოდნენ, მისკენ ზურგით იყვნენ, მესამე დაწინაურდა და „მერსედესისაკენ" გაემართა. თუკი სწრაფად იმოქმედებდა, იქნებ... ყოველ შემთხვევაში, ერთი უპირატესობა მაინც ჰქონდა – მის გამოჩენას არავინ ელოდა...

საშკა ფეხაკრეფით მიუახლოვდა ბანდიტებს, რომლებსაც მთელი ყურადღება გაძალიანებული აკივლებული გოგონასაკენ ჰქონდათ და ქანჩის გასაღები ისე გამეტებით ჩასცხო ერთ მათგანს თავში, დაყვირებაც ვეღარ მოასწრო, ისე ჩაიკეცა. მეორე ბანდიტმა ქალიშვილს ხელი უშვა და იარაღისკენ წაიღო ხელი. სწორედ ამ დროს მოქნეული რკინა პირდაპირ სახეში მოხვდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გავიქცეთ, ჩქარა, მანქანისაკენ! – დაიყვირა საშკამ, ქალიშვილს თავისი ავტომობილისკენ უბიძგა და სანამ „მერსედესსა" და „ჯიპში" მსხდარი ბანდის დანარჩენი წევრები გონს მოვიდოდნენ, მეგობრისეული „07" ადგილს გიჟივით მოსწყვიტა...

– ღმერთო, ოღონდ ნომერი ვერ დაინახონ! ოღონდ აქედან გავაღწიო როგორმე... ღმერთო, მიშველე, ღმერთო!..

საშკამ დიდხანს იარა ქალაქში ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით. გაფაციცებული იყურებოდა უკან... არა, „კუდი" არ ჩანდა, მგონი გაუმართლათ, გადარჩნენ... საშკამ თავისუფლად ამოისუნთქა, ხელის ზურგით შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა და ახლაღა შეხედა გვერდით სავარძელზე მიყუჟულ, შიშისაგან პატარა კნუტივით ერთიანად აცახცახებულ გოგონას.

– ნუ გეშინია, ყველაფერი დამთავრდა!.. – საშკამ თანაგრძნობის ნიშნად ხელი ოდნავ შეახო მხარზე. ქალიშვილმა არაფერი უპასუხა და კიდევ უფრო მოიკუნტა. მანქანა პროსპექტზე გავიდა, ორი კვარტალიც გაიარა და გაჩერდა... საშკა თანამგზავრისკენ შემობრუნდა და მოულოდნელობისაგან გაშეშდა: იცნო! ეს „ის" იყო, მწვანეთვალება და მუქკანიანი ანგელოზი – „ქალიშვილი კაფედან". ბიჭს მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა. გოგონას შოკოლადისფერ სახეზე მსხვილი ცრემლები მოგორავდა...

– დამშვიდდი. ახლა ისინი ველარ გიპოვნიან!.. – საშკა უცებ მიხვდა, რომ მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს „შენობით" დაელაპარაკა. თავისი თავისთვის ასეთი რამ ადრე არ შეუნიშნავს.

– თქვენ არ იცით... ისინი... ის... – ქალიშვილს სიტყვები გაუწყდა და ხმამაღლა ატირდა.

– იქნებ ჯობდეს, პოლიციაში მიგიყვანო? მგონი, შენი თანამგზავრები სარიოზულად დაშავდნენ, თუ ცოცხლები არიან საერთოდ...

გოგონა სლუკუნებდა, საშკას თითქმის არ უსმენდა.

– რა გქვია? – საშკამ ფრთხილად შეუმშრალა ცრემლით დასველებული სახე საკუთარი ცხვირსახოცით. გოგონამ უნდობლად შეხედა.

– კარგი, თუკი არ გინდა, ნუ მეტყვი...

– ანიტა მქვია.

– ანიტა? უცნაური სახელია... იქნებ ანია ხარ, ჰა? – გაულიმა საშკამ.

ანიტა ისევ სატირლად მოემზადა...

– თანახმა ვარ, ანიტა დაგიძახო, ოღონდ ნულარ იტირებ... მე საშა მქვია, საშკა... – ბიჭი უკანა საჯარბელზე მიგდებულ კონიაკის ბო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თლს გადასწვდა, თავი მოხადა და ანიტას მიაწოდა. – აჰა, მოსვი... თავს უკეთ იგრძნობ.

გოგონამ ზიზღით შეათვალიერა ბოთლი:

– არ მინდა, არ ვსვამ...

– ლოთი არც მე ვარ... მაგრამ ახლა ერთი-ორი ყლუპი მოგვიხდებოდა!

ქალიშვილმა საშკას ოდნავ გაულიმა, ბოთლი ჩამოართვა და სიხსლისფერ, გამობურცულ ტუჩებთან მიიტანა... საშკამ მზერა მოარიდა, გარეთ გაიხედა. უკვე კარგად დაღამებულიყო.

– საკმაოდ გვიანაა... თუ წინააღმდეგი არ იქნები, ჩემთან აგიყვან... მარტო ვცხოვრობ... ბინა მეგობრისაა, მაგრამ ახლა აქ არაა, საზღვარგარეთ წავიდა, ბინა კი მე დამიტოვა... დიდი არაფერია, თუმცა ღამის გათევა შეიძლება... დილით მითხარი და იქ მიგიყვან, სადაც გინდა...

ანიტამ უხმოდ დაუქნია თავი. საშკა მანქანიდან გადავიდა, იქაურობა მოათვალიერა, სადარბაზოშიც შეიხედა, მერე კი უკან დაბრუნდა და ქალიშვილს ხელი შეაშველა...

* * *

– იდიოტები ხართ-მეთქი, ნამდვილი იდიოტები!.. – ბრაზისაგან სახეწამოჭარხლებული ვლადიკი-ლადო ცოფებს ჰყრიდა და მის წინ აყუდებულ „წვრილფეხობას" თვალებს უბრიალებდა. – როგორ გაუშვით, ხელიდან როგორ გაუშვით-მეთქი, თანაც, უკვე მეორედ!.. კრეტინებო!..

– ჩვენი ბრალი არ არის, ბოს!.. მოულოდნელად დამცველი გამოუჩნდა, ვიღაც ლაწირაკი!..

– მოულოდნელად, არა?! – ირონიულად ჩაეცინა ლადოს. – თანაც – ლაწირაკი... სარკეში არ ჩაგიხედავთ? იცით, რას ჰგავხართ? მერე, მძღოლი?

– შემოგვაკვდა, ბოს...

– ჯანდაბას მისი თავი, მაგას არ გეუბნებით! მოწმე როგორ დატოვეთ, მოწმე?! სულ გამოშტერდით?!

– არ გვეგონა, თუ გადარჩებოდა, აღარ სუნთქავდა და...

– აღარ სუნთქავდა! – გამოაჯავრა ვლადიკმა. – კოლია, ერთი მითხარი, რამდენი ხანია, რაც ჩემთან მუშაობ?!

კოლია უხერხულად შეიშმუშნა.

– ორი წელია...

– მერე? როგორ გგონია, აქ მე საბავშვო სახლი მაქვს?!

– ბატონო ვლად... – ხმა აუკანკალდა კოლიას, გონებაში ლიზას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკანასკნელმა სიტყვებმა გაუელვა, – „ამან რომ გიბრძანოთ, ყველანაირ სისაძაგლეს ჩაიდენთო", – და უნებურად შეაჟრჟოლა.

– ხმა ჩაიწყვიტე! – სავარძლიდან წამოვარდა ვლადიკი. – ჩემი ხელით მოგიგრეხდი კისერს! მაგრამ ჯერ დავიცდი... რა თქმა უნდა, ვერც იმ „რაინდის" ვინაობას გაიგებდით.

– ვერა, ბოს... ხომ გითხარით, ბნელოდა-მეთქი, თან ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა...

– ვერც მანქანის ნომერი შენიშნეთ? – ვლადის თვალები რისხვას აკვესებდა. მძვინვარედ ზვერავდა თავისზე გაცილებით მაღალ, მხარბეჭიან ბიჭებს და ოთახში ბოლთას სცემდა...

– ნომერი?.. ვერა... – ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

– მარკა?!

– „07" იყო, თეთრი ან კრემისფერი... მარჯვენა ფრთა გვარიანად ჰქონდა შეჭეჭყილი, უკანა „სტოპიც" გატეხილი...

– გინდათ, გაშაგიჟოთ, არა? რამდენი კრემისფერი მარჯვენა ფრთაშეჭეჭყილი „07" მოსკოვში, წარმოგიდგენიათ?

– მარჯვენა ფრთაშეჭეჭყილი, კრემისფერი ძველი „07"?.. – ბართან მდგარი ვადიმი გველნაკბენივით შეხტა და ვლადიკისკენ შეტრიალდა, – მგონი, ვიცი, რომელ „რაინდზეცაა" საუბარი.

ვლადიკმა ბიჭებს ანიშნა და ისინიც სათითაოდ გაიძურწნენ ოთახიდან. ვადიმმა ვისკით სავსე მუცლიან ჭიქებში ყინულის ნატეხები ჩაყარა, ერთი მათგანი ლადოს გაუწოდა და გაიმეორა:

– მგონი, ვიცი, ვინცაა ჩვენი „რაინდი"...

ვლადიკმა ჭიქა ჩამოართვა და ვადიმს კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– ლევანი გახსოვთ?

– ვინ ლევანი? – შუბლი შეიკრა ლადომ.

– თქვენს კაზინოში რომ მუშაობდა, დაცვის უფროსად, გენას მეგობარი...

– როგორ არა! ლიზას სიკვდილის შემდეგ სადღაც გაქრა. მაგრამ ლევანი რა შუაშია?

– კრემისფერი, მარჯვენაფრთაშეჭეჭყილი „07" სწორედ ლევანის გახლავთ...

– მოიცა, მოიცა... რაღაც მაგონდება... – შეაწყვეტინა ვლადიკმა. – მაგრამ, მგონი, გენა ამბობდა, საზღვარგარეთ წავიდაო...

– რამდენიმე დღე მომეცით, ბოს, და იმ კახპას თავის უფლისწულიანად აქ მოგგვრით! – ბოროტად ჩაისისინა ვადიმმა.

– ქალი ჯერ კიდევ მჭირდება... რაც შეეხება იმ თავხედს... ფეხე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბზე მკიდია, ლევანი იქნება თუ სხვა ვინმე, შეგიძლია პატარა საგზური გამოუწერო... ჯოჯოხეთში! მოწმეზეც იზრუნე!.. ოხ, ეს კოლია ნამდვილი იდიოტია... „სველზე“ მაგისი გაგზავნა როგორ შეიძლებოდა?..

– ბოს, თუ გინდათ, მაგასაც... – ვადიმმა ხელი პისტოლეტივით მიიდო შუბლთან...

– არა, არა, კოლიას თავი დაანებე... ლიზას გულისთვის მაინც... ხომ იცი, შვილივით უყვარდა საწყალს...

ლადომ ჭიქა პატარა მაგიდაზე დადგა. ერთხანს ჩუმად იყო, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობსო. მერე ამოიხვნეშა, ვადიმს გადახედა და პირქუშად ჩაილაპარაკა:

– იცოდე, შეცდომების გარეშე!.. კარგი იქნება, თუ ყველაფერი უბედურ შემთხვევას დაემსგავსება...

ვადიმმა მორჩილად დაუქნია თავი, თვალები მოწკურა და გუნებაში რაღაცას გაუცინა...

* * *

ანიტა დიდხანს იდგა სასტუმრო ოთახში ლევანის „სატანის ღიმილთან“ და დუმდა...

– მოგწონს? – ჰკითხა საშკამ და ცხელი ჩაით სავსე ფინჯნები ფრთხილად დააწყო მაგიდაზე.

ქალიშვილმა ლამაზი მხრები აიჩეჩა. მოკლე, თხელი საგაზაფხულო ჟურთუკი გაეხადა, მისი გლუვი, უცნაური, რძენარევ კაკაოსფერი სხეული მაცდუნებლად ანათებდა თეთრი, გახსნილი მაისურიდან... ანიტას ძარღვებში აშკარად შერეული სისხლი ჩქეფდა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, ისეთი უსაშველოდ ლამაზი... საშკამ ამოიოხრა... ანიტას გაეცინა, თუმცა სურათისთვის მზერა არ მოუცილებია.

– შენი ნახატია? – ჰკითხა ბიჭს.

– არა, ჩემი მეგობრის!..

– ახლა სად არის?

– იტალიაში გაემგზავრა.

– მხატვარია?!

– მხატვარია.

– შენ?

– რა – მე?

– შენც მხატვარი ხარ?

– ალბათ...

– რას ნიშნავს „ალბათ?“ – ანიტამ ინტერესით მიანათა თავისი მწვანე, ჭაობივით უძირო, ხავერდოვანი თვალები... საშკას მუხლები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუკანკალდა... ქალიშვილი ღიმილით უახლოვდებოდა.

– მე დამხატავ?

– შეენ?..

საშკამ თავიდან ფეხებამდე დაკვირვებით შეათვალიერა ქალიშვილი და ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა:

– შენ ვერა... საოცრად ლამაზი ხარ...

ანიტამ გაიცინა. უფრო ახლოს მივიდა ბიჭთან, ისე ახლოს, რომ მისმა ცხელმა სუნთქვამ საშკას სახე აუწვა. გოგომ ხელზე ფრთხილად მოპკიდა ხელი და მკერდზე დაიდო. თითებმა მკვრივი, ატლასივით პრიალა კანი იგრძნეს და უნებლიედ ამოძრავდნენ... მაგრამ არა, საშკას ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლო! სისულელე იქნებოდა იმის წარმოდგენაც კი, რომ ტურფა ასული თავის მხსნელს მადლიერების ნიშნად...

და საშკამ უკან დაიხია...

– მოდი, ჩაი დაელიოთ... თუ გშია, შემიძლია, რამე მოვამზადო. მაცივარში კონსერვი მაქვს, კვერცხიც...

– არ მინდა, – თავი გააქნია ანიტამ. – მშიერი არა ვარ, ჩაიც მეყოფა... დიდი მადლობა...

– კარგი, აბა, თავს ალარ შეგაწყენ... აბაზანაში ცხელი წყალია, სუფთა ხალათს და პირსახოცს იქვე ნახავ... ლოგინს აქ ან საძინებელში გაგიშლი... როგორც გინდა...

საშკა ადგა... შემოსასვლელში გავიდა, ვეება კედლის კარადიდან ბალიში, ზეწარი, შალის თბილი პლედი გამოიღო, სასტუმრო ოთახში შეიტანა და დიანზე ლოგინის გაწყობას შეუდგა. ფანჯარასთან მდგარი ანიტა, გულზე ხელებდაკრეფილი, ყურადღებით ადევნებდა თვალს... ხელუხლებელი, მაგიდაზე მდგარი ჩაით სავსე ფინჯანი კი ცივდებოდა...

– ესეც ასე... საწოლი მზადაა... ძილი ნებისა...

საშკამ პლედი საგულდაგულოდ გაასწორა, ბალიში ერთხელ კიდევ ააფუა და კარისაკენ გაემართა. ის იყო, სახელურს ხელი წაავლო, რომ ანიტას ხმაც მოესმა:

– საშკა, არ წახვიდე... მარტოს ძალიან მეშინია... მოდი ჩემთან...

საშკას არ ახსოვს, რამდენ ხანს ჰკოცნიდა ტუჩებში, ყელზე, ლოყებზე, თვალებსა თუ შუბლზე... ახსოვდა მხოლოდ უჩვეულო ნეტარების განცდა, რომელიც ცხელ ტალღებად უვლიდა სხეულში და არაფრით არ სურდა ტკბილი ბურანიდან გამორკვევა... ანიტა პასუხობდა მის გახელებულ, თუმცა გაუწაფავ ალერსს.. მერე ჩურჩულით სთხოვა – სააბაზანოში გამიშვიო... უარი უთხრა, ვერ შეელია ზღვა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სავით მოვარდნილ ბედნიერებას...

– მოდი, ორივე წავიდეთ, – შესთავაზა ანიტამ. საშკა დათანხმდა... შეუცნობლად, ინტუიციით გრძნობდა, რომ ქალიშვილი მასზე გაცილებით გამოცდილი იყო და დაჰყვა მის ნებას...

შავი კაფელით მოპირკეთებულ იატაკზე ჯერ სადაფისფერი მაისური დაეცა, მერე – ქვედაკაბა... ერთმანეთში აირია ჯინსი და ვერცხლისფერი, მაქმანიანი, ძვირფასი აბრეშუმის თეთრეული... საშკამ თვალები დახუჭა. მერე გაახილა...

არა, ეს არ იყო სიზმარი: შხაპის ქვეშ თავად სიყვარულის ქალღმერთი – აფროდიტე იდგა და თავისკენ ეპატიჟებოდა...

საშკა თვალს ვერ აცილებდა ფეხადგმულ მშვენიერებას... ხშირი, შავი თმა მსხვილ კულულებად ეფინებოდა შიშველ ზურგსა და მკლავებს. მკერდი ბრინჯაოს ფიგურასავით გლუვი და პრიალა, თითქოს მარმარილოთი ჰქონდა ნაქანდაკევი. ანიტა თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. იგი საოცრად მოჰგავდა ხავერდოვან, ახლად გაფურჩქნულ ვარდის კოკორს, დილის ნამით დაცვარულს... ქალი თამამად მიუახლოვდა გაშეშებულ ვაჟს, დაკუნთულ მკლავებზე მოეხვია და ლამაზი თავი მკერზე მიაყრდნო... წყალი უწყვეტ ნაკადად ეღვრებოდა ორივეს, მაგრამ, ერთმანეთს ჩახუტებულნი, თითქოს ვერ გრძნობდნენ სახეზე ჩამომდინარ ნაკადულს... საშკა მუხლებზე დაემხო ქალღმერთის წინაშე და ლოყით მის გადატკეცილ მუცელს მიეკრო... მორჩა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, ველარ გაუძლებდა ასეთ ჯოჯოხეთურ ტანჯვას, ქალიშვილი უკვე ბატონობდა მასზე... რბილი, მგრძნობიარე ტუჩებით ჭკუიდან შლიდა გამოუცდელ, ასეთ ნეტარებას შეუჩვეველ საშკას. „ღმერთო, აი, თურმე რა ყოფილა სიყვარული... რა სულელი ვიყავი... შეიძლება, გულიც კი გამისკდეს ბედნიერებისაგან“... – საშკამ დაიკვნესა... თითქოს უთვალავი, უწვრილესი ნემსი ერთდროულად შეესო მთელ სხეულში, თავისი საუნჯე ხელში აიტაცა და, ჯერ კიდევ სველი, ციმციმ გაიტაცა საწოლისაკენ... ხოლო იქ... რამდენჯერმე „გარდაიცვალა“ და აღდგა მკვდრეთით... რამდენჯერმე განიცადა ვნების, სინაზისა და გახელების გიჟური, უჩვეულო აფეთქება...

რამდენიმე დღეს საწოლიდან საერთოდ არ წამომდგარან და დროის იმ ხანმოკლე შუალედებშიც კი, როცა ეძინათ, საშკას მაგრად ჰყავდა ანიტა მკერდზე მიკრული, თითქოს სურდა, სამუდამოდ შეზრდოდა მის ნატიფ სხეულს... სამყაროს მოსწყდნენ, ან, იქნებ სამყარო მოსწყდა მათ... უსასრულობაში დაინთქა ადამიანებით დასახლებული, ცოდვილი დედამიწა... სული თითქოს სხეულს მოსცილდა და ახლა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სადღაც, თვალის მომჭრელი ფერებით სავსე სივრცეში დაფარფატებდა... საოცარია, მაგრამ შიმშილიც კი არ უგრძვნიათ, მხოლოდ ხანდახან ფორთოხლის წვენით ისველებდნენ ტუჩებს...

საშკა უსაზღვროდ, უჩვეულოდ ბედნიერად გრძნობდა თავს და არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ეს ცხადი იყო... მას არ აინტერესებდა ქალიშვილის ვინაობა, ან ის, საიდან მოხვდა შუაღამისას ბანდიტების გარემოცვაში... მაგრამ ერთხელ, როცა ალერსით დაღლილმა ანიტამ მხარზე მშვიდად მიაყრდნო თავი და თვალები დახუჭა, საშკამ იკითხა:

– ანიტა, მითხარი... იქ, იმ სალამოს... ის ბიჭი... შენი საყვარელი იყო?

ანიტა შეკრთა. წამწამებზე ცრემლმა გამოჟონა.

– ნურაფერს მკითხავ, საყვარელო... ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია, რომ შესაძლებელია ასეთი უკიდეგანო ბედნიერება... შენამდე არასოდეს არავინ მყვარებია... შენ ხარ ის ერთადერთი და განუმეორებელი, ვისაც ვეძებდი, ამიტომ ამ წუთებს ჩემი სულის ყველაზე შორეულ კუთხეში შევინახავ... რადგან... მე სიყვარულის უფლება არა მაქვს...

საშკა წამოჯდა, ქალიშვილს მხრებში ხელი წაავლო, თავისკენ მიაბრუნა და თვალებში ჩახედა.

– არაფერი მესმის... მითხარი, რატომ არა გაქვს სიყვარულის უფლება? ან რატომ იგრძნობა შენს სიტყვებში განშორების სიცივე?..

ანიტა შეეცადა, სახე მოერიდებინა, მაგრამ საშკამ არ დაანება.

– ანიტა, ნურაფერს დამიმალავ, შენ მე სიგიჟემდე მიყვარხარ და რაც უნდა მითხრა, მაინც მეყვარები!

– არ შემიძლია, საშკა... ნუთუ ვერ ხვდები... მე ჩვეულებრივი გოგო არა ვარ...

– არაჩვეულებრივი რომ ხარ, დიდი ხანია, მივხვდი... შენი კანის ფერი... – საშკამ ალერსით მოუსვა აკანკალებული ხელი სხეულზე და ცხელი ტუჩებით მკერდზე დაეკონა. – ღმერთო, რა ლამაზი ხარ, ნამდვილი ანგელოზი!..

ანიტას ღაწვებზე ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა...

– ოჰ, საშა, საშა!.. ნეტავ საერთოდ არ შევხვედროდით ერთმანეთს... შენ კარგი ბიჭი ხარ, სუფთა, ალალი, მე კი...

– შენ?..

– მამაჩემი ნიგერიელი სტუდენტი იყო, ასეთებით სავსეა მოსკოვი. დედაჩემი შემთხვევით გაიცნო. რა თქმა უნდა, ცოლქმრობაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მისგან შემკვიდრეობად მხოლოდ მუქი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კანი და აფრიკული ტემპერამენტი დამრჩა. შენ მართალი იყავი – ანია მქვია... სილამაზე კი მილიანად დედაჩემის დამსახურებაა... ნეტა განახა... ხუთი წლის ვიყავი, როცა მეორედ გათხოვდა. ჩემი მამინაცვალი გავლენიანი, ძალაუფლებისმოყვარე კაცია... იცი, წესიერად ვერ გავრკვეულვარ მის საქმიანობაში, ვხვდები, რომ სერიოზული ფიგურაა... პოლიტიკაშიცაა გარეული. აშკარად არსად ჩანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრ პოლიტიკოსს მარიონეტივით მართავს. ერთი შეხედვით მოკრძალებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მე ძალიან ვუყვარვარ... ანიტა სწორედ იაშამ შემარქვა... რაც მოვიზარდე, დაცვის გარეშე ფეხს არსად მადგმევინებენ...

– რატომ?! – საშკას ანიტას ლამაზი თითები მუჭში ჰქონდა მომწყვდეული და თვალს არ აცილებდა.

– როგორ აგიხსნა... იაშას ვჭირდები, ძალიან ვჭირდები. მე ვარ ის „სატყუარა", რომლითაც იგი თავის მომავალ „მსხვერპლს" ბადეში აბამს...

– არაფერი მესმის... – თავი გადააქნია საშკამ.

ანიტამ ამოიოხრა.

– კარგი, უფრო მარტივად გეტყვი: იაშა ჩემი დახმარებით ეცნობა საჭირო ხალხს... მე მათ „შემთხვევით" ვხვდები, მერე კი მოხიბლული კავალერი თავად მთხოვს, წარვუდგინო „მამიკოს"... ახლა გაიგე?

– მგონი, კი... მაგრამ...

– ოჰ, საშკა, მეტს ნულარაფერს მკითხავ!.. ფიქრიც კი არ მინდა იმაზე, რაც ახლა ჩემს სახლში ხდება. იაშა გაგიჟებული იქნება...

– ისინი ვინლა იყვნენ? – დაინტერესდა საშკა თავდამსხმელების ვინაობით.

– იმ საღამოს პრესტიჟულ ღამის კლუბში ვიღაც უცხოელ დიპლომატს უნდა შევხვედროდი, – ყოყმანით დაიწყო ანიტამ. – მაგრამ არ მოვიდა. ერთმა ღორივით გასიებულმა, ფულისა და ვისკის სუნად აქოთებულმა ბერიკაცმა ჩვეულებრივ კახპად ჩამთვალა, ხელი უხეშად დამავლო და წათრევა დამიპირა... ჩემმა ბიჭებმა დროზე ასწავლეს ჭკუა, კინწისკვრით მოისროლეს ქუჩაში... ეს ამბავი თითქმის მიმავიწყდა კიდეც, მაგრამ მერე შევნიშნე, რომ ვიღაც გამუდმებით მითვალთვალებდა. ის „ღორი" შავი სამყაროს ავტორიტეტი გამოდგა, უარი არ მაპატია და თავის ხალხს ჩემი მოტაცება უბრძანა... დანარჩენი კი თავად ნახე... ალბათ, უკვე მეძებენ კიდეც... ახლა გეკითხები, მაქვს თუ არა სიყვარულის უფლება?! – ანიტას მშვენიერი თვალებიდან ისევ იწვიმა ცრემლებმა...

საშკა ატირებული ანიტას დანახვამ მძიმე ფიქრებისგან გამოარკვია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალიშვილი გულში ჩაიკრა და სველი თვალები დაუკოცნა.

– მე შენ მიყვარხარ! ანა... ხვალვე წაგიყვან ამ საშინელი ქალაქიდან... შორს წაგიყვან, ძალიან შორს, იქ, სადაც ყველას ეყვარები, სადაც ვერავინ გიპოვის... ჩემს სახლში წაგიყვან...

– შენს სახლში? სად არის შენი სახლი?!

– თბილისში...

– თბი-ლი-სი – დამარცვლით გაიმეორა ანიტამ. – არასოდეს გამიგონია ასეთი ქვეყანა...

– თბილისი ქვეყანა არ არის, ქალაქია. შენ იქ კარგად იქნები... მიყვარხარ, ანიტა, გამომყევი ცოლად...

ქალიშვილი შეკრთა... საშკამ იგრძნო, როგორ დაეძაბა გოგოს სხეული.

– გიჟი ხარ, საშკა! არ გესმის, რას ლაპარაკობ!

საშკამ მორჩილად დაუქნია თავი.

– გიჟი ვარ, მაგრამ ისე მიყვარხარ, ეს სიგიჟე მეპატიება...

ანიტას სევდიანად გაეღიმა, ორივე ხელით მკერდზე მიიკრა მისი გახურებული ტუჩები და დაიჩურჩულა:

– ჩემი სულელი, შეყვარებული ბიჭი...

საშკამ ნეტარებისაგან ამოიხვნეშა და ქალიშვილის ტანს მართლაც გიჟივით დაუწყო კოცნა...

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, როცა გადაღლილი საშკა ღრმა, უშფოთველ ძილში ჩაიძირა.

* * *

– არ მესმის, ასე რატომ ნერვიულობთ?! – განცვიფრებული გოგიჩა შეშფოთებული შესცქეროდა ოთახში მოუსვენრად მოსიარულე ლილის და სასოწარკვეთილ ინას თმაზე ეფერებოდა, რათა როგორმე დაეწყნარებინა.

– უკვე ხუთი დღეა, არ დაურეკავს... ნამდვილად რაღაც უბედურებაა მის თავს, – ვიშვიშებდა ქალი.

– ჩვენი ამბავი ხომ არ გითქვამთ? – დაიძაბა გოგიჩა.

– არა, ჯერ არა, თავს ვიკავებდი.

– აბა, ყველაფერი წესრიგში ყოფილა! – შვებით ამოისუნთქა გოგიჩამ. – ეტყობა, ვერ მოიცალა... თვითონ დაურეკეთ...

– ორი დღეა, ვურეკავთ, მაგრამ არ პასუხობს...

– როგორ თუ არ პასუხობს? – გაუკვირდა ბიჭს. – ინა, მომაწოდე ტელეფონი, თვითონ დავრეკავ!

გოგიჩამ აპარატი მოიმარჯვა, ნომერი აკრიფა. ამაოდ, საშკა არ პასუხობდა... ქალების ნერვიულობა მასაც გადაედო, მაგრამ იხტი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბარს არ იტეხდა.

– არაფერია, მერე ისევ ვცდი... გამოჩნდება, სად წავა?.. თუ არა და...

– თუ არა და?... – ჩაეკითხა ინა.

გოგიჩა აღელვებული წამოვარდა ფეხზე:

– ხვალამდე დავიცდი, მერე კი მოსკოვში გადავფრინდები!..

* * *

საშკა ტელეფონის გაბმულმა ზარმა გამოაღვიძა. რეკავდა და რეკავდა... არ ესიამოვნა გარშემო გამეფებული უცნაური სიცარიელე... გვერდით მოაფათურა ხელი... ანიტა არ იყო. „ალბათ, სააბაზანოში თუ გავიდა", – გაიფიქრა ბიჭმა, სახე მის ბალიშში ჩარგო და ღრმად შეისუნთქა ქალიშვილის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი... უცებ ლოყა რაღაცამ მსუბუქად გაუკაწრა. წამოიწია, ბალიშს დახედა. იქ, სადაც წუხელ ანიტას მომხიბვლელი, ლამაზი თავი ედო, ახლა ორად მოკეცილი ქაღალდის ნაგლეჯი ეგდო. შეშფოთებული საშკა წერილს დასწვდა:

„არ მეძებო! ძალიან მიყვარხარ! შენგან ბედნიერი მივდივარ, ისეთი ბედნიერი, რომ ერთი ულირსი სიცოცხლისათვის ამხელა ბედნიერება მეტიც კია... მაპატიე, თუ შეგიძლია... მშვიდობით! ანია".

საშკა მყისვე მიხვდა, რომ ანიტას ძებნას არავითარი აზრი არ ჰქონდა, გაახსენდა, როგორ დაუდევრად მიყარა ლამის მისი მანქანის ფასად ღირებული ტანისამოსი და დარწმუნდა – ქალიშვილის გვერდით საშკასნაირი ბიჭის ადგილი არ იყო... მგრამ რა უნდა მოეხერხებინა საკუთარი გულისათვის, რომელზეც მწვანეთვალება ანგელოზის სახე აღბეჭდილიყო და უკვე აღარასოდეს მოასვენებდა?.. დიდხანს იწვა გაუნძრევლად, ანიტას ბალიში მაგრად ჰქონდა მკერდში ჩაკრული... უხმოდ ტიროდა. ტელეფონი კი რეკავდა და რეკავდა შეუსვენებლად...

* * *

მაღაზიიდან გამოსულმა ლენკამ გვიანღა შენიშნა ადევნებული მამაკაცი. ნაბიჯს აუჩქარა, ოფიქრა, მეჩვენებაო, მაგრამ კაცი აშკარად მას მისდევდა... ლენა დაფრთხა... სადარბაზომდე ასიოდე მეტრილა რჩებოდა გასავლელი თუ გასარბენი. ჩანთა მაგრად ჩაბღუჯა და ის იყო, გადაწყვიტა, ასე იოლად არ დავნებდებიო, რომ უტიფარი, თუმცა საოცრად ნაცნობი ხმა გაიგონა:

– გამარჯობა, გოგონავ!

ლენა გაჩერდა. არა, ნამდვილად არ შემცდარა – მის წინ ვადიმი იდგა და თავხედურად იკრიჭებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რა იყო, ლენოჩკა, ხომ არ შეგაშინე? – ჩაიხითხითა საზიზღრად.

– ჰო, ცოტა... ვერ გიცანი და... – ლენა კედელს მიეყრდნო და ვადიმს ზიზღით სავსე მზერა შეავლო.

– ვხედავ, ძველებურად „გიყვარვარ“! – ვადიმი ქალს მიუახლოვდა და სცადა, თმაზე ხელი გადაესვა. ლენა მოხერხებულად გასხლტა გვერდზე და შეუბღვირა.

– რა გინდა?!

– ისეთი არაფერი... უბრალოდ, მომენატრე...

– რას მეუბნები? – ყასიდად გაიოცა ქალმა.

– შენ წარმოიდგინე, ასეა... გავიგე, კაზინოდან წამოსულხარ... ლევანმა გიბრძანა, ასე მოქცეულიყავი?

– ლევანი არაფერ შუაშია, მე თვითონ მომბეზრდა! ყელში ამოვიდა შენნაირების ხელის ფათური... ახლა მაღაზიაში ვმუშაობ და ძალიან კმაყოფილი ვარ.

– ჰო, გნახე – სუნამოების კოლოფებით გარშემორტყმული, შეუდარებელი იყავი... ჯიუტი გოგო ხარ, ლენა, თორემ ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, დედოფალივით იქნებოდი და ის სუნამოები, დღეს რომ სხვებს უფუთავ მაგ ლამაზი თითებით, თავზესაყრელად გექნებოდა.

– რა გინდა, ვადიმ, რატომ მოხვედი? – წყნარად იკითხა ლენამ.

– აკი გითხარი – მომენატრე-მეთქი... თუმცა შენ ლევანი გირჩევნია ჩემს თავს. მასთან ცხოვრობ, არა?

– არა! ლევანი მოსკოვში არ არის, წავიდა...

– რატომ მატყუებ, პატარავ, ორი დღის წინ ვნახე თავისი „დრანდულეტით“.

– გეუბნები, ლევანი აქედან წავიდა, რაც შეეხება „დრანდულეტს“, საშკა იქნებოდა – მანქანაც და ბინაც ლევანმა საშკას დაუტოვა...

„აჰა, მაშ შენ იყავი, ლაწირაკო? ძალიან კარგი, ძალიან!“ – გაიფიქრა ვადიმმა, ლენკას ალერსიანად გაუღიმა და ჯიბეებში ხელჩაწყობილმა მხრები აიჩეჩა.

– რა გაეწყობა! როგორც ჩანს, ჩემი დანახვა ოდნავადაც არ გიხარია. მე კი მინდოდა, სადმე დამეპატიჟე.

– დიდი მადლობა, საჭირო არ არის! – მიახალა ქალმა და გზის გაგრძელება დააპირა. – კარგად ბრძანდებოდე...

– ნახვამდის, ჩემო მშვენიერო... კიდევ გინახულებ როგორმე, იქნებ მაშინ უფრო თავაზიანად შემხვდე! ვინ იცის... სასწაულებიც ხდება ქვეყანაზე, მერე – როგორი სასწაულები! – ვადიმმა ჩაიცინა. ლენას ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და გაშორდა.

– იდიოტი! – ჩაილაპარაკა ქალმა და ნაბიჯს აუჩქარა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გახარებული ვადიმი ფრთაშესხმული გარბოდა მანქანისაკენ. „ოხ, საშა, საშა! ბედისწერა თავს არ გვანებებს!.. ეტყობა, ჩემი ხელიდან გიწერია სიკვდილი, მე ვიქნები შენი სიკვდილის ანგელოზი... ახლა ველარავინ გიშველის, ლაწირაკო, ბოლომდე მოგიგრეხ კისერს!"

• • •

დღე შეუმჩნევლად მიილია. საშკასთვის დრომ საერთოდ შეწყვიტა არსებობა. სევდა თავად მასზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ღონიერი თითებით სულში ჩააფრინდა და გასაქანი აღარ მისცა, აღარ ამოასუნთქა. ბიჭი მიხვდა – ანიტას გარეშე სიცოცხლეს ველარ შეძლებდა... ოთახი ჯერ კიდევ სავსე იყო მისი ძვირფასი სუნამოს სურნელით და იქ ყოფნას აუტანელს ხდიდა. საშკა ადგა, ნაჩქარევად ჩაიცვა, მანქანის გასაღებს ხელი დაავლო და კარისკენ გაემართა. „უნდა ვიპოვნო, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვიპოვნო! სხვანაირად ჩემს არსებობას აზრი აღარ ექნება"...

სადარბაზოში ბნელოდა. საშკამ საკეტს გასაღები მოარგო. ჩქარობდა, ყურადღება არ მიუქცევია ზემო სართულიდან ჩამომავალი ახალგაზრდა კაცისათვის... ძალიან არ სტკენია, მხოლოდ იგრძნო, რბილად როგორ შეუცურდა სხეულში რაღაც ძალიან ცივი... და ბეჭები აეწვა... სანახევროდ გაუწყდა სუნთქვა... მკერდთან მიიტანა ხელი. შუბლით ნახევრად დაკეტილ კარს მიეყრდნო და ნელ-ნელა ჩაიკეცა... გაფართოებულ თვალებში გაოცება ჩაუდგა, ვერ გაიგო, რა მოხდა... მკვლელმა ოცდაათსანტიმეტრიანი, სამართებელივით ალესილი თვითნაკეთი რაპირა იქვე მიაგდო, ერთხელ კიდევ დახედა მსხვერპლს და როცა დარწმუნდა, აღარ სუნთქავსო, მშვიდად ჩაირბინა კიბე. ქუჩის ხმაურში დაინთქა მისი ნაბიჯების ხმა...

... მწვანე, ხასხასა, ჯერ ფეხდაუკარებელ მინდორზე ორნი მიდიან. პატარა საშკას მაგრად ჩაუჭიდია ხელი დედისათვის და თავმომწონედ მიაბიჯებს. ნეტავ, სად არიან ბიჭები?.. ლევანი, გოგიჩა, დათო... ერთი შეხედონ, ნახონ – არ არის ობოლი და მიტოვებული, მასაც ჰყავს დედა... მერე – როგორი ლამაზი!.. აგერ – მამაც... საშკა მერაბს ულიმის, ხელს უქნევს, მის შესახვედრად მიიჩქარის, მაგრამ რა ხდება? რატომაა მამა წარბშეკრული, რატომ ეჩხუბება დედას?!. „რატომ მოიყვანე, ლიზა, ბავშვი?!. ჩქარა, წაიყვანე, სანამ გვიან არ არის, დააბრუნე! სასწრაფოდ დააბრუნე უკან, ჯერ ადრეა, ძალიან ადრეა... პატარაა, იმდენი რამე აქვს სანახავი..."

საშკას სურს იყვიროს, რომ დიდი ხანია, პატარა აღარ არის, რომ არსად აღარ უნდა წასვლა, მათთან დარჩენა ურჩევნია – დედასთან, მამასთან... მაგრამ ყელიდან მხოლოდ სუსტი ხვნეილა ამოსდის. ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაბი იხრება, ხელში აჰყავს შვილი... კამკამა, ლურჯ ტბასთან მიჰყავს, ჰკოცნის, პატარა ნავში სვამს და ტალღებს ანდობს...

– წადი, შვილო, შენ იქ, მეორე ნაპირზე გელიან, წადი და ნურაფრის შეგეშინდება, მე ყოველთვის ვიქნები თქვენთან!..

გულდაწყვეტილ საშკას ლიზას ტირილი ჩაესმის, ნავი ტბის შუაგულისაკენ მიაქანებს... მერაბი და დედა აღარსად ჩანან... საშკას შიში იპყრობს, მაგრამ, მგონი, ვილაც ეძახის...

– საშკაააა!.. – ყაყაჩოებით მოფენილ მდელოზე ლევანი, გოგიჩა და ინა მორბიან. ლევანს მაღალი სიფრიფანა გოგონასათვის ჩაუვლია ხელი, ინას თეთრი საქორწინო კაბა აცვია, თავს გვირილების გვირგვინი უმშვენებს და ბედნიერებისგან მთელი სახე უცინის.

– საშკაააა! საშკაააა! – გამალებით გამორბიან ნაპირისკენ და ხელებს იქნევენ... საშას სიხარული იპყრობს. რა კარგია, რომ მარტო არ დარჩა, ო, ახლავე მიცურდება მათთან და მერე სულ ერთად იქნებიან, ყოველთვის, ყველგან...

* * *

– ჯანდაბა! კიდევ ერთი მკვლელობა!.. – ჩაიბურტყუნა დაბალმა ფორმიანმა კაცუნამ და საშასკენ დაიხარა. – ეს ოხრები, მაინცდამაინც ჩემს მორიგეობას დაამთხვევენ ხოლმე... რაღას ელოდები? – მიუბრუნდა მეორე მილიციელს. – ყველაფერი მე უნდა შეგახსენო? ამოიღე კალამი და დაწერე: „მოსკოვის დროით ოც საათსა და ოცდაათ წუთზე ბოლკონსკის ქუჩაზე მდებარე ნომერ ოცდარვა სახლში, მესამე სართულის ბაქანზე ნაპოვნია ახალგაზრდა მამაკაცის გვამი... დალუპული ოცდაორი-ოცდახუთი წლის იქნება, მაღალია, მუქი ოქროსფერი თმა აქვს... მკვლელობა ჩადენილია ოცდაათსანტიმეტრიანი დაშნით“... ჰო – „თვითნაკეთი“ მიაწერე, არ დაგავიწყდეს... „სიკვდილი გამოიწვია მკერდის არეში მიყენებულმა გამჭოლმა ჭრილობამ... მკვლელობის მოტივი უცნობია“... დაწერე? ახლა კი მომეხმარე, კარს მოვაცილოთ და მობინადრეებს დავუძახოთ... გვამის ამოსაცნობად დაგვჭირდებიან...

მილიციელმა საშკასთან ჩაიმუხლა და მხრებში მოავლო ხელი. უცებ შეკრთა, ბიჭს თავი წამოუწია და სახეზე დააკვირდა.

– რა მოხდა? – ჰკითხა მეორემ. – ძალიან ახალგაზრდაა, არა, საწყალი?..

– მგონი, ცოცხალია... ჩქარა, გავარდი, სასწრაფოს გამოუძახე! იქნებ, გადარჩეს... ჩქარა-მეთქი!..

* * *

–შინ დაბრუნებულმა ლენამ ვერ იქნა და ვერ მოისვენა. „ნეტავ რა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდოდა, რისთვის შემხვდა?..“ – ფიქრობდა ვადიმზე და ლოგინში მოუსვენრად წრიალებდა. ბოლოს წამოდგა, საბანი გვერდზე მიაგდო, შიშველი ფეხები ჩუსტებში წაჰყო და ბავშვთან გავიდა. ლოყებაწითლებულ, ცხვირპაჭუა, ქერაკულულებიან გოგონას მშვიდად ეძინა. ლენამ პატარას ოდნავ შეახო ტუჩები შუბლზე, სასთუმალი ფრთხილად შეუსწორა და ოთახში დაბრუნდა. დაბალ კარადაზე დაუდევრად მიგდებული მაჯის საათი სამს უჩვენებდა. ლენა ლოგინზე ჩამოჯდა, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ნაცნობი ნომერი აკრიფა...

შუაღამის ზარმა გულგახეთქილი ნინა ფეხზე წამოახტუნა. გულმოსულმა გადახედა ბალიშში თავჩარგულ ახროტინებულ ქმარს და გამეტებით წასცხო მუჯლუგუნი.

– მმმ... – დაიზმუვლა გენამ და გვერდი იცვალა. ცოლმა ახლა თმაში წაავლო ხელი და შეანჯღრია. კაცი უკმაყოფილოდ აბურტყუნდა, თვალების ფშვნეტით წამოჯდა და ნინას შეუბღვირა:

– გაგიჟდი?! ამ შუაღამისას რა დაგეტაკა?!

– ყურმილი აიღე, აიკლო აქაურობა!

– შენ ვერ უპასუხებდი? – ჩაიბუზღუნა გენამ და ტელეფონისკენ გაიწია.

– დარწმუნებული ვარ, თქვენს ბრწყინვალებას კითხულობენ! – წაუსისინა ნინამ და ქმარს ისე შეხედა, გენას ჩხუბის ხალისი წაუხდა.

– გისმენთ! – გაბრაზებულმა ჩასძახა ყურმილს.

– გენა, ლენა ვარ.

– ლენა?! – უცებ ვერ მიხვდა ნამძინარევი კაცი.

– გენა, მე ვარ, ლენოჩკა... მაპატიე, ასე გვიან რომ გირეკავ, მაგრამ რაღაც მოხდა და სალაპარაკო მაქვს...

– დილამდე ვერ მოიცდი?

– ვერა.

– ჰო, კარგი, მოვდივარ! – გენამ ყურმილი დადო და ჩაცმას შეუდგა.

– სად მიბრძანდები? – აიფოფრა ნინა. – სულ დაკარგე, არა, სირცხვილი? სახლშიც აღარ გვასვენებენ! შენც ისე გამოშტერდი, შუაღამისას ლოგინიდან დგები და ვიღაც კახპასთან გარბიხარ!

– მორჩი სისულელეებს! – გაბრაზდა უამისოდაც გუნებამოწამლული გენა. – ლენა იყო... ეტყობა, რაღაც მოხდა. სასწრაფოდ მნახეო... თუ არ გჯერა, შეგიძლია წამოხვიდე!

– მეტი საქმე არა მაქვს! – ჩაიბურტყუნა ნინამ, გვერდი იცვალა და ქმრისთვის ხმა მეტად აღარ გაუცია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნახევარი საათის შემდეგ გენა ლენას მყუდრო სამზარეულოში იჯდა და სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ რაღაცის გაგება უნდოდა?! ხომ არ მოგეჩვენა? – ჰკითხა ლენას.

– არ ვიცი, გენა, არ ვიცი... – ქალმა ახლად მოდულებული სურნელოვანი ყავით სავსე ფინჯანი სტუმარს წინ დაუდგა. ჩამოჯდა და მზერა ფინჯნის თავზე თეთრი პატარა ღრუბელივით წამოსკუპებულ ოხშივარს გაუშტერა.

– ახლა რომ ვუფიქრდები, თითქოს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მაგრამ... – ლენა აშკარად ძალიან ღელავდა.

– ჰო, კარგი, კარგი, – გაუცინა გენამ და ყავა მოსვა. – ჯანდაბა! რა ცხელია... აქედან საშკასთან წავალ და ვინახულებ. მაინც ვაპირებდი გავლას. ორი კვირა იქნება, აღარ დამირეკავს.

ლენამ შეშფოთებულმა შეხედა.

– რაღაც რომ იყოს... ლევანს გავაგებინებთ?

– რა უნდა იყოს, კარგი, რა, ლენოჩკა! ნუ ნერვიულობ, შე მშიშარავ, შენა! პირადად მე ვადიმის ამბავი უფრო მახარებს: „ამოყვინთა" ბიჭმა?! ესე იგი, აღარ ეშინია! რატომ აღარ ეშინია? სერიოზული მფარველი გაიჩინა! არაფერია, ახლა კი ველარსად წამივა, ვანანებ საშკას ცემას...

ლენასაგან უთენია წამოსული გენა ჯერ სახლში აპირებდა მისვლას, მაგრამ გადაიფიქრა და გეზი ლევანის ბინისაკენ აიღო. დიდხანს რეკა ზარი... მერე მუშტებიც მოიშველია, მაგრამ ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

„დავოჯერო, სახლში არ არის?" – გაიფიქრა გენამ და უეცრად კარზე დადებული ლუქი შენიშნა. „ღმერთო ჩემო, ეს რაღაა?! მგონი, ლენა მართალი იყო, საშკას თავს რაღაც უბედურებაა! ვის ვკითხო, ვის ეცოდინება?" – გენამ უმწეოდ მიმოიხედა.

მოულოდნელად მოპირდაპირე ბინის კარი გაიღო და იქიდან რძის ბოთლებით დატვირთული მოხუცებული ქალი გამოვიდა, მაჯაზე ჩამოკონწიალებული თასმით გოჭივით დამრგვალებული სპანიელი მოჰყავდა. გენას დანახვაზე უკმაყოფილოდ აბურტყუნდა და კიბისკენ გაემართა.

– ერთი წუთით, ბებიკო... – გამოეკიდა გენა. – თქვენი მეზობელი, მაღალი, ლამაზი ბიჭი... რა მოუვიდა? კარს ლუქი ადევს...

ქალი ისევ უკმაყოფილოდ აბუზღუნდა:

– როგორ დამღალეთ ამდენი შეკითხვებით... გუშინ მილიციამ მომაბეზრა თავი, დღეს – თქვენ. რით ვერ გაიგეთ, რომ არ ვიცნობდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოკლულს, არა!

– მილიცია?! მოკლული?! – წამოიყვირა გენამ და მოხუც ქალს მხრებში ჩააფრინდა. – რას ამბობ, ბებერო! ვინ მოკლეს, როდის?!

– აბა, აბა, წესიერად, ახალგაზრდავ, თორემ ახლავე დავრეკავ მილიციაში! აი, ბატონო, ტელეფონიც კი დამიტოვეს, რათა, რამე რომ მოხდეს, ვაცნობო!.. სადღაც აქ უნდა მქონდეს, – ქალმა ბოთლებიანი ბადურა ძირს დადო და ჯიბეებში დაიწყო ქექვა. მერე რძისფერი სავიზიტო ბარათი ამოაძვრინა და გაოგნებულ გენას ცხვირწინ ამაყად აუთამაშა. გენას ბევრი აღარ უფიქრია, ბარათი ქალს თითქმის ძალით გამოგლიჯა და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა. „დაზარალებულის" წიოკი არად ჩააგდო, მანქანა ფეთიანივით მოსწყვიტა ადგილს, პირველსავე სატელეფონო ჯიხურთან შეაჩერა, „ვიზიტკას" დახედა და აკანკალებული ხელით ძლივს აკრიფა გამომძიებლის ნომერი...

• • •

ბარში განმარტოებით მდგარ მაგიდას სამნი უსხდნენ – კოსტია, გენა და გოგიჩა... გაფითრებული გოგიჩა წარბშეკრული ატრიალებდა ხელში მუცელგამობერილ პატარა ჭიქას და ხმას არ იღებდა. სუფრაზე კონიაკის ნახევრად დაცლილი ბოთლი და ცივი საუზმე ელაგა.

– ბებიამისმა იცის? – ჰკითხა გენამ გოგიჩას. ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია, მერე ამოიოხრა.

– არ იცის, მაგრამ თუ ორ დღეში საშკა თბილისში არ დარეკავს, ლილი აუცილებლად ჩამოვა. ახლაც ძლივს დავაკავე. საავადმყოფოში უკვე იყავით?

– საავადმყოფოში – არა. მილიციაში ვიყავი.

– მერე, რას აპირებთ? – გოგიჩამ გენას შეხედა.

– ჯერჯერობით არაფერს. მინდა, საქმე დაიხუროს. ერთი, გამომძიებელი მოვიცილო თავიდან და მერე მე ვიცი... წასულია ვადიმის საქმე. ჩათვალე, რომ უკვე მკვდარია.

– ჰო, მილიცია და ჰაი-ჰუი არაფერში გვჭირდება! – დაეთანხმა კოსტიაც. – მხოლოდ ხელს შეგვიშლიან. მაგრამ ასე ადვილად რომ არ მოგვეშვებიან?!

– ვერაფერს რომ ვერ ნახავენ ხელმოსაჭიდს, დაწერენ – „გაძარცვის მიზნითო" და დახურავენ საქმეს! ნუ გეშინია, ზედმეტი პრობლემები არაფერში სჭირდებათ.

– ნეტავ, როგორ არის?! – გოგიჩამ ბოთლი ჭიქაში ჩააპირქვავა და კონიაკი თვალდახუჭულმა მოსვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გამომძიებელს თუ დავუჯერებთ, მართალია, გონს ჯერ არ მოსულა, მაგრამ ექიმები იმედს იძლევიან – უეჭველად გადარჩებაო.

– როგორ გგონია, გენა, რა უნდა მომხდარიყო? – გოგიჩა მღელვარებას ვერ ფარავდა, დაძაბულობისგან ხმა უკანკანლებდა, ნიკაპი უთრთოდა.

– ჯერ მეც ვერაფერი გავიგე, – მხრები აიჩეჩა გენამ.

– ბოლო დროს თბილისში აღარ დაურეკავს. მაშინვე მივხვდით, რაღაც რომ სჭირდა. საოცარია – თავდასხმა გუშინწინ საღამოსაა მომხდარი, მანამდე სად იყო და რას აკათებდა – არაფერი ვიცით. კოსტიამ თქვა, ბარშიც არ გამოჩენილაო...

– ჰო, იმ საღამოს მერე თვალი არ მომიკრავს. ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა, მოწყენილი იყო. არც კი მინდოდა მარტო გამეშვა, მაგრამ დაიჩემა – ლევანმა უნდა დარეკოს იტალიიდან, თბილისში, ჩვენებთანაც საქმე მაქვსო და... მერე, რომ აღარ გამოჩნდა, ვიფიქრე, ალბათ, შინიდან რაღაც შეატყობინეს და თბილისში გაემგზავრა-მეთქი... – ხელები გაშალა კოსტიამ და გენას მიუბრუნდა: – როგორ გგონია, ისევ კაზინოში მომხდარი ინციდენტის გამო გაიმეტა ვადიმმა საშკა სასიკვდილოდ?

გენამ კოსტიას შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, ფანჯრიდან გამვლელებს ათვალიერებდა. მერე გოგიჩასკენ მოტრიალდა, გამომცდელად შეავლო თვალი და მოულოდნელად ჰკითხა:

– მითხარი, გოგი, რისთვის ჩამოვიდა საშკა მოსკოვში?

გოგიჩა ასეთ შეკითხვას არ ელოდა და, ცოტა არ იყოს, დაიბნა.

– სამუშაოდ!

– სხვა მიზეზი არ ყოფილა? ძალიან გთხოვ, ნუ დამიმალავ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩემი ეჭვი გამართლდა, მაშინ ვადიმთან კი არა, უფრო დიდ ფრინველთან მოგვიწევს შებმა... გოგი, რისთვის ჩამოვიდა საშკა მოსკოვში?!

– ხომ გითხარი, სამუშაოდ-მეთქი... გაუჭირდათ. ბებიამისი ველარ გასწვდა ყველაფერს.

– რაღაცას მიმალავ, გოგი...

– რას უნდა გიმალავდე?! – აიწურა გოგიჩა და სახეზე მეწამულმა გადაჰკრა. – ჰო, კარგი, გეტყვი... ერთ ქალბატონსაც მიუძღვის ლომის წილი საშკას გადმოხვეწაში...

– ასეც ვფიქრობდი! – შეხტა გენა. – დედამისს, ხომ?

– დედამისი რა შუაშია? გოგო შეუყვარდა, იმან კიდევ უარი უთხრა – ღარიბი ხარო... ჰოდა, საშკამაც...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გოგო შეუყვარდა? – პირი დააღო გენამ. – ვინ გოგო?! რას ამბობ?!

– ვინ გოგო და, ლევანის და – თიკო...

გენამ და კოსტიამ გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

– ლევანს თუ და ჰყავდა, არც კი ვიცოდი. – ჩაილაპარაკა კოსტიამ.

– დაცა ჰყავს და მილიონერი მამიკოც...

– გადამრევთ მე თქვენ! აბა, აქ რაღა მოარბენინებდა?! – გაკვირვებას ვერ მალავდა გენა.

– ეგ უკვე ლევანს უნდა ჰკითხოთ. მართლა, არ შევატყობინოთ?

– ველოდები, თვითონ როდის დამირეკავს... სავადმყოფოში არ წავიდეთ?

– საავადმყოფოში რა გვინდა, ის ნაძირალა არ მოვძებნოთ?! – გაღიზიანდა გოგიჩა.

– Всему своё время, дорогой. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერ რაღაც-რაღაცები მაქვს გასარკვევი, არც ისე მარტივად უნდა იყოს საქმე, როგორც თქვენ გგონიათ. გოგი, საშკას მშობლები დიდი ხანია გარდაეცვალა?

– კარგა ხანია, მაგრამ – მხოლოდ მამა. დედამისი, როგორც ვიცი, ცოცხალია.

– სად არის?

– არ ვიცი, მაგათ ოჯახში დედის თემას ტაბუ აქვს დადებული, საერთოდ არ ახსენებენ, სურათიც კი არასოდეს მინახავს.

– რატომ?

– იცი, წესიერად, მგონი, საშკამაც არ იცის. ამბობდნენ, ქმარს ულალატა, ბავშვები მიატოვა და სხვა კაცს გამოეკიდაო რუსეთის რომელიღაც ქალაქში... საშკა და ინა ბებიამისის ამარა დარჩნენ, როცა მერაბი დაიღუპა.

– რა მოუვიდა?

– ფრესკების ხატვისას ხარაჩოდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

გენა გაჩუმდა. მაგიდაზე მიგდებულ სიგარეტის კოლოფს დასწვდა, ერთი ღერი გამოაძვრინა, მიუკიდა, რამდენიმე ნაფაზი დაარტყა, თითქმის მოუწეველი სიგარეტი საფერფლეს დაასრისა და გოგიჩას უცნაურად შეხედა.

– ინა საშკას დას ჰქვია, არა?

– ჰო! – მოკლედ მოუჭრა გოგიჩამ და ჭარხალივით გაწითლდა.

– სურათი ხომ არა გაქვს თან?

– ვისი, ინასი?! – ვითომ ვერ მიხვდა ბიჭი.

– არა, ჩემი! – სცადა ხუმრობა გენამ და თვითონვე გაეცინა.– რა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო, ბიჭო, რას აფორიაქდი, შეყვარებული ხომ არა ხარ?

გოგიჩამ არაფერი უპასუხა, უსიტყვოდ ჩაიყო უბეში ხელი და ტყავის დასაკეცი საფულე ამოიღო, სასოებით გამოაძვრინა იქიდან ა.. ტარა ფერადი ფოტო და გენას გაუწოდა. სურათიდან გვირილებიან სარაფანში გამოკვალთული ინა ილიმებოდა. გენა გველისაკენ ოდნავ შეხტა, ფერი ეცვალა.

– ეს... ეს... ესაა საშკას და?

– ჰო, რა იყო?! ლამაზია, არა?

– აბა, ადექით, საავადმყოფოში მივდიოთ! ახლავე, დაუყოვნებლივ!.. – გენა გიჟივით წამოვარდა ფეხზე, მანქანის გასაღებს ხელი დაავლო და გარეთ გაიჭრა.

– რა მოუვიდა ნეტავ? – განცვიფრებულმა კოსტიამ გოგიჩას გადახედა. ბიჭმა მხრები აიჩეჩა და გენას გამოუდგა. კოსტიამ სასწრაფოდ დაკეტა ბარი და ძლივს მოასწრო უკვე დაძრულ მანქანაში შეხტომა...

• • •

მოსკოვის ყველაზე პრესტიჟულ უბანში, ხუთსართულიანი, წითელი აგურით ნაშენები ქონგურებიანი სახლის ბოლო სართულზე ლუდასთან და მამინაცვალთან ერთად ცხოვრობდა ანიტა – საშკას მწვანეთვალება ანგელოზი. კომფორტულ, მდიდრულად გაწყობილ ბინაში გამუდმებით ირეოდა უამრავი ხალხი – ძირითადად იაშას, ანიტას და დედამისის პირადი დაცვის ბიჭები. ამათ ემატებოდა ორი მზარეული, დამლაგებელი, სამი მძღოლი და ოჯახის ექიმი, რომელიც ყოველ დილით მოჰყავდათ, გვიან საღამოს კი უკან მიჰყავდათ ხოლმე.

პატარაობიდანვე ხედავდა ანიტა, როგორ აკითხავდნენ „მამამისს" ძვირფას კოსტიუმებში გამოწყობილი, მკაცრსახიანი ბიძები შავსათვალიანი თანმხლები პირებითა და უძვირფასესი მანქანებით. იაშას კაბინეტის მჭიდროდ მოხურული მასიური კარის მიღმა ხან ხმამაღალი სიცილის ხმა ისმოდა, ხანაც – ყვირილის, მაგრამ მისი გამოღების უფლება არავის ჰქონდა.

ანიტას და დედამისს არაფერი აკლდათ, საკმარისი იყო, მხოლოდ ენატრათ და იაშა „ჯადოსნური ჯოხის" წყალობით მაშინვე ყველაფერს გააჩენდა. მაგრამ ფეხს ვერსად გადადგამდნენ დაცვის გარეშე ან უნებართვოდ. უნებისყოფო, დამყოლი ხასიათის კატია მშვენივრად გრძნობდა თავს, ქმარს აღმერთებდა, ყოველდღე საყიდლებზე დადიოდა, სახლში დაბრუნებული კი საათობით ჭყუმპალობდა სახურავზე მოწყობილი საცურაო აუზის მიმწვანო-ლურჯ წყალში, რომელსაც დილა-საღამოს ცვლიდნენ. სამაგიეროდ, ანიტას ახრჩობდა „ოქროს გალია". გოგონას ჯერ ბავშვობა წაართვეს... მისი თანატო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლები თუ არხეინად დარბოდნენ ეზოში – ქარში, წვიმაში, თამამად დატყაპუნობდნენ გაზაფხულის მზით გამთბარ გუბეებში, მას აივანზეც არ უშვებდნენ მარტოს. ლედოფალასავით მორთულ-მოკაზმული იჯდა არაჩვეულებრივი სათამაშოებით სავსე ოთახში და ნაღვლობდა. სკოლაში სიარული ნატვრად ჰქონდა გადაქცეული – მასწავლებლებიც სახლში მოჰყავდათ. მხოლოდ წელიწადში ორ-სამჯერ მანქანაში ჩასვამდნენ, თავის მასწავლებლებთან ერთად სკოლაში მიიყვანდნენ, იქ რამდენიმე შეკითხვაზე უპასუხებდა და ასე გადაჰყავდათ კლასიდან კლასში... წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, იაშასი ყველას ეშინოდა... ანიტაც ნელ-ნელა შეეჩვია ასეთ მდგომარეობას... თუმცა ხანდახან მაინც გაუჩნდებოდა ხოლმე პროტესტის საშინელი სურვილი, მაგრამ... მერე მიხვდა, რატომაც უფრთხილდებოდა მამინაცვალი ასე... თხუთმეტი წლისა იყო, როცა იაშას თხოვნით, ერთ-ერთი მსხვილი უცხოური ფირმის პრეზიდენტი მოხიბლა და მამინაცვლისთვის მეტად ხელსაყრელი პირობებით გააფორმებინა კონტრაქტი. იმ დღის შემდეგ ანიტა იაშას ყველგან თან ახლდა. ისიც ამაყობდა მომხიბვლელი, ნორჩი ქალიშვილით.

გრძელ, ხალიჩებითა და ცნობილ მხატვართა ნამუშევრებით დამშვენებულ გალერეაში მაღალი, მკაცრნაკვთებიანი ჭაღარა მამაკაცი მოუთმენლად სცემდა ბოლთას. ჩუქურთმიან თეთრ როიალთან მდგარ, როკოკოს სტილის ძველებურ ღრმა სავარძელში მჯდარ ძალიან ლამაზ ქალს სახეზე ქათქათა ცხვირსახოცი აეფარებინა და დროდადრო ხმადაბლა სლუკუნებდა. ამას ისედაც გაღიზიანებული კაცი მოთმინებიდან გამოჰყავდა.

– თუ გაჩუმება არ შეგიძლია, შენს ოთახში გადი! ხომ ხედავ – დაწყვეტაზე მაქვს ნერვები!

კატიამ თვალები ხელის გრაციოზული მოძრაობით ამოიმშრალა და ნაწყენი ბავშვივით გაბუშტა ტუჩები.

– რატომ გგონია, რომ მე არ ვნერვიულობ? ბოლოს და ბოლოს, დედა ვარ მისი.

– თუ დედა ხარ, შედი და ათქმევინე, სად იყო და რას აკეთებდა ამ დღეებში!

– ცუდადაა ბავშვი... რა ვკითხო?!. ვინ იცის, სად ჰყავდათ გამოშყვდეული...

– სისულელეა. იმათ არ გაუტაცნიათ. რომამ ყველაფერი მითხრა. მაგრამ შენთან ლაპარაკს რა აზრი აქვს? – ხელი ჩაიქნია იაშამ და თვალი ანიტას ოთახის კარს მიაპყრო, საიდანაც ექიმი უნდა გამოსულიყო. „რას აკეთებს ამდენ ხანს?“ – ბურტყუნებდა თავისთვის და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გულზე სკდებოდა.

გალერეაში ფეხაკრეფით შემოვიდა მაღალი, შავსათვალიანი ბიჭი და იაშას ყურში რაღაც უჩურჩულა.

– მართლა? ახლავე მოვდივარ! ანიტას ჩემთან სურს საუბარი...

– მეც წამოვალ... – წამოიწია კატია.

– იყავი, თუ საჭირო გახდება, დაგიძახებ...

იაშამ ყურადღება აღარ მიაქცია ცოლის უმკაყოფილო ბუზღუნს და ფართო ნაბიჯით ანიტას ოთახისაკენ გაემართა. კარში ექიმს შეეჩეხა.

– აბა, რას მეტყვით, რა სჭირს?

– არაფერი. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს.

– მაშ, რა ხდება?!. – წარბი შეიკრა კაცმა.

– დანამდვილებით რამის მტკიცება შეუძლებელია, მაგრამ, მგონი, მის ავადმყოფობას სიყვარული ჰქვია.

– რაო?! – შეჰყვირა „მამიკომ". – რას ამბობთ, ხომ არ გადაირიეთ?!

– სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია... დანარჩენს, ალბათ, თავად აგიხსნით, რადგან თქვენთან შეხვედრა ისურვა.

ანიტა მაქმანებით მორთულ განიერ საწოლზე იწვა. აღარ ტიროდა, თუმცა მის მშვენიერ თვალებს ჯერ კიდევ შერჩენოდა სიწითლე. იაშა ნელა მიუახლოვდა ქალიშვილს და თმაზე ალერსით გადაუსვა ხელი.

– ანუშკა, ჩემო კარგო... მითხარი, რა მოხდა, რა მოგივიდა? გეფიცები, არავის შევარჩენ შენი ცრემლის ერთ წვეთსაც კი!.. ანუშკი, შემომხედე!

ანიტამ თავი ასწია და გაოცებულმა შეხედა იაშას, რომელსაც მღელვარებისგან ხმა აუკანკალდა. პირველად ხედავდა ასეთს.

– ჩემთვის ანია არასოდეს დაგიძახნია, – ჩაილაპარაკა ქალიშვილმა წყნარად, წამოდგა, კაცს მხარზე მიეხუტა და ტირილი დაიწყო... მერე ნელ-ნელა ძირს ჩაცურდა და იაშას წინაშე დაიჩოქა.

– რას შვრები, ანუშკი?! ადექი ახლავე! – სცადა იაშამ მისი წამოყენება, მაგრამ ქალიშვილი გაუძალიანდა...

– იაშა, გემუდარები, მომისმინე... მე ხომ არასოდეს არაფერი მითხოვია?..

– ანიტა, საყვარელო..

– არა, ნუ გამაჩუმებ... ბოლომდე მათქმევინე, თორემ გამბედაობა აღარ მეყოფა... – ანიტა გაჩუმდა, ძალა მოიკრიფა და... – მე ის მიყვარს, იაშა... ძალიან, ძალიან მიყვარს... მოვკვდები უმისოდ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

თვალდახუჭულ, გაფითრებულ საშკას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. მკერდზე ძლივსშესამჩნევად ადი-ჩამოდიოდა ზეწარი. მყუდროებას აპარატურის სუსტი ზუზუნი და წვეთოვანის ხმაური არღვევდა. ბიჭები დამბლადაცემულებივით იდგნენ.

– ვითომ გადარჩება?.. – ცრემლნარევი ხმით ჩაილაპარაკა კოსტიამ. გოგიჩას ლამის მუხლი მოეკვეთა და რომ არ წაქცეულიყო, საწოლის საზურგეს მოეჭიდა.

– რას სულელობ, ხომ გაიგონეთ, ექიმმა რა თქვა – საშიშროებამ გაიარაო.... დღეს თუ ხვალ გონს მოვა, უბრალოდ, ბევრი სისხლი აქვს დაკარგული... მე უფრო სხვა რამე მაფიქრებს... – გენა გაჩუმდა და საშკას ყურადღებით დააკვირდა.

დუმილი გაჭიანურდა.

– რა? თქვი, ბოლოს და ბოლოს, სული ნუ ამოგვხადე რებუსებით! – შეუბღვირა მოთმინებადაკარგულმა კოსტიამ.

– ჩჩ, ჩუმად! რა გაყვირებს? კოსტია, გოგიჩა არ იცნობდა და ვერ მიხვდება, მაგრამ შენ... აბა დააკვირდი საშკას და მითხარი, ლიზას არა ჰგავს?

გაოცებულმა კოსტიამ მეგობარს გადახედა, მერე თვალდახუჭულ საშკას გაუბედავად მიუახლოვდა, დააკვირდა და აშკარად შეცბა.

– მგონი, მართალი ხარ... მაგრამ ვერ ვხვდები, ამით რის თქმა გინდა! – მხრები აიჩეჩა ბიჭმა.

– ახლავე მოგახსენებთ, მანამდე კი გოგიჩას სთხოვე, ინას სურათიც გიჩვენოს.

– ისევ?! – აბუზღუნდა გოგიჩა. – არ მესმის, რა საჭიროა...

– ცოტაც მოითმინე, მალე ყველაფერს შეიტყობ... – არ აცალა წინადადების დასრულება გენამ და კოსტიას ფოტოს სანახავად უბიძგა, რომელსაც უკმაყოფილო სახით უწვდიდა გოგიჩა.

– ოი, ღმერთო ჩემო!.. ეს ხომ ლიზაა!.. – წამოიყვირა შეძრწუნებულმა კოსტიამ. – ნუთუ...

– აჰა, როგორც იქნა! შევხედე თუ არა, მაშინვე დავრწმუნდი, რომ არ ვცდებოდი. ლიზა საშკას და ინას დედა იყო. ახლა ვხვდები, რა შეიძლებოდა მომხდარიყო საშკას და მას შორის... ალბათ, იმიტომაც მოიკლა თავი...

– თავი მოიკლა? აკი, დოზა მოუვიდა მეტიო? – განცვიფრდა კოსტია.

– ჰო, ასე თქვეს. მაგრამ მე მაშინვე შემეპარა ეჭვი... ესეც თქვენი – მკვლელობის მოტივი...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მკვლელობის მოტივი?! – გოგიჩამ და კოსტიამ ერთმანეთს გადახედეს. გენამ ხმას დაუწია.

– დიახ, მკვლელობის მოტივი. ნუთუ არ გესმით? კაზინოც, ღამის კლუბიც, საბანკო ანგარიშებიც, სასტუმროცა და ქალაქგარეთა სასახლეც ვლადიკის კი არა, ლიზას საკუთრება იყო, ცოლის და არა – ქმრის... საშკა მემკვიდრეა, რომელიც სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა და ვლადიკმაც მისი თავიდან მოცილება გადაწყვიტა!

– კი მაგრამ, თუ ასეა, საფრთხე მაშინ ინასაც ემუქრება – ინასაც ხომ ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც საშკას! – გაფითრდა გოგიჩა.

– ასეა, ვლადიკი მის მოცილებასაც შეეცდება! სასწრაფოდ რაღაც უნდა ვიღონოთ!

– ხომ არ აჯობებდა, მილიციაში მივსულიყავით და გამომძიებლისთვის ყველაფერი გვეთქვა? – იკითხა კოსტიამ. – ვლადიკთან ხუმრობა არ შეიძლება.

– არაფერი გამოვა, ვერაფერს დავუმტკიცებთ. მილიციისთვის ფაქტებია საჭირო, ფაქტები კი არ გაგვაჩნია.

– აბა რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? – სასო წარეკვეთა გოგიჩას.

– არ ვიცი... – შუბლი მოისრისა გენამ. – არ ვიცი! ეხ, ნეტავი ლევანი იყოს აქ, რაღაცას აუცილებლად მოიფიქრებდა.

– დავურეკოთ!

– გვიანია, ვეღარ მოვასწრებთ... სავადმყოფოშიც საშიშია საშკას მარტოდ დატოვება. შეიძლება, ვლადიკმა უკვე იცის, რომ მისი მსხვერპლი გადარჩა... ფრთხილად უნდა ვიყოთ...

გენა ფანჯარას მიადგა, ეზოში გადაიხედა. მისი ყურადღება ორმა „ჯიპმა“ მიიპყრო, ერთი მათგანის გამოღებულ კარს მაღალი, შავსამოსიანი და მუქსათვალიანი ქერა გოლიათი დაყრდნობოდა და მიდამოს ყურადღებით ათვალიერებდა, უფრო სწორად, ზვერავდა. გენამ ბიჭებისაკენ მოიხედა. ისეთი შეშინებული სახე ჰქონდა, კოსტია მაშინვე მიხვდა, რაღაც რომ ხდებოდა, ქამარში გარჭობილი პისტოლეტი იძრო და შემოსასვლელისაკენ გაქანდა. მაგრამ ვეღარ მოასწრო... კარი გაიღო და ოთახში ერთმანეთის მიყოლებით შემოლაგდა ოთხი ახალგაზრდა ზორბა კაცი. კოსტიას რევოლვერი ხელში შეაცივდა, სასოწარკვეთილმა უკან დაიხია და მოულოდნელობისაგან გახევებულ გენას და გოგიჩას კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

– რა ხდება? – როგორც იქნა, გამბედაობა მოიკრიბა გენამ, დაუპატიჟებელ სტუმრებს შეუბღვირა და საშკას ჩამოეფარა.

– ისეთი არაფერი! – წყნარად წარმოთქვა პალატაში სწორედ ამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლრის შემოსულმა სიმპათიურმა ჭალარა მამაკაცმა და მკაცრნაკვთებიანი სახე წუთით ალერსიანი გაუხდა. – შემოდი, ანუშკა! – მიუბრუნდა ვილაკას. – მყოფი, ეიპოვნეთ შენი დეკანმერი...

ბიჭებმა მამაკაცის მზერას თვალი გააყოლეს და განცვიფრებისაგან კინალამ ენა ჩაუვარდათ: ზღურბლზე გაუბედავად გადმოაბიჯა ულამაზესმა ქალიშვილმა. ზურმუხტისფრად მოკიაფე თვალების მზერა მიმოატარა, უგონოდ მწოლიარე საშკას დანახვაზე წამოიკივლა და საწოლს მიეარდა. მერე ეს ფეხადგმული მშვენიერება საშკას ლოგინზე ჩამოუჯდა, ბიჭის უსიცოცხლო, ნემსებით დაჩხვლეტილი ხელის მტევანს თავისი თლილი თითები მოეკიდა, ფრთხილად მიეტანა ტუჩებთან, გულში ჩაიკრა და გლუვ, პრიალა ლაწვებზე პაწაწინა ნაკაწრებივით დაედინა ცრემლი. იაშა ქალიშვილთან მივიდა, მხარზე ხელი დააღო. ანიტამ სატოდავად შეხედა კაცს.

– ნუ ტირი, ანუშკი, ყველაფერი კარგად იქნება, გპირდები. – გამამხნევებლად გაულიმა მამინაცვალმა.

– გმადლობ, იაშა... – ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და აკანკალებული ხელი ახლა თავზე გადაუსვა დაჭრილს.

„იაშას" გაგონებაზე გენამ ყური ცქვიტა. „ნუთუ ეს არის თავად ყოვლისშემძლე ალექსანდრ დანილოვიჩი?! არა, შეუძლებელია! მოესმა... მაგრამ გოგონამ ხმამ გარკვევით დაუძახა – „იაშაო"... აი, რატომ ეცნობოდა, როცა შემოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთხელ ჰყავს ნანახი... ნუთუ ვლადიკმა საშკას მოსპობა მისი საშუალებით გადაწყვიტა? გამორიცხულია, ნამდვილი სისულელეა! ისეთი პიროვნება, როგორიც ალექსანდრ დანილოვიჩია, ასეთ რამეზე ხელს არ გაისვრიდა... მაშ, რა ხდება?.. ან ეს ქალიშვილი ვინ არის, საიდან იცნობს საშკას?.. – ფიქრობდა გენა – ღმერთო, სულ დავიბენი, აღარაფერი მესმის...„

საგონებელში ჩავარდნილი, ლაპარაკის უნარდაკარგული გენა პირდაღებული შეჰყურებდა უცნაურ სურათს და სიტყვის დაძვრა ვერ მოეხერხებინა. კოსტია და გოგიჩა გაცილებით უარეს დღეში იყვნენ – საერთოდ ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა. ანიტას სილამაზით გაოგნებულებს საშკა კი არა, საკუთარი თავიც დაავიწყდათ. უყურებდნენ აცრემლებულ ანგელოზს და ყველაფერი სიზმარი ეგონათ.

იაშა ცოტა ხანს კიდევ იდგა საშკას საწოლთან, მერე ბიჭებს მიუბრუნდა:

– გავიცნოთ ერთმანეთი. მე ალექსანდრ დანილოვიჩს მეძახიან. თქვენ, როგორც მივხვდი, ამ რაინდის მეგობრები უნდა იყოთ, რომელმაც ჩემი ქალიშვილი ბანდიტების თავდასხმისაგან იხსნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იაშას სიტყვებმა გენა კიდევ უფრო დააბნია. გაოცებულმა მხრები აიწურა და ძლივსგასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

– მაპატიეთ, ალექსანდრ დანილოვიჩ, მაგრამ არაფერი მესმის!

– როგორ? – ვერ მიხვდა კაცი.

– საშკა მილიციელებმა იპოვნეს, როცა, მძიმედ დაჭრილი, თავისი ბინის კართან ეგდო და სისხლისაგან იცლებოდა... ჩვენ მოგვიანებით გამომძიებლისაგან შევიტყვეთ თავდასხმის ამბავი. მართალი გითხრათ, საგონებელში ჩავცვივდით, ვერაფრით გავიგეთ, რა უნდა ყოფილიყო მკვლელობის მიზეზი... წელან თითქოს რაღაც გავარკვიეთ, მაგრამ თქვენმა გამოჩენამ უარესად დაგვაბნია. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ აქ შეგხვდებოდით, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

– ჩანს, მიცნობთ... – იაშა გენას მიუახლოვდა, დაკვირვებით შეათვალიერა და დაფიქრდა, თითქოს რაღაცის გახსენება უნდოდა. – მგონი, სადღაც მინახავხართ... მაგრამ სად? ვერ ვიხსენებ.

– ალბათ, კაზინო „ლას-ვეგასში". მე მისი მენეჯერი ვარ.

– აჰ, გამახსენდა! ძალიან ლამაზი ქალი და მისი თავგასიებული, გაღიპული ქმარი, საზიზღარი თაგვისთვალება ბატონი ვლადიკი!.. – იაშას გაეცინა. – სპეციალურად გამეცნო, ჩემს ბანკში უნდოდა ანგარიშის გახსნა ცოლის სახელზე, მერე კი თავის კაზინოში დამპატიჟა... ის ქალი კი... რა ერქვა?..

– ლიზა...

– დიახ, ლიზა. ძალიან ლამაზი იყო, გრაციოზული... მაშინ ვიფიქრე, ნეტავ ამ ღორთან როგორ ცხოვრობს-მეთქი, მაგრამ როცა ანგარიში ვნახე... – იაშა გაჩუმდა და საშკას გადახედა. – კი მაგრამ, იმ ქალს საშკასთან რა საერთო აქვს?

– შვილია მისი, – როგორც იქნა, გოგიჩაც მიხვდა რაღაცას.

– შვილი?!

– დიახ, ეს ცოტა უცნაური ამბავია, უცნაური და სევდიანი. ლიზიმ შვილები, საშკა და მისი და, დიდი ხნის წინ მიატოვა – ქმართან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა ვლადიკთან სტუმრად. მასპინძელი შეუყვარდა და ცოლად გაჰყვა. ბედმა თუ შემთხვევამ დედა-შვილი ისევ შეახვედრა ერთმანეთს და ეს შეხვედრა ლიზისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

– როგორ თუ საბედისწერო?! – იაშა ყურადღებით უსმენდა გენას და თითებით მოუკიდებელ სიგარეტს სრესდა.

– ლიზა რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა.

– რა მოუვიდა?!

– ნარკოტიკები... თუმცა, მე ვფიქრობ, თავი მოიკლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რატომ?

– არ ვიცი... ამ კითხვაზე პასუხი ან თავად ჩაიტანა სამარეში, ან საშკამ იცის. მაგრამ თავდასხმის შემდეგ ჯერ გონზე არ მოსულა... ზუსტად ისიც ვერ გავიგეთ, ვინ გაიმეტა ასე, ან რატომ... თუმცა ეჭვი მაქვს, რომ...

– რა ეჭვი?.. – ანიტამ საშკას ცოტა ხნით თავი ანება და გენას შეხედა.

– დარწმუნებული ვარ, საშკას მკვლელობა ვლადიკის დაკვეთილია. თქვენ თქვით, რომ ბანკში ანგარიში ლიზას სახელზეა გახსნილი, მე კი ვიცი, რომ მარტო ფული კი არა, სახლიც, კაზინოც და ღამის კლუბებიც ქალბატონ ლიზის ეკუთვნოდა. საშკა კი მემკვიდრეა, სერიოზული მოწინააღმდეგე...

– ვლადიკმა იცის, რომ საშკა ლიზას შვილია?

– ალბათ გაიგო...

– არა მგონია, ასე იყოს. საშკას ჩემი გულისთვის დაესხნენ თავს! – ანიტა წამოდგა.

– რატომ გგონიათ ასე? თავდასხმამდე საშკა რამდენიმე დღით სადღაც გაქრა, არავის უნახავს, ტელეფონზეც არ პასუხობდა. შეიძლება, მოტაცებულიც კი ჰყავდათ...

ანიტამ თავი გააქნია:

– დაკარგული კი არა, ჩემთან ერთად იყო...

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

– თქვენთან ერთად?!.. სად?!.

– მის ბინაში. ის თავგასიებული ვლადიკი მე მიპირებდა მოტაცებას, საშკამ კი გადამარჩინა. ჰოდა, არ აპატიეს...

– ვადიმის გარეშე ეს ამბავი მაინც არ ჩაივლიდა! – თქვა კოსტიამ.

იაშას მახვილ სმენას არ გამოპარვია ბიჭის სიტყვები.

– ვინ არის ვადიმი?

– ვლადიკის მარჯვენა ხელი და ლიზას ყოფილი საყვარელი. რამდენიმე თვის წინ, ლიზას სიკვდილამდე ორი დღით ადრე, სასტიკად სცემა საშკას.

– რატომ?

– იეჭვიანა. ლიზამ სამსახურიდან დაითხოვა და ვადიმმა ეს ამბავი საშკას დააბრალა...

იაშა ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. კარი გაიღო და პალატაში ექთანმა შემოიხედა, ამდენი ხალხის დანახვაზე ეაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა და მთავარი ექიმის კაბინეტისაკენ გაქანდა.

– ნიკიტა სერგეევიჩ, ნიკიტა სერგეევიჩ, წამობრძანდით, ძალიან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გთხოვთ, თვითონ ნახეთ...

დაბალმა, ჩასუქებულმა, თეთრხალათიანმა მამაკაცმა ცხვირის წვერზე დასკუპებული სათვალე მოიხსნა, კოტიტა თითებით ცხვირსახოცი მოიმარჯვა, მინები დაორთქლა, მარჯვედ გაწმინდა, სათვალე ისევ ცხვირზე მოირგო და აუღელვებლად იკითხა:

– რა იყო, ლიუბოჩკა, დერეფანში მოჩვენება ხომ არ გინახავთ?

– ოი, რომ იცოდეთ, მეორე პალატაში რა ხდება! – ისევ აწიოკდა ქალიშვილი.

– იმედია, ცეცხლი არ უკიდია! დაწყნარდით და ისე მითხარით. მეორე პალატა? დაჭრილი რომ მოვათავსეთ? რაო, გონზე მოვიდა?

– მგონი, არა... – დაიბნა ექთანი.

– აბა, რა მოხდა, მდგომარეობა გაუარესდა?

– არა, არა...

– მაშ რა გაყვირებდათ?

– პალატაში უამრავი ხალხია...

– მერე, არ აუხსენით, რომ არ შეიძლება?!

– ვეღარ მოვასწარი, მაშინვე თქვენთან გამოვიქეცი...

– ოხ, ლიუბოჩკა, ლიუბოჩკა! რატომ მაწუხებთ იმისთვის, რისი მოგვარებაც თქვენც მშვენივრად შეგიძლიათ? ორი ოპერაცია გავაკეთე, იცით, როგორ დავიღალე?

– მაპატიეთ, ნიკიტა სერგეევიჩ, მაგრამ ცოტათი უცნაური ხალხი ჩანს, რაღაცნაირი...

– მაინც, როგორი? ორთავა თუ სამფეხა? ჰო, კარგი, წავიდეთ, მაჩვენეთ ერთი ეს თქვენი „რაღაცნაირი" ხალხი! – მთავარი ექიმი ზანტად წამოდგა და ბუზღუნით გაუყვა დერეფანს. ლიუბოჩკაც მიჰყვა.

– რა ამბავია აქ?! – მკაცრად იკითხა ნიკიტა სერგეევიჩმა და მოჭუტული თვალებით ლოგინზე ჩამომჯდარი ანიტა შეათვალიერა. – რატომ აწუხებთ ავადმყოფს?

– ნიკიტა სერგეევიჩ, ვერ მიცანით? – იაშა ექიმისკენ გაემართა.

– ააა, იაშა, ძვირფასო, ჩემო კარგო! აქ რა გინდა, რამ შეგაწუხა? – გახარებულმა კაცუნამ ხელები ჰაერში აიქნია და, სახეგაბადრული, თავის ქნევას მოჰყვა.

– საშკას სანახავად მოვედი. სწორედ ახლა ვაპირებდი მისი მკურნალი ექიმის ნახვას. კარგია, რომ შენ აღმოჩნდი. აბა, დამამშვიდებელს რას გვეტყვი, როგორაა საქმე?

– უკეთესად. მართალია, გონს ჯერ არ მოსულა, მაგრამ არაფერია. ახალგაზრდა ორგანიზმია, ჯანმრთელი... თქვენი ახლობელია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იაშამ მოწყენილ ანუშკას გადახედა, გამამხნევებლად გაულიმა და ნელა, თითქმის დამარცვლით წარმოთქვა:

– ჩემი სასიძოა! ეს კი ჩემი ქალიშვილი გახლავთ – ანუშკა. ასე რომ, განსაკუთრებული ავადმყოფი გყავთ და იმედი მაქვს, განსაკუთრებულად მოუვლით!

იაშას სიტყვებმა ექიმი კი არა, ბიჭებიც გააოგნა. ანიტაც, ამას, როგორც ჩანს, არ ელოდა. მადლიერმა იაშას ხელი ლოყაზე მიიხუტა და აკოცა.

– მშვენიერი ქალიშვილი გყოლიათ, მშვენიერი! – აბუტბუტდა ნიკიტა სერგეევიჩი. – სასიძოსაც არა უშავს... მალე ფეხზე დავაყენებთ და... იმედია, ქორწილს არ გამომაპარებთ! მაგრამ, ალექსანდ დანილოვიჩ, მაინც უნდა გისაყვედუროთ: ამდენი ხალხის ყოფნა პალატაში არ შეიძლება.

– ვიცი, ვიცი და ახლავე წავალთ! ოღონდ... – იაშა ექიმს მიუახლოვდა და ხმადაბლა რაღაც ჩაულაპარაკა.

– ოო! რადგან ასეა, კი ბატონო. ოღონდ თეთრი ხალათები ჩაიცვან. ახლავე მე თვითონ მოვიტან! – მთავარი ექიმი თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიმკვირცხლით კარისაკენ გატრიალდა და დერეფანში გაცუხცუხდა.

– მე დავრჩები, – თქვა ანიტამ, ისევ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და თითები საშკას მკლავის ქვეშ შეაცურა.

– დაიღლები, საყვარელო. წადი სახლში, ნიკიტას ვეტყვი, როცა გონს მოვა, დაგვირეკოს და მაშინვე მოგიყვანენ.

– არა! – ანიტამ ჯიუტად გააქნია თავი. – როცა გონს მოვა, აქ უნდა ვიყო, თვალს რომ გაახელს, მე უნდა დამინახოს!

– კარგი, როგორც გინდა. რომა და ალექსი შენთან დარჩებიან. მერე მეც მოგაკითხავ! – იაშა დაიხარა, ქალიშვილს ყორნის ფრთასავით შავ თმაზე აკოცა და დაცვას ანიშნა – წავედითო. ორი მათგანი მაშინვე გვერდით ამოუდგა. რომა საწოლთან მივიდა, ალექსი კი კართან აიტუზა.

გენა, გოგიჩა და კოსტია უხერხულად იშმუშნებოდნენ, იდგნენ და სიტყვის დაძვრა ვერ მოეხერხებინათ. იაშამ ბიჭებს გახედა და მოკლედ მოჭრა:

– დერეფანში გავიდეთ...

გენამ კარი გამოაღო, გზა დაუთმო და თვითონაც მიჰყვა. კოსტია და გოგიჩაც დამჯერი ბავშვებივით გამოედევნენ უკან.

* * *

ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, პატარა მაგიდასთან, ლომის ფე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხებზე შემდგარ სავარძელში მაისურისამარა მჯდარ ვლადიკს ხელში ქაღალდის ფურცელი შერჩენოდა, სიკვდილივით გაფითრებული სახე კი ნერვიულობისაგან გაქვავებოდა. სქელი ხავერდის ფარდებით საგულდაგულოდ დაგმანული ფანჯრებიდან საერთოდ ვერ აღწევდა დღის შუქი, მაგრამ ლადოს არც უფიქრია, აენთო მაგიდაზე მდგარი ძვირფასი, მოოქრული ბრინჯაოს ამურებით დამშვენებული ღამის ნათურა. თავში მკვდარი თევზებივით ვყარა აზრები... ყველაფერს წარმოიდგენდა ლადო, ამის გარდა... ეს რა გაუკეთა ლიზამ, როგორ მოატყუა? ადრევე უნდა ეფიქრა, როცა ქონებას ცოლის სახელზე აფორმებდა. როგორ შეიძლება ენდო ქალს, ისიც ლიზასთანას? მაგრამ ახლა გვიანაა თითზე კბენანი... რა ქნას, როგორ მოიქცეს? ალბათ, თბილისში მოუწევს წასვლა და „იმათი" მოძებნა...

კარმა ოდნავ გაიჭრიალა. ოთახში ფეხაკრეფით, უჩუმრად შემოძვრა ვადიმი და პატრონს ერთგული ძაღლივით გაუჩერდა წინ. ლადო არ შერხეულა, ერთი ნაკვეთიც არ შესტოკებია, შემოსული საერთოდ არ დაუნახავს. ვადიმმა ჩაახველა. კაცი შეკრთა, თითქოს ღრმა ძილისაგან გამოერკვაო. შუბლზე გაყინული ხელი მოისვა, დაბნეული მზერა ვადიმს მიაპყრო და ამოიკვნესა:

– ცუდადაა საქმე...

– ნუ ჯავრობთ, შეფ, ვიპოვნით გოგონას! სად წაგვივა? იმ უდღეურსაც ბოლოს მოვუღებ, ვერ გამიგია, როგორ გადარჩა!

– რა დროს გოგონა და საშკაა, იდიოტო! დავიღუპე, ყველაფერს ვკარგავ! – ლადო შლეგიანივით წამოვარდა და ოთახში სირბილს მოჰყვა. ვადიმი ლენჩივით მიაჩერდა.

– რა ხდება? ვერაფერი გავიგე...

– ვილუპები-მეთქი, გეუბნები! მაჯობა იმ კახპამ! ყველაფერი, რასაც ასეთი წვალებით მივაღწიე, ყველაფერი – სახლი, კაზინო, ღამის კლუბი, მანქანები... აი, ეს ღამის ნათურაც კი მე აღარ მეკუთვნის! რას მომჩერებიხარ შტერივით? ანდერძი ჰქონია დატოვებული – მთელი ჩემი ქონება თავის ლეკვებს გადაულოცა! ახლა გესმის?! გაიგე?! აღარაფერი გამაჩნია! – გაცოფებული, თვალებგადმოკარკლული, პირზე დუჟმომდგარი კაცი მთელი ხმით ღრიალებდა და ქაღალდის ნაგლეჯს ჰაერში აფრიალებდა.

– მერე, მაგაზე იშლით ნერვებს? – უშნოდ გაიღრიჭა ვადიმი. – თქვენ მხოლოდ მითხარით და... – საფეთქელთან მიიდო პისტოლეტივით გაშვერილი ხელი. – ჩიკ, ჩიკ! პრობლემაც მორჩება!

ვლადიკმა ზიზღით შეათვალიერა ახიოსჩითებული ხელქვეითი.

– ხმა ჩაიწყვიტე, დეგენერატო, არც კი გესმის, რას ლაპარაკობ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიჭები სად არიან?

– ქვემოთ, ეზოში...

– ჩადი და ჩამოვალ...

ვადიმი ოთახიდან გავიდა, ბუზღუნით დაეშვა კიბეზე და ვერც კი შენიშნა, როგორ გაიღო მის უკან ლიფტის გლუვი, შემინული კარი.

მარტოდ დარჩენილი ლადო კარადას მიუახლოვდა, გამოაღო და ჩაცმას შეუდგა, თან გამალებული ფიქრობდა: „იქნებ არც ღირს რამეს შეცვლა? იმდენი ხანია, ლიზას შვილები არ უნახავს, იქნებ ვერც გაიგონ, რა მოხდა. ბავშვებმა, ალბათ, არც კი იციან, რომ დედა აქამდე ცოცხალი ჰყავდათ. ლილის ისე სძულდა რძალყოფილი, ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ ლიზა დავიწყებოდათ... ღმერთო, გამახსენე სახელები... ბიჭი უფროსი უნდა იყოს... რატომ არ წამოვიყვანე, რატომ ბოლომდე არ ვიბრძოლე!.. ინა!.. აჰა! როგორც იქნა – გოგონას, მგონი, ინა ერქვა... ბიჭს?!. ვერა, ვერ ვიხსენებ..." – ლადომ კომოდიდან პატარა ჩანთა გამოიღო, ლიზას უზარმაზარი პორტრეტი გადასწია, კედელში ჩამალული სეიფი გამოაღო, დასტებად დაწყობილ ფულს დახედა. რამდენიმე შეკვრა ჩანთაში ჩაყარა და სეიფის დასაკეტად შებრუნდა. – „უნდა ჩავიდე თბილისში... ლიზა ბოლო ხანს ძალიან გამოიცვალა, შეიძლება, კონტაქტიც კი ჰქონდა შვილებთან, ვინ იცის? ერთ-ორ დღეში თავზე რომ დამადგნენ და კუთვნილი მომთხოვონ – მერე?.."

– ვხედავ, გასაქცევად ემზადებით! – მოესმა ზურგსუკან ვილაცის მჭახე, მსუსხავი ბარიტონი და მთელ ტანზე უცებ ეკალმა დააყარა. ელდანაცემმა ძლივს მოახერხა შემობრუნება და სავარძელში მოკალათებული, ფეხი ფეხზე შემოდებული სიმპათიური მამაკაცი დაინახა. იგი მშვიდად აბოლებდა სიგარეტს და უცნაურად უღიმოდა. ოთახში სხვა არავინ ჩანდა, მაგრამ ლადოს რატომღაც მოეჩვენა, რომ კარს იქით ვილაც იდგა.

– ვინ ბრძანდებით და რა გნებავთ? – ამოიხრიალა ფერწასულმა.

– რა, ვერ მიცანით, ბატონო ვლად? – იაშამ სავარძლიდან წამოიწია, მაგიდის ნათურას მისწვდა და აანთო.

– ღმერთო ჩემო! ალექსანდრ დანილოვიჩ, თქვენ?! – განცვიფრებულმა ლადომ სტუმრისაკენ ნაბიჯი გადადგა.

– აი, ეს უკვე სხვა საქმეა, ახლა შეგვიძლია ვისაუბროთ კიდეც!..

– რით შემიძლია გემსახუროთ? – ვლადიკი იქვე მდგარ პატარა ბორბლებიან მაგიდასთან მივიდა, მუცელგამობერილ ჭიქაში ვისკი დაასხა, ყინულის ნატეხები ჩაყარა და სტუმარს გაუწოდა. იაშას ჭიქა არ გამოურთმევია. წამოდგა, წარბი მრისხანედ შეიკრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მემსახურო?! შენ უკვე გამიწიე „მშვენიერი" სამსახური, როცა წინ გადამიდექი!

ლადო დაიბნა.

– წინ გადაგიდექით?.. არაფერი მესმის! როდის, როგორ?..

– ანიტა – გოგონა ღამის კლუბიდან... განა მოტაცებას არ უპირებდი?

შიშისაგან ერთიანად გათეთრებულ ლადოს ენა დაება.

– მე, მე... არ მეგონა... არა, განა არ მეგონა – არ ვიცოდი, თუ გოგონა... თუ, თუ... თქვენი საყვარელი იყო...

იაშამ ბრაზისაგან კბილები გააღრჭიალა.

– რომელი საყვარელი?! რას ბოდავ – შვილია ჩემი!..

– შვილი?!

– დიახ, შვილი! მგონი, მაშინვე გასაგებად აგიხსნეს, რომ უნდა მორიდებოდი! შენ კი რა გააკეთე?.. გოგონას ძებნა დაუწყე, თავს დაესხი, მძღოლი მოუკალი, ანიტა კი...

– არა, არა, რას ბრძანებთ! თქვენი ქალიშვილისთვის თითი არ დამიკარებია, გეფიცებით! ეს მან... საშამ...

– თავის მართლებას აზრი არა აქვს! შენს შესახებ იმაზე გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე საჭიროა. ისიც ვიცი, როგორ გაიმეტე საცოდავი ბიჭი, შენი გერი, სასიკვდილოდ! შეგეშინდა, მიხვდი – ყველაფერი, რაცა გაქვს, მისი ხდებოდა და ერთბაშად მოინდომე ყმაწვილის თავიდან მოცილება! იქნებ მითხრა, ასე არ არისო?! საშკაზე თავდასხმა შენი ბრძანებით მოხდა!

– საშკა? – ლადო ყურებს არ უჯერებდა. – საშკას ლიზასთან რა კავშირი აქვს?

– შვილია მისი! შვილი!..

ლადოს ფეხქვეშ თითქოს ნიადაგი გამოეცალა, დაბარბაცდა და, რომ არ წაქცეულიყო, სავარძლის საზურგეს ჩააფრინდა ფრჩხილებით.

„ღმერთო ჩემო... საშკა ლიზას შვილი ყოფილა!.. პატარა საშკა... როგორ ვერ მივხვდი?.. მერაბის და ლიზას შვილი... აი, სად შევხვდით, როგორ... არა, ეს ბედისწერაა! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ცხადია, ლიზამ იცოდა მის შესახებ, იცოდა და დამიმალა. თურმე ამიტომ იქცეოდა ასე უცნაურად იმ საშინელ საღამოს... ლიზამ ნახა საშა, შვილმა კი ღალატი არ აპატია... რა გვიან მივხვდი ყველაფერს..." – გაოგნებული კაცი უსინათლოსავით აწყდებოდა აქეთ-იქით. მერე უცებ გაჩერდა და იაშას მიაჩერდა.

– ახლა რა უნდა ვქნა?.. – იკითხა საცოდავად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იაშამ გულგრილად გადახედა აცახცახებულ კაცუნას. უბიდან მოლაპლაპე „კოლტი" ამოიღო და დაანახა.

– შანსს გაძლევ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოიქცე კაცურად. ალბათ, მიხვდი, რაც უნდა ჰქნა!.. – იარაღი მაგიდაზე დაუდო და გასასვლელისაკენ გაემართა. კართან მისული ერთხელ კიდევ შემობრუნდა ლადოსკენ და თავი გამაფრთხილებლად დაუქნია. – იცოდე, სხვა გამოსავალი არ არსებობს... გელოდები...

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში ყრუდ დაიჭექა რევოლვერმა, მერე იატაკზე დავარდნილი ძმიმე სხეულის ბრაგუნი მისწვდა ხეული კიბის მოჩუქურთმებულ მოაჯირზე დაყრდნობილი იაშას სმენას. უსიამოვნო სიჩუმე გამეფდა ირგვლივ... მკაცრსახიანი მამაკაცი თითქოს ამას ელოდა, გაიღიმა, წელში გაიმართა და ორ განუყრელ თანმხლებთან ერთად აუჩქარებლად ჩაიარა სქელი ხალიჩით დაფარული საფეხურები...

• • •

საშკას ლოგინზე გაუნძრევლად მჯდარ ანიტას ბეჭები ასტკივდა, ბიჭის მკლავის ქვეშ ამოდებული ხელი დაუბუჟდა, მაგრამ არ განძრეულა, დაჭრილისთვის მზერა არ მოუცილებია.

– დაიღალე? – შეწუხდა რომა.

– ცოტა, – გაულიმა ანიტამ.

– იქნებ ცოტა ხნით დაგესვენა... თუ გინდა, წავალ, ბალიშს მოგიტან.

– არა, არ გინდა, უბრალოდ, უხერხულად ჯდომისაგან ზურგი ამტკივდა...

– მაშინ ვთხოვ და სავარძელს მოვატანინებ ფოიედან.

– არ მინდა! – შეაჩერა ქალიშვილმა. – სავარძელში თუ ჩაეჯექი, დამეძინება, მე კი ფხიზლად უნდა ვიყო.... – ანიტამ სევდიანად გადახედა საშკას.

– ძალიან გიყვარს? – თანაგრძნობით ჰკითხა რომამ.

– ძალიან, – თავი დაუქნია ქალიშვილმა. – იცი, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რამ შესაძლებელი იქნებოდა... თითქოს სხვა სამყაროში ვცხოვრობ! არც ბავში ვიყავი დარწმუნებული, რომ იაშა გამიგებდა ამას... ახლა მთავარია, საშკა გადარჩეს... – ანიტამ ამოიოხრა და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

რომამ გამამხნევებლად გაულიმა:

– ნუ გეშინია, კარგად იქნება. აბა, ნახავ!..

– დიდი მადლობა...

ბიჭს მეტი არაფერი უთქვამს, ალექსისთან მივიდა და ორივემ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფანჯარაში დაიწყო ყურება. ბინდდებოდა...

„ნეტავ, იაშა რატომ იგვიანებს?" – გაიფიქრა ანუშკამ და თვალები მილულა. მოულოდნელად იგრძნო, როგორ შეირხა მის თლილ თითებს ზემოთ მოქცეული საშკას მკლავი და მღელვარებისაგან კინაღამ გული წაუვიდა. ჯერ იფიქრა, მეჩვენებაო, მერე კი, როცა დაჭრილმა წამწამები აამოძრავა და თვალი გაახილა, ხმადაბლა წამოიკივლა და საწოლის წინ მუხლებზე დაემხო. საშკამ თეთრად მოქათქათე ჭერს მიაპყრო მზერა. ერთხანს ასე იყო, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობსო, მერე ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოაცურა მზერა და თავის სასთუმალთან დაჩოქილი მწვანეთვალება ანგელოზი დაინახა... წამოწევა სცადა, მაგრამ მწვავე ტკივილმა აიძულა, მიწოლილიყო. დაიკვნესა, თვალები დახუჭა. „ალბათ, მეჩვენებაო", – გაიფიქრა და გული უარესად ეტკინა. უცებ შუბლზე, გრილი, ნაზი თითების შეხება იგრძნო, ტუჩებზე კი ერთმანეთის მიყოლებით აწკაპუნდნენ ანიტას მლაშე ცრემლები. საშკა მიხვდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარში კი არა, ცხადში ხდებოდა, უზარმაზარ ზვირთებად მოვარდნილმა სიხარულმა ცხელ ტალღებად დაუარა მთელ სხეულში და კინაღამ წალეკა... გაჭირვებით ასწია ცალი ხელი, ანიტას სახეზე მოუსვა და გაიღიმა...

* * *

იატაკზე, საწოლთან უყურადღებოდ მიტოვებული ტელეფონი იქაურობას იკლებდა. ინამ გაჭირვებით ასწია ძილისაგან დამძიმებული ქუთუთოები და ხელები მოაფათურა. როგორც იქნა, მიაგნო, აპარატი მიიჩოჩა და ზემოდან ბალიში დააფარა. ტელეფონი გაჩუმებას არ აპირებდა, შეწუხებული გოგონა იძულებული გახდა, ყურმილი აეღო და ვიღაც უზრდელისათვის საკადრისი პასუხი გაეცა.

– ალო! რომელი ხარ?! სახლში საათი არა გაქვს, შე უბედურო, რომ აგვიკელი ამ შუაღამისას?!

– ინა! – მოესმა საყვარელი ხმა და მაშინვე გამოფხიზლდა.

– ვაიმე, გოგიჩ! შენა ხარ?!

– მე ვარ, ინუშკი, მე! გესმის ჩემი ხმა? რომ იცოდე, რა უნდა გითხრა! მაპატიე, რა, ვიცი, გაგაღვიძე, მაგრამ დილამდე ველარ მოვითმინე!

– გოგიჩ, როგორა ხართ? საშკა როგორ არის, სადაა? აქამდე რატომ არ გვირეკავდით? ლამის დავიხოცეთ ნერვიულობით! ლილი ხვალ მოსკოვში აპირებს გადმოფრენას. დაუჩემებია, ისეთ სიზმრებს ვხედავ, იმ ბიჭს აუცილებლად რაღაც უჭირსო! – სულმოუთქმელად მიაყარა გოგონამ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ახლა ყველაფერი კარგადაა! ბებოს უთხარი, ნულარ ინერვიულებს. მოსკოვში ჩამოსვლა კი ორივეს მოგიწევთ, აუცილებლად!

გოგიჩას ხმა უცნაურად ჟღერდა. ინა შეშფოთდა.

– რაღაცას მიმალავ! მითხარი – საშკამ ჩვენი ამბავი გაიგო და გაგიჟდა, ხომ? ამიტომ გვიბარებს მოსკოვში? ვაიმე, რა მეშველება! – აღრიალდა გოგო.

– რას ამბობ, ინა! ნუ სულელობ! ხომ გითხარი, ყველაფერი კარგადაა-მეთქი... აუუ! ვერც კი წარმოიდგენ, რა მოხდა! არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... საცოდავი თიკო ნინუა ჯავრით მოკვდება, როცა გაიგებს, რომ... ერთი სიტყვით, ბებოს უთხარი – ხვალ პირველსავე რეისზე აიღოს ბილეთები, აეროპორტში დაგხვდებით...

– გოგიჩ, სულ ნუ გადამრევ, რა! ვერაფერი გავიგე!.. არ შეგიძლია, წესიერად ამიხსნა?! თიკო ნინუა რაღა შუაშია?.. თანაც, მოსკოვში ორი კაცის ჩამოსვლა როგორი საქმეა, სადაა ამდენი ფული?!

ყურმილში უცნაური ფრუტუნი გაისმა – გოგიჩა იცინოდა.

– ვაიმე, მოვკვდი სიცილით! – ხითხითებდა ბიჭი. – ფულიო... ფული არა გაქვს, არა?! ნეტავი იცოდე, როგორი მდიდარი ხარ, ინა! შეიძლება, თავი სიზმარში გეგონოს.

– რაა? მე ვარ მდიდარი?! დამცინი? აუტანელი ვინმე ხარ, საზიზღარი!..

– არა, არა, არ დაგცინი, დედას გეფიცები, მართლა მდიდარი ხარ, გოგო!..

– ხომ არ აურიე, შე უბედურო?! თქვი, რა, წესიერად! ნუ ამომაძვრე სული!.. – სერიოზულად გაბრაზდა ინა.

– კარგი აბა, ვიწყებ! დაჯექი, დამშვიდდი და ასე მოისმინე, ახლავე ყველაფერს აგიხსნი. ოღონდ, ინა...

გოგიჩა მოულოდნელად გაჩუმდა, ხანმოკლე დუმილის შემდეგ კი გაოგნებულ გოგონას ეშმაკურად შეაპარა:

– თუ შეგპირდები, რომ აღარასოდეს გაგაბრაზებ, მანქანას მიყიდი?!..

– რა-ა?!.

* * *

ახალფეხადგმული ბავშვივით მობარბაცე საშკამ გაჭირვებით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, აკანკალებული ხელით საწოლის ზურგს მოეჭიდა და ანიტას გაუღიმა:

– ასე მგონია, ნორმალურად ვეღარასოდეს ვიმოძრავებ...

– ნუ გეშინია, – გული გაუკეთა ანიტამ. – რამდენიმე დღეც და, ჩიტივით იქნები... იმდენი სისხლი დაკარგე, ეს ბუნებრივიცაა. არც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეგონა, საერთოდ თვალს თუ გააცილდი... რა ბედნიერებაა, რომ გადარჩი!.. – ქალიშვილი ბიჭს ფრთხილად მიეხუტა შებინტულ მკერდზე. – ხომ არ დაიღალე? თუ გინდა, წამოწექი.

– არა, ვიქნები ცოტა ხანს. ფანჯარასთან მიმიყვანე...

ანიტას მხარზე დაყრდნობილი საშკა სვენებ-სვენებით მივიდა ფანჯარასთან და ეზოში გადაიხედა.

– მგონი, მოვიდნენ...

– მართლა?! – გაუხარდა ანიას. – ახლა იაშას გაგაცნობ. გუშინ გეძინა და აღარ გაგაღვიძეთ. შენთვის ახალი ამბავი აქვს, ძალიან სერიოზული! – მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა ქალიშვილმა.

პალატაში იაშა, გოგიჩა და გენა შემოვიდნენ. ფეხზე წამომდგარი საშკას დანახვაზე ბიჭებს აღფრთოვანების შეძახილი აღმოხდათ. არანაკლებ გაოცებული ჩანდა თავად ავადმყოფიც, რომელიც ვერ წარმოიდგენდა, გოგიჩას თუ მოსკოვში ნახავდა.

– საიქიოდან დაბრუნებულს გაუმარჯოს! – გაეცინა გენას.

– მკვდრის კვალობაზე შესაშურად გამოიყურები!

– ანიტამ მიამბო, რაც თავს გადამხდა, მაგრამ გული მიგრძნობს – ყველაზე საინტერესო თქვენ შემოგინახათ. გოგიჩ, შენ რაღა გინდა აქ?

– მე... მე ისა... დაკარგული იყავი... ტელეფონს არ პასუხობდი, ჰოდა... ჩამოვედი, რა!

– ბიჭო, გულები რომ დაგვიხეთქე, დროზე რომ გეთქვა, რა უბედურებაც გჭირდა, ხომ იქნებოდა უკეთესი?! – ყასიდად გაბრაზდა გენა.

იაშა უსიტყვოდ მიუახლოვდა ქალიშვილს და მხარზე ხელი მოჰხვია. საშკამ გენას შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და მისკენ მიბრუნდა:

– ანიამ მითხრა, რომ თქვენ... – ბიჭს ენა დაება. – დიდი მადლობა, რომ მისი სიყვარულის უფლება მომეცით...

– ეს მთლიანად ანიტას დამსახურებაა! – გაეცინა იაშას. – ისე შეაყვარე თავი, რომ... საოცარია! ეტყობა, მართლაც კარგი ბიჭი ხარ. თუმცა ამას დრო გვიჩვენებს...

საშკა გაწითლდა, უხერხულად აიწურა...

– მე ყველაფერს გავაკეთებ ანიას გულისათვის, მხოლოდ... – ბიჭი გაჩუმდა, ქალიშვილს შეხედა და მისი ხელი ლოყაზე მიიკრა. – მე თითქმის არაფერი გამაჩნია, გამიჭირდება შენთვის ისეთი პირობების შექმნა, როგორსაც მიჩვეული ხარ, მაგრამ მინდა იცოდე, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბედნიერი იყო...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანიამ ეშმაკური მზერა გააპარა მამინაცვლისაკენ, კაცმა მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი.

– საშკა, – დაიწყო ანიამ. – არ გაინტერესებს ახალი ამბავი?

– ახალი ამბავი? – გაიკვირვა ავადმყოფმა. – რა, კიდევ მოხდა რამე?!

გოგიჩამ მუდარით გახედა გენას, თითქოს ანიშნებდა – რალას უცდი, მიდი, უთხარიო.

– რას გაჩუმებულხართ? მითხარით, რაშია საქმე... შეიტყვეთ, ვინ დამესხა თავს?

– ეგეც ვიცით და სხვა რაღაც-რაღაცებიც! – თვალი ჩაუკრა გენამ.

– ჩვენ ცოტა ხნით დაგტოვებთ... ანია, ალბათ მოგშივდა, არა, ძვირფასო? დედაშენი ძალიან ნერვიულობს. წავიდეთ სახლში, დაისვენებ და ისევ მოგიყვან. თან ბიჭებს სალაპარაკო აქვთ. კარგი?! – ალერსიანად მიეფერა თმაზე იაშა ქალიშვილს. ანიამ შეშფოთებულმა გადახედა საშკას. რაც მხედველობიდან არ გამორჩენია იაშას. – მხოლოდ ორი-სამი საათით, ანუშკი, თორემ ძალიან დაღლილი ჩანხარ.

– წადი, საყვარელო, წადი. აღარაფერი მიჭირს. თან, მარტო ხომ არ ვრჩები, გოგიჩა და გენა იქნებიან ჩემთან. დაისვენე და მალე მოდი, თორემ უკვე მენატრები! – საშკამ ნაზად აკოცა ქალიშვილს გაბუტული ტუჩის კუთხეში და მსუბუქად უბიძგა მამინაცვლისაკენ.

– რომას დაგიტოვებთ, – უთხრა გენას იაშამ და ქალიშვილთან ერთად კარისაკენ გაემართა, ზღურბლთან მისული ისევ შედგა და დაუმატა: – თუ რამე მოხდეს, მაშინვე დამირეკეთ. ხომ არ გინდათ, აეროპორტშიც გამოგაყოლოთ ვინმე?

– არა მგონია, საჭირო იყოს, – თავი გააქნია გენამ. – სალამოს შევხვდებით და დანარჩენზე მერე შევთანხმდეთ.

– როგორც გინდათ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ტურა ჯერ ისევ ცოცხალია და სადღაც აქვე დაძრწის.

– არაფერია! ვერსად წაგვივა, ხვალვე შევუდგები მაგ ძაღლიშვილის ძებნას! – ვადიმის მისამართით ჩუმად შეიგინა გენამ და ანიას ხელი დაუქნია.

გოგიჩა საშკასთან მივიდა.

– მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ხარ... – გულზე მიიკრა და აქვითინდა.

– ნელა, შე დათვო, მტკივა! – ამოიკვნესა საშკამ და შებარბაცდა. შეშფოთებულმა გოგიჩამ ხელი შეაშველა.

– მიდი, წამოწექი, თორემ ძლივს სუნთქავ. რაც უნდა იყოს, დღეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველად წამოდექი. – გოგიჩამ საწოლამდე მიაცილა მეგობარი, მიეხმარა, მოხერხებულად მოწყობილიყო, მხარქვეშ ბალიში შეუსწორა, მერე ანიტასთვის ექიმის კაბინეტიდან გამოტანილ სავარძელში მოიკალათა, და გენას ჰკითხა: – აბა, შენ დაიწყებ თუ მე ავუხსნა ამ ყმაწვილს, როგორ უცხადდება ბავშვობაში მოყოლილი ზღაპრები?!

– თუ ძმა ხარ, გასაგებად ილაპარაკე! – ცოტათი გაცხარდა საშკა. – სულ მაიმუნად უნდა დარჩე? რატომ გითხრათ ანიას მამინაცვალმა – ტურა ჯერ ისევ ცოცხალიაო?! რომელ ტურაზეა საუბარი ან აეროპორტში რისთვის მიდიხართ და, საერთოდ, რაშია საქმე?

– კარგი, კარგი, ნუ ბრაზობ! ახლაკე ყველაფერს მოგიყვებით, მაგრამ ვშიშობ – არ დაგვიჯერებ...

– მოკლედ, საშკა, – გააგრძელა გენამ, – შენი მოკვლა ვლადიკს უნდოდა. ვადიმის ხელით აპირებდა კონკურენტის ჩამოცილებას...

– ვლადიკს?! ვადიმის ხელით?! – გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა საშკას. – მაშ, ის ვადიმი იყო? კი მაგრამ... რატომ? რა დავუშავე?!

– ქალს რომ „აწერდი", რა გეგონა?! მეორეც.... ის დაუშავე, რომ შენ ლიზას შვილი ხარ..

– არაფერი მესმის – გაფითრდა საშა. – გამოდის, ანიტას ვლადიკისათვის იტაცებდნენ. მაგრამ ლიზა ხომ მოკვდა, ნუთუ ვლადიკი მე მაბრალებს ცოლის თვითმკვლელობას?!

– არაფერსაც არ გაბრალებდა... თუმცა სწორედ ლიზას სიკვდილმა აურია თავგზა... უფრო გასაგები რომ იყოს, აი, რაშია საქმე: სიკვდილის წინ დედიკოს, ჩანს, გული აუჩუყდა და ძვირფასი მეუღლის მთელი ქონება, გიმეორებ – მთელი! – თქვენს ბრწყინვალეებას დაუტოვა! ცოტა – ინასაც, რა თქმა უნდა! – პათეტიკურად დაასრულა გენას დაწყებული ახსნა-განმარტება გოგიჩამ, სავარძლიდან წამოხტა და მეგობარს თავი თეატრალურად დაუკრა. გენას გაეცინა.

– მორჩი, გოგა! ხუმრობა იქით იყოს და, საშკა, ახლა ხომ ხვდები: ვლადიკს ჰქონდა საიმისთ საფუძველი, შენი სიკვდილი სდომებოდა.

მოულოდნელობისაგან გაოგნებული და პირგამშრალი საშკა ხმას ველარ იღებდა.

– წარმოუდგენელია! – ჩაილაპარაკა ბოლოს. – ყოველივე ეს თქვენ ვინ გითხრათ?

– ანიტას მამინაცვალმა – იაშამ. თავად ვლადიკს ათქმევინა... ისე, როგორც კი შენი დის სურათი ვნახე, მეც მაშინვე მივხვდი, სხვანაირად რომ იყო საქმე. იმ სულელ ბერიკაცს ხომ ცოლის სახელზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰქონდა გაფორმებული უძრავიც და მოძრავიც... რა გინდა, ძმაო, ილბლიან ვარსკვლავზე ვარ დაბადებულიო, შენ უნდა თქვა... ანიაზე ალარაფერს ვამბობ, ნამდვილი მზეთუნახავია. აფსუს, როგორ უმართლებს ზოგიერთს! – გაეცინა გენას და საშკას მხარზე მსუბუქად წაჰკრა ხელი. – რას გაჩუმებულხარ, თქვი რამე! ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ შენ იქნებოდი ჩემი უფროსი...

– რა თქვი? რა უფროსი?! – ამღვრეული მზერა მიაპყრო გენას საშკამ.

– აუუ! გამაგიჟებს ეს ბიჭი! ტყუილად დავიღალე ენა? ძნელია იმის გაგება, რომ ვლადიკის ფული, სახლი, აგარაკი, მანქანა, კა-ზინო! – დაუმარცვლა ხმამაღლა, – შენი საკუთრებაა? იმედი მაქვს, ძალიან მკაცრი არ იქნები!..

– ვლადიკი?.. სად არის?

– შვებულებით გაემგზავრა ცოლთან! – გაიხუმრა გენამ.

– მო... მოკალით? – შეძრწუნდა ბიჭი.

– როგორ გეკადრებათ! უბრალოდ, ვასწავლეთ, როგორ მოქცეულიყო. გადაწყვეტილება თვითონ მიიღო. დამოუკიდებლად... რაც შეეხება იმ ნაბიჭვარს – ვადიმზე მოგახსენებთ – იმას კი საკუთარი ხელით მოვუგრეხ კისერს, ნამდვილად ვეღარ გადამირჩება!

– გოგიჩ, ჩვენებმა იციან?

– იციან. გუშინწინ ინას ველაპარაკე. ჩამოდიან... – გოგიჩამ პალატის კედელში ჩამაგრებულ საათს შეხედა. – ერთ საათში აქ იქნებიან...

– მერე, რას გაჩუმებულხარ?! – წამოხტა გენა. – გავიქეცი, თორემ დავაგვიანებ. შენ საშკასთან დარჩი, – მიუბრუნდა გოგიჩას, – აეროპორტიდან პირდაპირ აქ მოვალთ. არ მოიწყინოთ. ისე, მაინც ფრთხილად იყავი, – ჩაულაპარაკა ხმადაბლა.

– თქვენც ფრთხილად იყავით, – სთხოვა გოგიჩამ.

– თუ საჭიროა, მეც წამოვალ აეროპორტში. – ფანჯარასთან აქამდე თავისთვის წყნარად მდგარმა რომამ გენასკენ ნაბიჯი გადადგა.

– დიდი მადლობა, ჩემო კარგო, მაგრამ უმჯობესი იქნება, აქ დარჩე. აეროპორტში მე და კოსტია წავალთ. ალბათ, უკვე მელოდება ჯიდეც.

კოსტია მართლაც ელოდა გენას, მანქანასთან მოუსვენრად სცემდა ბოლთას და წამდაუწუმ საათისკენ გაურბოდა მზერა.

შენობიდან გამოსული გენა რომ დაინახა, გულმოსული ეცა:

– სადა ხარ აქამდე?! დაგავიწყდა, სადა ვართ გასასვლელი?

– ნუ გეშინია, მოვასწრებთ, – დაამშვიდა გენამ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კი, როგორ არა! ერთი საათი მაინც გვინდა იქამდე...

– თუ გინდა, საჭესთან მე დავჯდები.

– რას ამბობ?! სიცოცხლე ჯერ ისე არ მომბეზრებია, რომ შენისთანა გადარეულს გვერდით მივუჯდე! – კოსტიამ მანქანა დაქოქა, ფრთხილად გამოაძვრინა მანქანების მწკრივიდან და გზატკეცილზე გავიდა. საუბრით გართულებს არც კი შეუმჩნევიათ, როგორ აედევნა მათ „ნივას“ მოლურჯო ფერის ძველი „მერსედესი“...

* * *

ქათქათა ლაინერი ნელ-ნელა ეშვებოდა ქვემოთ. დედამიწაზე პაწაწინა, სათამაშო სახლებით მორთული მაკეტივით მოჩანდა მოსკოვი. ინა ვერ ისვენებდა, მოუთმენლად ცქმუტავდა სავარძელში.

– მალე ჩავალთ, არა, ბებო? – უკვე მერამდენედ ჰკითხა ფერდაკარგულსა და ტუჩებგალურჯებულ ლილის.

– ინა, თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე! ხომ ხედავ, ცუდად ვარ, დაჯექი და ქამარი შეიკარი.

– ნუ ბრაზობ, რა, ბე... რა ვქნა, ყველაფერი მაინტერესებს... პირველად ვარ თვითმფრინავში, მაგრამ, ვფიქრობ, არა უკანასკნელად... – ჩაეღიმა გოგონას. – მთელ მსოფლიოს შემოვივლი, ყველა ქვეყანას ვნახავ... უამრავ ლამაზ ნივთს ვიყიდი. ჰო, გოგიჩასაც მანქანა უნდა... ბე, თურმე ისეთი მაგარი სახლი ყოფილა... ნამდვილი სასახლე... გახსოვს, შენ რომ მიყვებოდი ხოლმე მეფის ასულებზე? ახლა მეც მეფის ასულივით ვიცხოვრებ! იმ უბედურ თიკო ნინუას, ალბათ, მარტო ტელევიზორში თუ უნახავს ასეთი სახლი, კაზინოში ნამყოფიც არ იქნება... მე კი ჩემი მექნება – საკუთარი...

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! – გაბრაზდა ლილი. – დაჯექი-მეთქი, დაჯექი და გაჩუმდი... იმ ბიჭმა სულ აგირია ტვინი. მოსკოვში საშკას სანახავად ჩამოვედით. ნუთუ გგონია, რომ უფლებას მოგცემთ, იმ გარყვნილი დედაკაცის მრუშობით ნაშოვნი ფული ხარჯოთ? არც იოცნებო!..

– კი მაგრამ, ბებია... – სატირლად მოიღრუბლა ინა, – ამას რატომ ამბობ? რატომ უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რაც კანონით გვეკუთვნის?

– გაჩუმდი-მეთქი! იმას რომ შვილები ჰყვარებოდა, ოჯახს არ მიატოვებდა და იმ ბანდიტს არ გამოეკიდებოდა უკან. ღმერთმა უწყის, რა გზით ბქვთ ეგ ფული ნაშოვნი! ჩემს შვილიშვილებს ასეთი სიმდიდრე არაფერში სჭირდებათ და ძალიან გთხოვ, აღარაფერი მითხრა...

ლილი გაჩუმდა. თავი საავარძლის საზურგეს მიაყრდნო და თვალები დახუჭა. განაწყენებული ინაც გაისუსა, ტუჩები გაბუტულივით გაბზიკა და ილუმინატორის მინას მიაბჯინა პაჭუა ცხვირი... სა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხლები სულ უფრო სწრაფად ახლოვდებოდნენ, იზრდებოდნენ და მალე გოგონას თვალწინ უზარმაზარი ქალაქი გადაიჭიმა.

* * *

– ცოტა ხნით მაღაზიასთან შემიჩერე, რა, სიგარეტის ყიდვა დამავიწყდა, – უთხრა გენამ კოსტიას და ცარიელი ჯიბეების ტყუილუბრალოდ ქექვას თავი ანება.

– ხომ გითხარი, გვაგვიანდება-მეთქი! რა დროს სიგარეტია! აეროპორტამდე მოითმინე და იქ იყიდი.

– იქამდე რა მომათმენინებს! გააჩერე, გააჩერე. ხელად გამოვალ..., – გენამ მანქანიდან ისკუპა და „სუპერმარკეტის" შემინულ კარს მიღმა გაუჩინარდა.

კოსტიამ უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა რაღაც და მოუთმენლად აათამაშა საჭეზე თითები. უცებ საფეთქელთან რაღაცა ცივი შეეხო და იგრძნო, როგორ გაეყინა ძარღვებში სისხლი. თავი სულ ოდნავ მოაბრუნა და სავარძელში მოკალათებულ, უტიფრად მოხითხითე ვადიმს ჰკიდა თვალი.

– რაო, კოსტენკა, არ მელოდი, ძვირფასო? იქნებ ველარც მცნობ? საწყენია, საწყენი! ძველ მეგობრებს ასე არ ხვდებიან.

– რა გინდა, ვადიმ? – კოსტიამ ძლივსძლივობით გადააგორა გამომშრალ ყელში გაჩხერილი უზარმაზარი ბურთი და შეეცადა, აცახცახებული ხელები დაემალა.

– არ გაინძრე! – შეუბღვირა ვადიმმა. – დაქოქე მანქანა! ახლავე დაქოქე და წადი...

– კი მაგრამ, მე...

– ვიცი – გენას ელოდები. დავინახე, მანქანიდან როგორ გადავიდა... მაგისთვისაც მოვიცლი, ოღონდ ახლა მეჩქარება, დაქოქე მანქანა და წადი! გესმის?! ტყუილად აცეცებ თვალებს! თუ იმას არ გააკეთებ, რასაც გეუბნები, ძაღლივით ჩაგკლავ!

– საით წავიდე, რომ არ მეუბნები?

– საითკენაც მიდიოდი! რამდენიმე შეკითხვა კიდევ მაქვს, მაგრამ გზაშიც მოვასწრებ... – ვადიმმა რევოლვერის ლულა საფეთქლიდან კეფაზე გადაიტანა და ავად ჩაიხითხითა: – თქვენ გეგონათ, ასე იოლად მომიცილებდით თავიდან და იმ ნაბიჭვარს დარჩებოდა ყველაფერი? ეს ხომ უსამართლობაა! განა მეც არ უნდა შემხვდეს დიდი ღვეზელის ერთი პატარა ნაჭერი? აბა, რა პირი დაგიღია! ეგ ლაწირაკი რომ არა, შეიძლება, ლიზას თავის მემკვიდრედ მე დავესახელებინე! არ ვუყვარდი თუ რა? მაგრამ არაფერია, დრო კიდევ მაქვს და მოვახერხებ, კუთვნილი მივიღო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაგაში კი მართალი ხარ, კუთვნილი ნამდვილად არ აგცდება, ოღონდ რამდენად მოგეწონება, არ ვიცი! – უკბინა კოსტიამ და სიმწრით ტუჩი მოიკვნიტა.

– ენა ჩაიგდე, შე საცოდავო! ვერ ხედავ, რომ შენი უბადრუკი სიცოცხლე ჩემს ხელშია?!

– ბედისწერას ეთამაშები, ვადიმ! თავს იღუპავ!

– ვნახოთ! – ჩაიღიმა ვადიმმა და რევოლვერიანი ხელი ნიკარში ამოარტყა. – ახლა რამდენიმე მარტივ შეკითხვაზე გამცემ პასუხს – ძველი მეგობრობის ხათრით, მერე კი თავისუფალი ხარ.

– არაფერსაც არ გეტყვი! – თავი გააქნია კოსტიამ და გახეთქილი ტუჩი მოილოკა.

– მეტყვი, მეტყვი! სიკვდილის შიში ოხერია, შენნაირები აჭიკჭიკებულან?!

ოციოდე წუთის შემდეგ აეროპორტისაკენ მიმავალი გზატკეცილის გადალმა მილიციამ ახალგაზრდა კაცის უსულო სხეული იპოვნა. მიცვალებულს ერთადერთი ტყვია ჰქონდა ნასროლი საფეთქელში. გახეთქილ ტუჩზე სისხლი შეხმობოდა.

* * *

მალაზიიდან გამოსულმა გენამ თავისი „ნივის“ კუდსლა მოჰკრა თვალი. მერე იქვე უპატრონოდ მიგდებული, კარლია ძველი „მერსედესიც“ დაინახა და ყველაფერს მიხვდა. საკუთარ დაუფიქრებლობაზე გამწარებული, კედელზე ჩამოკიდებულ ტელეფონ-ავტომატს ეცა და იაშას ნომერი აკრიფა... ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ორი „ჯიპი“ გიჟივით მიჰქროდა იმ მიმართულებით, საითაც თეთრი „ნივა“ გაუჩინარდა. გადარეული გენა თავ-ბედს იწყევლიდა და უკვე მერამდენედ იმეორებდა:

– ეს როგორ დამემართა, როგორ დამემართა!..

– ჩემი ბრალია, – ყრუდ ჩაილაპარაკა იაშამ. – მარტონი არ უნდა გამომეშვით!.. უფრო ჭკვიანი ყოფილა, ვიდრე მეგონა...

– ახლა რა მოხდება?..

– ახლა მთავარია, ძალიან არ დავაგვიანოთ, თუმცა თუ ვადიმი იმას აპირებს, რასაც ვფიქრობ... – იაშამ შუბლი მოისრისა და ფანჯარაში გაიხედა... – მოიცადე, აქ რაღაც ხდება... გააჩერე მანქანა! – უბრძანა მძღოლს. – ასეც ვიცოდი ...

გზიდან ოდნავ მოშორებით მილიციის რამდენიმე საპატრულო ავტომობილი იდგა, „სასწრაფოს“ მანქანასთან თეთრხალათიანები ირეოდნენ. გენამ კოსტიას გაყინულ სახეს მაშინ მოჰკრა თვალი, როცა ორმა სანიტარმა მისი უსულო სხეული საკაცეზე დაასვენა და ზე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარი გადააფარა. სადღაც შუაში გაწყდა ყელს მოწოლილი ბღავილი... მიცვალებულივით გაფითრებული გენა მუხლებზე დაეშვა და თავი ხელებში ჩარგო.

– ახლა გლოვის დრო არ არის! – მხარში ჩააფრინდა იაშა და მაგრად შეანჯღრია. – უნდა ვიჩქაროთ!

* * *

ვერცხლისფერი ლაინერი ლივლივით დაეშვა მოსკოვის აეროპორტში. გრძელფეხება, სიმპათიურმა სტიუარდესამ ღიმილით აუწყა მგზავრებს ფრენის კეთილად დასრულება და გასასვლელში ჩადგა... თვალებანთებული და აფორიაქებული ინა გაფაციცებით იხედებოდა აქეთ-იქით...

– ნუ ცმუკავ, – გააფრთხილა ლილიმ. – აქედან მაინც ვერავის დაინახავ. რა გითხრა გოგიჩამ, ვინ და ვინ დაგხვდებათო?

– საშკას მოსკოველი მეგობრები, კოსტია და... ვაიმე, მგონი, სახელი დამავიწყდა, აი, იმ მულტფილმში რომაა, ჩებურაშკას მეგობარი ნიანგი, რა ჰქვია?!

ლილიმ წყრომით გადახედა შვილიშვილს:

– გენა?!

– ჰო, გენა. რა სასაცილოა, არა?!

– მერე, ჩვენ როგორ ვიცნობთ?

– გოგიჩამ – თვითონ გიცნობენო...

ბებია და შვილიშვილი ნელა მიუყვებოდნენ ხალხის ნაკადს და მალე უზარმაზარ დარბაზში აღმოჩნდნენ.

– თითქოს არავინ ჩანს... – მიმოიხედა ლილიმ.

– შეუძლებელია...

– ოხ, ინა, დიდი ჩერჩეტი გოგო ხარ: რატომ საავადმყოფოს მისამართი არ იკითხე?! ტაქსს გავაჩერებდით და მივიდოდით...

– ტელეფონი ხომ ვიცით? დავურეკოთ...

– ვის, საშკას? ღმერთო, რა სულელია ეს ბავშვი!.. საშკასთან ვინ იქნება?! რა ვქნათ, როგორ მოვიქცე?!

ლილიმ ყურადღებით მოათვალიერა მოსაცდელი დარბაზი და უცებ მაღალი, შავსათვალიანი ბიჭი დაინახა, რომელიც აშკარად ვიღაცას ეძებდა.

– თუ არ ვცდები, ის ახალგაზრდა ჩვენ უნდა გვეძებდეს... – ლილის სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ უცნობი მათკენ გამოემართა... შეცბუნებულმა ინა შეათვალიერა და გაუღიმა

– თქვენ ლიზას ქალიშვილი უნდა იყოთ, ასე არ არის?

– დიახ! საშკას და ვარ – ინა. ეს ბებიაჩემია – ლილი... თქენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოსტია ხართ თუ გენა?..

– რომელიც გსურთ, ის ვიქნები... – ისევ გაულიმა ვადიმმა და ინას დააკვირდა. – წარმოუდგენელია... საოცრად ჰგავხართ დედათქვენს...

– მართლა?

– მართლა. განა არ იცით?

– არა, მე ხომ ის არასოდეს მინახავს, სურათითაც კი...

– ჰოო?.. – გაუკვირდა ვადიმს. – არ ვიცოდი... არაფერია, თქვენი მამინაცვლის... უკაცრავად, ახლა უკვე თქვენს სახლში ლიზას უზარმაზარი პორტრეტი ჰკიდია და ნახავთ...

ლილის არ ესიამოვნა საუბრის თემა და, ცოტა არ იყოს, უხეშად გააწყვეტინა:

– აღარ მივდივართ?! ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ჩემს შვილიშვილს. როგორ არის?

– კარგად, კარგად... – დაფაცურდა ვადიმი და ქალებს გასასვლელისაკენ გაუძღვა, თან სათვალის მუქი მინების მიღმა შეშფოთებული აცეცებდა თვალებს.

• • •

საშკას ლოგინთან მოკალათებული გოგიჩა დიდხანს უყვებოდა მეგობარს თბილისურ ამბებს, თუმცა მთავარ სათქმელს ბეჯითად უვლიდა გვერდს. საშკას ყველაფერი აინტერესებდა, ხარბად იჭერდა მის თითოეულ სიტყვას და გრძნობდა, როგორ მონატრებოდა მშობლიური ქალაქის ერთ დროს მომაბეზრებელი ერთფეროვნება.

– როგორც კი მოვმჯობინდები, მაშინვე წამოვალ, – ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა.

– სად წამოხვალ, რას ამბობ?! აქაურობას ვის უტოვებ? თუ დაგაჭიწყდა, მდიდარი რომ ხარ? – ჩაეცინა გოგიჩას.

– იცი, ვერაფრით შევგუებივარ მაგ აზრს. სიმართლე გითხრა, არც კი მჯერა... რა უნდა ვუყო ამდენ ფულს?

– შენ მაგაზე ნუ იჯავრებ, აქ არა ვარ?! დიდი სიამოვნებით დაგეხმარები დახარჯვაში! – დიდსულოვნად შეეპირდა გოგიჩა. – მაშ რისი მეგობარი ვარ, თუ „გასაჭირში" გვერდით არ დაგიდგები?

– შენ ხუმრობ, მე კი ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო. რა გამაჩერებს მოსკოვში?! ვერ შევძლებ, გოგიჩ...

– მერე, ანია? ანიაზე არ ფიქრობ? ვინ გაგატანს თბილისში? ვერ ხედავ, მამინაცვალი როგორაა შვილობილზე გადაფოფრილი?.. აუუ, ისე, რა მაგარი იქნება, თიკომ გნახოთ ერთად... ჯავრისაგან გული გაუსკდება საცოდავს... მერე, თავისი ღვინის კასრივით ჩამრგვალებული ქმრის პატრონი...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ქმრის პატრონი?! – გაუკვირდა საშკას. – როდის გათხოვდა? ჩემთვის რომ არაფერი გითქვამთ!

– ბებიაშენმა – ნუ ვეტყვითო და... – მხრები აიჩეჩა გოგიჩამ. – გვეგონა, ინერვიულებდი... დანიშნული ჰყავდა, შენი ოფიციალური ვიზიტის წინა დღეს ჰქონია ნიშნობა და მალევე გაათხოვეს... – გოგიჩა გაჩუმდა და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ ყოყმანით იკითხა: შენ... ისევ გიყვარს?

– არა, რას ამბობ! – თავი გააქნია საშკამ. – ჩემი ყველაზე დიდი სიყვარული ანიტაა. თიკოს გარეშე სიცოცხლე შევძელი, მაგრამ ანიას გარეშე, ალბათ, მოვკვდები... აი, როცა შენც შეგიყვარდება ვინმე, მაშინ მიხვდები, – გაულიმა მეგობარს.

გოგიჩა ჭარხალივით გაწითლდა.

– საშკა... რაღაც მინდოდა მეთქვა შენთვის... მაგრამ...

– მერე, რას ელოდები? მითხარი.

– ჰოო, ისა... – საცოდავად აბლუკუნდა ბიჭი. – მართლა, ლევანს არ დაურეკავს? – გაახსენდა უცებ და შვებით ამოისუნთქა. „ჯანდაბას, კიდევ ვერ გავბედე... მოვიდეს ინაც და..“ – გაიფიქრა საკუთარ გაუბედაობაზე გულმოსულმა გოგიჩამ და განაგრძო, – გაიგო შენი ამბავი?

– არ ვიცი... დამავიწყდა, გენასთვის მეკითხა.

– სად არის?

– ბოლოს რომიდან მელაპარაკა...

– ჩამოსვლას არ აპირებს?

– არა მგონია... ყოველ შემთხვევაში, არაფერი უთქვამს...

– რომ იცოდეს, თბილისში ვინ ელოდება, მაშინვე იქ გაჩნდებოდა, დარწმუნებული ვარ... – ჩაიფრუტუნა გოგიჩამ.

საშკამ ეჭვით შეათვალიერა მეგობარი:

– გოგიჩ, რაღაც მნიშვნელოვანი იცი ლევანზე, არა?

გოგიჩამ თავი დაუქნია:

– სწორედ მაგის სათქმელად გირეკავდი, მაგრამ, რომ აღარ გამოჩნდი... რომ იცოდე, ვის შევხვდით მე და ინა... ნია გახსოვს? ქანდაკებაზე რომ სწავლობდა ჩვენთან, მაღალი, ძალიან გამხდარი, დიდთვალება გოგო...

– ლევანის შეყვარებული?

– შენც იცოდი?! – გაუკვირდა გოგიჩას.

– ლევანმა მითხრა... ძალიან უყვარს, მაგის გამო მიატოვა ოჯახი...

– აბა, ისიც რომ გაიგოს, შვილი რომ ჰყავს – გაგიჟდება!

– შვილი ჰყავს? რას ამბობ, გოგიჩ?! ვინ გითხრა? – საშკას დააკი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წყდა ჭრილობები და კინაღამ ლოგინიდან წამოფრინდა.

– თვითონ ვნახე! ისე ძალიან ჰგავს ლევანს, გადაირევი! ზედგამოჭრილი მამამისია, თვალები კი მამიდამისისა აქვს, მომწვანო...

– ბიჭია?

– არა, გოგო... სამი წლის იქნება...

– ესე იგი, ლევანი სცდებოდა – მაინც გაუჩენია!.. ამდენ ხანს რატომ არ ჩანდა? სად ვიყავიო?

– ამდენი ნამდვილად აღარ ვიცი... ხომ გეუბნები – მე და ინას შემთხვევით შეგვხვდა პარკში. ბავშვს ასეირნებდა...

– რა კარგი ამბავი მითხარი, გოგიჩ! აუცილებლად უნდა გავაგებინოთ ლევანს, მაშინვე ჩამოვა!..

– ლევანი დილის რეისით მოფრინავს. ხვალ შუადღისთვის უკვე აქ იქნება! – თქვა პალატაში შემოსულმა გენამ და ფანჯარასთან მდგარ რომას რაღაც ანიშნა...

– გენა?! – ერთხმად შესძახეს საშკამ და გოგიჩამ. – ასე მალე მოხვედით? ინა და ლილი სად არიან?

გენამ არაფერი უპასუხა. თავჩაქინდრული, ტუჩების კვნეტით გაემართა საშკასკენ და საწოლთან გაჩერდა.

– რა მოხდა-მეთქი?! სად არიან ჩემები?! – იდაყვებზე წამოიწია საშკა. – არ ჩამოვიდნენ?

გოგიჩა რაღაცას მიხვდა, გიჟივით წამოვარდა ფეხზე, კარს ეცა და კინაღამ იაშასა და ანიას შეეჯახა.

– დამშვიდდი, გოგა, აუცილებლად ვიპოვით... – სცადა მისი დამშვიდება იაშამ.

– ვის იპოვით, რას ამბობთ?!. – შეშფოთებული გოგიჩა ხან იაშას უყურებდა, ხან გაფითრებულ გენაზე გადაჰქონდა მზერა. უცებ გონება გაუნათდა, – ვადიმი!.. ისევ დაგვასწრო, ხომ? კოსტია?! სად არის კოსტია, რა დაემართა?!

– კოსტია... მკვდარია... აეროპორტის გზაზე იპოვნეს... ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა გენამ, და შემდეგ საშას მიმართა – ინა და ბებიაშენი კი არსად ჩანან.

– რაა?! – ილრიალა საშკამ.

ანიტა მაშინვე მასთან გაჩნდა და მოეხვია.

– გემუდარები, საშკა, ძალიან გთხოვ... ყველაფერი კარგად იქნება... იაშა დამპირდა, ოღონდ ცოტა უნდა მოვიცადოთ.

– რას ჰქვია, მოვიცადოთ?! ველოდოთ, იმათაც კოსტიასავით როგორ მოუღებს ბოლოს?! თქვენი არ ვიცი და, მე მივდივარ... უნდა მოვძებნო...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სად მიდიხარ, გადაირიე?! – მკლავში სწვდა გენა. – ანია მართალია, უნდა მოვიცადოთ. ვადიმს ინას და საშკას ბებიის სიკვდილი არაფრად სჭირდება, პირიქით, მათი საშუალებით შეეცდება ფულის მიღებას და ქალაქიდან გაქრობას... მალე თვითონვე დაგვიკავშირდება...

– მანამდე რომ წავიდეს?

– უფულოდ სად წავა?

– არა, ასე მაინც ვერ გავჩერდები! იღონეთ, რა, რამე! – გოგიჩა გადარეულივით დარბოდა ოთახში და ხან იაშას ემუდარებოდა, ხან – გენას. გამშრალი, გახევებული საშკა საერთოდ ვერ იღებდა ხმას, ანიას მისი ხელი გულში ჰქონდა ჩაკრული და თვალცრემლიანი ეფერებოდა. ყველაზე მშვიდად იაშა იყო, მხოლოდ საფეთქელზე ამობერილი ცისფერი, მფეთქავი ძარღვი გასცემდა მის შინაგან მღელვარებას.

– დარწმუნებული ვარ, ორიოდ საათში დარეკავს... თუმცა... – იაშამ საათზე დაიხედა და გენას მიუბრუნდა. – შენ რომა წაიყვანე და ყველა წერტილი შეამოწმე, სადაც შეიძლება ვადიმს გატაცებულები მიეყვანა...

– ვაიმე, ინა! – შუბლზე შემოირტყა გოგიჩამ, იატაკზე ჩაიკეცა და აქვითინდა.

საშკამ გაოცებით გადახედა მეგობარს. დარწმუნებული იყო, ინა გოგიჩას მართლაც დასავით უყვარდა, მაგრამ ასეთ რეაქციას ნამდვილად არ ელოდა. გენა ატირებულთან მივიდა, წინ ჩაუცუცქდა და მხარზე ხელი მოუთათუნა:

– ტირილი ჩვენი საქმე არ არის, გოგა... ნუ ჯავრობ, ვიპოვით შენს ინას!

– „შენს ინას?" – ექოსავით გაიმეორა საშკამ. ისევ გოგიჩას გახედა და...

– აბა, გამოტყდი, რაშია საქმე?!

– ვერ ხედავ? შეყვარებულია კაცი! – მხრები აიჩეჩა საშკას მიუხვედრელობით გაოცებულმა გენამ.

– შეყვარებულია?! ვინ, გოგიჩა?! ინაზე?! ჩემს დაზე?!

– რამდენადაც ვიცი, ეგ ერთი და გყავს... – თავი დაუქნია გენამ.

– გოგიჩ, მართალია?

გოგიჩამ პასუხად მხოლოდ ამოიოხრა.

– მართალია! – ხმადაბლა გაიმეორა საშკამ და ერთიანად გაფითრდა. შეშინებული ანიტა ექიმის მოსაყვანად დერეფანში გაქანდა. იაშა და რომა უკან გამოუდგნენ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გოგიჩ, მოდი აქ! – ძლივსგასაგონად დაუძახა საშკამ.

– საშკა, არ გინდა... – სცადა ჩარევა გენამ.

– მაცალე, გენა! ეს მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება! – ცივად გააწყვეტინა საშკამ.

გოგიჩა ნელა მიუახლოვდა და საწოლთან გაჩერდა.

– თვალებში შემომხედე და ისე მითხარი: გიყვარს?

გოგიჩამ თამამად გაუსწორა მზერა და თავი დაუქნია.

– იმას თუ უყვარხარ?!

– კი.

– მერე, რატომ აქამდე არ მითხარით?

– იცი, სულ გვინდოდა, მაგრამ... ლილი ბებიამ ყველაფერი იცის...

– სხვა დროს, ალბათ, ცხვირ-პირს დაგინაყავდი!.. ახლა კი... ჩემდა გასაოცრად, მიხარია კიდეც...

გოგიჩა მოულოდნელობისაგან ადგილზე შეხტა და გახარებული მოეხვია მეგობარს.

– ისე, ერთი გასილაქება მაინც არ აგცდებათ, ოლონდ – მერე... – როგორც იქნა, გაიღიმა საშკამ და გოგიჩა გულში ჩაიკრა.

* * *

ლენკას პატარა ბინა უჩვეულოდ იყო არეული. სასტუმრო ოთახში ერთმანეთის გვერდით ჩამომსხდარიყვნენ ლილი და ინა. მათ წინ სავარძელში ნებივრად გაშხლართული ვადიმი უდარდელად ათამაშებდა ხელში რევოლვერს და უტიფრად იკრიჭებოდა:

– აბა, როგორია განწყობა? ჰა, ცოტათი ხომ არ გავმხიარულდეთ? რას ჩამოგიშვიათ ცხვირი! ლენოჩკა, რას აკეთებ ამდენ ხანს? გამოდი, თორემ სტუმრებმა მოიწყინეს!

ზღურბლზე ფერდაკარგული, თმაგაწეწილი ლენა გამოჩნდა. მთელ სიგრძეზე გაფხრეწილ ღამის პერანგზე ხალათი შემოეცვა. ქალის გარეგნობა ნათლად მეტყველებდა იმაზე, რაც ცოტა ხნის წინ ვადიმსა და მას შორის მომხდარიყო.

– რა გაყვირებს?!. ბავშვს გააღვიძებ, ცოდოა...

– ეგ შენი ნაბიჭვარი ფეხებზე მკიდია, მაგრამ, თუ ჭკვიანი გოგო იქნები, ორივეს მოგხედავთ. მალე ძალიან ბევრი ფული მექნება, ძალიან... აი, მერე კი გავშლი ჩემებურად ფრთებს...

– მეზიზღები!.. – კბილებში გამოსცრა ლენკამ და ვადიმს სახეში შეაფურთხა. გაცეცხლებულმა კაცმა მთელი ძალით მოიქნია ხელი და ქალს სილა გააწნა. ლენა ჩაიკეცა.

– მხეცო, ველურო!.. – ატირდა ქალი.

– გითხარი, ჭკვიანად იყავი-მეთქი! მე შენ ლევანი ხომ არ გგონი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარ, ან ის გამოტვინებული საშკა?.. კახპას სხვანაირად არ უნდა მოექცე! რაც შეეხება ამ ტურფა ასულს... – ვადიმი აცახცახებულ ინასთან მივიდა და მაჯაში უხეშად წაავლო ხელი. – ძალიან მაინტერესებს, შენც ისეთივე ალერსიანი ხარ, როგორიც შენი დედიკო? თუ – უკეთესი?

ლილი გამძვინვარებული ვეფხვივით ეცა ვადიმს, ინა ხელიდან გამოგლიჯა და ფრჩხილებით სახეში ჩააფრინდა. ვადიმმა ძლივს მოიშორა გაანჩხლებული ქალი, ოთახის კუთხეში მიაგდო და ისევ აკივლებულ ინას მიუბრუნდა. ლილი იატაკზე დაეცა, გათბობის მილს თავი დაჰკრა და გონი დაკარგა.

– რა ჩაიდინე, შე ნადირო! – ლენა მუხლებზე მდგარი მიხოხდა წაქცეულთან და მაჯა გაუსინჯა. – მოკალი?!

ვადიმმა შეიგინა.

– ერთი მაგისიც!.. ვის რაში სჭირდება ეგ ბებრუხუნა! თანაც, მისივე ბრალია – რას ეჩრებოდა?!. შენ კიდევ, გეყოფა კივილი! მერე მადლობასაც მეტყვი, ნახავ, როგორ მოგეწონება...

ვადიმმა ინა ძალით წაათრია კარისაკენ. ლენა წინ გადაუდგა.

– ყოველთვის იდიოტი იყავი, ვადიმ! გოგოს ხელი გაუშვი! მაგას თუ რამე დაუშავდა, ფულს ვინ გადაგიხდის?.. ისედაც შეცდი, ბებო რომ მოკალი... საშკა ამას არ გაპატიებს.

– საშკა საავადმყოფოში წევს, ლოგინს მიჯაჭვული და ადგება, თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია! ვისი უნდა მეშინოდეს, იმ უდღეური გოგიჩასი თუ გენასი?!

– პრობლემები ისედაც არ გაკლია, შენ კი იმატებ... ან რად გინდა ეს ცხვირმოუხოცავი ღლაპი, მაგან რა იცის, მამაკაცს სიამოვნებისათვის რა სჭირდება? წამოდი ჩემთან... – ლენამ კისერზე ხელი მოჰხვია და ცხვირით სახეზე მოელამუნა. ვადიმმა გაიცინა.

– წელან რომ ასეთი ალერსიანი არ იყავი?.. დაკბენილი და დაჩქმეტილი ადგილები ისევ მტკივა... რა მოხდა, რამ გაქცია ალერსიან ფისუნიად?

– სულელი ვიყავი, როცა უარს ვამბობდი შენზე... ჩვენ ერთად კარგად ვიქნებით, ძალიან კარგად... – ლენა ჩურჩულზე გადავიდა. მისი ლამაზი თითები თამამად დაცურავდნენ კაცის მკერდზე და ნელ-ნელა იპყრობდნენ მის გონებას.

– მგონი, მართალი ხარ, ხომ იცი?! – ჩაბლუჯა ქალი ვადიმმა. – რა თავში ვიხლი მაგათ სახლსა და კაზინოს! ის ფული გამომიგზავნონ, საძინებელში, ლიზას პორტრეტის უკან ჩატანებულ სეიფში რომაა ჩაკეტილი და წაიყვანონ თავიანთი ტურფა!.. მართლა მომეფერები?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ლამაზად გამობურცულ მკერდზე წაეტანა ლენას და თავისი სქელი, საზიზღარი ტუჩებით ლოშნა დაეწყო... ლენა ერთიანად აკანკალდა, მხოლოდ მან უწყოდა, რის ფასად უჯდებოდა ამის ატანა. ვადიმმა თითქოს იგრძნო, როგორ ბობოქრობდა ქალში ჩაგუბებული ზიზღი და უკუიქცა.

– გძულვარ, არა?! ყოველთვის გძულდი! რამდენი დამცირება ამიტანია შენგან და ახლაც მატყუებ!.. აკი, გითხარი, კახპა ხარ-მეთქი.. კარგი, როცა მომინდება, მაშინ ვიქნები შენთან... როცა მინდა და როგორც მინდა!.. ცოლად კი სხვანაირი ქალი მჭირდება... ისეთი, როგორიც ინაა!.. ენახოთ მერე, სიძესაც თუ გაიმეტებენ სასიკვდილოდ! ჩვენი შვილი ისეთივე მემკვიდრე იქნება, როგორიც საშაა! – თვალებამღვრეული ვადიმი ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ბებოს მკერდზე დამხობილ გოგონას. შეშინებული ინა დამფრთხალი შველივით წამოიჭრა ფეხზე, კედელს გაეკრა და მთელი ხმით იკივლა:

– არ მომეკარო!..

• • •

„რეისი შვიდას ორმოცდაერთი, რომი-ფრანკფურტი-მოსკოვი, უამინდობის გამო ნახევარ საათს" იგვიანებს. – რამდენჯერმე გაიმეორა უჩინარმა დიქტორმა.

– ესღა გვაკლდა! – აფორიაქდა და მოუსვენრად აწრიალდა ბარის მაღალფეხება სკამზე შემომჯდარი გენა.

– განსაკუთრებული არაფერი ხდება, თვითმფრინავები ხშირად იგვიანებენ, – დაამშვიდა იაშამ და სიგარეტს მოუკიდა.

– ლევანზე კი არა, გატაცებულებ'ხე ვჯავრობ. მეორე დღე დაიწყო, ვადიმისაგან კი არაფერი ისმის. ხომ შეიძლება, ორივე დაეხოცა?

– შეუძლებელია! მაგათი სიკვდილი ვადიმს არაფერში სჭირდება, პირიქით, ყველანაირად გაუფრთხილდება.

– კი, მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ"! – გააწყვეტინა კაცმა მკაცრად. – მაგას ჯობს, ის გააკეთო, რაც გითხარი.

– თითქმის ყველგან ვიყავით, კაზინოში, საუნებში... მეგობრები მაგას არა ჰყავს და ოჯახი...

იაშა უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა.

– არც ისეთი სულელია, როგორიც გგონია: იქ გამოჩნდება, სადაც მაშინვე ჩაავლებენ?!. საერთოდ, ასეთ დროს კაცების უმრავლესობა მოკავშირედ ქალს ირჩევს ხოლმე...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გენა დაფიქრდა. და უცებ შეირხა:

– ნუთუ?!. წარმოუდგენელია! – ფეხზე წამოვარდა.

იაშამ გაოცებით შეხედა:

– რა მოხდა, სად გარბიხარ?

– აქამდე როგორ არ გამახსენდა! ლენა, ლენოჩკა! იქ უნდა წავიდეთ, ახლავე!... ლენოჩკასთან!..

იაშამ ძლივს მოასწრო აფორიაქებული გენას შეჩერება.

– მოიცა! ასე არ შეიძლება! გამაგებინე, რაშია საქმე?!

– ვადიმს ერთი კრუპიე მოსწონდა ჩვენთან, კაზინოში. მოსვენებას არ აძლევდა. საშკას მისამართიც მისგან გაიგო მოტყუებით... დარწმუნებული ვარ, ინას და ბებიას იმასთან მიიყვანდა!

– რატომ გგონია?!

– აბა, სხვაგან სად უნდა წაეყვანა? აკი გითხარით, მეგობრები არა ჰყავს-მეთქი. უპატრონო ბავშვთა სახლშია გაზრდილი. ლიზამ, რომ იტყვიან, წუმპიდან, პირდაპირ ქუჩიდან მოათრია.

– ლიზამ?!

– ჰო, საშკას დედამ...

– აა, გამახსენდა: მისი საყვარელი იყო, არა?.. ამბობენ, მაგრად „გულაობდაო“...

– არც ისე... – მზერა მოარიდა გენამ.

– რაო, შენც ხომ არ...

იაშას შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. გენა ისევ წამოხტა:

– მე მივდივარ!

– სად?

– ლენოჩკასთან! ჩემი ვარაუდი უნდა შევამოწმო!

– ნუ ჩქარობ, ასე არაფერი გამოვა, თუ მართლაც იქაა, მხოლოდ დააფრთხობ! – მოესმათ ნაცნობი ხმით ნათქვამი.

პატარა მაგიდას გოგიჩა და რომა უახლოვდებოდნენ.

– შენ აქ რა გინდა?! – გაუწყრა რომას იაშა. – საავადმყოფოდან რატომ წამოხვედი?

– ნუ ჯავრობ, შეფ, ბიჭები იქ არიან, საშკასთან კი ანიტაა...

– ველარ მოვისვენე!.. ახალი არაფერია? – ამოიოხრა გოგიჩამ.

– არა, არაფერი, – ყოყმანით თქვა გენამ. – უბრალოდ, თვითმფრინავი აგვიანებს...

იაშა რომას შეუბრუნდა:

– ტელეფონი თანა გაქვს?

– რა თქმა უნდა.

– მოიტანი! – იაშამ მცველს ვერცხლისფერი მობილური გამოართვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გენას გაუწოდა. – დარეკე!

– სად? – ვერ მიხვდა გენა.

– ლენასთან!

– ლენა ვინღაა? – პირი დააღო გოგიჩამ, რომამ ანიშნა, გაჩუმდიო. იაშასთან მუშაობის ექვსწლიანმა გამოცდილებამ ზედმიწევნით შეასწავლა პატრონის თითოეული ჟესტი თუ მიმიკა, ზუსტად იცოდა, რას ნიშნავდა მის შუბლზე გაწოლილი ორი ჰორიზონტალური ნაოჭი და საფეთქელზე ძალუმად მფეთქავი ძარღვი – შეფი გადაწყვეტილებას იღებდა და ვიღაცას ძალიან ცუდად წაუვიდოდა საქმე.

* * *

კედელს აკრული და კედელივით გაფითრებული ინა კიოდა. აკანკალებული გოგონა ახლოს, სულ ახლოს ხედავდა გახელებული მამაკაცის ჩასისხლიანებულ თვალებს და მისი ცხელი აჩქარებული სუნთქვა სახეს უწვავდა.

– ლენა, მიშველე! – ამოიხავლა სასოწარკვეთილმა.

მოულოდნელად ტელეფონმა გაიწკრიალა, მჭახე ზარმა ვადიმი ოდნავ შეაკრთო, მაგრამ მალევე გამოერკვა და ისევ ინას მიუბრუნდა. ტელეფონი რეკავდა და რეკავდა. ლენამ აპარატისკენ გაიწია.

– ხელი არ ახლო! – უყვირა ვადიმმა.

– იქნებ...

– იქით გაიწიე-მეთქი! თორემ შენც და შენს ნაბიჭვარსაც ამ ბებრუხანას მიგაყოლებთ უკან! – თვალები დაუბრიალა კაცმა.

– ვადიმ, მომისმინე! თუ არ ვუპასუხებ, უფრო დაეჭვდებიან, ნება მომეცი, ყურმილი ავიღო... გეფიცები... – ლენა ყველანაირად ცდილობდა გამძვინვარებული მხეცის დაყოლიებას და დროის მოგებას.

– არა, მოეშვი მაგ ოხერ ტელეფონს! და საერთოდ გადი აქედან...

– ვადიმ! – ისევ წამოიწყო ლენამ.

ვადიმმა აკანკალებულ ინას ზურგი აქცია, ტელეფონი ჩამრთველიდან გამოგლიჯა და ძირს დაანარცხა, მერე ჯიბიდან პატარა საკეცი დანა ამოიღო, გახსნა და მისი ვიწრო, ბასრი პირი ქალს ცხვირწინ აუთამაშა.

– გაჩუმდები თუ არა, შე ღორისშვილო?! ახლავე ენა ჩაიგდე! – ვადიმმა ცალი ხელი თმაში ჩაავლო ლენას და ღონივრად მოქაჩა, ქალმა ტკივილისაგან შეჰკივლა და უნებურად თავი უკან გადასწია.

ვადიმმა ავად ჩაიხითხითა და მის ნაზ, ქათქათა ყელს დანის წვერი შეახო. ბასრმა ფოლადმა კანი გაკაწრა და ალისფერი წვეთები ერთმანეთის მიყოლებით ჩამოსრიალდნენ გაჭიმულ კანზე. სისხლის დანახვამ ვადიმი უფრო გაამხეცა, ქალი ძლიერად ჩაბლუჯა და ცივად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოლაპლაპე დანის პირი ახლა მკერდისკენ ჩაეცოცა...

უცებ იგრძნო, როგორ მოხვდა თავში რაღაც უსაშველოდ მძიმე და თვალთ დაუბნელდა...

გაოცებული ინა დაბნეული დასცქეროდა ხელში შერჩენილ ბრინჯაოს საფერფლეს და კიდევ არ სჯეროდა იმის, რაც ჩაიდინა.

– ღმერთო ჩემო! მგონი, მოვკალი!.. – ჩაიჩურჩულა ენის ბორძიკით, საფერფლე მოისროლა და ლენას მივარდა. – ლენა, ლენა! სულ სიცხლში ხარ მოსვრილი!

– ნუ გეშინია, მხოლოდ კანი გამიჭრა! არაფერია! მაგრამ შენ...

– მეც არ ვიცი, რა დამემართა! დავინახე, როგორ გამოჟონა შენი ყელიდან სისხლმა და მერე აღარაფერი მახსოვს... ახლაც არ მჯერა, რომ... – ინას ნერვებმა უმტყუნა, ტირილი აუვარდა.

– ნუ ტირი, ნაძირალები ასე ადვილად არ კვდებიან... მოდი, მომეხმარე.

ლენა გონდაკარგული ვადიმისაკენ დაიხარა, მხრებში ჩაებღაუჭა და ფანჯრისკენ გაათრია... – რას აპირებ? – ინამ ტირილი შეწყვიტა და ლენას გაოცებული მიაჩერდა.

– მოდი აქ, მომეხმარე! ფანჯრიდან უნდა გადავაგდოთ! – ლენამ ფანჯარა გამოაღო, ქუჩაში გადაიხედა. მეთორმეტე სართულიდან ავტომობილები და ადამიანები პაწაწინა ჭიანჭველებივით ჩანდნენ.

– რას უცდი? მარტო ვერ მოვერევი, მძიმეა!

– გაგიჟდი!

– ინა, ჩქარა, თორემ თუ გონს მოვიდა, ორივეს დაგვხოცავს!

ლენას წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ვადიმმა დაიკვნესა და თითქოს შეინძრა კიდეც.

– ჩქარა, დროს ნუ მაკარგვინებ, მომეხმარე! – ლენამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იატაკზე გაშხლართულ კაცს მხრებში ამოსდო ორივე ხელი და ინას დაუყვირა: ფეხები აუწიე...

გოგოებმა გაჭირვებით აათრიეს რაფაზე ვადიმის მძიმე ტანი და უბიძგეს... ინამ თვალები დახუჭა... შორიდან ყრუდ მოისმა კაცის განწირული ბღავილი, რომელსაც სხეულის დახეთქების ხმა და ბორბლების საშინელი ღრჭიალი მოჰყვა. მერე წამით ყველაფერი მიწყნარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი სირენების გამაყრუებელი, გამკივანი ხმა გაისმა.

ლენამ სასწრაფოდ მიხურა ფანჯარა და ნახევრად გონდაკარგული გოგონა გულში ჩაიკრა.

– ნუ გეშინია, ყველაფერი გათავდა, ყველაფერი!

– მე მკვლელი ვარ... ახლა დამიჭერენ და ციხეში ჩამსვამენ!... –

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმეორებდა შეშინებული ინა...

– არა, არა, რას ამბობ! – გაყინული ხელები დაუკოცნა ლენამ. – ციხეში ვინ ჩაგსვამს, ვადიმი ხომ არაკაცი იყო. დაგავიწყდა, რას გიპირებდა?! ჯერ საშკა სასიკვდილოდ გაიმეტა, მერე ბებო მოგიკლა...

– ბებო... ჩემი საწყალი ბებო! – ახლაღა გააცხენდა გოგონას მოხუცი, ჩაიმუხლა და ლოყა ლილის გაყინულ შუბლს დაადო.

* * *

ლევანმა შორიდანვე შენიშნა გოგიჩა და გენა. ღიმილით ხელი დაუქნია და ნაბიჯს აუჩქარა. ახლოს რომ მივიდა, მაშინღა შენიშნა მათ თვალებში ჩაგუბებული შიში და თვითონაც შეშფოთდა, ბიჭები გადაკოცნა და ჰკითხა:

– მეგონა, მეხუმრებოდით, მაგრამ, ეტყობა, საქმე სერიოზულად უნდა იყოს! რა მოხდა?!.

– მანქანაში ჩავსხდეთ, გიამბობ! – მოკლედ მოუჭრა გენამ, ლევანის ბარგს დასწვდა და გასასვლელისაკენ დაიძრა.

ლენას სახლთან მისულებს თვალწინ შემზარავი სურათი გადაეშალათ. „სასწრაფო“ უკვე წასულიყო, ტროტუარზე სისხლის მოზრდილი გუბე იდგა, იქვე მილიციელები ირეოდნენ და ასფალტზე ცარცით რაღაცას ხაზავდნენ, სისხლის შხეფები ყველგან იყო – კედელზე, ტროტუართან მდგარ ხეზე, ბალახზე... ხანშიშესული ქალბატონი აღელვებული უთითებდა კაბის კალთაზე, რომელსაც ჟანგისფრად შეჰხმობოდა სისხლის წვეთები.

– გეუბნებით, მისი სისხლია-მეთქი, იმ უბედურის! ღმერთო, რა ხმა იყო, თავი პირდაპირ შუაზე გაუსკდა! ჰოდა, რა გასაკვირია, კაბაზეც შემეშხეფა... რა საშინელებაა!.. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, თავზე რომ დამცემოდა?!

– თქვენ დაინახეთ, როგორ გადმოვარდა? – ჰკითხა აქაქანებულ ქალს მილიციის მაიორმა.

– კი... თუმცა არა, მე მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როცა გვერდით ჩამიქროლა...

– არავინ იცით, რომელი სართულიდან გადმოაგდეს გარდაცვლილი? – ახლა შეჯგუფულ ხალხს მიუბრუნდა მილიციელი.

– გადმოაგდეს? რატომ გგონია, რომ გადმოაგდეს? – იკითხა მეორე მილიციელმა.

– აბა, თვითონ გადმოხტა?! არა მგონია! – დაეჭვებულმა გადაიქნია თავი მაიორმა. – თვითმკვლელობისთვის მეტისმეტად ახალგაზრდაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მერე რა? იქნებ გაიჩხირა და ფრენა მოუნდა? – ჩაიცინა ერთმა მოქალაქემ, ციცინელა ოცი-ოცდაერთი წლის ბიჭმა და იქვე მდგარ მეგობარ გოგონას წელზე მოეხვია ხელი. – წავიდეთ, ლუსია, აქ საინტერესო აღარაფერია.

– ბოლოს და ბოლოს, დაინახა თუ არა ვინმემ, რომელი სართულიდან გადმოფრინდა... ოჰ... გადმოვარდა თუ გადმოაგდეს ის უბედური?! რა თქმა უნდა, არავის... – მოთმინებადაკარგული პოლიციელები აზომვებს მორჩნენ, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

გაფითრებულმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ნუთუ ამჯერადაც დავაგვიანეთ? – ამოიოხრა გენამ და გოგიჩას გადახედა, რომელიც გიჟივით შევარდა სადარბაზოში და კიბეს ეცა. ლევანი და გენა უკან მიჰყვნენ. იაშა იმ ქალთან მივიდა, რომელიც ამაყად უჩვენებდა გამელელებს დაწინწკლული კაბის კალთას...

– ქალბატონო, ერთი წუთით... როგორც გავიგე, სიკვდილს სასწაულით გადარჩენილხართ.. ის საწყალი ქალი ლამის თავზე დაგეცათ, არა?

– აბა! სწორედ რომ ბეწვზე ვარ გადარჩენილი! – ხელახლა აქოთქოთდა „დაზარალებული". – მაგრამ არ მესმის, რომელ ქალზე მელაპარაკებით? გარდაცვლილი მამაკაცია, თანაც საკმაოდ ზორბა. ახლა ხომ ხვდებით, რა საფრთხე მელოდა?..

იაშამ მის რატრატს ყური აღარ ათხოვა. დაცვას გადახედა, უბრძანა – „მომყევითო" და მშვიდად დააჭირა ღილაკს ხელი ლიფტის გამოსაძახებლად.

• • •

იატაკზე გვერდიგვერდ მსხდარი ლენა და ინა ერთმანეთს მიჰკვროდნენ და პატარა ხმაურზეც კი კრთოდნენ. ინა დროდადრო ამოისლუკუნებდა ხოლმე, მაგრამ უკვე აღარ ტიროდა. ლენას მისი თავი კალთაში ჩაედო და თმაზე ეფერებოდა. უცებ ვიღაც მთელ ძალით ეძგერა შემოსასვლელ კარს და გოგოებმა შეშინებაც ვერ მოასწრეს, რომ ოთახში ლევანი, გენა და გოგიჩა შეცვივდნენ.

– ლევან! – იკივლა ლენამ და ბიჭს კისერზე ჩამოეკიდა...

– ინა! ინა! ცოცხალი ხარ?! კარგად ხარ?! – დაუსრულებლად იმეორებდა გოგიჩა და გოგონას სხეულს ხელით უსინჯავდა.

– გოგიჩ!.. მე ის... მოვკალი... მე... ბებია... იმან ბებო მოკლა... აი, შეხედე... მას ჩემი.. – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ზლუქუნებდა ინა და სახეს გოგიჩას მკერდში მალავდა.

– გათავდა, ნულარ ტირი... დამშვიდდი, ჩემო საყვარელო... ყველაფერი კარგად იქნება! – ბიჭმა ხელში აიტაცა თავისი სიყვარული და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატარა ბავშვივით უნანავებდა.

ზღურბლზე შიშისაგან თვალებგაფართოებული ახლად გამოღვიძებული პატარა გოგონა გამოჩნდა და დედისაკენ ხელები გაიშვირა. ლენა მაშინვე მივარდა შვილს, გადარეულივით უკოცნიდა სახეს, ბუნჩულა ხელებს და ბედნიერებისაგან იცინოდა.

– რატომ ტირი, დედიკო?

– არ ვტირი, ჩემო სიცოცხლევ!

– მაშინ რატომ იცინი?

– მიხარია, რომ შენ მყავხარ!

– ის ცუდი ბიძია უკვე წავიდა?.. აღარ გეშინია?.. –ტიტინებდა გოგონა...

– არა, ახლა აღარ მეშინია, არაფრის აღარ მეშინია...

– რა მშვენიერი გოგონაა!.. რა გქვია, პატარავ? – ბინაში შეუმჩნევლად შემოსულმა რომამ ბავშვთან ჩაიმუხლა.

– ანია, მაგრამ ანუშკას მეძახიან, შენ კარგი ძია ხარ?

რომამ გადაიხარხარა.

– არ ვიცი... ალბათ, – თმაზე აკოცა ანუშკას და ლენა მალვით შეათვალიერა.

– არ წავიდეთ? საშკა გველოდება, – თქვა იაშამ, რომელიც აქამდე ლილის გვამთან იყო დახრილი და მაჯას უსინჯავდა. – სამწუხაროდ, ბებიას ველარაფერს ვუშველით.

ლენა ლევანისკენ შებრუნდა.

– ლევან, აეროპორტში ისე ვჩქარობდი, ველარც მოვასწარი, საშკას მომავალი სიმამრი, ბატონი იაშა გამეცნო შენთვის...

– სიმამრი? – ლევანს ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

– აბა?! საავადმყოფოდან პირდაპირ ქორწილში ამოვყოფთ თავს! – სახე უბრწყინავდა ლენას.

– საოცარი ხალხი ხართ... არანორმალურები!.. არ შეიძლებოდა თქვენი მარტო დატოვება! – „გაბრაზდა" ლევანი. – წელიწადი არაა, რაც წავედი და ამდენი სიურპრიზი დამახვედრეთ.

– ეს რა არის, მთავარი სიურპრიზი თბილისში გელოდება! – ეშმაკურად ჩაეცინა გოგიჩას და ინას თვალი ჩაუკრა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE